

981

16035721  
2185011033

# МАМА

53  
w/3

3 / 1981

## ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :

ბიორბი მერკვილაძე (მთავარი რედაქტორი),

როსტომ გეგანიშვილი, ლევან ბრეგაძე (პ. მგ. მდივანი), დავით გამყარდაშვილი, აკაკი გაწერელია, კობა იმედაშვილი, ლავროსი კალანდაძე, რევაზ მიშველაძე, შალვა ჩიჩუა, ვლადიმერ წვინარია, სერბი ჭილაია, ზურაბ ჭუმბურიძე, ბიორბი ხუსაშვილი, ნაფი ჯუსოიტი.

მისამართი: 480008. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი,  
42, ტელ. 93-22-85

70 5000—89

♣ ————— 64—79

M 604(08)—79

© გამომცემლობა „მერანი“, 1981

ცხოვრება

ლიტერატურა

კრიტიკა

□ □ □

# საბჭოთა საქართველო და ქართული მწერლობა

□  
სერგი ჭილაია  
□

ქართულ ლიტერატურაში თვალსაჩინო გაცდა პროზის ახალი აღმავლობა.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის გამოყენებით ქართველმა პროზაიკოსებმა შექმნეს ბევრი საინტერესო ნაწარმოები, რომლებშიც ასახული იყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, სოციალისტური ქალაქისა და სოფლის ცხოვრების ფართო სურათები, ქართველი ხალხის რევოლუციური წარსული.

ლ. ქიაჩელმა რომანის „გვალი ბიგვას“ ბეჭდვა დაიწყო 1935

მწერის სახ. ს.კ. სსრ  
საბჭოთა მწერლობა



წელს. ნაწარმოები საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე იშლება. საკოლმეურნეო ცხოვრებამ არსებითად შეცვალა ჩვენი სოფლის სახე, შეიცვალა გლეხის არა მარტო ეკონომიკური ცხოვრება, არამედ მისი შეგნებაც. მემამულეებისა და კულაკობის ჩაგვრიდან გამოსული კოლმეურნე გლეხის სულისკვეთება სრულიად სხვაა. თუ საუკუნეების განმავლობაში ჩვენს ლიტერატურაში სიტყვა „გლეხი“ დაჩაგრულის სინონიმი იყო, კოლმეურნე გლეხი — ახალი, თავისუფალი, შეგნებული ადამიანი გახდა. ეს მთელი ისტორიული პროცესი იყო. ლეო ქიაჩელმა, როგორც მხატვარმა, სწორად შენიშნა ეს პროცესი და ადამიანის გარდაქმნის რთული ვითარება საოცრად სახიერად ასახა თავის რომანში.

რომანის ცენტრალური პერსონაჟია გვადი ბიგვა, ძველი ყოფისა და შეგნების გადმონაშთებით განმსჭვალული ადამიანი, აღზრდილი ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში. იგი ადვილად ვერ თავისუფლდება ძველი მორალისაგან, მაგრამ საკოლმეურნეო ცხოვრების ძალამ, საკოლმეურნეო მშენებლობის მეთაურების გავლენამ გვადის სულიერ სამყაროში უდიდესი გარდატეხა მოახდინა. ძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან დამახინჯებული, ძველი მორალით დატვირთული, წარსულით დაბეჩავებული გვადი ბიგვა ბიწიერსა და ადამიანურს, ბოროტებასა და კეთილს შორის ბრძოლაში თავისუფლდება წარსულის სიმახინჯისაგან. გვადი ბიგვას გარდაქმნის ეს რთული ფსიქოლოგიური პროცესი მწერალმა გადმოგვცა რეალისტური ტონებითა და ფერებით, ორიგინალური იუმორისტული ნიღბით. ამასთან ერთად, მწერალმა დაგვიხატა ახალი ადამიანების საინტერესო სახეები: კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის დამკვრელი ქალი მარია-მი, ახალგაზრდა, კომკავშირელი ნაია, სოფლის სამკათხველოს გამგე ელიკო. საშუალო გლეხის რთული ფსიქოლოგიური ბუნებაა დახატული გოჩა სალანდიას სახით. სოფლის განახლების მთელი ეს პროცესი მძაფრი კლასობრივი ჭიდილის ფონზე აჩვენა მწერალმა. კოლმეურნეობის კლასობრივი მტერი, მისი ავანტიურისტული მავნებლური სახე მწერალმა არჩილ ფორიას ხასიათში განაზოგადა.

„გვადი ბიგვა“ დაწერილია საინტერესო მხატვრული ხერხებით. იუმორის დიდი ზომიერებითა და მახვილი გრძნობით არის გამოხატული გვადის უქნარობისა და სიზარმაცის დამახასიათებელი ეპიზოდები.

დები. შემდეგ ეს ტონი, გვადის ხასიათში მომხდარ გარდატეხასთან ერთად, იცვლება სერიოზული, დრამატიზებული სტილით. საინტერესოა რომანის ფინალი:

„უცებ აღელდა. მკერდის სიღრმიდან გმინვა აღმოხდა. ყამა მი წაზე დაანარცხა. სისხლიანი ზელები ზურგს უკან მოიგდო: „არა, ჭირიმე! ეს არ იქნება! გაიქეცი ახლავე, შეხვდი, დააყენე! უკან ჯარგვალში წაასხი ყველანი! უთხარი ბაბაიას კაცი არ მოუკლავს-თქვა!.. როგორ მოგივიდა, რომ გამოუშვი! მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!..“

ჰუმანისტი მწერლის ეს სტრიქონები სამამულო ომის წინა დღეებში დაიწერა. იგი წინასწარმეტყველურად წინ უსწრებდა მშვიდობიანი მშენებლობის მოყვარულ საბჭოთა ხალხზე თავსმოხვეულ ომსა და სისხლისღვრას.

ლეო ქიაჩელის ეს რომანი ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ერთერთი დიდი მოვლენა იყო. სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან უმაღლესი ჯილდო — სტალინური პრემია. რომანი თარგმნილია საბჭოთა ხალხების რამდენიმე ენაზე, მათ შორის არსებობს შვიდი რუსული გამოცემა. „გვადი ბიგვა“ ითარგმნა აგრეთვე უცხოურ ენებზე. ეს რომანი მტკიცედ შევიდა საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო რომანთა ფონდში.

შეუპოვარი რევოლუციური შეგნებით გამოხატა ლ. ქიაჩელმა რუსი ბოლშევიკის კუზმას სახე 1934 წ. გამოქვეყნებულ ნოველა „ჰაკი აძბაში“. კუზმა ბოლშევიკის ტიპია, შეუვალი, თანმიმდევარი მებრძოლი; მრისხანე ძალა, ძველი რუსეთის დასანგრევად ამხედრებული. სამოქალაქო ომის გმირი.

ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა პროზის გამოცდილი ოსტატი შალვა დადიანი. 30-იან წლებში შალვა დადიანმა გამოაქვეყნა რამდენიმე მოთხრობა და პიესა. მათ შორის უნდა აღინიშნოს „ურდუმი“, რომლის ბეჭდვა 1935 წლიდან დაიწყო. რომანის ისტორიული ფონია სამეგრელოს გლეხთა აჯანყება. ბატონყმობისა და მეფის რუსეთისაგან დამონებული საქართველოს გლეხების მასობრივი ამბოხება, რომელსაც სამეგრელოში უტუ მიქავა ხელმძღვანელობდა, ამ რომანში გაცოცხლებულია მთელი თავისი გრანდიოზული, სახალხო მოძრაობის სახით და თავისუფლებისაკენ მისწრაფებით.

ქართული სიტყვის გამოჩენილმა ოსტატმა ნიკო ლორთქიფანიძემ 1936 წელს გამოაქვეყნა მოთხრობა „მოქანდაკე“. აქ მწერალმა გულწრფელად სცადა წარმოეჩინა ახალი სოციალისტური წყობილების ძალა და ძლიერება, მშრომელი ხალხის ხელისუფლების ზრუნვა ადამიანებზე აქ დიდი სიყვარულითაა გამოხატული. ნ. ლორთქიფანიძემ 1938 წელს დაიწყო და 1944 წელს დაამთავრა ვრცელი ისტორიული მოთხრობა „ქედმოუხრელნი“, სადაც ნამდვილი ჰიმნი უძღვნა მშრომელი ადამიანის, ნამდვილი და ჭეშმარიტი პატრიოტის თავგანწირვას დედა-სამშობლოსათვის: „ზოგიერთი ეჩოსავით მუდამ თავისკენ მიითლის, რასაც სამშობლო უხვად აწვდის და, ერთხელაც არ იკითხავს თუ რით არგოს ქვეყანას. ზოგიერთისთვის, როგორც ამ ყმაწვილისთვის, სამშობლო არაფერს იმეტებს, მაგრამ თავს სწირავს მაინც, ამიტომაც არის ყველაზე უანგარო და მაშასადამე, ყველაზე უფრო თავგანსაცემი მდაბიოთა და ღარიბთა სიყვარული სამშობლოსადმი“.

ოცდაათიან წლებში დ. შენგელაიამ სამი რომანი და რამდენიმე ნოველა გამოაქვეყნა. მათ შორის ყველაზე მეტი გახმაურება წილად ხვდა რომან „ბათა ქექიას“; რომანის ცენტრში დგას ძველი დროის უკულმართი ცხოვრებისაგან დასახიჩრებული, მაგრამ მოხერხებული და ეშმაკი, ამავე დროს უაღრესად პრაქტიკული და შინაგანად პატიოსანი გლეხი ბათა ქექია. რომანში პირველი პირით არის მოთხრობილი ბათას თავგადასავალი, სავსე ჭკუამახვილობით, ხუმრობა-ქილიკობით. პირველი პირით მოყოლა ხელს არ უშლის მწერალს სოციალური სიმძაფრე შეიტანოს რომანში და შიგადაშიგ რევოლუციური საქართველოს ეპიზოდებიც დაგვიხატოს. ამავე დროს ბათას თანამედროვეთა თუ თანამებრძოლთა კოლორიტული ხასიათები გამოძერწოს, ეს იქნება ხუცესი საბალია, თუ აბრაგი თამშუდ დანელია.

ბათას პირით აქ თითქმის მთელი საუკუნის ამბავია მოთხრობილი, ბატონყმური საქართველოს ეპიზოდებით დაწყებული, 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიანი დღეების რომანტიკული აღწერით გაგრძელებული და რეაქციის პარპაშით დამთავრებული. არც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაა დავიწყებული. მთელ ამ საუკუნოვან ამბავს ბათას პირით მოგვითხრობს მწერალი ბათა ყვება არა მარტო თავის პირად თავგადასავალს, არამედ მთე-

ლი სოფლის, მთელი ქვეყნის ამბავს, სანამ კი წვდება მისი სმენა და ხედვა. ეს მონათხრობი ამბავი სავსეა ენამზეობით, ხუმრობით, ხალხური აფორიზმებით, სევდით და სიხარულით, რწმენით.

ბათას რამდენჯერმე ხელიც მოცარვია ცხოვრებაში. მოვიგონოთ მისი უიღბლო სიყვარული და ცოლის შერთვა ან ხუცესის მიერთიკანის მოპარვა, თუ რეაქციის მიერ აკლებული მისი სახლ-კარი... და მაინც რწმენით სავსე კაცია იგი. ცხოვრებას დახარბებული ტიპიური პრაქტიკოსი გლეხია. მისი გლეხური ფსიქოლოგია უაღრესად მიწიერია, მიწიდან ამოსული მიწაზევე დგას მტკიცედ, შეურყევლად ფეხმოკიდებული.

ღიახ, ბათა მიწიერია თავისი გახარებული და გაუხარელი, ცოდვიანი და უცოდველი ცხოვრებით; გაუტეხელი, მუხასავით ფესვებგადგმული და მაგარი, ვენახივით მსხმოიარე, ცხრა შვილის მამა: „მე ბებერი ვარ, გამტანი, მე ცხრატონიანი მუხა ვარ, ტოტები ცაღ გამიდგამს, ფესვები მიწაში გამიყრია, ვნება ვენახივით მეპარება შტოებში და ასე მიწის წვენიტ დამთვრალი ვშრიალე“.

„ბათა ქექიას“ გმირები უაღრესად ეროვნულია და მიწიერი. ბათა რწმენით, ოპტიმიზმით, სიცოცხლით სავსე ტიპიური ქართველი გლეხია. რომანში საოცარი ხატოვანი ენაც, მითოლოგიური ეპიზოდებიც, მოსწრებული აფორიზმებიცა და მეტაფორებიც დამორჩილებულია რომანის ძირითად სოციალურ აქცენტებს, რევოლუციური საქართველოს რომანტიკულ ისტორიას.

მწერლის მისწრაფება ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულისადმი უფრო რელიეფურად გამოიკვეთა რომანებში: „ცისკარი“ და „შთაგონება“, ორივე რომანი თბილისის ფონზე იშლება.

კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ ქართულ მწერლობაში პირველი რომანი იყო, რომელმაც ვრცლად წარმოსახა 30-იანი წლების საქართველოს სოფლის სინამდვილე. ამ რომანის პირველი თავები 1932 წლის „მნათობის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა, ხოლო ცალკე წიგნად პირველი ნაწილი 1934 წელს გამოვიდა.

რომანის დიდად გახმაურებას ხელი შეუწყო არა მარტო თემის აქტიულობამ, იმან, რომ რომანში დიდი სიმართლით არის ასახული ჩვენი სოფლის ცხოვრების ოცდაათიანი წლების ქარიშხლიანი დღეები, არამედ იმანაც, რომ აქ გამოყვანილ მოქმედ გმირთა მხატვრულ

გამოძერწვაში გამოვლინდა დიდი ოსტატობა და ნიჭიერება მწერლისა. მწერლობას ადამიანისმცოდნეობას უწოდებენ. სწორედ ადამიანთა რთული სულიერი სამყაროს გამოხატვით გაითქვა სახელი ამ რომანის ავტორმა. ხასიათების გამოხატვაში მწერლის იდეური პოზიციაც მთელი ძალით გამოვლინდა: „ერთ ქარქაშში ორი ხმალი არ ჩაიგებაო“, ათქმევინებს საკოლმეურნეო სოფლის მეთაურს ტარას ხაზარაძეს მწერალი სოფლის ბობოლა გლეხის ბარნაბა საგანელიძის მისამართით. ნაწარმოების მთელ პათოსს ეს იდეური პრინციპი ვანსაზღვრავს. ამ პრინციპითაა გამოხატული ახალი ადამიანის — მექის სახე და თვით კომუნისტ ტარასი ხაზარაძის ხასიათიც — ქართულ საბჭოთა პროზაში პარტიული მოღვაწის პირველი განზოგადებული სახე.

„კოლხეთის ცისკრის“ მთავარი ღირსება ის არის, რომ აქ მკითხველი მოქცეულია მწერლის მიერ მოქსოვილი ახალი ცხოვრების, ახალი სოფლის, ახალი ყოფის დიდებული რომანტიკის გავლენის ქვეშ და ეს მიღწეულია არა მარტო რომანის ღრმა იდეური კონცეფციით, არამედ მხატვრულ საშუალებათა და მწერლურ გამოვლენათა საოცარი სიუხვით, ხასიათების სრულყოფილი ძერწვით, გმირების სამყაროს დიდი სიმართლით გამოხატვის გზით. ჩვენ ხელშესახებად ვხედავთ და ვგრძნობთ ახალი სოციალისტური სოფლის ძალას და ღირსებას, სოფლის თავკაცების საოცარ თავგანწირვას და გმირობას სოციალისტური ყოფის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. მწერლის მხატვრული პალიტრა და ორიგინალური ხელწერა დიდი პროფესიული ოსტატობით გამოვლინდა ამ რომანში. გასაოცარი სიცხადითა და სიმართლით არის ასახული კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“ XX საუკუნის ოცდაათიანი წლების დიდი გარდატეხის ეპოქა.

1935 წელს კ. ლორთქიფანიძემ, ქართველი მწერლების ერთ ჯგუფთან ერთად იმოგზაურა და დიდ ხანს დაჰყო საბჭოთა ბელორუსიაში. აქ გაეცნო ამ ხალხის წარსულსა და მის თანამედროვე ცხოვრებას. ამას მოჰყვა მისი „ბელორუსული მოთხრობები“, სადაც გაცოცხლებულია მოძმე ბელორუსი ხალხის რევოლუციური წარსულის, სამოქალაქო ომის დასამახსოვრებელი პოეტური ეპიზოდები. მოთხრობების ციკლს აერთიანებს მოხუცი ბაბუა რუხლოს სა-





მოქალაქო ომისდროინდელი რევოლუციური და გმირული თავგადასავალი.

რაჟდენ გვეტაძემ „თეოსა“ და „ჭიაკოკონას“ შემდეგ დაწერა ახალი რომანი „ლაშაური საღამოები“. რომანში რ. გვეტაძემ სცადა ერთიანი კომპოზიციით შეეკრა შინაარსითა და მოქმედების ადგილითაც ერთმანეთს დაცილებული ნოველები, რომელთაც აერთიანებს ავადმყოფ ლაშას გარშემო თავმოყრილი მეგობრების საუბრები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნოველებს ერთიანი სიუჟეტური ხაზი არ გააჩნია და ჩვენი სინამდვილის საზოგადოებრივი საერთო ფონიც ერთგვარად სქემატურია, მწერალმა მაინც შესძლო ეპიზოდურად გადმოეცა საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების ლირიკული სურათები. მან დახატა აგრეთვე თანამედროვე საბჭოთა ინტელიგენტის რამდენიმე კოლორიტული ფიგურა, მათ შორის საბჭოთა ქალის ზეინაბის — ლირიკულ-დრამატული გმირისა. რომანში ჩართულია მირზა გელოვანის ლექსი „თეთრი მიწა“. ქართველმა მკითხველმა პირველად ამ ლექსით გაიცნო მირზა გელოვანი — ქართული პოეზიის ეს ჩაუმქრალი მზეჭაბუკი.

ამ პერიოდის პროზაულ ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ პ. ჩხიკვაძის „ნაბიჯები“ და „მურზაყან დაღეშქელიანი“, პ. ლორიას „ჩაი“, „მეგლუდი“, ე. პოლუმორდვინოვის „იღვიძებენ მთები“, ი. ლისაშვილის „ძახილი მთაში“, ალ. ქუთათელის „აბესალომ და ეთერი“, ლ. მეტრეველის „ცხრათვალა მზე“.

მცირე ფორმის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ს. კლდიაშვილის „სვანური მოთხრობების“ ციკლი (1934 წ.). სვანეთის ცამდე აზიდული ზვიადი მთები, მითებისა და ლეგენდების ზღაპრული სამყარო მუდამ იზიდავს შემოქმედის გონებას. ს. კლდიაშვილის „სვანური მოთხრობები“ — ეს უბრალო ეთნოგრაფიული დანახვა როდია საქართველოს ამ ულამაზესი მხარისა. აქ დიდი ზომიერებით, ტაქტით, ლირიკული ინტონაციებითა და მღელვარებით არის ასახული სვანეთის ზნე-ჩვეულება, აღორძინებული და განახლებული სვანეთის დღევანდელი მისი მაღალი მორალის ადამიანები.

ს. კლდიაშვილი თანამედროვე საქართველოს მხატვარია. საზოგადოდ, მისი ნოველების გმირები თანამედროვე ადამიანები არიან — ქვეყნის სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი რიგითი ადამიანები.



მწერალი ამ მოწინავე დადებითი ადამიანების თვალთ უყურებს სამყაროს, ჩარობს მათი კეთილი საქმით.

კერძომესაკუთრული სამყაროს მსხვერვეა ტრაგიკული პათოსით და ინტონაციით გამოხატა კ. გამსახურდიამ „მთვარის მოტაცებაში“. აქ ტრაგიკული სახეა არა მარტო კაც ზვამბაია, ქორამახვში, ტარიელ შარვაშიძე და გვანჯ აფაქიძე, არამედ თვით თარაშ ემხვარი. კ. გამსახურდია მძაფრი საღებავებით ხატავს ძველი ინტელიგენტის, თარაშ ემხვარის სულის მოძრაობას და მის დამარცხებას თუ დაღუპვას ერთგვარი რომანტიკული სამოსელითაც მოსავს. აქ ლირიკული და ტრაგიკული ინტონაციების ურთიერთმონაცვლეობა ქმნის სოციალური პროტესტისა თუ იდეური უთანხმოების პოეტურ სურათს. და ყველაფერი ეს შესრულებულია დიდი ოსტატობით. ამ მხრივ ეს ახალი ტიპის რომანიცაა.

„მთვარის მოტაცებას“ ორი მთავარი გმირი ჰყავს: თარაშ ემხვარი — ძველი საქართველოს წარმომადგენელი, განათლებული, ევროპული ინტელიგენტი და ახალი საბჭოთა საქართველოს პირში, სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობის ერთერთი ორგანიზატორი და ინიციატორი, რევოლუციისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებული არზაყან ზვამბაია, ძველისა და ახლის გაყრა, მომავალი კლასებისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების ყლორტები ამ ორი გმირის ისტორიაშია გამოხატული; ფონად კი საკოლმეურნეო სოფელია წარმოდგენილი. არზაყანი — იდეურად გაუბზარავი, მთლიანი, მონოლითური პიროვნება, კომუნისტური რწმენით შთაგონებული და აღზევებული, ამავე დროს ამაყია და თავისთავში ზედმეტადაც დარწმუნებული. ეს კომუნისტის მეტად თავისებური და საინტერესო სახეა მთელს ქართულ მწერლობაში.

კ. გამსახურდიას თარაშ ემხვარიც უფრო პოზიტიურადაა განწყობილი ახალ დროსთან, ვიდრე ნეგატიურად, მას ასულდგმულებს სამშობლოს, საქართველოს უანგარო სიყვარული, ოღონდ თვით სამშობლოს ცნება არა კლასობრივი დიფერენციაციითაა წარმოდგენილი, არამედ ერთიანი საქართველოს ძველებური სულის შენახვით. თარაშს ამიტომ მოსწონს და უყვარს ყოველგვარი ატავისტური. იდეურად აქ ცილდება იგი არზაყანის გზას, კომუნისტების გზას. კომუნისტურ მშენებლობას იგი ზოგადად მხარს უჭერს, უხარია თბილისის ცივილიზაციაში შესვლა, კოლხეთის ჭაობის დაშრობა,

მაგრამ ძველი რიტუალებისა და სვანეთის პატრიარქალობის შენ-  
 ხვის მომხრეა. როცა საკითხი კლასობრივ სიმწვავეს შეეხება, რო-  
 მელიც ძველს დაუნდობლად ანადგურებს, თარაშისა და არზაყანის  
 იდეური პოზიცია ერთმანეთს უპირისპირდება. კლასობრივად დაპი-  
 რისპირებულ საქართველოს ბრძოლაში თარაში განხე დგას, ან ეწი-  
 ნააღმდეგება ამ მძაფრ კლასობრივ ბრძოლას, რომელმაც მამა შვილს  
 გადაჰკიდა. კლასობრივი ბარიერი ჰყოფს მას ახალი საქართველო-  
 საგან. ბევრმა ძველმა ინტელიგენტმა გადალახა ეს კლასობრივი ბა-  
 რიერი და ახალთან მივიდა, ბევრი მოწინააღმდეგე პოზიციაზე დარ-  
 ჩა, ზოგიც კი შუა გზაზე გაეჩხირა გაორებული. შუა გზაზე გაჩე-  
 რილი ინტელიგენტია თარაშ ემხვარი. და მაინც ბევრი ადამიანური  
 თვისების გამო, არა მარტო მწერალი თანაუგრძნობს მას, არამედ  
 მკითხველიც. ოცდაათიანი წლების დასაწყისში, ძველი თაობის მა-  
 სობრივი გადმოსვლის გზაჯვარედინზე თარაში გაჩნდა როგორც „ზე-  
 დმეტი“ ადამიანის წარმომადგენელი, ვითარცა უაღრესად განათლე-  
 ბული ინტელიგენტის გაორებული სახე; ამავე დროს რომანტიზე-  
 ბული და ამაღლებული.

განათლებლით, სამყაროსთან დამოკიდებულებით, საქციელით,  
 მანერით, თვით სიტყვიერი ლექსიკითაც თუ ღმერთკაცობის სურვი-  
 ლით; ფანტაზიით და სიზმრებით მოქსოვილი მესამე გზის ძიებით  
 ტყუბი ძმებევით გვანან ერთმანეთს თარაშ ემხვარი და კონსტანტინე  
 სავარსამიძე. ბურჟუაზიულ ცივილიზაციაზე გულაყრილნი ისინი  
 ვერც სამშობლოში, კომუნისტურ საქართველოში იპოვნიან ადგილს.  
 ეს უაღრესად განათლებული ადამიანები სრულიად უნაყოფონი და  
 ზედმეტი აღმოჩნდნენ ცხოვრებისათვის. ადგილდაკარგულნი და წი-  
 ლწარმეულნი ღმერთკაცობას ეპოტინებიან და სულ უმცირეს პრა-  
 კტიკულ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი რომ იპოვნონ, იმის უნარიც  
 არ აღმოაჩნდათ. მესამე გზა — ძველ პატრიარქალურ წარმართულ  
 საქართველოს აღდგენაზე ოცნება — ისეთივე ფანტაზია აღმო-  
 ჩნდა, როგორც სურვილი შეურიგდნენ ახალ დროს, საბჭოთა საქა-  
 რთველოს, იპოვნონ თავიანთი ადგილი.

კ. გამსახურდია ნოველებსა და რომანებში უხვად იყენებს მი-  
 თოლოგიურ, წარმართულ პასაჟებს. მეტწილად კოლხური წარმო-  
 შობის ეს მითოლოგიური პასაჟები სიუჟეტში, პერსონაჟთა საუბა-  
 რში, ყოფითს ეპიზოდებში გამოყენებულია ამ გმირების სოციალ-



ურ-იდეურ მისწრაფებათა გამოსავლინებლად. მითოლოგიური ანტიპათიები უფრო მკვეთრად ავლენენ ნაწარმოებთა პერსონაჟების დამოკიდებულებას გარესამყაროსთან, მოვლენებთან, ფაქტებთან, სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებთან, ე. ი. გვეხმარებიან ამ გმირების შინაგანი სულიერი სამყაროს თუ ბედისწერის გახსნასა და გაგებაში. სწორედ მათს ბედისწერაში ძვეს მითოლოგიური საწყისი. მითიური და რეალური, სიზმრისეული და ნამდვილი ურთიერთმხატვრული მონაცვლეობით არიან წარმოდგენილნი. მითოლოგიური ამბები მხატვრული ნაწარმოების განუყოფელი ნაწილია. მსოფლმხედველობრივად იგი ადვილად ესადაგებოდა მისტიციზმს, რომელსაც კ. გამსახურდია, თავის ადრეულ ნაწარმოებებში და წერილებში თანმიმდევრულად იცავდა. შემდგომ კ. გამსახურდიამ მითოლოგიური ამბები გმირების ბედისწერაში ორგვარი ასპექტით შემოიტანა, ასე მაგალითად, თარაშ ემხვარი და არზაყან ზვამბაია წარმართულ და მითოლოგიურ სამყაროს ბავშვობისას ერთნაირად ეზიარნენ, მერე ბედისწერამ ერთი ევროპაში გადაისროლა, შეორე ახალი საქართველოს შუაგულში მოაქცია და გაჰყარა მათი გზებიც. მაგრამ შემდეგ შინ მობრუნებული, ევროპულ ცივილიზაციაზე გულაყრილი თარაში და სასტიკ წესებზე აღზრდილი კომუნისტი არზაყანი — ეს წარმართებად აღზრდილი ორი ძუძუძმა — კვლავ ერთად შეჰყარა ბედისწერამ. მათს კონფლიქტში არზაყანი მითოლოგიურ ამბებს მოხერხებულად იყენებს ძუძუმტეს წინააღმდეგ და აქ იგი რეალურ ნიადაგზე დგას ორივე ფეხით.

ამის მიხედვით ორი მხატვრული მოდელი გვაქვს: ერთნი — წარმართული, მითოლოგიური და პატრიარქალური საქართველოს შეგნებული (სავარსამიძე, ემუხვარი) და შეუგნებელი (ესვანჯია, ლაბახუა) მოტრფიალენი; მეორენი კი — ახალი საქართველოს, სოციალისტური საქართველოს ერთგული და თავდადებული ჯარისკაცები: არზაყან ზვამბაია, როსტომ ლიჩელი, ჩალმაზი და მათი არმია, კომუნისტებისა, კომკავშირელებისა და კოლმეურნეთა სახით წარმოდგენილი. მათ შორის გამართულ ბრძოლას მწერალი სოციალური ასპექტებით ხატავს. ამ ბრძოლაში რა გინდ პოეტური არ უნდა იყოს ემუხვარისა და სავარსამიძის სახე, ისინი განწირულნი არიან, რადგან მათ ბრძოლას რეალური საფუძველი გამოცლილი აქვს, მათი სამყარო — წარმართული საქართველო ფანტაზიით მოქ-



სოვილი რეალობაა. ნამდვილი რეალობა კი საბჭოთა საქართველოა; მისი განზოგადებული წარმომადგენელი არზაყან ზვამბაიაა.

კ. გამსახურდიამ ობიექტურად გამოხატა ეს რთული რეალობა. რეალურ, საბჭოთა საქართველოსთან ბრძოლაში ტრაგიკულად იღუპებიან ძველი სამყაროს წარმომადგენლები — იქნება ეს ტრაგიკულნიღბიანი, პოეტური და რომანტიკული ბუნების თარაშ ემხვარი, სოციალური აგონიით გაბოროტებული კაც ზვამბაია, ტარბა, აფაქიძე თუ რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ქორა მახვში, ტარიელ ხუცესი, ლომკაც ესვანჯია და ლუკაია ლაბაძეა. მოდის ახალი ძალა და დაუნდობლად, უხეშად, ძალდატანებით ანადგურებს ძველ სამყაროს და მის ნაშვირთ.

რეალობაა ეს ახალი ძალა და ამას ობიექტურად, შეუღამაზებლად ზატავს მწერალი. ვინც ამ სოციალურ ასპექტებს ვერ დაინახავს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში, ის ვერ გაიგებს მწერლის შემოქმედებითს ევოლუციას — მისტიციზმით დაწყებულს და მკაცრი რეალიზმით დამთავრებულს.

რომანის არქიტექტონიკა, სიუჟეტის განვითარების მონაცვლეობითი ზერზი, მთელი მისი მხატვრული ქსოვილი საოცრად ორიგინალური და პოეტურია. ტრილოგიაში ყოველი პერსონაჟი თარაშისა და არზაყანის გვერდით, დიდი შთამბეჭდავი ძალითა და სრულყოფილი მხატვრული აქსესურით არის დახატული.

1936 წელს „მთვარის მოტაცების“ გარშემო გამართულ დისპუტზე ტიციან ტაბიძემ განაცხადა: „მთვარის მოტაცება“ ნაყოფიერი ცდაა ფილოსოფიური აზროვნებისა მხატვრულ სახეებში“; ლ. ქიაჩელი ამბობდა: „მთვარის მოტაცება“ ორიგინალურია ფორმით, სიუჟეტის გახსნით, სტილით“; ს. ჩიქოვანი კი ამტკიცებდა, „მთვარის მოტაცება“ „ძველი ქართული ორნამენტული პროზის და ეგროპული რომანის სინთეზიაო“...

კ. გამსახურდია, გ. ტაბიძის მსგავსად, ახალ ბილიკებს ეძებდა ქართულ მწერლობაში და მოძებნა კიდევ. მან ახალი გზა გაკაფა ქართულ პროზაში, ახლებურად ააჟღერა ქართული ფრაზა, ახალი ინტონაციებით, ფერებით და საღებავებით გაამდიდრა ქართული პროზა. იგი მოგვევლინა, როგორც ფუძემდებელი ქართული პოეტური პროზისა. გ. ტაბიძე და კ. გამსახურდია ქართულ მწერლობას

მოველინენ, როგორც ჰეშმარიტი ნოვატორები და ერთგვარ ანალოგისადაც აქ ვპოულობთ მათ შორის.

ევოლუცია განიცადა კ. გამსახურდიას ენობრივმა პოზიციამაც. მან ბრძოლა გამოუცხადა ქართულ მწერლობაში მოძალებულ ხალხოსნობისა და „მესამე დასელების“ ენობრივ ნატურალიზმს და პრიმიტივიზმს. კ. გამსახურდიამ ახალ ხმაზე ააწყო ქართული პროზის მთელი ინსტრუმენტი, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა პოეტური სიტყვის ხელოვნება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცოცხალ მეტყველებაში შემონახული თუ ძველი ქართული მწერლობის სალაროდან შერჩეული ლექსიკური მარაგით. მან თავისებური აღნაგობა მოუპოვა ფრაზას, სიტყვის წყობას; პროზის მთელი პოეტური სინტაქსი მუსიკალურ მოდელს დაუმორჩილა.

ქართული საბჭოთა მწერლობის დიდი აღმავლობა სწორედ იმით გამოიხატა, რომ მოთხრობების, პოემების, რომანების და თვით ლირიკული ლექსების მთავარი თემა ჩვენი თანამედროვეობა იყო. ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ადამიანის გამოსახვა გახდა მხატვრული აზროვნების მთავარი საგანი.

ამასთან ისიც ბუნებრივია, რომ სწორედ ამ პერიოდის მწერლობაში ერთერთი ცენტრალური თემა საქართველოს დიდი ისტორიული წარსული იყო. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, გმირული და ამავე დროს ტრაგიკული თავგადასავალი ჩვენი ერისა, მუდამ იყო და იქნება ქართული მწერლობის შთამაგონებელი წყარო. ისტორიულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებებიდან ჩვენი მწერლობის ოქროს ფონდში ის წიგნები შევიდა, რომლებშიაც ხალხია ნაჩვენები, როგორც ისტორიის შემოქმედი. საბჭოთა თემატიკაში ნათლად წარმოჩნდა, რომ სწორედ ჩვენი აწმყო არის განხორციელება იმ საუკეთესო ფიქრისა, ოცნებისა, რომლისთვისაც ჩვენი სახელოვანი წინაპრები იბრძოდნენ. ჩვენ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ კ. გამსახურდიას „დიდოსტატსა“ და მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელს“.

კ. გამსახურდიას უბრწყინვალესი ისტორიული რომანი-პოემა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ არამარტო სტილით, არაქიტექტონიკით არის ნოვატორული, არამედ ხელოვანის უკვდავების ჰეროიკითაც. ეს უაღრესად კოლორიტული, ნაციონალური, ქართული ბუნების ნაწარმოებია, ამალღებული და ამღერებული პოეტური



სურათებითა და შეკრული ენერგიული მხატვრული პასაჟებით. მასში საოცარი ფერწერითი ხერხებით არის გადმოცემული არა მარტო ტრაგიკული სატრფიალო თავგადასავალი გმირებისა, არამედ თვით ისტორიის ფურცლებია გაცოცხლებული გმირული სულით, ძველი ზნე-ჩვეულებისა და ადათ-წესების რელიეფური გაცოცხლებით, ანდაზების, არაკების, ხალხური თქმების ოსტატური გამოყენებით და ამ ფონზე ტრაგიკულ ინტონაციებს — ერის ისტორიიდან აღებულთ თუ თვითონ მოქმედ გმირთა თავგადასავლით გამოძეწილთ — ერთბაშად გადავყავართ გმირულ, მაგრამ ტრაგიკულ ეპოქაში.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ისტორიული რომანია, იგი საქართველოს ისტორიის მეტად საინტერესო პერიოდს შეეხება. მასში წარმოსახულია X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისის საქართველოს გაერთიანებისათვის, ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის წარმოებული ბრძოლა.

რომანის ერთერთი ცენტრალური ფიგურაა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი სახელოვანი მეფე გიორგი პირველი. რომანში იგი წარმოდგენილია წინდახედული პოლიტიკოსის, გულუშიშარი მეომრისა და პატრიოტი მეფის სახით. სწორად არის ზაზგასმული ის შინაგანი წინააღმდეგობა, ის ძლიერი უთანხმოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა გიორგი მეფესა — ცენტრალური ხელისუფლებისათვის მებრძოლ გმირსა — და თავკერძა სამთავროთა ფეოდალებს, საქართველოს დანაწევრებისათვის მებრძოლ თავადებს შორის.

განსაკუთრებული მდიდარი საღებავებით არის დახატული ცენტრალური გმირი კონსტანტინე არსაკიძე. ხუროთმოძღვარ კონსტანტინე არსაკიძეს, სრულიად ახალგაზრდა ხელოვანს, მეფემ მიანდო სვეტიცხოვლის ტაძრის აგება. ჭაბუკი ხელოვანი გრძნობდა, რომ მეფემ და კათალიკოსმა დიდოსტატს ფარსმან-სპარსს შეარქინეს იგი. მოხუცებულ, გამოცდილ, ბრძენსა და ბოროტ კაცს უნდა შებოძა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი. ახალგაზრდა ხელოვნის ხელით შექმნილ დიდ ქმნილებას — სვეტიცხოველს უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი, ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში თუ სხვაგან. ამ შეჯიბრებაში კონსტანტინე არსაკიძე იმარჯვებს, როგორც დიდი ხელოვანი და შემოქმედი, მაგრამ იგი იღუპება ფარსმან-სპა-



რსის ვერაგული დაბეზლებით. დიდი შემოქმედი, უბადლო ოსტატი, სვეტიცხოვლის ავტორი ფეოდალიზმის, სამეფისკარო ინკრიპის მსხვერპლი გახდა. ამ ნიადაგზე ავტორმა დახატა დიდ ხელოვანსა, პროგრესულ შემოქმედსა და ფეოდალურ სახელმწიფოს ოფიციალურ მეთაურთა შორის არსებული კონფლიქტი და ამ ფონზე გამოკვეთა ტრაგიკული სახე კონსტანტინე არსაკიძისა, დაბალი ფენიდან გამოსული ლაზი ხუროთმოძღვრისა, შრომის ჰეროიკით და რომანტიკით, მოწინავე იდეებით შთაგონებული შემოქმედი ადამიანისა. კონსტანტინე არსაკიძე ავტორმა დახატა როგორც ჰეშმარიტი ხელოვანი, რომელიც მზად არის არა თუ მშვენიერი შორენას სიყვარული, არამედ საკუთარი სიცოცხლეც ანაცვალოს დიდ ხელოვნებას, შრომითა და გარჯით აგებულ სვეტიცხოველს.

საგულისხმო და ნიშნულია, რომ სწორედ საბჭოთა მწერლობაში დაიწყო ხალხური, რევოლუციური ძირების ძიებანი, ოქტომბრის რევოლუციის სათავეების ძიება. ოციანი წლების ქართულ მწერლობაში ეს ტენდენცია 1905 წლის რევოლუციის სახალხო, საყოველთაო ხასიათის გამოხატვით გამოვლინდა (ლ. ქიაჩელის „სისხლი“, ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, დ. სულიაშვილის „ჩიკორი“), ხოლო ოცდაათიან წლებში უფრო შორს წავიდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების რევოლუციური ძირების ძიება. ამ მხრივ ნოვატორული მოვლენა იყო მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“. ეს რომანი 1931 წელს დაამთავრა მწერალმა. რომანი 1933 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. დღეს ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში ეს ნაწარმოები ერთსულოვნად აღიარებულია, როგორც ახალი, ნოვატორული ეტაპი და ისტორიული რომანის ახალი ტიპი. „არსენა მარაბდელში“ თანადროულობის თვალთ არის გაცოცხლებული და დანახული სახალხო ეროვნული გმირის, გლეხი რევოლუციონერის არსენას ტიპი. მწერალმა ქართველი ხალხის ეროვნული სული და რევოლუციური ბუნება განაზოგადა არსენას სახეში. სახალხო გმირის ამგვარი მასშტაბური გამოხატვა ამ პერიოდის ქართული მწერლობის დიდი მონაპოვარი იყო.

რომანის სიუჟეტურ გააზრებაში ხალხის როგორც ისტორიის მონუმენტურ, ყოვლის შემოქმედ ძალად წარმოდგენაში; თვით მთავარი გმირის არსენას გოლიათურ სახეში, მის კავშირურთიერთობაში გლეხკაცობასთან, როგორც „ხალხის ზრახვებისა და იმედის შე-





დროშისა“; მრავალრიცხოვან პერსონაჟთა მრავალპლანიან მხატვრულ გამოსახვაში და ბოლოს XIX საუკუნის საქართველოს ეროვნული სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დიდი სიმართლით გადმოცემაში გამოვლინდა ამ ისტორიულ-ჰეროიკული რომანის ნოვატორობა.

სულ მალე ამ რომანს მოჰყვა მ. ჯავახიშვილის ახალი ნაწარმოები რევოლუციური საქართველოს შესახებ. ეს იყო რომანი „ქალის ტვირთი“.

საერთოდ ქართულ მწერლობაში დიდი ადგილი დაეთმო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის რთულსა და მრავალმხრივ ისტორიას. აქ უნდა მოვიხსენიოთ ალექსანდრე ქუთათელის რომანი „პირისპირ“. ეს ვრცელი ეპოპეა იმის თაობაზე, თუ რა ძალთა დაპირისპირება არსებობდა ათიან წლებში საქართველოს პარტიებსა და კლასებს შორის. რომანში ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის დაუცხრომელ მებრძოლ პარტიად ბოლშევიკების პარტიაა წარმოდგენილი და მისი მეთაურობით მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებათა კონკრეტული ისტორიაა გადმოცემული. საკმაოდ რეფიელურად არის დახატული ბოლშევიკების — მახათაძის, გელაშვილის, ჭავჭავაძის პორტრეტები.

განათლებული ქართველი ინტელიგენტის, მაღალი არისტოკრატიული წრიდან გამოსული კორნელი მხეიძის, რომანის ამ მთავარი გმირის ბიოგრაფიით გამოხატულია მთელი ეპოქა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ეპოქა. ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალმა საქართველოში შემოაღწია. მოვლენების ამ რთულ ვითარებაში მხეიძის წინაშე დგება საკითხი, როგორ მოიქცეს, რა გზა აირჩიოს. ერთგვარ შინაგან მერყეობათა გზით ის რევოლუციის მხარეზე აღმოჩნდება. ამ გმირის თვალთ დახახული რევოლუციის მოვლენების აღწერით მწერალი აღწევს შექმნას ეპოქის მართალი სურათი. ქართველი ინტელიგენტის საუკეთესო ნაწილის გადასვლა ოქტომბრის რევოლუციის მხარეზე ტიპურად არის გამოხატული. ამ მხრივ „პირისპირ“ საქართველოს რევოლუციური წლების (1917-1921 წწ) მხატვრული მატეანია.

ოცდაათიან წლებში საინტერესო მოთხრობები, ნარკვევები, თარგმანები გამოაქვეყნეს მწერლებმა: გ. შატბერაშვილმა, არ. ჩაჩიბაიამ, მარიამ გარიყულმა, თ. სახოკიამ, ვ. ჯელიძემ, ილ. აგლაძემ, გ.

საბჭოთაული წიგნების სსრკ



გაჩეჩილაძემ, ს. თავაძემ, გრ. ჩიქოვანმა, დ. სულიაშვილმა, საფო მგელაძემ, ა. ლომიძემ, ბ. ჩხეიძემ, მიხ. მრევლიაშვილმა, პ. საყვარელიძემ, ირ. ქავჭავაძემ, ნ. აგიაშვილმა, მ. პატარიძემ, დია ჩიანელმა, დ. კასრაძემ, არ. ჭუმბაძემ, ი. ზურაბიშვილმა, ივ. მაჭავარიანმა, ვლ. ტატიშვილმა და სხვ.

დიდი აღორძინება განიცადა ქართულმა საბავშვო მწერლობამ. შეიქმნა სპეციალური გამომცემლობა — „საბლიტგამი“; ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საბავშვო ჟურნალები: „პიონერი“ და „დილა“, საბავშვო გაზეთი „ნორჩი ლენინელი“. ქართული საბავშვო მწერლობის ერთერთი ფუძემდებლის შიო მღვიმელის გვერდით ნაყოფიერად მუშაობდნენ ნ. ნაკაშიძე, მარიჯანი, ი. სიხარულიძე, ა. ხახუტაშვილი (ცქვიტი), რ. ქორქია, ლ. მეგრელიძე, გ. კაჭახიძე, მაყ. მრევლიაშვილი, ა. ჩაჩიბაია, ნ. ჩაჩავა, ლ. ჭიჭინაძე, კ. დევდარიანი, ვლ. გეგეჭკორი, ა. ონელი, ქ. ქუჩუკაშვილი, მ. მიქელაძე, კ. გოგიაშვილი. მათ მიერ დაწერილი ბევრი საინტერესო წიგნი ხელს უწყობდა მოზარდი თაობის ესთეტიკური და კომუნისტური სულისკვთებით აღზრდას.

ოცდაათიან წლებში ქართული დრამატურგია გამდიდრდა მრავალი ახალი საინტერესო პიესით. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ სერგო კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა“, რომელიც მეტად აქტუალურ თემას ეხებოდა. პიესის მოქმედება იშლებოდა კოლხეთის ჭაობის ამოშრობის გრანდიოზულ სამუშაოთა ფონზე. ამასთან დაკავშირებით მწერალი მკაცრად ამხილებდა კონტრრევოლუციური კლასების ნაშთების გაბოროტებას და ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. პიესის ცენტრში დგას საბჭოთა პატრიოტი, კოლხეთის ჭაობის სამუშაოთა უფროსი დიმიტრი გეგელია.

იოანა ვაკელი, ავტორი ლექსების რამდენიმე წიგნისა და პოემისა („ახალი კოლხეთი“, „არსენ ჯორჯიაშვილი“, „საბჭოთა დღეები“). 1932 წელს საბჭოთა მაყურებელს კომედია „აპრაკუნე ჭიმჭიმელით“ წარუდგა. „ქვეყნის აღმშენებელი“ კაცის ნიღბით განდიდებული და გახმაურებული „გმირი“, ნამდვილად კი ცრუპენტელა კაცუნა — ასეთია ტრაგიკომიკური სახე აპრაკუნე ჭიმჭიმელისა, დრამატურგის მიერ მძაფრი ფერებით დახატული. ამას მოჰყვა ახალი დრამა — „შური“. ამ პიესაში ნაჩვენებია საბჭოთა პატრიოტი მეცნიერის ზრუნვა და თავდადება სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეო-



ბისათვის. მეორე მხრივ, ავტორი ნიღაბს ხდის იმპერიალისტების მიერ მოსყიდული აგენტებისა და ჯაშუშების ბოროტმოქმედებას.

გიორგი მდივნის პიესა „სამშობლოში“ ნაჩვენებია ვერაგობა კლასობრივი მტრისა, რომელიც უცხოეთიდან შემოიპარა ჩვენს ქვეყანაში. გ. მდივნის მეორე პიესა „ალკაზარი“ გვიხატავდა ესპანელი ხალხის გმირულ ბრძოლას ფაშისტების წინააღმდეგ.

თანამედროვე საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები დახატა ვიქტორ გაბესკირიამ პიესაში — „მათი ამბავი“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა. ამ პიესის მთავარი გმირების ცხოვრება წარმოდგენილია როგორც განზოგადებული ბიოგრაფია ჩვენი მოწინავე საბჭოთა ადამიანებისა.

ამ პერიოდის დრამატურგიულ ნაწარმოებთა შორის ერთერთ პოპულარული პიესა იყო სანდრო შანშიაშვილის „არსენა“. პიესის ცენტრშია ხალხური გმირი არსენა. მწერალი ქმნის უშიშარი მებრძოლი გლეხის — არსენას რომანტიკულ სახეს. დრამატურგმა ხალხურ არსენას სრულიად ახალი იდეური გაშუქება მისცა; იგი აღჭურვა გლეხთა მასობრივი ბრძოლის მეთაურის თვისებებით. დრამატურგმა ამაღლებულად დახატა არსენას მეამბოხე ბუნება. ბატონყმობის წინააღმდეგ სტიქიურად ამხედრებული გლეხი არსენა ავტორმა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ შეგნებული მებრძოლის დონემდე აამაღლა. ახალ იდეურ თემას წარმოადგენს ამ პიესაში რუსი და ქართველი ხალხების ძმობის იდეა.

ს. შანშიაშვილმა თავის მეორე პიესაში („სამნი“) სცადა დაეხატა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა, ეჩვენებინა ბოლშევიკების მეთაურობით ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალისტების — მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავეტელების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შალვა დადიანის პიესა „ნაპერწყლიდან“. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ შ. დადიანის პიესამ ახალი ფურცელი გადაშალა ქართულ დრამატურგიაში. საბჭოთა დრამატურგიაში ეს იყო პირველი სერიოზული ცდა კაცობრიობის უდიდესი გენიოსის ლენინისა და მისი თანამებრძოლების მხატვრული სახის შექმნისა. პიესა მკაფიოდ მხატვრული ხერხებით გვიჩვენებდა ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების როლს XX საუკუნის განთიადზე. ამ დიადმა თემამ



პიესაში უაღრესად სცენური გადაწყვეტა პოვა. ერთი მხრივ, ისტორიულად ცნობილი პიროვნებანი, ბათუმის რევოლუციური მუშათა კლასის წარმომადგენლები და, მეორე მხრივ, ბათუმის მეშჩანური და წვრილბურჟუაზიული სოციალური წრე, რომელსაც ზიკოვი მეთაურობს, ქმნიან ამ პერიოდის ბათუმის სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების განზოგადებულ სურათს.

ისტორიულ-პატრიოტულ დრამატულ ნაწარმოებთა შორის უნდა დავასახელოთ ს. შანშიაშვილის, ი. ვაკელის და უშ. ჩხეიძის ერთი სახელწოდების პიესები — „გიორგი სააკაძე“. ამ ავტორების პიესებს განსხვავებული მხატვრული ასპექტი და დრამატული ხერხი ახასიათებს, მაგრამ მათ აერთიანებს საერთო თემა, ნაციონალური გმირის გიორგი სააკაძის სახელოვანი ისტორია.

ვ. დარასელის პიესა „კიკვიძეში“ გადმოცემულია საბჭოთა ხალხის რევოლუციური წარსულის მღელვარე ეპიზოდები. პიესის ცენტრშია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვასილ კიკვიძე. ეს რევოლუციურ-პატრიოტული ხასიათი მტკიცედ შევიდა საბჭოთა თეატრების რეპერტუარში.

პ. კაკაბაძემ, „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორმა, კვლავ მიიპყრო მკითხველისა და მაყურებლის ყურადღება, როგორც პირველხარისხოვანმა დრამატურგმა, საკოლმეურნეო თემაზე დაწერილი პიესა „კოლმეურნის ქორწინებით“. მდიდარ დრამატულ სიტუაციებში, ხატოვანსა და ლაკონიურ დიალოგებში ავტორმა ნათლად გამოკვეთა სოფლის ახალი ცხოვრება. ერთი მხრივ, მწერალმა ამხილა ძველი ცხოვრების გადმონაშთები, ყოფილი აზნაური მანუჩარი, სოფლის მაჩანჩალა ვაჟა, უსაქმური ლომკაცა, უყაირათო თავმჯდომარე ხარიტონი, ჭორიკანა კაკალა, ხოლო მეორე მხრივ, მძლავრად გამოსახა ახალი საკოლმეურნეო ცხოვრების მშენებელ ადამიანთა შრომა-გარჯა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარში წამყვანი ადგილი ეჭირა ს. მთვარაძისა და კ. ბუაჩიძის პიესას „აურიე რგოლი“, გ. ნახუცრიშვილის „ლადო კეცხოველს“, „კომბლეს“, „ნაცარქუქიას“, გრ. ბერძენიშვილის „აჭარის მთებს“, „ოქროს ვერძს“ და სხვ.

ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო



„ლიტერატურული გაზეთის“ გამოცემა. მისი პირველი ნომერი გამოვიდა 1931 წლის ნოემბერში. ქართული საბჭოთა მწერლობის ეს მეტროპოლიტანი ორგანო თანამიმდევრულად იცავდა საბჭოთა ლიტერატურის მაღალი იდეურობისა და მხატვრულობის პრინციპს და აშუქებდა ქართული მწერლობის მეტად რთულ და მრავალწახნაგოვან გზას. ოცდაათიანი წლების ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალგაზრდული ჟურნალის „ჩვენი თაობის“ (1936 წ.) უფრო ადრე „ახალგაზრდა მწერლის“ (1934 წ.) დაარსება. ამ ჟურნალებმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები და ხელი შეუწყო მათ დაოსტატებას. „ჩვენს თაობაში“ მოვიდა ის ახალგაზრდობა, რომელიც რაპპელების აკვიატებული სქემებისა და შტამპების ტყვეობას გადაურჩა. სწორედ რაპპელებისაგან დევნილმა საქართველოს პატრიოტულმა ლირიკამ იფეთქა მათს შემოქმედებაში ახალი ძალით, „ჩვენი თაობის“ ახალგაზრდა პოეტებმა ახალი ინტონაციით, გამომსახველობის ახალი პოეტური ხერხებით დაიპყრეს ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება. ამ თაობის ლაღო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია ისე ნაადრევად წავიდნენ ჩვენგან, რომ მხოლოდ ჭაბუკობის წლების პოეტური სიტყვა დარჩათ, მაგრამ იმდენი შინაგანი ენერჯია აღმოაჩნდა ამ ჭაბუკობის წლების ლექსებს, რომ მათ ჩვენი ხალხის გულში მუდმივი ბინა დაიმკვიდრეს.

ახალგაზრდა პოეტების ამ თაობამ ოცდაათიანი წლების ბოლოს გამოაქვეყნა ლექსები, რომლებშიც ერთბაშად გამობრწყინდა მათი ნიჭი: რ. მარგიანი — „მირანგულა“, „სვანური იავნანა“, „მარიხა“, ი. ნონეშვილი — „აი, კახეთი“, „გამიგონია მთვარიან ღამეს“, „უსახელო ყვავილი“; ლ. ასათიანი — „არ ვიცი ასე რამ შემაყვარა“ „კრწანისის ყაყაჩოები“, „სალაღობო“, „ბარდნალა“, „ცაგერის ბაზრობა“, „ნიკო ფიროსმანი“; მ. გელოვანი — „შავნაბადა“, „ქართლის მიწავ“, „განშორება“, „ცხრაკარა“; ალ. საჯაიამ — „წყარო“ „ცისარტყელა“, „ბორის ძნელადის ძეგლთან“, „ძველი ჩანგური“ „თოვლის ქალი“, „ხასანი ჩვენია“..., ა. შენგელიამ — „ანდერძი“, „თეთრი წისქვილი“, „მეოცნებე“; შ. ამისულაშვილი — „წიწამურის გზაზე“, „ჭიდილი სიტყვასთან“, „შემომძახებენ“; ვლადიმერ უბილავეამ — „რუხის ბრძოლა“, „უტუ მიქავა“. აქვე უნდა დავა-



სახელოთ ლადო ავალიანის, ლადო ბალიაურის და კოტე ხიმში-  
შვილის ნოველები.

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების რთულ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა მხატვრული კრიტიკა. მან თვალსაჩინო როლი შეასრულა საბჭოთა მწერლობის იდეურ-ესთეტიკურ მონაპოვართა პროფესიულ შეფასებასა და პოპულარიზაციაში. ამ დარგში, ოცდაათიან წლებში ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ: ბ. ბუაჩიძე, ბ. ჟღენტი, გ. ნატროშვილი, შ. დუდუჩავა, პ. ქიქოძე, შ. დადიანი, დ. ბენაშვილი, ს. ხუნდაძე, პ. ინგოროყვა, გ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, კ. კაპანელი, ა. გაწერელია, ალ. სულავა, ვ. კოტეტიშვილი, გ. ჯიბლაძე, ერ. ქარელიშვილი, გ. ლომიძე, შ. აფხაიძე, ალ. არსენიშვილი, ლ. კალანდაძე, ვ. წულუკიძე, შ. ალხაზიშვილი, იპ. ვართაგავა, ნ. აგიაშვილი, თ. ბეგიაშვილი, მ. დუდუჩავა, ვ. ლუარსაძე, ალ. ქუთელია და სხვ. ისინი არა მარტო თავიანთი კრიტიკული წერილებით, არამედ ორგანიზატორული მუშაობით ხელს უწყობდნენ ქართული მწერლობის წარმართვას.

ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, ლიტერატურული პრესა, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის საფუძველზე, ძირითადად სწორად აშუქებდა ქართული საბჭოთა მწერლობის კარდინალურ საკითხებს. ამავე დროს ბევრ შემთხვევაში ცოდავდნენ კრიტიკოსები, იყო შეცდომებიც. სამწუხაროდ კვლავ თავს იჩენდა რაპპული ჯგუფობრიობის რეციდივები.

ქართული ლიტერატურის განვითარება აღინიშნება ჩვენი სამწერლო ინტელიგენციის მჭიდრო დაკავშირებით საბჭოთა სინამდვილესთან. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ლეო ქიაჩელს, როდესაც იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე, 1936 წელს წერდა: "...მე-15 წლისთავზე საქართველოში ჩვენ ვხედავთ, რომ გუშინდელი დეკადენტური, ფუტურისტული, კუდა და ჩიქორთული მანიფესტების ავტორებიც დღეს სოციალურად და მხატვრულად უაღრესად მნიშვნელოვან შემოქმედებას ეწევიან და სახელს იხვეჭენ. ეს არის ოქტომბრის რევოლუციის დამსახურება ახალი ქართული ლიტერატურის წინაშე. თუ სოციალისტურ მშენებლობაში ჩვენ შეგვიძლია გიგანტები დავასახელოთ, თანამედროვე ლიტერატურასაც მოეპოვება ეპოქალური მნიშვნელობის დიდი ტილოს ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა მწერლების

მხატვრული შემოქმედების პოტენციის მონუმენტურ ძეგლებად და-  
რჩებიან ლიტერატურაში“.

ქართული საბჭოთა მწერლობის მთავარ მონაპოვარს წარმოა-  
დგენდა ახალი ადამიანის, სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა ადა-  
მიანის სახის გამოხატვა, სოციალისტური ეპოქის სულიერი ცხო-  
ვრების ჩვენება.

ოქტომბრის რევოლუციის ნიადაგზე განმტკიცდა და ამალდა  
საბჭოთა ლიტერატურა, სოციალისტური საზოგადოების ლიტერა-  
ტურა, რომლის ესთეტიკური პრინციპები ჯერ კიდევ 1905 წელს  
ჩამოაყალიბა ვ. ი. ლენინმა. იგი წერდა: „ეს იქნება თავისუფალი  
ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კა-  
რიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრ-  
ძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავი-  
სუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა  
სალონების გულმოყირჭებულ „გმირ ქალს“, არა მოწყენილ და სიმ-  
სუქნის ქონით შეწუხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“, არამედ  
მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც  
ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგე-  
ნენ“.

ამ ლენინური პრინციპით იბრძოდა და იბრძვის ქართული საბ-  
ჭოთა მწერლობა, რომ იყოს საბჭოთა ადამიანების მედროშე და  
მეზაირახტრე.

□ □

# ქართული სალიბერალური კრიტიკა

## გუშინ, დღეს, ხვალ

### □ გურამ გვარდნითაილი □

70-იანი წლები საკუთრივ საბჭოთა კრიტიკისათვისაც ახალ ეტაპად, განვითარების და თვალსაჩინო მიღწევების ათწლეულად იქცა. ამ საქმეში განმსაზღვრელი როლი ითამაშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის იანვრის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“. აქ ღრმად იქნა გაანალიზებული კრიტიკის მდგომარეობა, აღინიშნა მისი ნაკლოვანებები და ჩამორჩენის მიზეზები, დაისახა ღონისძიებები კრიტიკის როლის ამალღებისათვის, მისი ზემოქმედების ძალისა და საზოგადოებრივ-ლიტერატურული მნიშვნელობის გაძლიერებისათვის.

ამ დადგენილებამ ბევრი რამ შეცვალა სასიკეთოდ. მას ბევრი სიახლე მოჰყვა, რამაც დიდად შეუწყო ხელი კრიტიკის აქტივიზაციას და მისი ზემოქმედების ძალის, მნიშვნელობის ამალღებას. დაარსდა ახალი საკავშირო ჟურნალები „ლიტერატურნოე ობოზრენიე“ და „ლიტერატურნაია უჩობა“. ამავე დადგენილების ძალით და მის საფუძველზე 70-იან წლებში სხვაც ბევრი რამ გაკეთდა საკავშირო მასშტაბით. არც ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩენილა კრიტიკის ღონის ამალღების ცდაში.

დადგენილების მიღების გამო გამოქვეყნებულ გამოხმაურებაში — „კრიტიკის ახალი ჰორიზონტი“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, № 5, 1972) — სხვა საკითხებთან ერთად ასეთი სურვილებიც გამოვთქვი: დაწესებულიყო ქართულ ენაზე კრიტიკის





სპეციალური პერიოდული ორგანო, გამოცემულიყო წლის რჩეული კრიტიკული წერილების კრებულები, მიენიჭებინათ ყოველწლიური პრემიები საუკეთესო კრიტიკული ნაწარმოებებისათვის. ანუ, კრიტიკასაც ჰქონოდა ის, რაც სხვა ჟანრებს დიდი ხანია გააჩნდათ. ყველა ეს კანონიერი სურვილი უკვე აგვიხდა. ერთი როგორმე აღმანახ „კრიტიკას“ პერიოდულობა რომ გაეზრდებოდეს და იგი ორ თვეში ერთხელ გამოიცემოდეს, დიდ ხანს ხმასაც აღარ ამოვიღებთ რაიმეს სათხოვნელად. ამისდა მიუხედავად, ახლა უკვე სხვათათვის სასაყვედურო ქართველ კრიტიკოსებს გაცილებით ნაკლებად გვაქვს და ამ ჟანრის მდგომარეობა მეტწილად ჩვენზეა დამოკიდებული.

ახლა სავსებით სამართლიანად და სრული საფუძვლით არის აღიარებული, რომ ამ დადგენილების შემდგომ პერიოდში, ანუ 70-იან წლებში საბჭოთა კრიტიკაში აშკარა პოზიტიური ცვლილებები მოხდა, გაიზარდა მისი როლი და ავტორიტეტი, გაფართოვდა მისი ინტერესების და კვლევის სფერო; იგი უფრო ღრმად სწავლობს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს და მათ კავშირს ცხოვრებისეულ მოვლენებთან, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობასთან; აქტიურად მონაწილეობს იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც სულ უფრო მწვავე და პრინციპულ ხასიათს იღებს მსოფლიოს მასშტაბით. ისიც მართალია, რომ კრიტიკა უკეთ უხამებს ახლა ერთმანეთს მაღალ მომთხოვნელობასა და გულისხმიერ კეთილმოსურნეობას.

უკვე პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საბჭოთა ლიტერატურის საერთო მიღწევებთან ერთად, რომელთაც მაღალი შეფასება მისცა, ისიც აღნიშნა, რომ „შემოქმედი ინტელიგენციის წრეში გაიზარდა მომთხოვნელობა ერთმანეთისა და საკუთარი შემოქმედებისადმი, პირუთვნელად აფასებენ უფერულ, უნიჭო ნაწარმოებებსა და დადგმებს, მით უმეტეს იდეურ ხარვეზებს...“ ეს, ცხადია, კრიტიკის დამსახურების აღიარებაცაა.

პარტიის XXV ყრილობის შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა და გამრავლდა საბჭოთა კრიტიკის ნამოღვაწარი, კიდევ უფრო აქტიური და ქმედითი, პრინციპული და ღრმა, მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა იგი. ამასთანავე მის წინაშე ახალი ამოცანებიც დაისვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის დადგენილებაში — „იდეოლოგიური,



პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, — რასაც მთელი ჩვენი კულტურული ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ყურადღება იქნა გამახვილებული იმაზეც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ერთგვარი შიშით თუ არა, მორიდებით ვეკიდებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საჭირობოროტო საკითხების განხილვას, ვცდილობთ გვერდი ავუქციოთ მწვავე, გადაუჭრელ პრობლემებს, ნაკლებ მივაქციოთ ყურადღება სიძნელეებს. ეს ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ყველა სფეროს მისამართით იქნა ნათქვამი. ცხადია, კრიტიკამაც უნდა გაითვალისწინოს იგი.

აქ საუბარი საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებების თამამ კვლევაზეა, მისი ყურადღების ცენტრში მოქცევაზე. ეს მწერლობისა და კრიტიკის უშუალო მოვალეობაა. მაგრამ აქედან კრიტიკამ სხვა დასკვნაც უნდა გამოიტანოს. კერძოდ ის, რომ საკუთრივ ლიტერატურული ცხოვრების საჭირობოროტო პრობლემების შესახებაც უნდა გამართოს გულწრფელი საუბარი, უფრო პრინციპული და მომთხოვნის უნდა გახდეს იგი.

ქართულ ლიტერატურულ სამყაროში, შეიძლება ითქვას, მძიმე ატმოსფერო იყო კრიტიკისათვის. პარადოქსია, და მაინც, ეს თითქმის უუჩანებადო ატმოსფერო თავად კრიტიკამ შეიქმნა. უცხო კაცს მხოლოდ ქართული სალიტერატურო კრიტიკით რომ შეექმნა შთაბეჭდილება ჩვენს მწერლობაზე, ასე ეგონებოდა, ქართველებს ყველა მწერალი დიდად ნიჭიერი ჰყოლიათ, რომელთაც საუკეთესოზე ნაკლები თითქმის არაფერი დაუწერიათ. ასეთ ვითარებაში, რაიპე კერძო ნაკლის მინიშნებაც კი ერთბაშად არღვევდა ჩვეულ მყუდროებას და კრიტიკოსსაც ამგვარი მკრეხელობისათვის დიდი განსაცდელი თუ არა, დიდი უსიამოვნება მაინც ელოდა.

ბოლო წლებში ერთგვარად შეიცვალა მდგომარეობა, ამ თვალსაზრისითაც გაჯანსაღდა ატმოსფერო. ამას უმთავრესად იმან შეუწყო ხელი, რომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში გულწრფელობა, ნაკლოვანებების თამამი გამოაშკარავება, სიძნელეებისათვის თვალის გასწორება, მანკიერებების აღიარება მათი დაძლევისათვის ბრძოლის პირველ საშუალებად იქცა. ასეთ ჯანსაღ საზოგადოებრივ ატმოსფეროში ლიტერატურულ კრიტიკას აღარ შეეძლო თა-

ვისი მიკრო, „თბილი“ კლიმატი ჰქონოდა, სადაც განურჩევლობა გაიხარებდა.

ქართულმა კრიტიკამ ასწია კრიტერიუმების დონე, მაგრამ მისი მომთხოვნელობა ჯერ კიდევ არ არის სასურველი სიმაღლის და პრინციპულობისა. შორს რომ არ წავიდეთ, რუსული სინამდვილიდან არაერთი მაგალითის გახსენება შეიძლება, როცა საყოველთაოდ აღიარებული, მკითხველის სიყვარულით განებივრებული, მართლაც მნიშვნელოვანი მწერლის შემოქმედების ზოგიერთი მხარე თუ კერძო ნაწარმოები კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული. ბელა აზმადულინას, ევგენი ევტუშენკოს, ანდრეი ვოზნესენსკის თუ სხვათა მისამართით იმდენი მწარე სიტყვა, დამსახურებული თუ ზოგჯერ დაუმსახურებელი საყვედურიც ისმის, აზრთა ისეთი სხვადასხვაობაა რუსული პრესის ფურცლებზე, რასაც ჩვენ არამცთუ ამ „რანგის“, აშკარად სუსტ პოეტებსაც კი ძნელად შევბედავთ ხოლმე.

ამგვარი გულწრფელი კრიტიკული დამოკიდებულება არაფერს ვნებს მწერალს, სარგებლობა კი მოაქვს. ჯერ ერთი, მართებული შენიშვნები თავისთავად გამოსადეგი და გასათვალისწინებელია. მეორეც, მწვავე კრიტიკა მწერლის თავდაჯერებულობას (რაც სამწუხაროდ არცთუ იშვიათი რამაა), თვითკმაყოფილების გრძნობას (რაც დამლუპველი თუ არა, დიდად შემაფერხებელი მაინცაა) ასე თუ ისე უტევს და შემოქმედს მუდმივი ძიებისა და სრულყოფისაკენ უბიძგებს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსულ კრიტიკაში ამ თვალსაზრისით უკეთესი (თუ ბევრად უკეთესი არა) მდგომარეობაა, მაინც ხშირად და მწარედ საყვედურობენ მას ამის გამო. ე. სიდოროვი იმოწმებს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოთქმას, რომ „ის, ვინც ვერ გუობს კრიტიკას, საქმისათვის დამლუპველია“ და თან გაკვირვებით დასძენს, რომ ზოგიერთი მწერალი ჭიუტად არ იღებს კრიტიკას (იხ. „ვოპროსი ლიტერატური“ № 12, 1979 წ. გვ. 98). მერე უკვე კრიტიკის სასაყვედუროდ განაგრძობს, რომ მწერლებს არც ესმითო ამგვარი კრიტიკა, რომ ჟურნალებსა და გაზეთებში კრიტიკა შეცვალა იმგვარმა განხილვებმა, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად უახლოვდებათ ქართული სადღეგრძელოების სტილისტიკას.

აბა, ამის მერე ჩვენ რაღა გვეთქმის, ვისაც ორგანულად გვაქვს



შეთვისებული „ქართული სადღეგრძელოების“ სტილი. განაჩვენებდა თუ არა ვცოდავთ ამ თვალსაზრისით? უნდა დავეთანხმოთ ე. სიდოროვს იმაშიც, რომ ამგვარი სიტუაციის შექმნაში იმდენად თავად მწერლებს არ ედებათ ბრალი, რამდენადაც იმ კრიტიკოსებს, რომლებიც ივიწყებენ საკუთარი პროფესიის ღირსებას და მართლაც მომსახურების სფეროს კოდექსს მისდევენ: „რას ინებებთ?“ პროფესიული ღირსების გრძნობა კი „გამოიხატება მკაცრ, მომთხოვნ სიყვარულში, და არა უბრალოდ გაანგარიშებულ განდიდებაში თუნდაც ყველაზე შესანიშნავი ტალანტისა, უფრო ნაკლებ ნიჭიერებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ“.

კეთილმოსურნეობა, მწერლისადმი ფაქიზი და პატივიანი დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს დაუმსახურებელ ქება-დიდებას, შემოქმედებითი მარცხისათვის თვალის არიდებას იმ საბაბით, რომ ავტორი ცნობილი და აღიარებული მწერალია. სწორედ ამგვარი პრინციპულობის, პირუთვნელობის, პირდაპირობის აუცილებლობაზე, ცხოვრებისეული თუ ლიტერატურული საჭირბოროტო, მწვავე პრობლემებით დაინტერესებაზე, მათი განსჯის, კვლევის, საჯარო განხილვის შედეგიანობაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის დადგენილება იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. ამის მიზანი ერთია მხოლოდ, რომ ჩვენი იდეოლოგიური საქმიანობა, ამ შემთხვევაში, კი, კერძოდ, ლიტერატურული კრიტიკის როლი და მნიშვნელობა, რომელიც 70-იან წლებში აშკარად გაიზარდა, კიდევ უფრო ქმედითი, სარგებლიანი გახდეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევიმ თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება დაუთმო ლიტერატურისა და ხელოვნების, საერთოდ კულტურის საკითხებს, მოგვცა ღრმა ანალიზი მათი მდგომარეობისა, წარმოაჩინა და დააფასა მათი ღირსებები, მიღწევები, დასახა სამომავლო ამოცანები. მან თქვა: „პარტია მიესალმება საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ მოქალაქეობრივ პათოსს, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, ხელოვნების აქტიურ ჩარევას იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებითაც ჩვენი საზოგადოება სულდგმულობს“.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევიმ პარტიის ყრილობაზე მაღალი



შეფასება მისცა საბჭოთა მწერლებისა და ხელოვანთა უკანასკნელი წლების ნაღვაწს, მაგრამ ამასთანავე მათ მთავარ საზრუნავსაც გაუ- სვა ზაზი, სამოქმედო პროგრამა დასახა. მან მკაფიოდ განაცხადა: „...უიდეობის გამოვლინებას, მსოფლმხედველობრივ განურჩევლო- ბას, ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა და ფიგურათა მკაფიო კლა- სობრივი შეფასებისაგან გადახვევას შეუძლია ზიანი მიაყენოს თვით უნიჭიერეს ადამიანთა შემოქმედებას. ჩვენმა კრიტიკოსებმა, ლიტე- რატურულმა ჟურნალებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა და უწინა- რესად მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ იმათი სწორ გზაზე დაყენება, ვინც მას გადაუხვია. და, რა თქმა უნდა, აქ- ტიურად, პრინციპულად გამოდიოდნენ მაშინ, როცა ჩნდება ნაწარ- მოებნი, რომლებიც ჩირქს სცხებენ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს. აქ ჩვენ შეუწყნარებელნი უნდა ვიყოთ. პარტია არც ყოფილა და ვერც იქნება გულგრილი ჩვენი ხელოვნების იდეური მიმართულე- ბისადმი“.

კომუნისტური პარტიის ამგვარი მზრუნველი დამოკიდებულე- ბა, გამუდმებული ყურადღება, წარმმართველი როლი, რაც ლენინ- სური მოძღვრების განვითარების მკაფიო გამოხატულებაა, საბჭო- თა ლიტერატურის განვითარების მძლავრი სტიმულია. უკანასკნელი წლების პარტიულ დოკუმენტებში იდეოლოგიურ საკითხებზე, გან- საკუთრებით კი XXVI ყრილობაზე ყოველმხრივ და ღრმად იქნა გა- ნხილული საბჭოთა მწერლობის, მასთან ერთად სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობა, მიღწევები, ამოცანები. საერთო შეფასება მაღალია, დაკისრებული მოვალეობა მნიშვნელოვანია, კერძოდ, ლი- ტერატურული კრიტიკის სფეროშიც. და ეს ბევრს გვავალებს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატუ- რული კრიტიკა ზოგ რამეში ჯერ კიდევ აშკარად ჩამორჩება საერ- თო-საკავშირო დონეს (მხედველობაშია უპირველესად რუსული სა- ბჭოთა კრიტიკა), მაინც შეიძლება ითქვას, რომ მაღალი და იმედიანი საერთო შეფასება მასაც ეხება.

ასე ვფიქრობდით ჩვენ, ქართველი კრიტიკოსები და ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის დამოკიდებულებამ ამ საკითხისადმი ეს რწმე- ნა საბოლოოდ გაგვიმტკიცა. ჟურნალ „ლიტერატურნოე ობოზრე- ნიეს“ კორესპონდენტთან საუბრისას ამხანაგმა ედუარდ შევარდნა- ძემ ვრცლად და ღრმად დაახასიათა რესპუბლიკის ცხოვრება უკა-

ნასკნელი წლების მანძილზე, ახსნა ის პროცესები, პოზიტიური ძვრები, რასაც ჩვენში აქვს ადგილი. ცხადია, საუბრის დიდი ნაწილი თანამედროვე ლიტერატურასაც შეეხო და აქაც რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მაღალი შეფასება მისცა ქართველ მწერალთა ნამოღვაწარს.

კორესპონდენტის შეკითხვაზე — „შეგვიძლია თუ არა ვილაპარაკოთ ქართული კრიტიკის მიღწევებზე ბოლო წლებში?“ — ამხანაგმა შევარდნაძემ პირდაპირ განაცხადა: „დადებითი ძვრები ამ სფეროშიც მოხდა“; აღნიშნა კიდევ კონკრეტული გამოხატულების ნიშნები: დაბოლოს თქვა:

„და მაინც, მიუხედავად ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის გააქტიურებისა და იდეურ-პროფესიული დონის ერთგვარი აღმავლობისა, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა და სერიოზული ნაკლია.

ბევრი კრიტიკოსი, ივიწყებს რა კრიტიკის როგორც მხატვრული პროცესის უპირველესი მათრგანიშებელი და წარმმართველი ძალის როლს, თავის მოღვაწეობაში ნაწარმოებთა უბრალო აღმნუსხველისა და კომენტატორის როლს სჯერდება.

ჩემი აზრით, დროა, სერიოზულად ვიმსჯელოთ რესპუბლიკაში ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის თანამედროვე მდგომარეობაზე, მივუთითოთ ნაკლოვანებებზე, მხარი დავუჭიროთ ჯანსაღ ტენდენციებს, რომლებიც უდავოდ შეინიშნება ლიტერატურისა და ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში“ (იხ. „კრიტიკა“ № 3, 1979).

ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, როცა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ქართული მწერლობის და ხელოვნების მიღწევებზე და ამოცანებზე ლაპარაკობდა, ისიც თქვა, რომ „საჭიროა ყოველნაირად განვაავითაროთ ლიტერატურული კრიტიკა, მთელი მხატვრული კრიტიკა, სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების თეორია“.

ქართული ლიტერატურული და მხატვრული კრიტიკა ჩამორჩენილ დარგად არ იქნა გამოცხადებული, როგორც ეს ადრე ხდებოდა ხოლმე, ჩვენი ნაღვაწიც დააფასეს და ეს, შეუძლებელია, სტიმულის მომცემი არ იყოს შემდგომი მუშაობისათვის. მაგრამ თვითკმაყოფილების ოდნავი საბაბიც არ მოუცია ჩვენთვის პარტიას. იქვე

გარკვევით ითქვა, რომ პარტია მოითხოვს პრინციპულობას, უკომპრომისობას უიდეობის, უხამსობის, პროვინციალიზმისა და მეშჩანობის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების შეფასებაში; მოითხოვს მიზანდასახულ, შეუპოვარ, ყოველდღიურ მუშაობას ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, მათს აღზრდას ღრმა იდეური მრწამსის, სოციალისტური რეალიზმის მაღალი პრინციპების სულსკვეთებით. „საჭიროა პარტიული პრინციპულობით ვებრძოლოთ ნეგატიურ გამოვლინებებს კულტურის სფეროში“.

ამ მიზანდასახულების განხორციელებაში პარტიის ერთერთი ყველაზე ქმედითი დამხმარე ძალა ლიტერატურული მხატვრული კრიტიკაც უნდა იყოს. ესაა მისი დანიშნულებაც და მოწოდებაც. და თუ გვინდა მომავალში უფრო გამოკვეთილად აღინიშნოს ჩვენი დამსახურებაც, ამ ამოცანის გადაწყვეტაში ჩვენი წვლილი საგრძნობი უნდა გახდეს. სწორედ ამ დავალებათა სრული და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა შევხედოთ ჩვენს ნამოქმედარსაც და მოსაქმედებელსაც.

საქართველოს მწერალთა IX ყრილობაზე წარმოთქმულ თავის ვრცელ და ღრმა, უაღრესად მნიშვნელოვან, საინტერესო, საპროგრამო სიტყვაში ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ კიდევ უფრო ფართოდ წარმოგვიდგინა საკუთარი შეხედულებები ქართულ ლიტერატურაზე და ის ამოცანები, რომლებსაც პარტია სახავს უახლოესი მომავლისათვის რესპუბლიკის მწერლების წინაშე. პარტიის ყრილობაზე ამომწურავად, მაგრამ მოკლედ ნათქვამ მის მოსაზრებებს, აქ მეტი ფერ-ხორცი შეეხსნა. მან საფუძვლიანად განიხილა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მწერლობა და თანამედროვეობა, ისტორიზმის პრინციპების თანადროული გაგება, ლიტერატურაში ეროვნულისა და ზოგადის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის შერწყმა. ყველა ამ ასპექტით განიხილა თანამედროვე ქართული მწერლობა, დიდად გულწრფელად, მისთვის ჩვეული სიღრმით და პრინციპულობით აღნიშნა მიღწევებიც და ნაკლოვანებებიც. ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ ვრცლად ილაპარაკა საერთოდ ახალგაზრდობაზე, მის პრობლემებზე, კერძოდ კი ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე. ყრილობის დამსწრე მწერლებსა და სტუმრებსაც ღრმად ჩაგვრჩია მეხსიერებაში ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის სიტყვები, რომ-

ლებიც აღსავსე იყო ქართულ მწერლობაზე ფიქრით, ზრუნვით, სიყვარულით, წამოჭრილი მნიშვნელოვანი პრობლემებით, სამოქმედო პროგრამით.

კერძოდ, ქართული ლიტერატურული კრიტიკის შესახებაც ვრცლად და დასაბუთებულად ილაპარაკა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ მწერალთა ყრილობაზე. ამ საკითხებზე მისი მსჯელობის პათოსი ის გახლდათ, რომ კრიტიკის დამსახურება, მისი განვითარების აშკარა ნიშნები არ არის სათანადოდ დაფასებული და გამოკვეთილი, რომ თანამედროვე კრიტიკის მიღწევები ისევე თვალსაჩინოა, როგორც სხვა ლიტერატურული ჟანრებისა.

ცხადია, ქართველი კრიტიკოსებისათვის, ვისაც გამუდმებით მხოლოდ ის გვესმოდა, რომ კრიტიკა ჩამორჩენილია და ვერ უბამს მხარს სხვა ჟანრების განვითარებას, სასიხარულოა ამგვარი შეხედულება და შეფასება. მაგრამ ჩვენთვის სტიმულის მომცემი, მომავალი საქმიანობის განმსაზღვრელი, დადებითი დაფასებასთან ერთად, და უფრო მეტადაც სწორედ ის შეხედულებები უნდა იყოს ამხანაგ შევარდნაძისა, რომლებშიც მითითებულია იმაზე, თუ რა გვაკლია და რა ამოცანები დგას ჩვენს წინაშე.

მართლაც, დროა გავიაზროთ მთელი სიგრძე-სიგანით ისიც, რაც გაკეთდა ჩვენში ამ მხრივ და ისიც, რაც უნდა დავძლიოთ და შევიძინოთ იმისათვის, რომ ჩვენი კუთვნილი წვლილი შევიტანოთ საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაში; იმისათვის, რომ ჩვენი ვალი მოვიხადოთ მწერლობისა და ხალხის წინაშე; იმისათვის, რომ მომავალში უფრო ხმამაღლა ითქვას ჩვენს დამსახურებაზეც. ამაზე სისტემატური დაფიქრება და მსჯელობა გვმართებს ყველას.

1976-80 წლებში, ანუ მეათე ხუთწლედის მანძილზე, კრიტიკოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა მიერ მოწეული ნაყოფი თვალსაჩინოა. ამ ხნის მანძილზე, სულ ცოტა 80-ზე მეტი წიგნი გამოიცა, რომლებშიც ეროვნული მწერლობის ისტორიისა და თანამედროვეობის მნიშვნელოვანი საკითხებია შესწავლილი. უნდა კმაყოფილებით ითქვას, რომ საოცრად გაიზარდა მკითხველთა ინტერესი ამ წიგნებისადმი. დღეს არა მარტო პოეტებისა და პროზაიკოსების, არამედ კრიტიკოსებისა და ლიტერატურისმცოდნეების წიგნებიც ერთაშედ იყიდება, ქრება მაღაზიებიდან. ამასთან დაკავშირებით უნდა დავის-





ვას წიგნების ტირაჟის გაზრდის საკითხიც. გამომცემლობებმა უნდა გაითვალისწინონ მკითხველთა გაზრდილი ინტერესი ამგვარი ლიტერატურისადმი.

ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ქართული მწერლობის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე წიგნები გამოაქვეყნეს აკადემიკოსებმა ალ. ბარამიძემ, გ. ჯიბლაძემ, პროფესორებმა და დოქტორებმა გ. ასათიანმა, რ. ბარამიძემ, დ. გამეზარდაშვილმა, ალ. კალანდაძემ, ი. ლოლაშვილმა, ლ. მენაბდემ, რ. სირაძემ, ნ. ტაბიძემ, გ. შარაძემ, ს. ცაიშვილმა, ე. ხინთიბიძემ და სხვებმა. მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართველმა საზოგადოებრიობამ მიიღო გამოჩენილი მწერლის და მოაზროვნის, პროფესორ აკაკი გაწერელიას რჩეული ნაწერები სამ ტომად. მაგრამ რაკი საქმე კრიტიკას ეხება, იმ წიგნებს მოვიხსენიებ უფრო ფართოდ და შევეცდები მოკლედ მაინც დავახასიათო, რომლებიც უშუალოდ ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიასა და თანამედროვეობაზეა დაწერილი.

საბჭოთა მწერლობის ისტორიას და თანამედროვეობას ეძღვნება ისეთი წიგნები, როგორცაა ლ. ავალიანის „პაოლო იაშვილი“ (1977), გ. ასათიანის „კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები“ (1977), ვ. ბაიაძის „თვალსაწიერი“ (1978), პ. ბარდაველიძის „ნარკვევები“ (1977), ა. ბაქრაძის „კრიტიკული ვულანი“ (1977), რ. ბეჟანიშვილის „იისფერი თოვლი“ (1977), მ. გვეტაძის „თანამედროვე ქართული პოეზიის საკითხები“ (1980), დ. თევზაძის „კრიტიკის ბუნება“ (1978), კ. იმედაშვილის „30 წლის შემდეგ“ (1977), ალ. კალანდაძის „გემოვნების კრიტიკა“ (1976), ლ. კალანდაძის „ლიტერატურული ნაფიქრები“ (1976), გ. კანკავას „ლიტერატურული წერილები“ (1980), ტ. კვანჭილაშვილის „ლიტერატურა და ცხოვრება“ (1976), ი. კენჭოშვილის „გალაქტიონ ტაბიძის პოეტიკა“ (1980), გ. მარგველაშვილის „პოეზიის ნათელი“ (1976), ე. მაღრაძის „გულითა მართლით“ (1979), გ. მერკვილაძის „წერილები თანამედროვე ლიტერატურაზე“ (1979), რ. მიშველაძის „შენ ჩემთვის რა გატირებდა“ (1979), ო. პაჭკორიას „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“ (1979), ბ. ჟღენტის „მწერლობა და თანამედროვეობა“ (1976), ს. სიგუას „ეპოქა და სტილის პრობლემა“ (1976), ჯ. ღვინჯილიას „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“ (1979), ა. ჩაჩიბაიას „მშვენიერების სამყარო და მო-



ზარდი თაობა“ (1977), შ. ჩიჩუას „ლიტერატურული წერილები და ნარკვევები“ (1977), თ. ჩხენკელის „პოეზია — სიბრძნის დარგი“ (1978), ს. ცაიშვილის „ლიტერატურული წერილები“ (1977), ნ. წერეთლის „მე ახლაც 26 წლისა ვარ“ (1980), თ. წივწვაძის „მართალს ვიტყვი...“ (1980), ს. ჭილაიას „წლები და პრობლემები“ (1980), ა. ხინთიბიძის „ქართული ლექსის ბუნებისათვის“ და სხვა (აქვე დავასახელებ ჩემს წიგნსაც „ახალი პორიზონტი, თუ ძველი“, რომელიც 1976 წელს გამოიცა).

ამ წლებში, რომლის კრიტიკულ ნააზრევსაც განვიხილავთ, წავიდა ჩვენგან ქართული საბჭოთა კრიტიკის დაუცხრომელი მოღვაწე ბესარიონ ჟღენტი, ვინც ოციანი წლებიდან მოყოლებული უკანასკნელ ხანამდე მუდამ მებრძოლის შემართებით და ჟინით იყო სავსე. ორმოცდაათი წლის მანძილზე იდგა იგი ქართული კრიტიკის მოწინავე ხაზზე და მისი წერილები თუ საჯარო გამოსვლები მუდამ იყო გამსჭვალული მებრძოლი სულისკვეთებით. ეს ჩვენი ფრონტის დიდი, მტკივნეული დანაკლისია, მაგრამ მან დაგვიტოვა თავისი დიდტანიანი წიგნი „მწერლობა და თანამედროვეობა“, რჩეული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული, რომელიც მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალული კრიტიკის ნიმუშია.

ბესარიონ ჟღენტის როლი ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებაში თუნდაც იმით იყო დიდად მნიშვნელოვანი, რომ იგი მუდამ „აფორიაქებდა“ მწერლურ სამყაროს თავისი „უკიდურესი“ შეხედულებებით, იწვევდა მძაფრ პოლემიკას, აზრთა დაპირისპირებას. ეს თვისება მისი შემოქმედებისა ავტორის ამ ბოლო წიგნშიც მთელი სიცხადით ჩანს, განსაკუთრებით იმ წერილებში, რომლებიც 50-70-იანი წლების ქართული მწერლობის საერთო მიმოხილვებს, ზოგად შეფასებებს ეძღვნება („თაობათა ერთობლივი ძალღონით“, „ჩვენი დღეების მატთანე“ და სხვა). ამ წიგნშივე დაბეჭდილია ლიტერატურული პორტრეტები თუ მონოგრაფიული ნარკვევები მიხეილ ჯავახიშვილზე, ნიკო ლორთქიფანიძეზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე, ლეო ქიაჩელზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, გიორგი ლეონიძეზე, პაოლო იაშვილზე და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებზე, ვისთანაც ერთად განვლო კრიტიკოსმა თავისი ცხოვრების გზა. ბესარიონ ჟღენტს ნაკლებად დარჩა სიცოცხლეში გამოცემული წიგნები; იგი უფრო ცოცხალი, ჟურნალისტური და პუბლიცისტური



კრიტიკის მიმდევარი იყო. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ეს წიგნი „მწერლობა და თანამედროვეობა“, სადაც თავმოყრილია კრიტიკოსის საუკეთესო ნაწერები და რომელიც წარმოდგენას მისცემს მომავალ თაობებს ბესარიონ ჟღენტის შემოქმედებაზე.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, მეცნიერისა და კრიტიკოსის სერგი ჭილაიას წიგნში „წლები და პრობლემები“ ოციანი წლების მწერლობის რთული, წინააღმდეგობრივი, მაგრამ ამასთანავე უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო ხასიათია შესწავლილი და წარმოჩენილი. ქართული ეროვნული კულტურა, კერძოდ, მწერლობა მთლიანია თავისი განვითარების პროცესში, ტრადიციულია, ურთიერთგამომდინარეა. მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზაზე მას ბევრი დაბრკოლების, ცდუნების, მცდარი ორიენტაციის და ტენდენციის დაძლევა მოუხდა, მაგრამ ამას არასოდეს გაუმრუდებია საბედისწეროდ მისი მთავარი გეზი. იგი მუდამ იყო და არის, მომავალშიც იქნება, ქვეყნისა და ხალხის, სამშობლოსა და მშობლიური ერის ინტერესების გამომხატველი, მათ დაუღლელ და გაუბეზრებელ სამსახურში მყოფი მწერლობა.

ამ მთლიან პროცესში გამონაკლისს არც საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა წარმოადგენს. მეტიც, ეს მთავარი თვისებები, საკუთარი დანიშნულების ამგვარი გაგება მეოცე საუკუნეში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა ლიტერატურაში. ეს არ გულისხმობს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მშვიდ, უშფოთველ, შეუმცდარ ხასიათს. ოციანი წლების მწერლობა განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი დუდილით, ახალი გზების ძიებით, შემოქმედებითი დაპირისპირებებითა და ბრძოლითაც კი. სწორედ ამგვარი გზით მივიდა ქართული საბჭოთა მწერლობა ერთიან მტკიცე პოზიციამდე. ამ რთული ათწლეულის შეფასებაში ადრე უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული, ზოგ შემთხვევაში საბედისწერო ხასიათისაც კი. ქართული ლიტერატურის მცოდნეობა ბოლო ათწლეულების მანძილზე ცდილობს ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, ოციანი წლების მწერლობის ობიექტურ, მეცნიერულ და მხატვრულ შეფასებას. ბევრი რამაც გაკეთდა ამ თვალსაზრისით, მაგრამ წარსულის რეციდივები, ცალმხრივი შეფასებები ჯერ კიდევ იჩენს ხოლმე თავს.

ამას გარდა, ახლა სხვა ხასიათის შეცდომაც დაგვჩემდა. ზოგი მკვლევარი, ოციანი წლების მწერლობის მიმართ დაშვებული მძიმე შეცდომების გაქარწყლების მიზნით, მეორე უკიდურესობაში ვარდება და ნებისთ თუ უნებლიედ ჩქმალავს იმ ეპოქის რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს. საქმე ისე უნდა წარმოადგინოს, თითქოს მაშინვე ყველასათვის ყველაფერი ნათელი იყო და ქართველი მწერლებიც ერთიან შემოქმედებით პოზიციებზე იდგნენ. თითქოს უთანხმოება მხოლოდ მხატვრული ფორმის და სტილის სფეროში თუ მჟღავნდებოდა.

სერგი ჭილაიას წიგნი „წლები და პრობლემები“ ოციანი წლების ქართული მწერლობის მეცნიერული, ობიექტური შესწავლის ნაყოფია. მკვლევარს აქ უმდიდრესი ისტორიული მასალა აქვს მოტანილი (რაც ფართო მკითხველისათვის, სპეციალისტებისთვისაც კი, ძალზე ძნელი ხელმისაწვდომია), გაანალიზებული, შეფასებული. მისი დაკვირვებები თუ დასკვნები ღრმაა და ობიექტური. მისი დამოკიდებულება იმ წლების ქართული ლიტერატურული პროცესისადმი წინასწარ კი არ არის შემუშავებული, არამედ სწორედ ამ პროცესის შესწავლის შედეგად არის გარკვეული და ჩამოყალიბებული. ერთი სიტყვით, სერგი ჭილაიას ეს ახალი წიგნი ოციანი წლების ქართული მწერლობის ყველაზე ვრცელი, სრული, ღრმა გამოკვლევაა, სადაც ფაქტური მასალის სიუხვე და ობიექტური ხედვა, მეცნიერული შეფასება ორგანულად, მე ვიტყვოდი, ემოციურადაც არის ერთმანეთთან შერწყმული.

ნაყოფიერი იყო ეს ხუწლეული გიორგი მერკვილაძისათვის, ვისი სამი წიგნიც გამოიცა ამ ხნის მანძილზე: „ლიტერატურა და თანამედროვეობა“ (1978), „წერილები თანამედროვე მწერლობაზე“ (1979), „შთაგონება მხატვრისა“ (1980). ამ წიგნებშიც ავტორი მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით და კრიტიკული პათოსით იკვლევს საბჭოთა მწერლობის ისტორიის თუ თანამედროვე პრობლემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოკვლევები ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე, თანამედროვე რომანის დინამიკაზე, ნარკვევები იოსებ გრიშაშვილზე, დემნა შენგელაიაზე. კონსტანტინე ლორთქიფანიძეზე, წერილები მომიხილვითი ხასიათისა, თუ თანამედროვე ქართული მწერლობის კონკრეტულ საკითხებსა და ნაწარმოებებზე.



მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართული მწერლობისათვის გურამ ასათიანის წიგნი „კრიტიკული დიალოგები, წერილები, პორტრეტები, ესკიზები“. წიგნი უაღრესად საინტერესოა თავისი მრავალფეროვნებით, რაც მხოლოდ პრობლემათა და საკითხთა ფართო წყებას კი არ გულისხმობს, არამედ გადმოცემის, ანალიზის ორიგინალურად მიგნებულ ფორმებსაც.

სარგის ცაიშვილის „ლიტერატურულ წერილებს“ ქვესათაური აქვს: „წინამორბედნი და თანამედროვეები“. სწორედ ქვესათაურშია მკაფიოდ გამოხატული წიგნის შინაარსიც და მისი მნიშვნელობის განმსაზღვრელი თვისებაც. სარგის ცაიშვილი ქართული მწერლობის ისტორიის (უძველესი ხანის, რუსთველისა და მისი ეპოქის, გვიანფეოდალური პერიოდის, მეცხრამეტე საუკუნის) და თანამედროვეობის (საბჭოთა მწერლობის ადრეული ხანის თუ უკანასკნელი ათწლეულების) მკვლევარია. მისი კვლევის ასეთმა სიფართოვემ განაპირობა ქართული მწერლობის ის გამთლიანებული ხედვა, რაც ამ წიგნშიც, და საერთოდაც ავტორის ნაწერებში მუდამ აშკარად შესამჩნევი და დიდი ინტერესის აღმძვრელია. კიდევ ერთი ღირსება, რაც გამოარჩევს ამ წიგნს და მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, ის გაბლავთ, რომ ავტორი წარმატებით აღწევს ფრაზის ფერადოვნებისა და აზრის მეცნიერული სიზუსტის შერწყმას. ერთის ხარჯზე, ან მის გამო არ ზარალდება მეორე, რაც მკვლევარისა და კრიტიკოსის იშვიათი ნიჭია.

ქართული მწერლობის ფართო ასპექტით, მსოფლიოს კულტურული მონაპოვრების ფონზე, თუ მასთან ორგანულ კავშირში კვლევის ტენდენცია, რაც ასე ნიშანდობლივი გახდა თანამედროვე კრიტიკისათვის, კარგად ჩანს გურამ კანკავას წიგნში „ლიტერატურული წერილები“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აქ დაბეჭდილი ვრცელი გამოკვლევები—„ქართული ექსპრესიონისტული რომანი“ და „ქართული ექსპრესიონისტული ნოველა“, რომლებშიც კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ და მისივე ნოველების ერთი რიგია განხილული.

ამავ თვალსაზრისით, და კიდევ ქართული პოეზიის (კლასიკურის თუ თანამედროვეის) ახალი ასპექტების მიგნებით გამოირჩევა თამაზ ჩხენკელის წიგნი „პოეზია — სიბრძნის დარგი“. იგი პოეზია-

ზე პოეტური თვალსაზრისის გამოხატვის ერთერთი მშვენიერი ნიმუშია.

ოტია პაჭკორიას წიგნში „ფიქრი მზისა და სიტყვის გამო“ თავმოყრილია მისი დიდი ესთეტიზმით აღბეჭდილი წერილები. აქ არის ცნობილი მისი ციკლი „დრო და სახელები“, რომელიც თანამედროვე ქართველ მწერალთა შესახებ დაწერილ ლიტერატურულ პორტრეტებსა თუ ნარკვევებს მოიცავს, წერილები კონკრეტულ წიგნებსა თუ ცალკეულ ნაწარმოებებზე, ესეები და ფრაგმენტები მსოფლიო კლასიკოსთა უკვდავ მემკვიდრეობაზე. ყოველ მათგანში კი ავტორის ფაქიზი გემოვნება ჩანს.

განსაკუთრებით მინდა გამოვარჩიო და მკითხველების ყურადღება მივაქციო იმ წიგნებს, რომლებიც მთლიანად თანამედროვე ლიტერატურული პროცესის კვლევას ეძღვნება, ანუ „სუფთად“ კრიტიკის ჟანრს განეკუთვნება, აქ პირველ რიგში უნდა ვახსენო ავტორთა კოლექტივის კრებული „ლიტერატურული პროცესი და კრიტიკა“ („მერანი“, 1980). იგი მნიშვნელოვანი მარტო იმით კი არ არის, რომ აქ დაბეჭდილი წერილები (გურამ ასათიანის, აკაკი ბაჭრაძის, აკაკი გაწერელიას, თეიმურაზ დოიაშვილის, კობა იმედაშვილის, რევაზ თვარაძის, გიორგი მერკვილაძის, ოტია პაჭკორიას, სოსო სიგუას, სარგის ცაიშვილის, ჯანსაღ ღვინჯილიას, ზაზა აბზიანიძისა) თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკის საუკეთესო ნიმუშებია და ის დღევანდელ მაღალ დონეს გამოხატავს, არამედ, და რაც მთავარია, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ამით სათავე დაედო კრიტიკული წერილების კრებულების გამოცემას. ეს წიგნი ამ აუცილებელი წამოწყების პირველი გამოხატულებაა, რასაც უნდა ვუმადლოდეთ გამომცემლობა „მერანს“. ამასთანავე, იმის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ კრებულების შემდგენლების და სარედაქციო კოლეგიის დაპირება მომავალში ამგვარი წიგნების სისტემატურ გამოცემაზე შეჰკველად შესრულდება.

ამავ თვალსაზრისით გამოირჩევა, ქართული კრიტიკის კარგო შენაძენია ჯანსუღ ღვინჯილიას წიგნი „ზომიერების გრძნობა თანამედროვე ქართულ კრიტიკულ აზროვნებაში“. ჯანსუღ ღვინჯილია ერთერთი ყველაზე აქტიური და მებრძოლი კრიტიკოსია დღე! (ეს მას ხელს არ უშლის დაწეროს ბიოგრაფიული რომანი გიორგი სააკაძეზე, ან გამოკვლევები ვაჟას პოეზიაზე თუ „ვეფხისტყაოსნის“

საკითხებზე). მის ამ წიგნშიც თანამედროვე ქართული მწერლობის უაღრესად მწვავე პრობლემებია განხილული. ამასთანავე, ჯანსუღ ღვინჯილია ერთი იმ მცირეთაგანია, ვინც თავად სალიტერატურო კრიტიკის მდგომარეობაზე და ამოცანებზეც წერს. წერს ღრმად და დაფიქრებულად, პრინციპულად და გულწრფელად, სიყვარულითა და გულშემატკივრობით. ამაზე წიგნის საერთო სახელწოდებაც მაგვანიშნებს და მასში გაერთიანებული კონკრეტული წერილების სათაურებიც: „ქართული კრიტიკის სკოლა“. „კრიტიკასთან დამოკიდებულების კულტურა“, „რატომ ტოვებენ კრიტიკოსები ასპარეზს“, „კრიტიკის მოუთმენლობის ფსიქოზი და ლიტერატურული ბრძოლის წყურვილი“, „გაზვიადების ვნებათაღელვა“ და სხვა. კრიტიკოსი ბევრს და სიყვარულით წერს (თუმცა ამავე დროს მომთხონი და მკაცრია) ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე, ეგრეთწოდებულ „სამოცდაათიანელებზე“, რაც უთუოდ აუცილებელი საქმეა, რისთვისაც ბევრმა სხვა კრიტიკოსმა (მათ შორის ახალგაზრდამაც) სამწუხაროდ ვერ მოიცალა და ეს ამაგი მას უნდა დავუფასოთ. ამ ხასიათის საინტერესო წერილებს აქაც, ამ წიგნშიც ნახავს მკითხველი.

რევაზ მიშველაძის წერილების ორი კრებული გამოიცა ამ უკანასკნელ წლებში: „ეპოქის გზებით“ (1976) და „შენ ჩემთვის რა გატირებდა...“ (1979). ორთავე მთლიანად კრიტიკის ჟანრს მიეკუთვნება, ორთავე დახვეწილი და ღრმა, ცოცხალი და მფეთქავი კრიტიკის ნიმუშია, ორთავე ქართული მწერლობის სიყვარულითა და მისი შემწეობის სურვილით ჩაგონებული წიგნია. აქ დაბეჭდილი წერილები მრავალ საკითხს წამოჭრის და სცემს პასუხს, კონკრეტულსაც და ზოგადსაც, მათი ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. მაგრამ არ შემიძლია განსაკუთრებით არ აღვნიშნო „უკანასკნელი დიალოგი“. ავტორმა კონსტანტინე გამსახურდიას მის გარდაცვალებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე საუბარი გაუმართა და ამით შთამომავლობას შემოუნახა ქართველთათვის სათაყვანებელი მწერლის დიდად საინტერესო მოსაზრებები, იმედები, ტკივილები, რომლებიც მას, რევაზ მიშველაძეს რომ არ ევარგნა, თან უნდა ჩაეტანა საფლავში. კრიტიკოსის ამ კადნიერების ფასი, სარეცელს მიჯაჭვული მხცოვანი პატრიარქი რომ შეაწუხა, სწორედ ეს საუბრის სახით დაბეჭდილი წერილია, რომელიც თავის მხრივ ფასდაუდებელია, იმდენად ძვირფასია იგი.



ასევე საინტერესოა კობა იმედაშვილის წიგნი „30 წლის შემდეგ“, სადაც კრიტიკოსი „ხიდსა“ სდებს 20-30-იანი და 50-70-იანი წლების მწერლობებს შორის, გვარწმუნებს იმაში, რომ თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზა სწორედ იმ ადრეულ გამოცდილებას უკავშირებდა, რომ „ეს ის შემთხვევაა, პაპები და შვილიშვილები ყველაზე უკეთ რომ უგებენ ერთმანეთს“.

„ეპოქა და სტილის პრობლემა“ — ასე ჰქვია სოსო სიგუას წიგნს. თავისთავად პრობლემატაქტუალური, რთული და საინტერესოა, მაგრამ წიგნს მნიშვნელობას ისიც მატებს, რომ მისი ავტორი ახალგაზრდა კრიტიკოსია. მისი ახალგაზრდობა წიგნის სიღრმესა და საკითხთა ლიტერატურული დამუშავების დონეს (მოგეხსენებათ, ამ პრობლემის კვლევას რა ერუდიცია და გამოცდილება სჭირდება) არაფერს აკლებს, ჩვენ კი გვმატებს და გვიძლიერებს იმის იმედს, რომ ქართულ კრიტიკაში დიდად ნიჭიერი ახალგაზრდობა მოვიდა.

სხვა ავტორებისა და მათი წიგნების დასახელებაც შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა იმის სარწმუნოდ, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ კრიტიკას და საერთოდ მწერლობას საკმაოდ მრავლად შეემატა მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ხასიათის თუ წერილების კრებულად გამოქვეყნებული წიგნები. აქ ზოგიერთი მათგანის ზოგადი დახასიათება და შეფასება ვცადე იმ მიზნით, რომ მათი საერთო ღირსებისათვის გამესვა ხაზი. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ამ წიგნებში ყველაფერი ჭეშმარიტების დონეზე იყოს, ან მათ ავტორებთან სადაო, თუნდაც პრინციპული ხასიათისა, არა გვქონდეს. მაგრამ მთავარი ახლა ჩვენთვის იმის ცხადყოფაა, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკის ნაყოფი წიგნების სახით ამ უკანასკნელ წლებში თვალსაჩინოა, მრავალფეროვანია, სარგებლიანია და ამას შემჩნევა, დაფასება უნდა.

ზემოთ ჩამოთვლილი თუ განხილული წიგნების ავტორებთან ერთად უკანასკნელი წლების მანძილზე სალიტერატურო პრესის ფურცლებზე აქტიურად თანამშრომლობდნენ კრიტიკოსები: ზაზა აბზიანიძე, ლერი ალიმონაკი, გურამ ბათიაშვილი, გურამ ბენაშვილი, გიორგი გაჩეჩილაძე, რევაზ თვარაძე, ჯუმბერ თითმერია, თენგიზ ჩხაიძე, რევაზ ჩხარტიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, გიორგი ხუხაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები. მათ მიერ გამოქვეყნებუ-





ლი წერილებიდან დავასახელებ ზოგიერთს, განსაკუთრებით რომ მიიქციეს ყურადღება (ცხადია, აქ თუნდაც მნიშვნელოვანი წერილების სრული ჩამოთვლა შეუძლებელი რამაა): რევაზ თვარაძის „დათა თუთაშხია“ („ცისკარი“ № 3, 1976), გურამ ბენაშვილის „დიდი გზაჯვარედინი“ (ემზარ კვიციანიშვილის პოეზიაზე, „ცისკარი“ № 6, 1978), „ახალგაზრდული პროზის მრავალხმიანობა“ („კრიტიკა“ № 2, 3, 1979), ლერი ალიმონაკის „მახსოვრობა“ (თამაზ ჭილაძის პოეზიაზე, „ცისკარი“ № 8, 1979), ზურაბ ჭუმბურიძის „სიკეთით სავსე ქვეყანა“ (რევაზ ინანიშვილის მოთხობებზე, „განთიადი“ № 1, 1977), ზაზა აბზიანიძის „სახელები ახალი, პრობლემები — ძველი“ (ქართველ კრიტიკოსთა ახალთაობაზე, „ლიტ. საქ.“ 10/VI, 1977), „ლირიკის ძალა“ (ირაკლი აბაშიძის პოეზიაზე, „ლიტ. საქ.“ 2/IX 1977), თენგიზ ჩხაიძის „სიკეთისათვის ბრძოლის გაკვეთილი“ („დათა თუთაშხიაზე“, „კრიტიკა“ № 1, 1979), გიორგი ხუბაშვილის „ნაყოფიერი წელიწადი“ (1978 წლის ქართულ პოეზიაზე, „კრიტიკა“ № 3, 1979) და სხვ.

დიდად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მოვიდნენ ნიჭიერი, ერუდირებული, მწერლობის ღრმად მცოდნე და გულით მოყვარული ახალგაზრდები. სოსო სიგუასა და თამაზ წივწივაძის გარდა, რომლებიც ზემოთ უკვე მოვიხსენიე როგორც წიგნების ავტორები, აქ უნდა დავასახელო ნ. ანდრონიკაშვილი, ლ. ბოჩკოვა, ლ. ბრეგაძე, ა. გომართელი, ლ. გულისაშვილი, თ. დოიაშვილი, თ. მირიანაშვილი, ა. ნიკოლეიშვილი, ა. ყურაშვილი და სხვები. ამათგან ზოგიერთმა უკვე მოასწრო მოწინავე პოზიციებზე გასვლა და დღეს მათ ნაწერებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქართულ კრიტიკულ აზროვნებაზე. ეს განსაკუთრებით ითქმის სოსო სიგუაზე, თამაზ წივწივაძეზე, თემურ დოიაშვილზე, ლევან ბრეგაძეზე, რომელთა წერილები მუდამ საინტერესო და ანგარიშგასაწევია, მაშინაც კი, როცა პრობლემურ და საკამათო საკითხებს ეხება. ვისაც ზემოთჩამოთვლილ ახალგაზრდა კრიტიკოსთა წერილები წაუკითხავს, ვფიქრობ, დამეთანხმება, რომ შეგვიძლია რეალური იმედით შევცქეროდეთ ქართული კრიტიკის მომავალს.

განსაკუთრებული კმაყოფილების გრძნობით უნდა აღინიშნოს, რომ კრიტიკოსთა ახალთაობის ერთ ნაწილს ლიტერატურული წუნისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება ახასიათებს და მათი პრი-



ნციპული ხასიათის სტატიები მკითხველთა ცხოველ ინტერესს, მასთან ერთად მოწონებასაც იმსახურებს. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა თამაზ წივწივაძის წერილები, რომლებიც ყოველთვის აფორიაქებს ლიტერატურულ სამყაროს, მწვავედ მიგვაქცევენებს ყურადღებას მწერლობაში მცდარ პოზიციაზე, რაიმის მახინჯ გამოვლენაზე, ცუდ წიგნზე თუ ნაწარმოებზე. უნდა ითქვას, საამისოდ ახალგაზრდა ავტორს მარტო პრინციპულობა, ცოდნა, გემოვნება კი არ გააჩნია, არამედ უღაო ნიჭიც. მისი წერილების მეტი ნაწილი ბასრი სატირული კრიტიკის ნიმუშია, მაგალითად „მხოლოდ სიმართლის სასარგებლოდ“ („ცისკარი“, № 6, 1976), „მეტი ზომიერება გვმართებს“ („ცისკარი“, № 3, 1978), „უცხოური ჩანახატები ჩვენებური შეცდომებით“ („ცისკარი“, № 3, 1979) და სხვ.

თუმცა ჩამოთვლებს ხშირად მივმართავ, ეს, როგორც ჩანს, ამ ნახევრად საანგარიშო ხასიათის წერილში გარდუვალია და აქაც მე მინდა გაგახსენოთ ახალგაზრდა კრიტიკოსების მიერ ამ წლებში გამოქვეყნებული საინტერესო წერილების ნაწილი მაინც: თეიმურაზ დოიაშვილის „თამაზ ბიბილურის მოთხრობები“ („ცისკარი, № 9, 1976), „თანამედროვე პოეტი და ტრადიცია“ (გივი გეგეჭკორის პოეზიაზე, „ლიტ. საქ“. 6/I, 1978), „არ ვეთანხმები მაინც მაგელანს“ (ვახტანგ ჯავახაძის პოეზიაზე, „ლიტ. საქ“. 30/VI, 1978), „ახალგაზრდული კრიტიკა“ („ლიტ. საქ“. 1/V, 1980), „მკურნალი მიწა“ (ჯარჯი ფხოველის პოეზიაზე, „კრიტიკა“, № 1, 1979), „ფიქრით მოწყული ყვავილები“ (მამუკა წიკლაურის პოეზიაზე, „კრიტიკა“, № 4, 1979); სოსო სიგუას „ზეკარი“ (ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე, „ცისკარი“ № 8, 1980), „მწვანე წელიწადი“ (შოთა ნიშნიანიძის პოეზიაზე, „კრიტიკა“, № 3, 1976); ლევან ბრეგაძის „ბესიკ ხარანაულის პოეზია“ („ლიტ. საქ.“ 24/XI, 1978), „ახალგაზრდული პროზის პრობლემები“, „ლიტ. საქ“. 20/VII, 1979); ავთანდილ ნიკოლეიშვილის „გამოძახილი“ (გურამ დოჩანაშვილის რომანზე, „განთიადი“ № 3, 1977), „მოთვინიერებული ცეცხლი“ (შოთა ნიშნიანიძის პოეზიაზე, „განთიადი“ № 4, 1977); თეიმურაზ მირიანაშვილის „უდროოდ წასული პოეტის პორტრეტი“ (ალექსანდრე საჯაიაზე, „ცისკარი“ № 9, 1979), „ომის ლირიკა“ (მირზა გელოვანზე, „კრიტიკა“, № 3, 1977); ლუიზა ბოჩკოვას „პოეზია ნამდვილი ცხოვრებისა“ (არჩილ სულაკაურის მოთხრობებზე, „მნათობი“

№ 9, 1976), „საუბარი მზესთან“ (ნოდარ დუმბაძის პროზაზე, „მნათობი“ № 10, 1980); ნიკო ანდრონიკაშვილის „დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ“ (ახალგაზრდა ავტორების პირველ წიგნებზე, „კრიტიკა“, № 30) და სხვა.

კიდევ რა შეიძლება ითქვას კრიტიკოსთა ახალთაობაზე? ის რომ პროგრესის მთავარი იმედი მათზეა. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. კაცობრიობა დღემდე ასე, მომდევნო თაობების იმედით და მათი მცდელობით ვითარდებოდა. მომავალშიც ასე იქნება, რადგან ეს განვითარების ურყევი კანონია და ქართული სალიტერატურო კრიტიკა გამონაკლისი ვერ იქნება. ცხადია, არც უფროსებს გვმართებს გულხელდაკრეფილი ყოფნა, მაგრამ ახალი სიტყვის თქმა, ახალი სიმალღეების დაპყრობა, ახლა რომ კრიტიკოსთა ახალთაობა მოვიდა და მოდის, მას ევალება. თუმცა ახალგაზრდები ყოველთვის როდი ამჟღავნებენ ბრძოლისა და განახლების ჟინს. ახალგაზრდობას უფრო ბობოქარი სითამამე უნდა ახასიათებდეს, ვიდრე აკადემიური სიდიხე და გაწონასწორებულობა. ზოგიერთი ახალგაზრდა კრიტიკოსი, ნიჭიერიც და ერუდირებულიც, თავიდანვე „მშვიდი“ ცხოვრებისაკენ ილტვის, უფრო ვნებადამცხრალია, ვიდრე ფიცხი. მათ უფროსი თაობისაგან ყველაზე ცუდი გაკვეთილი მიიღეს და შეისმინეს. ამ გზით კი ახალგაზრდობა იმ მისიას ვერ შეასრულებს, რაც დრომ დააკისრა. მათ არა მარტო ქართული ლიტერატურული კრიტიკის განახლებას და განვითარებას უნდა შეუწყონ ხელი, არამედ თავისი თაობის მწერლობის სათქმელიც უნდა გამოხატონ, ამ თაობის პოზიციების დამკვიდრებაშიც, ცხოვრების მიზნის აღსრულებაშიც უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა. „მშვიდი“ ცხოვრებით კი ეს არ მიიღწევა. მე პირადად განახლებისათვის ბრძოლის წყურვილით ანთებული ახალგაზრდის მაქსიმალიზმი, თუნდაც უკიდურესი სითამამე უფრო მხიბლავს და მაიმედებს, ვიდრე მისი დინჯი, ყოველმხრივ აწონილი სიტყვა, რომელიც სიფრთხილის საფარს საიმედოდ არის შეფარებული.

ქართველი კრიტიკოსების საკმაოდ მრავალრიცხოვან რაზმს უნდა დაემატოს იმ მწერალთა სახელებიც, რომლებიც ამ ჟანრს სწყალობენ, სისტემატურად ან დროდადრო აქვეყნებენ რეცენზიებს, წერილებს, ესეებს, გამოკვლევებსაც კი წარსულ თუ თანამედროვე ლიტერატურაზე.

„ანკეტების“ დროს ერთერთ აუცილებელ შეკითხვად იქცა დამოკიდებულება მწერალთა მოღვაწეობისადმი კრიტიკაში. განა შეიძლება აქ ორი პასუხი არსებობდეს? ძნელად თუ მიაწივებს უფრო დიდ სიამოვნებას რაიმე კაცს (მათ შორის კრიტიკოსსაც), ვიდრე მწერლების წერილების კითხვა. ამგვარი ხასიათის ბრწყინვალე ლიტერატურა უამრავია დაგროვილი მსოფლიო კულტურულ საგანძურში...

პოლონელმა მწერალმა ვ. ჟუკროვსკიმ, ვინც მე ერთხელ უკვე მოვიხსენიე (პირველ წერილში), როგორც კრიტიკისადმი ერთერთი უაღრესად ნეგატიური, ღვარძლიანი დამოკიდებულების მქონე მწერალი (ამისი აშკარა და არცთუ სახარბიელო ნიმუშია მთელი ტექსტი მისი პასუხისა „გოპროსი ლიტერატურის“ ანკეტაზე, იხ. № 12, 1979), განაცხადა: „კრიტიკოსები ჩვენ მათ მამულებში მონადირე ბრაკონიერებად გვთვლიან, ნაცვლად იმისა რომ უხაროდეთ...“ ვ. ჟუკროვსკის ბევრი არაფერი დაეჯერება, მისი უკიდურესი ტენდენციურობა ოდნავადაც კი არ არის შენიღბული. ელემენტარული თავაზიანობაც კი ზედმეტად მიაჩნია. და მაინც გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი პოლონელი კრიტიკოსების გამოსასარჩლებლად, საამისო ინფორმაცია არ გამაჩნია. ვეჭვობ, რომ ეს ოდნავ მაინც შეეფერებოდეს სინამდვილეს. რაც შეეხება ქართველი და რუსი კრიტიკოსების აზრს ამ საკითხზე, აქ ყველაფერი ნათელია.

„ცისკარის“ ანკეტაში 1976 წელს (№ 4) ამ კითხვაზე პასუხი ქართველმა კრიტიკოსებმა გასცეს და ყველას აზრი, საერთო დამოკიდებულების თვალსაზრისით, ერთსულოვანი, გულთბილი და დადებითი იყო. ცოტა უფრო ადრე ამგვარ შეკითხვაზე „ცისკარს“ ქართველმა მწერლებმა უპასუხეს და უნდა ითქვას, ზოგი მათგანი „ჩაიჭრა“. მათ ასე განაცხადეს: მწერლები კრიტიკული წერილების წერაშიც სჯობიან და სჯაბნიან კრიტიკოსებსო.

ამგვარივე პასუხი გასცა ანალოგიურ კითხვას „გოპროსი ლიტერატურის“ ანკეტაში თურქმენმა მწერალმა კ. ყურბანეფესოვმაც. მან კრიტიკის საუკეთესო ნიმუშებად მიიჩნია ლ. მარტინოვის, ა. ტარკოვსკის, ჩ. აიტმატოვის, რ. გამზათოვის, ყ. ყულიევის, ე. ევტუშენკოს და სხვა მწერლების წერილები. აღფრთოვანებული შეფასება მისცა მათ (ლექსებივით დამამახსოვრდაო). „კიდევ? — დასვა მან კითხვა, რაშიც ერთგვარი ირონია სჭვივის და ასევე უპასუ-

ხა: — „ჰო, არის კიდევ“. ამის შემდეგ დაასახელა ლ. ნოვიჩენკო, ვ. ოზეროვი, ვ. კოჟინოვი, ლ. ანინსკი, ვ. ოგნევი, ალ. მიხაილოვი, ლ. ლავლინსკი და მათთვის მოწყალედ სიტყვა „ნიჭიერიც“ კი გაიმეტა.

ამგვარი დაპირისპირება და თავად მწერლების მიერ მწერალთა კრიტიკული წერილებისათვის უპირატესობის, თანაც შეუდარებლად დიდი უპირატესობის მინიჭება ან თავდაჯერების ნაყოფია, ან კიდევ კრიტიკოსებზე შურისსაძიებლად ნათქვამი სიტყვა. არცერთი კი პატივს არა სდებს მსგავსი მოსაზრების გამომთქმელ მწერალს.

რაკილა მწერლისა და კრიტიკოსის კრიტიკულ ნააზრევზე ჩამოვარდა საუბარი, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ იმის განცხადებაც შეიძლება, რომ მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა გაძნელებულია. აღიარებულია და ამას თავად მწერლებიც აღნიშნავენ, რომ მწერლის უაღრესად საინტერესო დაკვირვებანი კოლეგის შემოქმედებაზე, შემოქმედებით პროცესებზე თუ ისტორიულ მომენტებზე (გვახსოვს, ჩემო ბატონო, თომას მანის, თომას ელიოტის, პოლ ვალერის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა მრავალთა ბრწყინვალე წერილები და მაინც...) მეტწილად ფრაგმენტულ, გნებავთ იმპრესიონისტულ ხასიათს ატარებს, უფრო სუბიექტურია და ემოციური, როგორც წესი, ესეისტური ბუნებისაა და მთლიან ანალიზს არ ისახავს მიზნად.

ზოგადი თვალსაზრისით უნდა დავეთანხმოთ ცნობილი აზერბაიჯანელი მწერლის ანარის მოსაზრებას, რომ „კრიტიკოსობა განსაკუთრებული (ან სპეციფიკური, გ. გ.) ნიჭის ქონას გულისხმობს. ნამდვილი, პროფესიონალური კრიტიკის ჟანრში დროდადრო მოღვაწეობა შეუძლებელია. მას მთელი სიცოცხლე უნდა მიუძღვნას კაცმა“ („ვოპროსი ლიტერატური“, № 12, 1979, გვ. 224).

რა განსხვავებაც არ უნდა იყოს მწერლისა და კრიტიკოსის წერილებს შორის, ერთი რამ ცხადია და უცილობელი: „სალიტერატურო კრიტიკაში მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაწილეობა აუცილებელია: დიდი დიაპაზონის მწერალი უსათუოდ უნდა იყოს კარგი ლიტერატორიც. თუ ის მართლა ლიტერატურის ინტერესებით ცხოვრობს, არ შეიძლება ასეთი მოთხოვნილება არ გაუჩნდეს“ (გურამ ასათიანი, „ცისკარი“ № 4, 1976, გვ. 105).

შეუძლებელია არ ვირწმუნოთ გურამ ასათიანის ეს მოსაზრე-

ბა. რაც შეეხება იქვე ნათქვამ სიტყვებს, რომ „ჩვენში ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა, პირადად მე ეს სამარცხვინო ფაქტად მიმაჩნიაო“, ეს უფრო ყურადღების მისაქცევად, მწერალთა წასაქეზებლად მოხმობილი გაზვიადება უნდა იყოს, თორემ დიდი ილიას შემდეგაც ქართველ მწერლებს აქვთ ამგვარი სახის უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწერები. ასე რომ, არც ქართული მწერლობაა სულ ღარიბი ამ განძეულით. მაგრამ, ცხადია, ამ მხრივაც მეტი გვინდა ქართველი მწერლებისაგან.

დღეს ნაკლები გვაქვს ამ თვალსაზრისით სასაყვედურო მწერლებისათვის, რადგან ამ ტრადიციას ისინი გულითადად და გულმოდგინედ აგრძელებენ და ავითარებენ. მათ მიერ მოწეული ნაყოფიც ყველას ახარებს სიუხვითაც და სიმშენიერითაც. კრიტიკოსებიც ღრმად მაღლიერები ვართ იმ მწერლებისა, რომლებიც ბევრს და კარგად გვშველიან ჩვენს საქმეში. „ჩვენი საქმე“ ერთგვარი პირობითობით ითქმის, თორემ რას გაუყვია საერთო საზრუნავი, რასაც მწერლობა ჰქვია!

უფროსი თაობის მწერლებს — გრიგოლ აბაშიძეს, ნიკა აგიაშვილს, როსტომ ბეჟანიშვილს, ემზარ კვიციანიშვილს, ტაგუ მეტუროშვილს, გიორგი ნატროშვილს, ოთარ ჩხეიძეს, ტარიელ ჭანტურიას, თამაზ ჭილაძეს, რევაზ ჯაფარიძეს და სხვებს — ამ მხრივაც მხარში უდგას ახალგაზრდობა — თედო ბეჭიშვილი, დავით მჭედლური, გურამ პეტრიაშვილი, ლია სტურუა, ჯარჯი ფხოველი, ვანო ჩხიკვაძე, მამუკა წიკლაური, ვახტანგ ხარჩილავა, მურმან ჯგუბურია და სხვები.

გამოჩენილი მწერლის გრიგოლ აბაშიძის წიგნი „წინაპრები და თანამედროვენი“ (1980) კრიტიკული და კრიტიკულ-პუბლიცისტური ლიტერატურის ღრმა, მრავალფეროვანი და მშვენიერი ნიმუშია. უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივია კიდევ ერთი ჩვენი გამოჩენილი პროზაიკოსის გიორგი ნატროშვილის მოღვაწეობა კრიტიკის თანხაში, ვისმა განსაკუთრებულმა აქტივობამაც ამ უკანასკნელ წლებში არაერთი ღრმა და სამაგალითო წერილი შესძინა ქართულ მწერლობას, მათ შორის: „დემნა შენგელაიას შემოქმედება“ („მნათობი“, № 6, 1976), „თეთრი ვერხვი“ (ალიო მირცხულავას პოეზიაზე, „განთიადი“, № 4, 1978), „რწმენის ზნეობრივი სიმაღლე“ (რამაზ კობიძის რომანზე „გვიმრის ფოთლები“, „ლიტ. საქ“.



25/1, 1980). მშვენიერი წერილი უძღვნა გიორგი ლეონიძეს ოთარ ჩხეიძემ — „ოლე“ („მნათობი“, № 12, 1980). თამაზ კილაძემ, ვინც ასეთი საეტაპო მნიშვნელობის მქონე პიესები გამოაქვეყნა უკანასკნელ წლებში, რასაც დაძაბული შემოქმედებითი შრომა სჭირდებოდა, მაინც შეძლო და „მოიცალა“ ლიტერატურული ნარკვევებისათვის. მისი წერილები „იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამება“ („ცისკარი“, № 5, 1977), „აკაკი წერეთლის პოეზია“ („ცისკარი“, № 6, 1977), „ტოლსტოის გაკვეთილები“ („ლიტ. საქ“. 8/XI, 1978) ლიტერატურული აზროვნების, წარსულის გამოცდილების გათავისების, კლასიკური ნიმუშების ახლებური წაკითხვის, ღრმა ნააზრევის მხატვრული გადმოცემის პირდაპირ ბრწყინვალე ნიმუშებია. შესანიშნავი წერილები გამოაქვეყნა პოეტმა ემზარ კვიციანიშვილმა — „ქართული სიტყვის ბაზიერი“ (გიორგი ლეონიძის ლიტერატურული პორტრეტი, „ლიტ. საქ.“ 16, 23/IX, 1977) და „ქართული ლექსი 1979 წელს“ („მნათობი“, № 6, 1980). უნდა მოვიხსენიოთ ტარიელ ჭანტურიას ჩვეული ოსტატობით დაწერილი „ტრაგედიული ონომასტიკონი“ (ოთარ ჩხეიძის პიესებზე, „ლიტ. საქ“. 6/VII, 1979), ნოდარ წულეისკირის „საზიარო ყვავი“ ჟურნალ „ცისკარის ფურცლებზე“ („ლიტ. საქ“. 9/VIII, 1977), ტაგუ მებურიშვილის „სიჩუმე“ (არჩილ სულაკაურის ლექსებზე, „ცისკარი“, № 6, 1979), მიხეილ ქვლივიძის „პოეტის არჩეული გზა“ (ბესიკ ხარანაულის პოეზიაზე, „ლიტ. საქ“. 23/V, 1980) და სხვ.

ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველი მწერლების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიც ხშირად ბეჭდავენ კრიტიკულ წერილებს, რომლებიც ზიზღავენ მკითხველს მათში გამჟღავნებული ავტორისეული გულის სითბოთი, სიფაქიზითა და გემოვნებით, ღრმა და ორიგინალური დაკვირვებებით, პოეტური წვდომითა და თხრობის ოსტატობით. ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებიდან ამგვარი კრიტიკული ნააზრევის არაერთი ნიმუშის მოტანა შეიძლება, მათ შორის: თედო ბეჭიშვილის „სიყვარულით მოწეული გაზაფხული“ (რევაზ ინანიშვილის მოთხრობებზე, „ცისკარი“, № 8, 1979), „ბურუსის სინათლე“ (ოთარ ჩხეიძის პროზაზე, „ლიტ. საქ“. 4/I, 1980); მამუკა წიკლაურის „ჯილაურების მიწის ამბავი“ (თამაზ ბიბილურის „ჩივილზე“, „კრიტიკა“, № 4, 1977), „ბრძოლა დიდი ლიტერატურისათვის“ (გურამ ასათიანის წიგნზე, „ლიტ. საქ“. 25 /V. 1979); ლია



სტურუას „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ (პოეზიის ფენომენისა და მისი აღქმის შესახებ, „ლიტ. საქ“. 8/IX, 1978); ჯარჯი ფხოველის „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ (მურმან ლებანიძის პოეზიაზე, „ცისკარი“, № 6, 1978), „სინათლის გზა“ (სოსო პაიჭაძის მოთხრობებზე, „ლიტ. საქ“. 16/VI, 1978); ვანო ჩხიკვაძის „სათავეებთან“ (საბავშვო მწერლობაზე, „ლიტ. საქ.“ 8/II, 1980); დავით მჭედლურის „თანამედროვე ლირიკული პოემის გამო“ („კრიტიკა“, № 2, 1978); ვახტანგ ხარჩილავას „პოეტის სამი წიგნი“ (მამუკა წიკლაურზე, „განთიადი“, № 1, 1980) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე საკმაოდ ზვაგიანი მოსავალი მოიწია. ისიც ცხადია, რომ საქართველოში კრიტიკოსთა, ლიტერატურისმცოდნეთა, თეორეტიკოსთა მრავალრიცხოვანი და მძლავრი რაზმია, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი ამ ფრონტის წინაშე დასმულ ამოცანათა გადასაწყვეტად. და თუ ჯერჯერობით მაინც არა გვაქვს სასურველი შედეგი და მდგომარეობა, ეს იმის ბრალიცაა, რომ მოკვლევებს ორგანიზაციული მუშაობის მხარე.

მწერალთა კავშირის კრიტიკის სექცია უკანასკნელ წლებში აშკარად გააქტიურდა. სისტემატურად ეწყობოდა ლიტერატურული დისკუსიები, განხილვები, მრგვალი მაგიდები. ქართველი კრიტიკოსები აქტიურად მონაწილეობდნენ საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმების, კონფერენციების მუშაობაში. ყოველივე ამის შესახებ საინფორმაციო ცნობები იბეჭდებოდა პრესაში, უფრო „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. ახლა საქმეს ისიც უწყობს ხელს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შემსწავლელი განყოფილება. კრიტიკის სექციასა და ამ განყოფილებას შორის დამყარდა მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მწერალთა კავშირის და ლიტერატურის ინსტიტუტის ერთობლივი, შეთანხმებული, მაორგანიზებელი ძალის წყალობით, სამუშაოთა კოორდინირებით ქართველ კრიტიკოსთა და ლიტერატორ-მეცნიერთა რაზმი გაცილებით მეტის შექმნას შეძლებს.

მათთან ერთად კრიტიკის მაორგანიზებელი როლი უნდა იკის-





როს ლიტერატურულმა პრესამ. „მნათობი“, „ცისკარი“, „ლიტერატურული საქართველო“, „განთიადი“, „ჭოროხი“, სხვა პერიოდული გამოცემები აშკარად მეტ ყურადღებას უთმობენ კრიტიკას, უხვად ბეჭდავენ წერილებს, მაგრამ უფრო ხშირად იმას, რასაც თავად ავტორები სთავაზობენ. მათ კი ამასთანავე თავიანთი ღრმად შემუშავებული პოლიტიკაც უნდა გააჩნდეთ, რომელსაც განახორციელებენ კრიტიკოსთა დახმარებით. მაშინ ქართული კრიტიკა უფრო მიზანსწრაფული გახდება, მისი ყურადღება უფრო განაწილდება მთავარ საკითხებზე. ცხადია ამ საქმეში სრულიად განსაკუთრებულია ალმანახ „კრიტიკის“ როლი. ალმანახმა უდაოდ შეუწყო ხელი კრიტიკული აზროვნების განვითარებას, მაგრამ მისი მნიშვნელობა ბევრად უფრო დიდი და ქმედითი უნდა იყოს.

უკანასკნელი წლების ქართული კრიტიკის ერთი აღსანიშნავი დამსახურება ისიც გახლავთ, რომ მისი ყურადღება გასწვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები და მოღვაწე მწერლების შემოქმედებას. ბათუმელი, სოხუმელი, ქუთაისელი მწერლები ადრე სამართლიანად გვსაყვედურობდნენ უყურადღებობის გამო. ეს კავშირები, ყურადღება, თანამშრომლობა არც ახლაა სასურველ დონეზე, მაგრამ საქმე დაიძრა და იმედი უნდა ვიქონიოთ მომავალში უკეთეს ნაყოფს გამოიღებს. მწერალთა კავშირის კრიტიკის სექცია და ლიტერატურის ინსტიტუტის თანამედროვე პროცესების შემსწავლელი განყოფილება 1979 წლის დასაწყისიდან სისტემატურად ატარებს ერთობლივ გასვლით სხდომებს ბათუმში და სოხუმში, რომლებზეც იხილავენ იქაური მწერლების შემოქმედებას. ზოგჯერ მწერლებს, მათ შორის ახალგაზრდებსაც თბილისშიც იწვევენ მათი ახალი წიგნების განსახილველად. თბილისში უკვე ჩატარდა სოხუმელი მწერლების გიორგი სიჭინავას, რენე კალანდიას, გურამ ოდიშარიას შემოქმედების საჯარო განხილვები.

ახლა სულ უფრო ხშირად იბეჭდება რესპუბლიკის ცენტრალურ პრესაში (ცხადია, მეტწილად ლიტერატურული ჟურნალების და გაზეთების ფურცლებზე) ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში თუ სხვა ქალაქებში მცხოვრებ მწერალთა შემოქმედებაზე ვრცელი, პრობლემური და მიმოხილვითი, აგრეთვე კონკრეტული ანალიზისადმი მიძღვნილი წერილები. მათ შორის უნდა მოვიხსენიო გურამ კანკავას „ქართული მწერლობის საიმედო ფრთა“ (ბათუმელ პოეტებზე,

„ცისკარი“, № 12, 1978), „სოხუმი — ქართული მწერლობის ძლიერი ფლანგი“ („ცისკარი“, № 1, 2, 1979), ავთანდილ ნიკოლეიშვილის „პოეზია ჟურნალ „ჭოროხის“ ფურცლებზე“ („განთიადი“, № 4, 1978), ჯანსუღ ღვინჯილიას „რიწა“ (ლიტ. საქ. 7/VII, 1978), რევაზ მიშველაძის „პრობლემები, ძიება, წუნი“ („ჭოროხის“ ფურცლებზე დაბეჭდილ პროზაულ ნაწარმოებებზე, „კრიტიკა“, № 4, 1976), ჯარჯი ფხოველის „რიწა“ — პირველი ნაბიჯები“ („კრიტიკა“, № 2, 1978), ავთანდილ ჩხაიძის „მართლაც, ვინ არის იგი?“ (სოხუმში გამოცემულ ინდიკო კვეკვესკირის რომანზე „ვინა ხარ შენ, გოგი?“ „კრიტიკა“, № 4, 1979) და სხვ. დაიბეჭდა ჩემი ვრცელი წერილიც „გაორებული გრძნობა“ (ბათუმელ პროზაიკოსებზე, „ლიტ. საქ.“ 24/II, 1978). როგორც ვხედავთ, პერიფერიებიდან უყურადღებობას ვეღარ გვისაყვედურებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ პრეტენზიები აღარ გააჩნდეთ დედაქალაქის კრიტიკოსებისადმი და მწერლებისადმი. მომავალში მათდამი კიდევ უფრო მეტი გულსხმიერი დამოკიდებულება გვმართებს იმ მიზნით, რომ იქ ნაკლებად იბეჭდებოდეს მდარე ნაწარმოებები და დონე ქართული მწერლობისა არსად დაეცეს.

თანმაედროვე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას სხვაც აქვს კეთილად მოსახსენიებელი, არც სადაო და მიუღებელია მასში ცოტა. ყველაფერს ვერ გავწვდები, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე ჩემს მოსაზრებებს მომღვენო, დამამთავრებელ წერილში შევთავაზებ მკითხველს.

# კინოაპოკაპა ხალხის უვიღო

□  
 მიხეილ მახარაძე  
 □

ახალი ქართული მხატვრული ფილმის — „მშობლიურო ჩემო მიწავ“ (სცენარის ავტორები სულიკო ჟღენტი და რევაზ ჩხეიძე, დამდგმელი რეჟისორი რევაზ ჩხეიძე, კომპოზიტორი გია ყანჩელი) პროლოგში ასეთ კადრებს ვხედავთ: რაიკომის ახალი მდივანი გიორგი თორელი (მსახ. თემურ ჩხეიძე) ხალხს დატყვევებულ არწივს გააშვებინებს. გიორგი თორელის სიტყვები — არწივმა უნდა იფრინოს, მისი ადგილი ცაშიაო, მაყურებელს წინასწარვე ამზადებ! და განაწყობს იმისთვის, რომ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი უნდა მოენახოს. ყველამ უნდა შეასრულოს თავისი დანიშნულება. ადამიანისათვის უმაღლესი დანიშნულება ჭეშმარიტი გზით სიარულია. და ყველამ, განურჩევლად თავისი მდგომარეობისა, უნდა მოიხადოს ეს მისია.

ფილმის ავტორებს განსჯის საგნად გაუხდიათ სამხრეთ საქართველოს ისტორიული კუთხის — მესხეთის მიწა-წყალი. ისტორიულ მესხეთში ოდესღაც დიდი ქართული კულტურა ჰყვავდა. კერძოდ კი, შუა საუკუნეებში ამ მხარეში ქართულმა კულტურამ განსაკუთრებულ სიმაღლეებს მიაღწია. აქედან გამომდინარე, ქართველი კაცისათვის მესხეთის აღდგენას მხოლოდ სოციალური მნიშვნელობა როდი აქვს. მესხეთის ბედი, მისი მომავალი ფილმში უპირველესად აღიქმება როგორც ეროვნული პრობლემა. მესხეთი გაუთავებელი ომებისა და კიდევ სხვადასხვა მიზეზების გამო დაცარიელდა, საფუძველი მოერყა მის სიდიადეს.

ფილმში ამ მხარეს მხსნელად მოევიწყება ამავე კუთხის შვილი გიორგი თორელი, რომელსაც ბავშვობაში მამასთან ერთად უძებნია მაცოცხლებელი წყალი ვაიოს გავერანებულ ველებზე. გიორგი თორელი „არა მხოლოდ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის, ჩვენს

პარტიის შვილია, არამედ იგი შვილია ქართული მიწისა, ქართული ბუნებისა, ბავშვობიდანვე მისი მესაიდუმლე... ამიტომაც მთელი მისი შრომა, ბრძოლა ვაიოს გადახრუკული ველების ასაღორძინებლად აღიქმება, არა მხოლოდ როგორც დიდმნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა, არამედ როგორც დიდი ზრუნვა ეროვნული კრილობის განსაკურნავად“ (ნ. გურაბანიძე). ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრს.

ეს კრილობა კი ღრმაა და მას დროული შველა სჭირდება. ამ მხრივ შთამბეჭდავია გიორგი თორელის საუბარი დედასთან ტელეფონით. რაიკომის მდივანი მოუწოდებს იმ ტერიტორიიდან წასულთ, დაუბრუნდნენ მესხეთს. საუბრისას, კადრიდან თანდათან ქრება თორელის სახე, საუბარი კი გრძელდება, რომლის ფონზეც მოჩანს მესხეთის დიდებული მხარე თავისი ისტორიული ძეგლებით. ამ კადრის ნახვისას ადამიანს გეუფლება გრძნობა, რომ აქ მშობლიური მიწა, წინაპართა აჩრდილები გველაპარაკებიან და შველას გვთხოვენ. ასეთ სიტუაციაში გვაქვს თუ არა უფლება უმოქმედოდ ვიყოთ? რა თქმა უნდა არა! და თორელის გადადგმული ყოველი ნაბიჯი ფაქტიურად არის ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის აუცილებლად გასავლელი გზა.

ამგვარ ვითარებაში ყოველთვის ძნელია საქმის დაწყება. გიორგი თორელი ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას იღებს—აღადგინოს ვაიოს ველები და იქ გააშენოს ვაზის კულტურა. გიორგი თორელი დიდ მიზანს ისახავს. მოერევა იგი ამას თუ, ლამანჩელი რაინდის მსგავსად, ეს ქარის წისქვილებთან ბრძოლაა? როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: თვით ეს იდეა ლამანჩელისა იმდენად წმინდაა და მარადიული, რომ მისი განხორციელების მიზნად დასახვა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და გიორგი თორელიც ამ რჩეულთა რიცხვს ეკუთვნის უდავოდ. თვით ფილმში დონ-კიხოტის გადაღების კადრებიც ამ მიზნით უნდა იყოს ჩართული.

ფილმში ვაზისადმი ყურადღება იმას მოწმობს, რომ ამ კუთხეში უპირველესად დავიწყებული ქართული ტრადიციები უნდა აღსდგეს. ეს თუნდაც იმიტომ, რომ საქართველო, ქართველი კაცი, მისი ისტორია ვაზის გარეშე წარმოუდგენელია. შემთხვევითი არ იყო რომ მომხდურნი ქართული სულის მოსპობისათვის ვაზის ამოძირკვასაც მიმართავდნენ. ვაზისადმი ქართველი კაცის სიყვარული ფი-

ლმში ბევრგან დამაჯერებლად ჩანს. რად ღირს კადრი, როდესაც აბესალომ დევნოსაძეს ცრემლები მოსდის სიხარულისგან, როცა გაიგებს, ვაზის კულტურა უნდა აღდგეს მესხეთშიო. ასევეა მისი ძმა ბაგრატ დევნოსაძე, რომელიც უკვე დაბრუნებულია მესხეთის მიწა-წყალზე და შედგომია ამ საქმეს.

ფილმის ნახვისას ძნელი არაა სულიკო ჟღენტისა და რევაზ ჩხეიძის შემოქმედებაში ერთი საერთო ხაზის დანახვა, რომელიც ამავე დროს მკაცრად ეროვნული ხასიათისაა. მხედველობაში გვაქვს ფილმები „ჯარისკაცის მამა“, „ნერგები“ და განსახილველი ფილმი. „ჯარისკაცის მამაზე“ გასაგები მიზეზების გამო არაფერს ვიტყვით. განა ლუკა ოდილავაძის საუბარი ხეჭეჭურის ნერგებზე ავტობუსში უცხოელებთან სწორედ ამის დადასტურება არაა? ამ საუბრისას უცხოელთა უგულო პრაქტიციზმს უპირსპირდება ქართველი კაცის დიდი სული. ლუკა ოდილავაძე არც კი ფიქრობს მოესწრება თუ არა ხეჭეჭურის მოსავალს, რომელსაც სულ ცოტა 10-12 წელი მაინც დასჭირდება. ეს არის ერთი უბრალო ქართველი მოხუცი, რომლის ყველა მოქმედება სიკეთითაა გაჟღენთილი და ყოველი მისი ქცევა მარადიულობასთანაა დაკავშირებული. მას თავისებური ბრძნული წარმოდგენა აქვს ამ მარადიულობაზე („სამყაროს შექმნა არც არავისთვის უკითხავთ და არც მის მოსპობას კითხავენ ვინმეს“). ამ მარადიულობაში ყველას თავისი მოვალეობა აქვს და ვალდებულია შეასრულოს იგი. ასევე მსჯელობს ბაგრატ დევნოსაძეც. როგორც მახარაშვილი და ოდილავაძე, ასევე დევნოსაძე საკუთარი ერის წიაღიდან ამოსულნი არიან. ისინი ატარებენ ქართველი კაცის ყველა საუკეთესო თვისებებს. მათ ასულდგმულებს საფუძვლიანი ოპტიმიზმი და რწმენა მარადიულობისა. სწორედ ამგვარმა მისწრაფებამ და რწმენამ გააძლებინა ქართველ კაცს.

გიორგი თორელი ახალციხის მუზეუმში რუკაზე ნასოფლარების აღმნიშვნელ სახელებს დასცქერის. არაშენდა, დაუხვდი, დაჰკარი... ეს სახელები თავისთავად ბევრს მეტყველებენ, უთქმელად გვამცნობენ ამ კუთხის მძიმე წარსულის შესახებ. ეს კუთხე რომ შევლას საჭიროებს, ყველასათვის ცხადია, ამას თითქოს ყველა გრძნობს, მაგრამ საქმის დროს უმრავლესობა გვერდზე ყოფნას ამჯობინებს. ფილმის ბოლო კადრებში გიორგი თორელი თბილისელ მასწავლებელს

უსაუბრება. მასწავლებელს (მსახ. ზურაბ ყიფშიძე) ნამდვილად შე-  
სტკივა გული საქართველოს ამ ლამაზი კუთხისადმი. მაგრამ მარტო  
გულისტკივილი ვერაფერი ნუგეშია, თუ კი ადამიანს არ გააჩნია  
შინაგანი ძალა, რომ ეს ტკივილი აქტიურ მოქმედებაში გადაზარ-  
დოს. ამიტომაც შვებას გრძნობს მაყურებელი, როდესაც მასწავლე-  
ბლის თითქოსდა სამართლიან საყვედურებზე თორელი პასუხობს,  
მარცხ არა ხარ მართალიო. ამ მომენტში ყველა თორელის მხარე-  
საა. ამ პასუხიდან ისიც ცხადია, რომ სამშობლოს სიყვარული, მი-  
სი მიწა, მისი ისტორია და მასზე ზრუნვა მსხვერპლს მოითხოვს,  
ბევრ რამეზე უარის თქმას იმთავითვე გულისხმობს. სამშობლო ამ  
შემთხვევაში ვერასოდეს ვერ იქნება ტურისტული გასეირნების,  
მოგზაურის ცნობისმოყვარეობისა და სხვა ამგვართა დასაკმაყო-  
ფილებელი ასპარეზი. გვახსენდება აჭარელთა დელეგაციის ჩამო-  
სვლასთან დაკავშირებული კადრები, რომელთაც ვაიოს ველი უნ-  
და დაათვალიერონ აქ აჭარელთა შემდგომი ჩამოსახლების მიზ-  
ნით. მათ ყოველთვის რაღაც არ აკმაყოფილებთ. მაგრამ აქ ყვე-  
ლაფერი რომ მოწესრიგებული იყოს, მაშინ არც მოსახლეობის  
ნაკლებობა იქნებოდა. თორელის უბრალოდ ნათქვამში — ესეც  
თქვენი სამშობლოაო, ყველაფერი ნათელია; სამშობლოს, მის  
მიწას ზრუნვა სჭირდება.

ერის სპეციფიკას მის ხალხთან, მის კულტურასთან ერთად  
ქმნის ის გარემოც, სადაც ეს ერი ჩამოყალიბდა. ერთერთი მათგანის  
ხელყოფა საერთო ეროვნულის ხელყოფაა. ფილმში ამის ფაქტებიც  
ბევრია. ნიშანდობლივია, რომ ყოველივე ეროვნულს საფრთხეს უქმ-  
ნიან ის „ყოვლისშემძლე“ არაკაცები, რომელთაც აუცილებლად ვი-  
ნმე უმაგრებს ზურგს. როგორ კარგად ჩანს ფილმში, თუ რა შეუ-  
ძლია გააკეთოს ადამიანმა, როცა მას ადამიანურობა დაკარგული  
აქვს. ამგვარ პერსონაჟად ფილმში გვევლინება მერაბ სეთურიძე  
(მსახ. გიორგი ხარაბაძე) თავისი „მეგობრებით“. მათთვის სამშობლო  
— ამ შემთხვევაში საქართველო — ის ასპარეზია, სადაც მათი მტა-  
ცებლური მისწრაფებები უნდა დაკმაყოფილდეს. უფრო მეტიც. მათთვის  
სამშობლო იმდენად არსებობს, რამდენადაც თვითონ არსე-  
ბობენ. ამიტომაც მათთვის ყოველი ქცევა გამართლებულია. სწორედ  
ესენი არიან, ვინც კარიერს აფეთქებენ გამდიდრების მიზნით და  
ამისათვის ვარძიის ისტორიულ კომპლექსსაც კი არ უფრთხილდე-

ბიან. ეს არამზადები ყოველგვარი საშუალებით ხოცავენ აქ-იქ, კან-ტი-კუნტად შემორჩენილ შველს, რომელიც ქართველი კაცი სათვის უფრო მეტია, ვიდრე ტყეს შეფარებული უმწეო ცხოველი; ესენი ჩებავენ ვაზის ნერგებს, რომელსაც ქართული კერის განედლება უნდა მოყვეს მესხეთში. სწორად ეუბნება გიორგი თორელს დედა: ეს ნაჯახი შენ მოგიქნიეს შვილო! სრული სიმართლეა. და არა მარტო თორელს მოუქნიეს ნაჯახი, არამედ ყველას იმას, ვისაც თავისი ერის ძლიერება სურს.

ფილმში კარგადაა ნაჩვენები ჩვენი რეალური სინამდვილისათვის დამახასიათებელი მანკიერი მხარეები. მაყურებელი გულგრილი ვერ დარჩება ამგვარი კადრების ხილვისას, იქნება ეს ჩოგნარის კოლმეურნეობაში მიმდინარე მოვლენები, თუ საავადმყოფოში მომხდარი ტრაგედია. ყოველივე ეს რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. მრავალთაგან გომბორის საავადმყოფოში მომხდარი ტრაგედიის გახსენებაც საკმარისია, რომელსაც ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ასევე ბევრის მთქმელია ის კადრიც, სადაც ნაჩვენებია მეძუძური დედის საუბარი რაიკომის მდივანთან. იქაც ნათლად ჩანს ბიუროკრატიზმის გამოვლინება. ჩვილი ბავშვის დედას ვერ შეუღწევია რაიკომის მდივანთან. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ჩავგვაგონებს, რომ ბრძოლა უპატიოსნობის, ბიუროკრატიზმის, არაკაცობის წინააღმდეგ ყოველთვის საჭიროა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩირქი მოეცხება იმ წმინდა საქმეს, რასაც ექიმი ასრულებს, რასაც ხელმძღვანელობა ჰქვია.

ხელმძღვანელად როგორც წესი, ხალხისაგან გამორჩეულ პიროვნებას ირჩევენ. ასეთია გიორგი თორელიც. რა კარგადაა ფილმში ნაჩვენები თორელი ბიბლიოთეკაში. თორელი-რაიკომის მდივანი სწავლობს ნიადაგმცოდნეობის საფუძვლებს, რათა თვითონვე გაიგოს ადგილობრივი ნიადაგის აგროქიმიური შედგენილობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი თორელისათვის, როგორც მესხეთის მკვიდრისათვის, ეს მხარე ყოველმხრივ მნიშვნელოვანია. ამის მაჩვენებელია მისი სახე და შეკრული ხელი, როდესაც იგი ისმენს ქართულ სიმღერას საზღვრის იქითა მხრიდან. ამ მომენტში მნახველს ღრმად გწამს, რომ თორელის პიროვნება იმათი ბედითაც არის დაინტერესებული, ვინც ცხოვრების უკუღმართობამ მათ ძმებს დააშორა...



ადამიანი შეცდომის გარეშე არ არსებობს. რამდენადაც შეცდომა მხოლოდ ადამიანს მოსდის, ამდენად მისი გამოსწორება მხოლოდ მასვე ძალუძს. შეცდომების გამოსწორებაში, აღმოფხვრაში დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე ადამიანს, საზოგადოებას. ახალბედა აღმასკომის თავმჯდომარე გურამ ლლონტი (მსახ. ირაკლი ჩიხა-ნიშვილი) თავიდანვე სხვების გავლენის ქვეშ მოექცა. მაგრამ გიორგი თორელის პიროვნებამ და პირადმა მაგალითმა იხსნა იგი. ცდება გიორგი თორელიც, მან დროზე არ მიიღო ზომები ავარიული ელექტროსადგურის შესაკეთებლად, რაც ბოლოს სანანებელი გაუხდა. თორელი ომში დაღუპულის ქვრივს სახლის გადახურვას შეჰპირდა, მაგრამ ვერ შეასრულა დანაპირები. იგი ერთი შეხედვით მშვიდად ისმენს ქალის საყვედურებს, „მაგრამ მაყურებელს არ გამოჩნება ვის თავზეა ამ დროს ნამდვილი ღვთის წყრომა, ვინ უფრო ცუდ დღეშია ამ დროს, მთხოვნელი თუ ის ვინც შეპირდა, ვისაც გულით სწადდა დედაბრის დახმარება და ვერ კი შესძლო“ (გ. დოლიძე). სრული სიმართლეა ნათქვამი. ამ მომენტში გიორგი თორელის გამოხედვა, მისი დიდი შინაგანი სულიერი ტანჯვის გამოხატულებაა. ფილმის გმირის ამ სულიერ განცდებს შესანიშნავად და დამაჯერებლად გადმოსცემს თემურ ჩხეიძე.

ფილმის უმთავრეს მიღწევად მიგვაჩნია ის, რომ მასში ყურადღება გადატანილია დადებით გმირზე. ამგვარ დადებით პიროვნებაში, როგორც სარკეში, ირეკლება ყოველივე... გიორგი თორელის პიროვნება მაყურებლის მიერ აღიქმება, როგორც იმგვარი სარკე, რომელშიც უნდა „გაიაროს“ ყოველმა ჭეშმარიტმა ადამიანმა. ამიტომაც ფილმის ნახვის შემდეგ ადამიანი, რომელი კატეგორიისაც არ უნდა იყოს იგი, განურჩევლად თავისი მდგომარეობისა, გულვრილი ვერ დარჩება საკუთარი თავისადმი, იმდენად მაღალ მოთხოვნილებას უყენებს ფილმი ადამიანს. მით უმეტეს, ყველა იმ ხელმძღვანელისათვის, რომელიც ადამიანურ ნორმებს ღალატობს, ეს ფილმი ძნელი სანახავი იქნება. მართებულადაა აღნიშნული, რომ „დიდი ხანია არ შემხვედრია ასე უშუალოდ, დიდი შინაგანი სიბოთი და სიმართლით მოქმედი და მოლაპარაკე გმირი, როგორიც თემურ ჩხეიძის გიორგი თორელია. თავისი ადამიანური მომხიბვლელობით, სინათლით, სიმართლით, ინტელექტით, სიწმინდით იმდენად დამაჯერებელია, რომ მწამს: პატივმოყვარეობით, ამბიციით შეპყ-



რობილ ბევრ ადამიანს ჩამოგლეჯს იგი სიყალბის ნიღაბს და თავისი ვიწრო ეგოისტური ზრახვების დედიშობილად დატოვებს“ (ე. ამა-შუკელი).

„მშობლიური ჩემო მიწავ“ ქართული კულტურის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი გარკვეულად პასუხს აძლევს იმ ერთობსავე დამოკიდებულებას ქართული კონოსადმი, თითქოსდა ქართული კინოს თემატიკა ერთფეროვანია. ეს ფილმი კი თავისი მასშტაბურობით, მასში დასმული პრობლემატიკის მრავალგვარობით ზემოაღნიშნულ მოსაზრებას საფუძველს აცლის.

ამ ფილმს დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს. „ფილმის ნახვის შემდეგ... ყველა ქართველში დიდი სულიერი მოძრაობა დაიწყება“ (ნ. დუმბაძე). ფილმში სასიკეთოდ დამთავრებული გადასახლების კადრები მაყურებელში აუცილებლად აღძრავს მისი რეალურად განხორციელების სურვილს. გვახსენდება ამ რამდენიმე წლის წინ პოეტ ფრიდონ ხალვაშის მოწოდება, მესხეთში მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის გადაყვანის თაობაზე. ეს იდეა ყველამ მოიწონა. სამწუხაროდ, მას პრაქტიკულად ჯერჯერობით დიდი შედეგი არ მოყვლია მაშინ, როცა მესხეთის აღდგენისათვის იქ სწორედ ქართველი მოსახლეობის ჩასახლებაა აუცილებელი. ამასთანავე მესხეთში მეურნეობის სწორედ ის დარგებია, რომლებიც მახლობელია მაღალმთიანი აჭარის მცხოვრებთათვის (მესაქონლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა). ამით, აგრეთვე, მოხდება მაღალმთიანი აჭარის ჯარბი მოსახლეობისაგან განტვირთვა. ყოველივე ამას რიგი ტექნიკური სიძნელეები ახლავს. მთავარი კი მაინც გზაა (ფილმში ამის შესახებაცაა საუბარი). იქაური გლეხები ამბობენ, გოდერძის უღელტეხილი ასე დიდხნით რომ არ იკეტებოდეს და რეგულარული ავტობუსები რომ დადიოდეს ზულო-ახალციხის გზაზე, მაშინ არავითარი აგიტაცია აღარ იქნება საჭირო მესხეთში ჩასახლებისათვის.

ბოლოს კი გვინდა აღვნიშნოთ: ამ ფილმის ნახვის შემდეგ ადამიანი გახარებული ხარ იმით, რომ ამაღლდი, ეზიარე რაღაც უხილავს, განიცადე ის, რაც შენში ყოფილა, მაგრამ გამჟღავნებას საჭიროებდა.



# „რიკა“ — ლექსების ახალი კრებული

□  
ავთანდილ ჩხაიძე

□  
იმ საღაც იქნება სინათლე,  
იქნება ჩვენი სამყოფელი,  
ხვანური უძველესი სიმღერიდან  
„რიკა“.

შენ მაშინ ტყვიებით  
სტრიქონებს წერდი  
და მამულისთვის  
მიქროდი წინ...

ასე იტყვის დიდი ხნის შემდეგ  
რევან მარგიანი თავისი თაობის  
ერთ-ერთ პოეტზე. სიყვარულით  
და ტკივილით წერდა ამ სტრიქო-  
ნებს და იგონებდა ადრე წასულ  
ბიჭებს, ღიმილიან ბიჭებს...

„ასე დადიოდნენ ისინი თბი-  
ლისის ქუჩებში, თეატრებსა და  
კინოებში, კრებებსა და მოხსე-  
ნებებზე, იმთაწმინდის პლატოზე,  
ოქროყანაში, ბოტანიკურ ბაღ-  
ში და ერთად იღებდნენ ფოტო-  
სურათებს. სულ გარეთ და გაშ-  
ლილ ჰაერზე უნდოდათ ყოფნა.  
ზოგიერთი მათგანი თითქოს  
გრძნობდა, რომ მალე დახუჭავ-  
და თვალებს და ვეღარ იხილავ-  
და თბილისის ზეცას“.

ასე დადიოდნენ ლაღო ასა-  
თიანი, მირზა გელოვანი, ალიო-  
შა, საჯაია, გიორგი ნაფეტვარიძე,  
ლაღო ავალიანი, ალექო შენგუ-  
ლია, რეზო მარგიანი...

ცოტალა დავრჩით,  
ულმობელ ქარში  
შეთხელდა ძმათა ჩვენთა ბანაკი.  
ამ საწუთროში ცოტალა დავრჩით —  
ჩვენ — ვისაც გვჭვია ტოლ-ამხანაგი.  
ეს სტრიქონები რევან მარგიან-  
ის ახალი წიგნიდანაა. „რიკა“ —  
სინათლე, ასე ჰქვია მას. წიგნი,  
რომელიც სითბოთი და სიყვა-  
რულითაა სავსე, ლექსების ბა-  
ლადების, ლირიკული პოემების  
ახალი კრებულია.

„ბოლო წლებში შექმნილ ნა-  
წარმოებებს თავი მოვუყარე და  
ერთ წიგნად შევკარი (მხოლოდ  
ხუთიოდე ლექსი შევიტანე წინა  
წიგნიდან). ლექსების უმრავლე-  
სობა დროდადრო ქვეყნდებოდა



ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, რამდენიმე ქმნილება საერთოდ პირველად იბეჭდება და მკითხველისათვის უცნობია.

წიგნი რკალეზად განგებ არ დავყავი და არც ლექსები დავათარილე, რადგან ყველა მათგანი ჩემი შემოქმედებითი ნუშაობის ბოლო პერიოდს განეკუთვნება.

მოკრძალებით ვთავაზობ მკითხველს ჩემს ახალ კრებულს — წერს რევაზ მარგიანი წიგნის წინასიტყვაობაში.

განვლილი წლების ექო, შეხვედრა თავის წარსულთან, ფიქრი მომავალზე — აი, ის ლაიტმოტივი, რაც წითელი ხაზივით გასდევს ამ კრებულს.

„ცოტალა დავრჩით ამ ქვეყანაზე, ჩვენ — ვისაც გვქვია ტოლ-ამხანაგი“, — ამბობს პოეტი და მის თვალწინ ჩაივლის ის ქარიშხლიანი დღეები, რომლებმაც სასტიკი ტკივილი დაუტოვა ყველას.

მძინვარე ომი.  
ათასცხრაას ორმოცდათარი.  
თოვლის სველ ქურქში  
დაგძაგებდა თვითონ ზამთარი.  
ვერ მივიჩვიე  
ზარბაზნების ხმა უცნაური  
და შთაგონებაც  
გრივალისგან იყო დამფრთხალი!

დადიან ისინი კენტად თბილისის ქუჩებში, ომისა თუ ბედის მძიმე ჩარხის გრივალს გადარჩე-

ნილები და დააქვთ სევდა გზებ-ლილ წლებზე, მოგონება მეგობრებზე და ტკივილი, რომელიც დალად აჩნია მათ სულს. „ჩვენ ვხვდებით მხოლოდ გლოვა-ტირილში და თვით არ ვიცით, ვის ვემიჯნებით, მოქსოვილები ერთი გვირისტით, დღეს კი ჭალარა გოგო-ბიჭები...“

რევაზ მარგიანის პოეტური სამყარო თავისებური და უცნაურია. თავიდანვე, როგორც კი პოეტის პირველი ლექსები დაიბეჭდა, ერთხმად იქნა აღიარებული რ. მარგიანის პოეტური ხმის თავისებურება. მაშინ ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა პოეტმა დაიმკვიდრა ადგილი თავისი თაობის პოეტთა შორის.

რევაზ მარგიანს არც წინათ და არც დღემდე არ მოკლებია მკითხველის ყურადღება, რაც ასე ბევრს ნიშნავს პოეტისათვის საერთოდ.

თვალი რომ გადავაგლოთ რევაზ მარგიანის პოეტურ გზას, დავინახავთ იმ ძიებებს და ახლისაკენ სწრაფვას, რაც მთელ მის შემოქმედებას ნათელ კვალად აჩნია. თავისი „მირანგულათი“ რევაზ მარგიანმა ახალი სიტყვათქვა ქართულ პოეზიაში; შემდგომ მისი სათქმელი უფრო განმტკიცდა და გაღრმავდა. მან შეძლო სრულიად ახლებურად წაეკითხა სვანური ხალხური ლე-



ქსი; მზითა და თოვლიანი მწვე-  
რვალების სიყვარულით გაათბო  
სათქმელი და ალბათ სწორედ  
ამან განაპირობა მისი პოეტური  
გზის დასაწყისის ფეხბედნიერო-  
ბა. პოეტი არც შემდგომ ლალა-  
ტობდა არჩევანს, მაგრამ მის შე-  
მოქმედებაში უფრო მეტმა სი-  
დინჯემ, ზომიერებამ და სიტრთ-  
ხილემ იჩინა თავი. ყოველი სტრი-  
ქონი რუდუნებითა და სიტყვისა-  
დმი ფაქიზი დამოკიდებულებით  
იწერებოდა.

რევაზ მარგიანის შემოქმედე-  
ბის შემდგომი სვლა თითქოსდა  
სიჩუმისკენ სვლა იყო. პოეტმა  
შეძლო შეექმნა თავისი სამყა-  
რო — ლამაზი და შეუმჩნეველი,  
ბრჭყვიალა ფერებით მოუთრვე-  
ლი. პოეტი თითქოსდა საკუთარ  
თავს ჩაუღრმავდა, განერიდა ხმა-  
ურს და შეეცადა ახალი ფერებით  
გაემდიდრებინა თავისი პოეტუ-  
რი სამყარო.

თამამად შეიძლება ითქვას,  
რომ პოეტის ბოლო დროს გამო-  
ცემულ წიგნებს შორის ლექსე-  
ბის ახალი კრებული „რიკა“ ერთ-  
ერთი პირველ ადგილს იჭერს. ამ  
წიგნით რ. მარგიანი სიახლისა და  
ძიებისაკენ მიილტვის. ალბათ  
ამიტომ ამბობს იგი:

არ ვიცი, რა ხდება,  
ეს რა მემართება,  
მგონი, დამიბრუნდა  
ძველი შემართება!

ახალი კრებული მამულის,  
ქართული მიწის სიყვარულითა და  
სითბოთია გაყენებული. პოეტი  
თითქოს ხელის კანკალით ფურ-  
ცლავს წარსულის შტვრიან ფურ-  
ცლებს, ელაციცება წინაპართა  
ლანდებს, მათზე ფიქრით ნაკარ-  
ნახევ სტრიქონებში საკუთარ გა-  
ნცდებს გამოხატავს. საუკუნეებს  
გადმოცილებულ „შუბთა ჭახა-  
ნში“ იგი ხედავს, როგორ „ხე-  
ლაპყრობილი დგას იკორთა და  
არტანუჯი“. ლექსში „ქართლის  
ცხოვრება“ ჩემს მაგიდაზე“ პო-  
ეტი იგლოვს წარსულში გადატა-  
ნილ ტანჯვა-ვაებას, ამავე დროს,  
ლექსი ინარჩუნებს შემართებასა  
და რწმენას მომავლისადმი:

ჯარივით მიჯრილ  
სტრიქონებში ბოლავს ხანძარი,  
კუბრსა და კვამლში  
ჩაძირულა თეთრი ტაძარი.

ხელს მიწვავს, მაგრამ  
ვაფათურებ მწვავე ლაღარში,  
ბალღივით ვმარცვლავ  
ამ ორ სიტყვას:—წარღვნას გადარჩი!  
და შუბი შენი  
გველეშაპის ყბაში გაჩრილა.  
ო, ღმერთო ჩემო,  
ეს რა ძალამ გადაგარჩინა!

პოეტისათვის საქართველო მა-  
რტო წარსულზე ფიქრი არ არის,  
იგი მომავალს ნათელი თვალით  
უცქერის და გულისტკივილით  
გვერდს ვერ უვლის იმ ნაკლს,



რაც გვაქვს. მისი წუხილი არ იფარგლება ვიწრო, მხოლოდ და მხოლოდ მისეული გულისტკივილით. ეს გულისტკივილი, მთელი ერთი გულისტკივილია. ეს არ არის ყალბი ფრაზები, ეს გულში ჩამარხული სატკივარის ლამაზად გაცხადებაა და ამიტომ არის, რომ ლექსი აღწევს მიზანს:

ძველთან შედარებით  
 მრევლი გვიმრავლდება,  
 წლეულს შარშანდელზე  
 მეტი იბადება!  
 თუ რამ მინატრია,  
 ეს ის სინათლეა,  
 ჩემი აღტაცების,  
 ლხენის წინადლეა,  
 მაინც ვნადვლიანობ,  
 სულში მენამქრება,  
 ბალღი ბევრი გვყავს  
 და მაინც მენატრება.

საერთოდ, რევაზ მარგიანის პოეტურ სიტყვას სჩვევია სისხარტე, მოქნილობა, რაც პოეტის ოსტატობის ესოდენ დამახასიათებელი თვისებაა.

რევაზ მარგიანის ახალ წიგნში გვხვდება ბევრი მომხიბლავი, დასამახსოვრებელი მხატვრული სახე, რომელიც ისევე ბუნებრივია, როგორც ამოსუნთქვა: „ენგური ამ დროს ცას სტაცებდა კბელ-ცხელ ვარსკვლავებს, კალმახის ზურგზე და ჩქერებზე გადასაყრელად“; არ შეიძლება არ დაგამახსოვრდეს: „კავკასიონი ელვით არის თითქოს ნაწერი“.

მსგავსი მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება.

ასეთი მოქნეული და სხარტი სტრიქონები მთლიანობაში ქმნიან შთაბეჭდილებას, რომ რევაზ მარგიანმა თავისი ახალი წიგნით საკუთარი შემოქმედების სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა და მოკრძალებით შესთავაზა მკითხველს.

ცალკე რკალად უნდა გამოვყოთ ლექსების ციკლი — „კლდეეთი ჩემი დედულეთი“ და ლექსები სვანური ციკლიდან. „უცხად შემომესმა სუნთქვა წარმართული“ — ამბობს პოეტი ლექსში „მახვში“. პოეტისათვის თითქოს და დრო გაიყანა და იგი წუთით აღმოჩნდა სამყაროში, რომელიც პირველქმნილი სილამაზითა და უბიწოებითაა აღსავსე. აქ ყველაფერს სულ სხვა ელფერი და მნიშვნელობა აქვს.

რიპა — სინათლედ გასხავდნენ ოდით,  
 რიპა,  
 რიპა — სინათლედ,  
 უქრობელ სინათლედ მოდი, რიპა.  
 აანთე ჩვენი მდელი და კორდი, რიპა.  
 ხალხს გამოუწოდე სინათლის ტოტი,  
 რიპა...  
 რიპა — იქ, სადაც იქნება სინათლე,  
 რიპა,  
 იქნება ჩვენი სამყოფელი, რიპა...

საერთოდ, სვანური მითოსი ახლობელია რევაზ მარგიანისათვის. ამას ადასტურებს მისი „ძველებური სვანური ტირილი“.



„ბილება“ და სხვა ლექსები.

კრებულში შესული ლექსებიდან ცალკე უნდა გამოვეყოთ ორი: „წვიმამ დამიმარტოხელა“ და „ყველაფერი წამში მოხდა“. აქ პროეტმა შეძლო შეექმნა განწყობილება, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს თითქოსდა თვალის ერთი მოვლებით შეგრძნებულ სურათს:

ელვა გაგვიშინაურდა,  
ვგრძნობდი, ღრუბლებს აურევდა:  
კარგს არაფერს არ გვიქადა  
ელვის გაშინაურება!

განწყობილება უფრო ამალ-  
ლებულია, ვიდრე თვითონ სუ-  
რათი.

რევაზ მარგიანი უფრო ტკივი-  
ლის პროეტია, მაგრამ ეს ტკივი-  
ლი არ არის ავადმყოფური შეგ-  
რძნების ჩარჩოებში მოქცეული,  
ეს ტკივილი ზოგადადამიანურია,  
სისხლხორცეულია შემოქმედ-  
სათვის და ამიტომ არც მკითხვე-  
ლისთვისაა უცხო. მით უფრო,  
როცა ამ ტკივილს სიცოცხლის  
რწმენაც ახლავს თან: „ეს სიმ-  
ღერაა — ელვის ნამსხვრევი, უშ-  
ბის პიტალო შუბლს ასხლექილი.  
ეს სიმღერაა — ცისკრის ნამცვრე-  
ვი და ვარსკვლავების მრავალწე-  
რტილი“. წუთიერი ნაღველის შე-  
მდეგ პროეტისათვის ისევ დგება  
„წვიმისა და ღვინის დღესასწაუ-  
ლი“, „არგაგონილ ქუხილამდე“  
პოეტს კვლავ ეუფლება ძველე-

ბური შეგრძნება და ეს შეგრძნე-  
ბა, უბრალო, მაგრამ მომხიბლა-  
ვია:

გააღე ფართოდ  
ჩვენი ფანჯარა,  
შინ შემოვიდეს  
წვიმის ხმაური.  
შენც გიხაროდეს!  
ჩემთვის დამდგარა  
წვიმის და ღვინის  
დღესასწაული.

რევაზ მარგიანის პროეტურ ხმას  
თითქოსდა დაღლილობა ეპარება,  
ხან კი ძველებურად ომახიანია:  
„კვლავ სიცოცხლეზე მინდა გიამ-  
ბო და სიყვარულზე გაგესაუბრო.  
ხედავ, მწვერვალი როგორ კია-  
ფობს, როგორ ციმციმებს ჩემი  
საუფლო!“ მისი ფიქრი ხში-  
რად დასტრიალებს თავს ყრმო-  
ბას, რომელიც პროეტმა მშობლი-  
ურ სოფელ მულახში გაატარა და  
დღესაც ცხოვრების გზებზე შო-  
რეულ ათინათად გამოჰყოლია  
უკვე თმაშევერცხლილს. საოცა-  
რია მულახური წვიმაც კი „მუ-  
ლახში ახლა საოცრად ცრის, წვი-  
მაა საზარელი. თითქოსდა ამ  
მთებს — უხსოვარ ხნის დაესხ-  
ნენ ხაზარები“. ყაისინ ყულიევი-  
სადმი მიძღვნილ ლექსში იგი  
ისევ იგონებს მულახს:

თუ ახლა შენთან, ჩეგემში თოვს,  
მულახშიც გათოვდება!  
ფიქრებში მაღალ მწვერვალზე მყოფს,  
ჩეგემი მაგონდება.

პოეტი დუმილით სცემს პა-  
ტივს ომის მრისხანე წლებში და-  
ღუპულთა ხსოვნას: „ეს თქვენ  
გეკუთვნით დუმილის წუთი,  
თქვენს ჩამქრალ თვალებს,  
თქვენს ნათელ ხსოვნას. აუღებე-  
ლი ციხის და ზღუდის აღებისათ-  
ვის მოგებულ ბრძოლას!“ ეს ყვე-  
ლაფერი საკუთრივ გადატანილი  
და შეგრძნებულია. ამიტომაც,  
რომ ომის თემაზე დაწერილი მი-  
სი ლექსები თვალნათლივ გვი-  
ხატავს იმ საშინელებას, რაც ომ-  
მა მოუტანა ადამიანებს. დღეს,  
საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შე-  
მდეგ, ეს ტკივილი უფრო გაღრ-  
მავებულია, იგი მოუშუშებელ  
ჭრილობად დარჩენილა პოეტის  
სულში:

სამასი ათასი...  
არ მსურს გაგონება.  
კლამი მეურჩება და სუნთქვა მიჭირს.  
სამასი ათასი  
ჩამქრალი შთაგონება,  
სამასი ათასი ქართველი ბიჭის...  
სამასი ათასი...  
საბედისწეროდ  
ტყვიით დაცხრილული გული და  
მკერდი!

შენ რაც შეგეძლო,  
მამულო ჩემო,  
სისხლი გაიღე იმაზე მეტი!

თავისი ლექსებით რ. მარგიანი  
წარმოგვიდგა როგორც დაუღლე-  
ლი შემოქმედი. მისი თითოეული  
სტრიქონიდან ქართული მიწის,  
ქართული ცის სიყვარული და სი-  
საზე იღვრება. წიგნი გამთბარია  
ადამიანებისადმი სიყვარულით  
და მათზე ზრუნვით; ეს ნათელ  
კვალად გასდევს მთელს კრე-  
ბულს. დაბოლოს, წერილი, რო-  
მელშიც ჩვენი მოკრძალებული  
აზრი გამოვთქვით რ. მარგიანის  
ლექსების ახალ კრებულზე, გვი-  
ნდა — ისევ პოეტისეული სტრი-  
ქონებით დავამთავროთ:

საუკუნის მეხუთედი დამრჩა,  
ოციოდე წელიწადი დამრჩა  
ოცდამეერთე საუკუნის მამლის პირველ  
ყივილამდე.  
ბუნების ძალას ვევედრები:  
დიდი წვალემა და გარჯა  
და ის ოციოდე წელიწადი სიცოცხლეს  
ჩემსას მიმიმატე!

# მოქალაქის ხატება

## □ ბივი ვარდოსანიძე □

წიგნის საბანძურს მთლიანად და მისხალ-მისხალ, გულთაც რომ მოინდომო, ვერ აირწყავ. მხოლოდ მთავართ თუ დაადგამ თვალს და მათი ზუსტი და ერთადერთი შეფასებაც არავის ძალუძს. მით უფრო, ჰემარიტი შემოქმედების ნაყოფს უსასრულოდ მრავალი წაზნაგი აქვს და თითოეული თავისებურად ელავს და განსხვავებულ შუქს გამოსცემს.

ყველა ადამიანის აზრისა და გონების თვალის ერთნაირად არ ხედავს, ყველას გული ერთნაირად არ გრძნობს. მაგრამ დახარჯული შრომა, გარჯა, დაღვრილი ოფლი, გულის ძეგრა და სულის წვა ყოველ წიგნში ერთი თვალის შევლებითაც კი ყველასათვის საცნაურია.

ამ სოლიდურ წიგნშიც („წინაპრები და თანამედროვენი“) ერთბაშად თვალში საცემია ავტორის მიერ გაწეული დიდი შრომა, აზრისა და გრძნობის სიღრმე და მასშტაბურობა, ფართო თვალსაწიერი.

რაზეც კი წერს გრიგოლ აბაშიძე, — დედა ენაზე თუ რუსთაველის ეპოქაზე, ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკაზე თუ თეატრისა და მწერლობის პრობლემატიკაზე, ივანე ჯავახიშვილზე თუ ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ოვანეს თუმანიანიზე თუ ლესია უკრაინკაზე, შექსპირზე თუ შანდორ პეტეფზე, ფილიპინებზე, იტალიაში თუ საფრანგეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე, — ამყლავნებს წიგნიერებას ცოდნის სულ სხვადასხვა დარგში, ღრმა დაკვირვებასა და სიბრძნეს.

ამის აღნიშვნა ეგებ არც იყოს საჭირო გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მისამართით, მაგრამ ამას მაინც თუ ვაკეთებ, უპირველესად იმიტომ, რომ ამ თვალსაჩინო პიროვნების მაგალითს ერთხელ კიდევ მივაპყრო ჩვენი ახალგაზრდობის მზერა და





ყურადღება. კერძოდ, ცოდნის დაუფლებისაკენ, განსწავლულობისაკენ აკი თავად გრიგოლ აბაშიძეც დაჟინებით მოუწოდებს ჩვენს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, შემოქმედებითს ახალგაზრდობას.

სათანადო ცოდნა მწერალს საშუალებას აძლევს ღრმად ჩაუფიქრდეს მხატვრულ თუ ცხოვრებისეულ მოვლენებს, მოახდინოს ლიტერატურისა თუ სინამდვილის სხვადასხვა ფაქტის ანალიზი, მიმართოს შედარებებსა და პარალელებს, ყოველმხრივ გაიაზროს წარსულის თუ თანამედროვეობის სურათები და პროცესები და გამოთქვას დამაჯერებელი თვალსაზრისი, გააკეთოს სწორი დასკვნები.

თითქმის ყველა შემთხვევაში გრიგოლ აბაშიძის საუბრის თემა ნაცნობია, მრავალთაგან შესწავლილი და თითქოს ყოველმხრივ გაშუქებული, ძირისძირობამდე ამოწურული, განსაკუთრებით, როცა ლაპარაკია საყოველთაოდ ცნობილი ქართველი, რუსი, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხების მწერლების, თუ მსოფლიო სახელის დასავლეთ ევროპული სიტყვის ოსტატების, წარსულის თუ თანამედროვეობის დიდ ხელოვანთა შესახებ. თითქოს რაღა უნდა თქვა ღავით გურამიშვილზე, ილიაზე, აკაკიზე და ვაჟაზე, გალაკტიონზე და გიორგი ლეონიძეზე, გორკიზე თუ მაიაკოვსკიზე, შოლოხოვზე, ტინოვზე, თუ მიკოლა ბაჟანზე, პეტრარკაზე თუ ჩარლი ჩაპლინზე... მაგრამ მათი შემოქმედების ცოდნა, მათი ხელოვნების ღირებულებებში წვდომა და მათი ღვაწლის მრავალმხრივ და ფართო ასპექტში გააზრება სათქმელს ბუნებრივად ბადებს, საუბარს მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის, ახალი შინაარსით მოსაგს.

ცოდნა და განსწავლულობა მწერლისათვის თვითმიზანს კი არ წარმოადგენს; უმოძრავად დადებული, ხელშეუხებელი სიმდიდრე კი არ არის, არამედ ფიქრის, აზრის გასაღებია, მხატვრულსა და ცხოვრების ლაბირინთებში გზის გამკვლევი კომპასია, შორეული წარსულისა თუ თანამედროვეობის ურთულეს მოვლენებსა და პროცესებში გარკვევის საშუალებაა.

სწორედ ცოდნის შედეგად, ავტორი გონების თვალს რომ ავლებს მხატვრული აზროვნების და საერთოდ საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპს, ხალხთა კულტურულ პროგრესს, სავსებით სწორად მას წარმოიდგენს, როგორც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, ერთიან და უწყვეტ პროცესს.

პირველად წარმოთქმული სიმღერები და საგალობლები, ლექს-

5. „კრიტიკა“ № 3 (36)

სის პირველი სტრიქონი, თუ პირველი სტროფი ნაკლებად არ გამოხატავდა ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მის განცდებსა და მისწრაფებებს, ვიდრე დღეს აისახება პოეზიაში ჩვენი თანამედროვეის გულის ნაგრძნობი და გონების ნაფიქრი. პოეზიის გზა იმთავითვე ადამიანის სულიდან იწყება და ადამიანის სულში მთავრდება. პოეზია პირველი სიმღერიდან თუ პირველი სტრიქონიდან, — რუსთაველიდან გალაკტიონამდე, თუ დანტედან და პეტრარკადან კვაზიმოდომდე, — კაცის სულში იშვა და კაცის გაკეთილშობილებას ემსახურება. ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ჭეშმარიტი პოეზია, საერთოდ, კულტურული მონაპოვარი, თანაბრად ეკუთვნის ყველა დროსა და ყველა ხალხს.

წიგნში თვალი აქვს გადევნებული მხატვრულ აზროვნებას ჩანასახიდან განვითარების დღევანდელ საფეხურამდე, ენათა და დამწერლობათა გზას — თიხის ფირფიტიდან, პაპირუსისა და პერგამენტის ფურცლებიდან — თანამედროვე საროტაციო მანქანების ბეჭდურ პროდუქციამდე; დანახულია და გააზრებულია შორეული თუ ახლო წარსულის, დღევანდლობის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სურათები და ყველაფერი შეფასებულია მაღალი ადამიანური და მოქალაქეობრივი პოზიციებიდან.

მწერლისათვის წინაპრებისა და თანამედროვეთა ღვაწლსა და რუდუნებას აკავშირებს და ამთლიანებს სიკეთის, ჰუმანურობისა და პროგრესის იდეალები, პატრიოტიზმისა და კაცთმოყვარეობის მაღალი და კეთილშობილური გრძნობები. წინაპრებისა და თანამედროვეთა მიზანი და დანიშნულება საერთოა: ემსახურონ ადამიანს, ხალხს, სამშობლოს, სთესონ სიკეთე და ებრძოლონ ბოროტებას, მტკიცედ იდგნენ მოქალაქეობრიობის, პიროვნების ღირსების დაცვის სადარაჯოზე.

სადა და თითქოს ნაკლებად ორიგინალურ სათაურში — „წინაპრები და თანამედროვენი“ კარგად არის მინიშნებული წიგნის შინაარსი, თავიდანვეა გამოხატული ავტორის პოზიცია, დამოკიდებულება, თვალსაზრისი.

მწერალს ბევრი წაუკითხავს, ბევრი უნახავს, ბევრ რამეზე ჩაფიქრებულა; შეუზღუდავი თვალსაწიერი გაბედულად წვდება ქვეყნებისა და ხალხების მატერიალური და სულიერი ცხოვრების სულ

სხვადასხვა სფეროსა და სხვადასხვა მხარეს. მაგრამ მისი გონება და აზრი შეუწელებელი ინტერესით დასტრიალებს თავს მხატვრულ თუ რეალურ მოვლენებსა და ფაქტებს, წარსულისა თუ დღევანდელობის სურათებსა და ეპიზოდებს, რომლებიც უშუალოდ გამოჩატავს თუ შორეულად ეხმიანება ეროვნული სულის ყველაზე საინუკვარ მისწრაფებებსა და ყველაზე მაღალ იდეალებს.

ყველაზე არსებითი, ყველაზე და ყველაფერზე ძვირფასი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ერის თვითმყოფობა, ხალხის ბრძოლა ფიზიკური და სულიერი არსებობის შენარჩუნებისათვის, ეროვნული და სოციალური სამართლიანობისათვის, ეკონომიკური და კულტურული პროგრესისათვის.

გააზრებულია და წიგნის საერთო კონცეფციას თუ გავითვალისწინებთ, კანონზომიერია, რომ პირველი წერილი — „სული ერისა“ მშობლიურ ენას, ქართველთათვის სათაყვანებელ წიგნს — „დედა ენას“ ეძღვნება.

ენა არა მხოლოდ სულია ერისა, არამედ მისი არსებობის საფუძველია. ერი ცოცხლობს ენით. ამ საფუძვლის მოშლით ირღვევა და ნადგურდება ეროვნული სხეული. ამიტომაც იყო, რომ ერის თავკაცებს ყველა დროში და ყველა ქვეყანაში ენის თვითმყოფობის დაცვა, ენის შეურყვნელობა მიაჩნდათ ერის არსებობის დაცვად, ეროვნული სულის შეურყვნელობისა და დაცემისაგან თავდახსნის გარანტიად. ამიტომაც იყო, რომ დიდმა ქართველმა სამოციანელებმა თავიანთი ბრძნული და მგზნებარე, დღესაც მეტად ფასეული და ყოველთვის გასათვალისწინებელი მოღვაწეობის ერთერთ მთავარ მიმართულებად გაიხადეს მშობლიური ენის შეუბღალველობა, მისი სიწმინდის დაცვა, გამდიდრება-გამშვენიერება და მოვლა-პატრონობა.

...„დედა ენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომლიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“.

არც ის არის შემთხვევითი, რომ წიგნში „სული ერისას“ შემდეგ არის მოთავსებული „ორგზითვე ნაყოფის მომცემი“, რომელშიაც მწერალი გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილზე. თითქოს ხიდი იდება ძველ და ახალ საქართველოს შორის. დიახ, ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწით გრძელდება დიდი ქართველი მამულიშვილების მიერ საუ-



კუნეებში გამოტარებული ტრადიცია მშობელი ხალხის მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა, გამდიდრება-გამრავალფეროვნებისა და გამომწვევებისა.

წიგნის მეორე ნაწილისათვის ავტორს უწოდებია „მეგობრობა გზად და ხიდად“.

ახლა წარმოუდგენელია პატარა თუ დიდი მნიშვნელობის რაიმე ეროვნული წინსვლა სხვა ხალხების კულტურული მიღწევების გაუთვალისწინებლად. ეროვნული სულის განძეულობათა ცხრაკლიტულში ჩაკეტვა და ჩარაზვა განძის გაუფასურებას და სალაროს ვალარიბებას გამოიწვევდა. თვითმყოფადი, საკუთარ ნიადაგზე აღმოცენებული ქართული ეროვნული კულტურა არასოდეს არ უგულვებელყოფდა სხვათა მიერ მოპოვებულ სულიერ საზრდოს, უარს არ ამბობდა სხვათა სულიერი სიმდიდრის გათავისებაზე. ამ პროცესმა ჩვენს დროში ახალი სიღრმე და მასშტაბი შეიძინა. საქართველოს, ქართულ კულტურას ბევრი მეგობარი, მოკეთე და დამფასებელი ჰყოლია და ჰყავს. მაგრამ მწერლის ფიქრი თავს ევლება და გრძნობა ესათუთება იმ მოღვაწეებს, რომლებისთვისაც საქართველო იყო და არის არა მხოლოდ კეთილი განწყობისა და მიუკერძოებელი დაფასების საგანი, არამედ სისხლხორცეული ნაწილი მათი გულისა და გონებისა, არსებობის აზრისათვის ახალი ელფერისა და ცხოველმყოფელობის მიმნიჭებელი, მათი ცხოვრების შინაარსის გამამდიდრებელი და გამლამაზებელი. ეს მოღვაწეებია: ოვანეს თუმანიანი, გორკი და მაიაკოვსკი, ლესია უკრაინკა და მიკოლა ბაჟანი, შოლოხოვი და ტიხონოვი, სამედ ვურლუნი და რასულ გამზათოვი... თითოეული მათგანისათვის საქართველო იქცა შთაგონების წყაროდ. თითოეულის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით ბიოგრაფიაში საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილ უჭირავს.

საბჭოთა და უცხოურ ლიტერატურისმცოდნეობასა და კრიტიკაში საკმაოდ ღრმად და მრავალმხრივ არის გაშუქებული რევოლუციის დიდი პროექტის ვლადიმერ მაიაკოვსკის როლი და ადგილი საბჭოთა და საზღვარგარეთული პროეტური კულტურის განვითარებაში. გრიგოლ აბაშიძე ახერხებს მაიაკოვსკის ტიტანურ პროეტურ ფიგურაში გამახვილებულად დაგვანახოს მთავარი და არსებითი და ღრმად მოთავსებული პლასტებიც გაგვიშუქოს და გაგვითავისოს. მაიაკოვსკი ქართველებისათვის, როგორც ყველა ხალხისათვის, ახლობე-

ლი და საყვარელია თავისი უნიკალური, სიცოცხლესავით ძლიერი, ლამაზი და ჰუმანური შემოქმედებით. მაგრამ ქართველ ხალხს მაიაკოვსკისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. „...მაიაკოვსკიმ ერთგვარად დააგვირგვინა და ახალ ხარისხში წარმოადგინა თითქმის უნიკალური მაგალითი რუსული პოეზიის კორიფეების შემოქმედებითი მეგობრობისა საქართველოსთან“.. „მისთვის საქართველო არც ეგზოტიკაა, არც მხოლოდ ბუნების წარმტაცი სილამაზე. იგი სასურველი სტუმარი, ან მოგზაური კი არ არის საქართველოში, არამედ ამ ქვეყნის მკვიდრია, მისი მთისა და ბარის სისხლხორცი და მისი ხალხისაგან განუყრელი „მათი ჭირისა და ლხინის მოზიარე“. მაიაკოვსკის უპირატესობა დიდ წინაპრებთან და ღირსეულ მემკვიდრეებთანაც იმითაც იყო და არის გაპირობებული, რომ იგი ბავშვობიდანვე ეზიარა ერის სულს — ენას. მის შემოქმედებაზე საქართველოს შთამაგონებელი ზეგავლენა არ ამოიწურა ამ ქვეყნის წარმტაცი ბუნებით და მის მკვიდრთა რაინდული და კეთილშობილური მიმზიდველობით. მას აკვანშივე მშობლიურ რუსულთან ერთად ჩაესმოდა ქართულიც; გარესამყაროს შეუცნობელ საიდუმლოებათა ლაბირინთებში შესაღწევად და გასარკვევად, ბედნიერი გარემოების წყალობით, ორი ტოლფასი გასაღები ჰქონდა — რუსული და ქართული სიტყვა. თუ აზრი სიტყვასთან ერთად იბადება, მით უფრო — პოეტური აზრი, ბუნებრივია, ქართული სიტყვა ორგანული რომ იყოს ყრმა პოეტი მაიაკოვსკისათვის.

პუშკინისა და ლერმონტოვის, გორკისა და მაიაკოვსკის მიერ შექმნილი დიდებული ტრადიცია საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, ქართულ პოეზიასთან მეგობრობისა ჩვენს დღეებში სახელოვნად განაგრძო და ახალ, მაღალ ხარისხში აიყვანა ნიკოლოზ ტიხონოვმა. ეს დიდებული რუსი პოეტი, თავისი ზოგიერთი დიდი წინაპარივით, იძულებით არ მოხვედრილა საქართველოში, ბედისწერას საქართველო არც სამშობლოდ გაუხდია მისთვის. ქართული ენაც, ქართული ბგერა მისთვის დარჩა ტკბილ მოსასმენ და ჟრუანტელის მომგვრელ, მაგრამ ამოუცნობ საიდუმლოებად. მას არ შეეძლო მაიაკოვსკივით საქართველო თავის სამშობლოდ გამოეცხადებინა და ქართული ენა მეორე დედა ენად ჩაეთვალა. მაგრამ არც ერთ რუს პოეტს ისე ორგანული არ გაუხდია თავისი შემოქმედებისათვის საქართველო, როგორც ეს გააკეთა ტიხონოვმა.



საქართველომ განუზომელი გავლენა მოახდინა რუსული მხატვრული აზროვნების ტიტანებზე, მნიშვნელოვანწილად განაპირობა მათი შემოქმედებითი ორიენტაცია და მსოფლმხედველობრივი პოზიცია, განსაკუთრებული აზრი და დანიშნულება მიანიჭა მათ შეგნებას. ამის ერთერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ჩვენ დროში ტიხონოვის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ დიდი რუსი პოეტის უაღრესად მასშტაბური და ბრძნული შემოქმედების ერთერთი განმსაზღვრელია საქართველო, ქართული თემა, ქართული ყოფა, ქართული სული.

ეს დამაჯერებლად დასტურდება თვით ტიხონოვის ბრძნული, სინამდვილისეული დაკვირვებით, გულწრფელი მოქალაქეობრივი პირდაპირობით და პიროვნული გულახდილობითა და ჰუმანურობით ნაკარნახევი სტრიქონებით: „არის ქვეყნები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სხვა ქვეყნებისათვის. ეს მნიშვნელობა გამოიხატება არა ეკონომიკასა და პოლიტიკაში, არა, იგი განსაკუთრებულ პოეტურ ორეულში გამოიხატება ერთმანეთის შემცვლელი მრავალი თაობისათვის. მათი ბუნება, მათი ხელოვნება, მათი ძველი კულტურა იწვევს არა მარტო სპეციალისტთა განსაკუთრებულ მღელვარებას. ისინი თავიანთ გავლენას ახდენენ მხატვრებზე, მწერლებზე, მეცნიერებაზე. ევროპის ერთი ასეთი ქვეყანათაგანი, რომელსაც ევროპელთა შეგნებისათვის განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს, ჩემი აზრით, იტალია გახლავთ... რუსი პოეტებისათვის ჩვენს იტალიად იქცა საქართველო“.

ნიკოლოზ ტიხონოვისადმი მიძღვნილი წერილი თავისი ფორმითაც იქცევს ყურადღებას. მცირე ტილოზე მწერალი ხატავს დიდი პოეტისა და მოქალაქის, განუმეორებელი პიროვნებისა და შესანიშნავი მოღვაწის, ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერლისა და დაუღალავი ორგანიზატორის განზოგადებულ, ტიპიურ და შთამბეჭდავ სახეს.

გრიგოლ აბაშიძეს არ აინტერესებს შემოქმედების გამოწვლილვითი ანალიზი, იგი თავგადადებით არ ეძებს ნაკლებად შესამჩნევ შტრიხებსა და ძნელად შესაგრძნობ ნიუანსებს. პოეტურ და მოქალაქეობრივ პორტრეტში მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია ფერმართალი ხაზები და ნახევარტონები. მთავარისა და არსებითის მკვეთრი ფერებით გამოხატვით, ყოველი დეტალისათვის მთავარი შინაა-

რსის გახსნის, სახე-პორტრეტის აზრობრივი არსის გადმოცემის ფუნქციის დაკისრებით მწერალი ახერხებს მცირე ფორმაში დასამახსოვრებელი პორტრეტი წარმოადგინოს. იგი არ სიტყვამრავლობს, ფრაზით თავს არ იწონებს. მისი წინადადება დახვეწილი და ნათელია. ყოველი აბზაცი გამდიდრებულია დიდხანს ნაფიქრით და ვაცოცხლებულია სათქმელის გულწრფელად განცდით, გამთბარია და გაკეთილშობილებულია ადრესატისადმი. უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით. გრიგოლ აბაშიძის წერილები საოცრად ჰგავს მის არა მხოლოდ ბელეტრისტულ ნაწარმოებებს, არამედ პოეტურ ნიმუშებსაც. ეს მსგავსება მუდამდებია სათქმელის ღრმად და ნათლად ცოდნაში, აზრისა და გრძნობის მოფიქრებულ და დინჯ გამჟღავნებაში, გონებით გამდიდრებული სულიერი მოძრაობის ზუსტად განსაზღვრული და მტკიცედ მოწესრიგებული კალაპოტით წარმართვაში. პუბლიცისტურ, ლიტერატურულ თუ ესეისტურ წერილებში მწერალი ზომიერად იყენებს პოეზიისა და პროზის ფორმებს, მიმართავს მეცნიერული აზროვნების ხერხებსა და საშუალებებს. მხატვრული სახეები, მეტაფორები და შედარებები, პარალელები და ასოციაციები, ბუნებრივად და საჭიროებისათვის ზუსტად და მოფიქრებულად გამოყენებული ციტატები, მსჯელობის საბუთიანობა და ლოგიკურობა ნაწერებს ანიჭებს ხატოვნებასა და მიმზიდველობას, სიღრმესა და დამაჯერებლობას, მკითხველზე შემოქმედების უნარს.

ამ და სხვა თვისებებითაც გრიგოლ აბაშიძე — ლიტერატურის-მცოდნე, კრიტიკოსი და პუბლიცისტი, მხატვრული ნარკვევებისა და ესეების ავტორი — ახლოს დგას გერონტი ქიქოძესთან, მას ენათესავება. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია ის დიდი მოწიწება, რასაც მწერალი ამჟღავნებს გერონტი ქიქოძის შემოქმედებისადმი; კანონ-ზომიერია დიდი შეფასება, რასაც იგი აძლევს უფროსი მეგობრისა და ლიტერატურული მასწავლებლის ჭეშმარიტად მაღალ და შთამაგონებელ ხელოვნებას.

კიდევ უფრო მცირე მოცულობისაა წერილი, რომელიც გვიხატავს აზერბაიჯანელი პოეტის სამედ ვურღუნის შემოქმედებითს და მოქალაქეობრივ სახეს. ავტორმა მინიატურულ ფორმაში შთამბეჭდავად გამოძერწა მოძმე მეზობელი ხალხის ბრწყინვალე მკონისა და მგზნებარე პოეტი-ტრიბუნის პორტრეტი. აქ კიდევ უფრო მკაცრად შემჭიდროვდა და დაიხვეწა ფრაზა. ავტორმა სრულად გა-

დმოგვცა თავისი მთავარი სათქმელი, გულწრფელად და შთაგონებით, დასამახსოვრებლად გამოხატა უდიდესი პატივისცემა მოძმე მეგობარი პოეტისადმი, მისი შემოქმედებით, პიროვნებითა და მოქალაქეობრიობით შინაგანად მართალი და წრფელი აღტაცება.

და თითქმის როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, გრიგოლ აბაშიძის კეთილშობილური ყურადღება სამედ ვურლუნის პიროვნებისა და მოღვაწეობისადმი მნიშვნელოვანწილად გაპირობებულია დიდი აზერბაიჯანელის სიახლოვით ქართულ კულტურასთან, ქართულ ყოფასთან, იმ უანგარო სამსახურით, რასაც სამედი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ეწეოდა აზერბაიჯანული და ქართული კულტურების კიდევ უფრო დაახლოებისათვის, ურთიერთ გამდიდრებისათვის; იმ ფასდაუდებელი ამაგის გამო, რაც მან დასდო ქართული პოეზიის აზერბაიჯანელი ხალხისათვის გაცნობას, ფართო პოპულარიზაციას.

აზერბაიჯანული და ქართული კულტურების სიახლოვეს და ურთიერთ გამანაყოფიერებელ და გამამდიდრებელ გავლენას გრიგოლ აბაშიძე ზედავს ჯერ კიდევ შორეულ წარსულში — რუსთაველის ეპოქაში და დასაბუთებულ მაგალითებით ადასტურებს: „საგულისხმო ფაქტია, რომ აზერბაიჯანული ლიტერატურის დიდი კლასიკოსები — ნიმაზი და ხაყანი სწორედ საქართველოსთან უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულ შირვანში ქმნიდნენ ირანულ ენაზე თავიანთ შედევრებს“. ისინი უეჭველად ახლოს იყვნენ ქართულ სინამდვილესთან, ქართულ კულტურასთან, იმ დროის მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან, იცნობდნენ სამეფო კარის ვითარებას, იცოდნენ, რომ იქ სუფევდა პოეტებისადმი კეთილი დამოკიდებულება, შემოქმედებისადმი ხელშეწყობისა და გულუხვი წახალისების განწყობილება. ალბათ ამიტომაც მოუწევდათ გული საქართველოსაკენ არაქართველ მგოსნებსაცო, — წერს გრიგოლ აბაშიძე. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა შესანიშნავი შირვანელი პოეტის ზაყანის სტრიქონებიო, რომ

წავალ აფხაზეთში დავსახლდები.

ან კიდევ:

ერთ მშვენიერ დღეს ფეხს დავკრავ და აფხაზეთს გავალ,  
ღია დამხვდება საქართველოს კარები, მჯერა...



ნაჭარმაგევში და მუხრანში, მინდა გავიდე,  
ბაგრატიონთა სასახლეში ბინას დავიდე...

დიახ, საქართველოს კარები ღია იყო კეთილი გულით მოსულ-  
თათვის; იგი თავის მოყვასთა კარებსაც გულლიად შეაღებდა; ერო-  
ვნულ ნიადაგში ღრმად გადგმული ფესვებით უხვად იწოვდა ნაყო-  
ფიერ საზრდოს საკუთარი კულტურის დაკვირტვა-გაფურჩქვნისა და  
აყვავებისათვის; თავისი გამრჯელი, რაინდული და მგზნებარე სულის  
ნაყოფს გულუხვად უნაწილებდა სხვა ხალხებს და არც სხვათა კუ-  
ლტურულ მონაპოვარზე ამბობდა უარს. ასეთი იყო და არის ყო-  
ველი ცივილიზებული ერის კულტურის განვითარება-გამდიდრე-  
ბის მაგისტრალური გზა.

ფორმის თვალსაზრისით, მოზსენიებული თვისებებით ხასიათ-  
დება წიგნში შესული ბევრი სხვა წერილი („ვაჟა-ფშაველა“, „გიო-  
რგი ლეონიძე“, „იროდიონ ევდოშვილი“, „ლესია უკრაინკა“, „ქრი-  
სტიონას დონელაიტისი“, „მიხეილ შოლოხოვი“, „მიკოლა ბაჟანი“  
და ა. შ.), რომლებიც უმეტესად შექმნილია ქართული თუ მოძმე  
ლიტერატურათა დიდი წარმომადგენლების საიუბილეოდ ან მათ  
ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, მათი ღვაწლის აღნიშვნა-დაფა-  
სებასთან და მათი სახელის უკვდავყოფასთან დაკავშირებული რაი-  
მე მნიშვნელოვანი მოვლენის გამო.

წიგნის სამი გვერდიც კი არ უჭირავს თბილისში ვაჟა-ფშაველას  
ძეგლის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვას, მაგრამ ამ მეტად შეზღუ-  
დულ „ფართობზეც“ კი ავტორი გვიხატავს გენიოსი პოეტის სახეს.

უძველესი და უმდიდრესი ქართული მწერლობის გზის გან-  
ზოგადებულ სურათს ქმნის, მისი საამაყო წარმომადგენლების რო-  
ლსა და ადგილს სიტყვის ხელოვნების სიმაღლეების დაპყრობაში  
განსაზღვრავს გრიგოლ აბაშიძე კარგად მიგნებული, მგონის თვა-  
ლით დანახული, გულით ნაგრძნობი და განცდილი, მასშტაბური და  
ფერადოვანი მეტაფორისა და შედარების პოეტური საშუალებით.  
ამით სიტყვა ცოცხლდება, აზრი ემოციითა და სითბოთი იმსჭვალე-  
ბა, რაც ფრაზებსა და წინადადებებს ანიჭებს სურათოვნებას, ექს-  
პრესიულობას და უშუალო ზემოქმედების ძალას.

„გრძელი, თხუთმეტსაუკუნოვანი გზა ქართული მწერლობისა  
კავკასიონის მთის უწყვეტ გრეხილს მოგვაგონებს. როგორც კავკა-



სიონის მთას ამშვენებს მზით გაბრწყინებული, მარადი თოვლით დაფარული მწვერვალები, ისევე ქართულ მწერლობასაც აქვს თავისი მიუწვდომელი სიმაღლეები. ამ მწვერვალთაგან უმაღლესი რუსთაველია, რომლის მზიური ელვარება მსოფლიოს ყველა კუთხემდის აღწევს. ამ თვალშეუდგამ მწვერვალს მხარს უმშვენებს შედარებით ნაკლები სიმაღლის, მაგრამ თავისებური ბრწყინვალეების მფენი მწვერვალების მთელი კრებული, რომელთა არსებობა გარდუვლად გულისხმობს და ამართლებს რუსთაველის მოვლენის ადგილსა და აუცილებლობასაც. ბარათაშვილი ამ კრებულის ულამაზესი მწვერვალია, რომელიც შორიდანვე გვიზიდავს თავისი შეუჩერებელი ლტოლვით ცის უსაზღვროებისაკენ და რომელიც იმითაც გამოირჩევა, რომ მის ნათელ შუბლს განუშორებლად ეხვევა ჯალნი და საავდროდ მოჯარებულის შავი ღრუბლების გროვა“.

მწერალი მშობელი ერის სხვა ხალხებთან ბედის თანაზიარობას, ქართული სულის ტკივილების სხვა ხალხთა ჭირვარამთან მსგავსებას რომ ხედავს და კავშირები, გავლენა და ურთიერთგამდიდრება კულტურათა განვითარების ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნია, — უცხოეთში მოგზაურის თვალთ აკინწლული და ხელოვანის გულით ნაგრძნობი პეიზაჟიც კი სამშობლოსთან აკავშირებს, ყოველივე მშვენიერს ქართველი კაცის მზერით აიზომავს და გაითავისებს, — შორეულ გზაზე უცხო სილამაზის ჭოგრიტით საქართველოს მზესა და მთვარეს ეტრფის და ეთაყვანება, ქართული ჰაერის ფერსა და სურნელს შეიგრძნობს და დედის რძესავით დაივემოვნებს.

„...მთა-გორებზე შეფენილ, ბაღ-ვენახებში ჩაძირულ არკუას თაფლივით ეღვრებოდა თბილი, ალერსიანი მზე. ცა საოცრად გამჭვირვალე იყო და გამაბრუებელი ჰაერი მსუბუქი კვამლივით აღნებოდა ლაყვარდს.“

პირველი გახედვისთანავე, ჩვენი გელათი დამიდგა თვალწინ, იქ არის ასეთი მზე და ჰაერი, ასეთი მოზღლუდული მთები“.

ოსტატის ყალმით შესრულებული მშვენიერი პეიზაჟები გამთბარი და გამდიდრებულია თავისი სამშობლოსადმი გულწრფელი სიყვარულის გრძნობით. საქართველოს მშვენიერი მთა-ბარის მზერით გაწაფულ თვალს იტალიის უცხო გზაზე არ გამოეპარება წარმტაცი

ფერები და მიმზიდველი სურათები. მწერალი სხვა მიწასა და სხვა ცას მშობლიურით შეიგრძნობს და დაიოცნებებს.

უკვე ითქვა, გრიგოლ აბაშიძისათვის განსაკუთრებით ახლობელია იმ ქვეყნებისა და ხალხების წარსული თუ თანამედროვეობა, რომელთა ისტორიული გზა და ბედი ემსგავსება და ეხმიანება საქართველოს გზას, ქართველობის ბედს; იმ შემოქმედთა მოღვაწეობა, რომლებმაც დიდი ნიჭის სამშობლოს სიყვარულში ჩაყენებით პოეზიის მწვერვალები დაიპყრეს და თავისი ერის სამსახურს შესწირეს ყველაფერი, თვით საკუთარი სიცოცხლეც. ასეთი ეროვნული მოღვაწენი ქმნიან საკაცობრიო პოეტური კულტურის ფასდაუდებელ საგანძურს.

„შორეულ ფილიპინებზე მე ვიპოვე ჩემი იდეალი ჩაგრული ქვეყნის პოეტისა — ხოსე რიზალი, — წერს გრიგოლ აბაშიძე შორეულ ფილიპინებზე მოგზაურობის შთაბეჭდილებებში. — აღმოსავლეთ ევროპის დიდი პოეტების — მიცკევიჩისა და პეტეფის მსგავსად იგი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით და გმირული სიკვდილით არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეს პოეტს მშობლიური ერი, როგორ უანგაროდ უნდა ემსახუროს მას და როგორ უნდა დასდოს მისთვის თავი“.

ფილიპინელი ხალხის და მისი დიდი შვილის ხოსე რიზალის ბედი სხვა მხრივაც იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას; მწარე და სასიცოცხლოდ გასათვალისწინებელი მაგალითია არა მხოლოდ კოლონიური ხალხებისათვის. ხოსე რიზალი ესპანურად წერდა, ისე როგორც ყველა მისი თანამედროვე თანამემამულე. დროთა განმავლობაში ესპანელები ამერიკელებმა შეცვალეს და ფილიპინებზე ინგლისური ენა გაბატონდა, ხოლო ყოველივე, რაც ესპანურად შექმნილა, მათ შორის ხოსე რიზალის პოეზია, თანდათან დავიწყებას ეძლევა, განწირულია სიკვდილისათვის. ამიტომაც გრიგოლ აბაშიძე პრინციპული გულახდილობით და გამაფრთხილებლად აცხადებს: ფილიპინელთა მაგალითზე აშკარად ჩანს ბილინგვიზმის რეაქციულობა, მისი დამღუპველობა კოლონიური ხალხებისათვის და მით უფრო გაუგებარ ანაქრონიზმად გვეჩვენება მისი თითო-ორი პროპაგანდისტის უნაყოფო ცდა საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების განვითარებისათვის ახალ, მოწინავე ეტაპად ორ ენაზე წერის გამოცხადებაო.

ფილიპინებზე მოგზაურობამდე ხუთი წლით ადრე მწერალი ვრცელი წერილით გამოეხმაურა უნგრეთის დიდი პოეტის შანდორ პეტეფის დაბადების 150 წლისთავს. ამ წერილში იმის გარდა, რომ შესანიშნავად არის გადმოცემული პეტეფის დროის უნგრეთის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, გაანალიზებულია პეტეფის ბრწყინვალე, სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული და ეროვნული რევოლუციის ცეცხლით მოგიზგიზე პოეზია, ამასთანავე გრიგოლ აბაშიძე კიდევ უფრო სრულად ამჟღავნებს თავის სიმპათიებს უცხო უღლის ქვეშ მყოფი პატარა ხალხებისა და მათი განთავისუფლებისათვის გმირულად დაღუპული დიდი პოეტი-მამულიშვილების მიმართ.

ილიასა და აკაკის პატრიოტულ პოეზიაზე აღზრდილი მწერლისათვის სავსებით ბუნებრივია და ღრმად ორგანულია, რომ როცა უცხო ერის ისტორიასა და პოეზიას ვეცნობი, იქ უპირველესად, სამშობლოსა და თავისუფლებისათვის თავგანწირვის მაგალითებს ვეძებო. ასეთ ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს პეტეფის პოეზია და მისი მთელი მშვენიერი და ამაღლებული სიცოცხლე. ამიტომაც ასეთი დიდი სიყვარულით და ჭეშმარიტი ოსტატობით თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ შანდორ პეტეფის პოეზია და მომდევნო თაობებს ანდერძად დაუდო: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩემ შემდეგ სხვები უფრო ვრცლად და საფუძვლიანად გააცნობენ ქართველ მკითხველს თავისუფლებისათვის წარსულში ჩვენსავით თავგანწირულად მებრძოლი ხალხების პატრიოტულ პოეზიასო.

თითქმის ყველა შემთხვევაში მწერალი მთლიანობაში განიხილავს შემოქმედსა და მოქალაქეს, პიროვნებასა და მის ხელოვნებას: შემოქმედების არსსა და მნიშვნელობას მჭიდროდ უკავშირებს ერისა და ქვეყნის ჭირ-ვარამსა და მისწრაფებებს; პოეზიის ხალხურობის ერთ მთავარ გამოვლინებად პოეტის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიანობას თვლის; დიდი პოეტური და კულტურული მიღწევების საფუძვლად, სავსებით სამართლიანად, ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მიაჩნია; ხელოვნების დიდ აღმავლობას ერის სულიერი ტრადიციით, ხელსაყრელი აწმყოთი და ხალხების ცხოვრებაში ახალი სიოს დაქროლვით, ცივილიზებული მსოფლიოს წიაღში გაჩენილი ახალი ჰუმანური მოძრაობით ხსნის.



სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარემო, დროის მოთხოვნილება და ეროვნული ტრადიცია რომ განაპირობებს დიდი ღირებულების მქონე ქმნილებების შექმნას, ამას ქართულ სინამდვილეში ყველაზე უკეთ ადასტურებს „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“.

„რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ იმიტომ შეიქმნა თამარის ეპოქაში, რომ მთელი მაშინდელი საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების ტონის მიმცემი ნაწილი, სწორედ ჰუმანისტურად აზროვნებდა, მისთვის უცხო იყო ბნელეთის მოციქულობა და კლერიკალურის შეზღუდულობა“.

ღიახ, ჰუმანურობის, ადამიანური თანადგომის, კაცურკაცობის, სიყვარულისა და მეგობრობის ეს უღრმესი და უმშვენიერესი სიმღონია ვერ შეიქმნებოდა გაუტანლობის, მუხანათობისა და ვერაგობის ბატონობის პირობებში, კაცურკაცობის დაკნინებისა და დაცემის, ადამიანურ ღირსებათა შებლაღვისა და შერყვნის, ადამიანში მაღალი იდეალების წაშლისა და ქვენა გრძნობების აღზევების, ნამცეცა, სულმდაბალი მისწრაფებების ფრთების გაშლის ატმოსფეროში. ეკონომიკურად და პოლიტიკურად მტკიცე, ძლიერ და ნაყოიერ ნიადაგზე, ზნეობრივად გაწმენდილი საზოგადოების წიაღში შეიძლებოდა ამოზრდილიყო „ვეფხისტყაოსნის“ მანამდე არნახული და არგაგონილი გიგანტური ხე, რომლის ნაყოფი რვაასი წელია ასაზრდოებს ქართველი კაცის გულსა და გონებას. ჩვენს დროში მსოფლიოს მრავალმა ხალხმა გაინაწილა და გაითავისა ეს ნაყოფი და იგი იმედისა და ნუგეშის მომცემ, ადამიანურობისა და ამაღლებულობის უიშვიათეს საზრდოდ კვლავ გაჰყვება ერებსა და ხალხებს მომავლის გზებსა და საუკუნეებში.

ყოველივე ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ რუსთაველისათვის სამყაროს ჰარმონიულობა მის ერთფეროვნებასა და ერთგვაროვნებაშია, და ეს ერთფეროვანი და ერთგვაროვანი სამყარო მხოლოდ დადებითია, მხოლოდ კეთილი საწყისის შემცველია. პირიქით, რუსთაველისათვის ჰარმონიული სწორედ მრავალფეროვანი და მრავალგვაროვანია, დადებითისა და უარყოფითის, კეთილისა და ბოროტის ბრძოლაა. ამ წინააღმდეგობაში, ამ ბრძოლის ერთიანობაშია ცხოვრების დედაარსი. და არა წინააღმდეგობათა შერიგება, არამედ დაძლევა. არა ბოროტებასთან შეგუება და ბედის მორჩილება, არა-



მედ მოქმედება, ბრძოლა; ბნელეთის მოციქულობის წინააღმდეგ ამხედრება, დაბრკოლების გარდუვალობასთან თავგანწირული შებმა. (ამ თვალსაზრისით რუსთაველის პირდაპირი და დიდი მემკვიდრეა ნიკოლოზ ბარათაშვილი, რასაც სამართლიანად აღნიშნავს გრიგოლ აბაშიძე).

„...გოგებაშვილის „დედა ენის“ მსგავსი წიგნი, — წერს გრიგოლ აბაშიძე, — ცარიელ ადგილზე არასოდეს არ ჩნდება, ასეთი წიგნის შექმნას მუდამ უძღვის არაერთი თაობის მიერ გაწეული დიდი მოსამზადებელი მუშაობა.

მაგრამ „დედა ენის“ შესაქმნელად არც ეს იკმარებდა. ეს წიგნი მოამზადა იმ დიდმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც ახალი ფურცელი გადაშალა საქართველოს ისტორიაში და რომელსაც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა მეთაურობდნენ.

იაკობ გოგებაშვილი ამ მოძრაობის ერთერთი მედროშე იყო და მათთან ერთად რეკდა ეროვნული გამოფხიზლების ზარს“.

ზუსტად და მშვენივრად არის ნათქვამი.

ეროვნული გამოფხიზლების ამოცანა მკვეთრად დაისვა მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ქართულ მწერლობაშიც, როცა მორალურ-ზნეობრივი კატეგორიების გაუფასურებამ საშიშ ზღვარს მიაღწია, როცა ფართოდ გავრცელდა მექრთამეობა და მომხვეჭლობა, მუქთახობა, მაწანწალობა და პარაზიტობა, როცა პატიოსნება, კეთილსინდისიერება და ადამიანური კეთილშობილება ბევრის მიერ გაქირდვისა და დაცინვის საგნად იქცა... ამ მანკიერებათა მხილებით ქართულმა მწერლობამ ერს სწორედ გამოფხიზლებისაკენ მოუწოდა, რომ ნათლად დაენახა და ცხადად ეგრძნო დაკნინებისა და დაცემის საშიშროება, საღად შეეფასებინა სულიერი დაქვეითების კრიზისული მდგომარეობა და გამოეცხადებინა სახალხო ბრძოლა მორალურ-ზნეობრივი გაწმენდა-აღორძინებისათვის.

წიგნში ყურადღება მაზვილდება სხვადასხვა ერის შვილების პოეზიის მსგავსებაზე, თემებისა და მოტივების, პოეტური სათქმელის თანაზიარობასა და ნათესაურობაზე და გამოთქმულია მართებული თვალსაზრისი, რომ ეს მსგავსება, თანაზიარობა და ნათესაურობა ხშირად არ არის გაპირობებული უშუალო გავლენით, არ წარმოადგენს ურთიერთ გამდიდრების გამოხატულებას, არამედ შე-



დგია ხალხების ისტორიული ბედის მსგავსებისა, სხვადასხვა ერის ხელოვანთა საწუთროსთან ერთნაირი ან მიმსგავსებული დამოკიდებულებისა, ხალხების ტკივილებისა და მისწრაფებების პოეტურ სიტყვაში ორგანული გამოხატვისა.

მართლაც, მე-15 საუკუნის დიდი ფრანგი ლირიკოსის ვიიონის რა გავლენა უნდა განეცადა დავით გურამიშვილს, როცა არა თუ მისი პოეტური შედეგები არ წაუკითხავს, ალბათ სახელიც კი არასოდეს სმენია. არადა სხვადასხვა ერისა და სხვადასხვა ეპოქის ამ ორი უდიდესი მგოსნის შემოქმედებაში საოცრად ნაცნობი ხმები მოასმის, რასაც შეიძლება ჰქონდეს ერთადერთი ახსნა: „...ეს ხალხური, ურთიერთისაგან დამოუკიდებელი ძირებისაგან მოდის ორივე დიდი პოეტის პოეზიაში და აქ ყოველგვარ ლიტერატურულ რემინისცენციებზე ლაპარაკი გამორიცხებულია“.

აქ არის არა გავლენა, არა გამდიდრება, არამედ — თანმთხვევა.

წერილში „ჩვენი ეპოქის დიდი პოეტი“ მწერალი არკვევს გალაკტიონის უღრმესი და ურთულესი პოეზიის არსს, როლსა და მნიშვნელობას ქართულ პოეტურ კულტურაში, ავლენს მის მკვებავ წყაროებს, მიკროსკოპული ჩაღრმავებით წარმოგვიდგენს გალაკტიონის მხატვრული ოსტატობის უახლეს, ძნელად გამოსავლენ და ასახსნელ საშუალებებს.

„...ქართული პოეტური სიტყვის ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ხანა, იშლებოდა ქართული პოეზიის სრულიად ახალი ფურცელი. ეს იყო უნაზესი ნახევარტონებისა და ნიუანსების პოეზია, სულის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობისა და წამიერი განწყობის გადმომცემი ლექსად თქმული მუსიკა“, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა და მოაჯადოვა უმდიდრესი პოეტური საგანძურის მფლობელი ქართველი მკითხველი. ამ ალტაცების, ამ მოჯადოების, გალაკტიონის პოეზიის მთელ საუკუნეზე გადანათების „საიდუმლოს“ ამოცნობაში ერთ წარმატებულ ნაბიჯად ჩაითვლება აღნიშნული ნაშრომი. მაგრამ კარგი, საუკეთესო კიდევ უფრო უკეთესის, სრულყოფის სურვილს ბადებს.

„ტიციან ტაბიძემ გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა, და, მართლაც მარტოობის, მიუსაფრობის ეს განცდა



აახლოებს „მთაწმინდის მთვარის“ ავტორს „სული ობლისა“ და „ვპოვე ტაძრის“ გენიალურ ავტორთან“.

მხოლოდ მარტოობის, მიუსაფრობის განცდა აახლოებს გალაკტიონს ბარათაშვილთან? მათ პოეზიას უფრო მეტად აახლოებს სინიმდვილესთან აქტიური დამოკიდებულება, დაუდგრომლობა, ბედთან ამხედრება, ბოროტებასთან შეურიგებლობა.

„ბარათაშვილის ლირიკის პირდაპირ გაგრძელებად გვევლინება გალაკტიონ ტაბიძის ის შედეგები, რომლებშიაც პოეტი სულის უნაზეს მოძრაობას, სულიერი ტკივილის თითქმის ფიზიკურად განცდასა და სასოწარკვეთის უკიდურესობას გამოთქვამს“.

მხოლოდ ეს? თუ უფრო არსებითი ის არის, რომ როგორც ბარათაშვილთან, ასევე გალაკტიონთან თითქმის ფიზიკურად განცდილი სულიერი ტკივილი — დაიძლევა, სასოწარკვეთა — იმედით შეიცვლება. როგორც ბარათაშვილს, ასევე გალაკტიონს თვით ყველაზე დიდი სულიერი ტკივილისა და უკიდურესი სასოწარკვეთის წუთებშიც კი უღვივის სულიერი განახლებისა და სიხარულის იმედის სხივი... არც მერანი და არც ლურჯა ცხენები განგების განაჩენს არ ემორჩილებიან, შავ ბედისწერის სიმძიმის ქვეშ არ იჩოქებენ, გაუტეხელნი და შეურიგალნი კოსმოსური გრგვინვა-გრიალით მიჰქრიან. „ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი, ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!“

„გალაკტიონ ტაბიძემ კარგად აითვისა ვერლენისა და ბლოკის გაკვეთილები, მუსიკა მან თავისი შემოქმედების ღერძად აქცია და ლექსის ყველა კომპონენტი მას დაუქვემდებარა“.

ეს მოსაზრება შეიძლება მართებული იყოს გალაკტიონის სიმბოლისტური სტილით შესრულებული ლექსებისათვის, მაგრამ ვერ გავრცელდება მთელ პოეზიაზე. მუსიკისადმი ლექსის ყველა კომპონენტის დაქვემდებარებით უაზრობას მივიღებდით.

ყველა საბჭოთა მწერალთან, რომელთა შემოქმედებაზეც საუბარია წიგნში, გრიგოლ აბაშიძეს ახლო ნაცნობობა და მეგობრობა ჰქონია და აქვს. სასურველი იყო, ზოგჯერ მაინც, მწერალს უფრო ვრცლად მოეთხრო, მკითხველისათვის მიეწოდებინა უფრო ფართო „ინფორმაცია“ მწერალსა და პიროვნებაზე, გაეცნო არა მხოლოდ შემოქმედებითი სახე, არამედ უფრო სრულყოფილი ადამიანური პორტრეტიც მოეცა.





საერთოდ, ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში და კრიტიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა შემოქმედის პიროვნების ჩვენება-წარმოჩენას, მაშინ, როცა მკითხველს მწერლის ნამუშევრებზე ნაკლებად როდი აინტერესებს მისი პირადი ცხოვრება, ადამიანებთან დამოკიდებულება, ხასიათისა და ქცევის თავისებურებანი და დეტალები. ის გარემოება, რომ ხელოვანი თავის ხელოვნებაში ვლინდება, არ ხსნის საჭიროებას უფრო მეტი „ვიცოდეთ“ მასზე, სხვა „წყაროებიც“ გვქონდეს მის შესახებ. ეს მოთხოვნილება თანდათან უფრო და უფრო იზრდება დროის მსვლელობის შესაბამისად. შთამომავლობას ყოველთვის ყველაფერი აინტერესებდა წინაპრებისა. ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ძირისძირობამდე ყველაფერი დააინტერესებს, დიდი სურვილი ექნებათ ყველაფერი იცოდნენ ჩვენს შესახებ, როგორც ჩვენი დაუოკებელი წყურვილია, ყველაფერი ვიცოდეთ ჩვენს მამებზე, პაპებზე და პაპის პაპებზე.

წიგნის მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაწილია მოგზაურობის შთაბეჭდილებები, მკითხველს უფართოებს ცოდნას ბევრ ქვეყანასა და ხალხზე, დედამიწის სულ სხვადასხვა კუთხის ბუნებაზე, მოსახლეობის ზნესა და ჩვევებზე, ადათწესებზე. „პოეზიისა და მშვიდობის გზებზე“ შეიცავს უამრავ ფაქტს, ცნობას; ეს ნაწილიც, როგორც პირველი ორი, გამდიდრებულია მრავალფეროვანი ცოდნით. მწერდ ის უშუალო დაკვირვება, საკუთარი თვალთ ნანახის და საკუთარი ყურით მოსმენილის ბუნებრივი და სიმართლით გადმოცემა შორეულ ქვეყნებსაც კი, უცნობ გარემოს, მრავალ იშვიათ ფაქტსა და უცხო მოვლენას მკითხველისათვის ხდის მისაწვდომს, ნაცნობსა და ახლობელს.

მაგრამ მაინც გვრჩება უკმარისობის ერთგვარი გრძნობა. მწერალი ნაკლებად დაინტერესებულა გამოჩენილ მოღვაწეთა, ცნობილი პიროვნებების თუ შემთხვევით შეხვედრილი უბრალო, რიგითი ადამიანების „შიგნიდან ჩვენებით“, ხასიათების „აღმოჩენითა“ და წარმოსახვით.

გრიგოლ აბაშიძე წერილებში, ესეებსა და ნარკვევებში ყურადღებას ამახვილებს ქართველი თუ უცხოელი მოღვაწის, თანამედროვე თუ წარსულის ხელოვანის იმ გამონათქვამებზე თუ შემოქმედების იმ ნიმუშებზე, რომლებიც გამოკვეთილად გვიხასიათებენ მათი ავტორის ნააზრევის სიღრმესა და მასშტაბურობას, თანამედრო-



ვეობისათვის მნიშვნელობასა და აქტუალურობას. ასეთ ღრმა, აქტუალურ და დღესაც გასათვალისწინებელ აზრად სამართლიანად თვლის მწერალი გერონტი ქიქოძის გამონათქვამს:

„თუ შესაძლებელია ორიოდე სიტყვაში გადმოიცეს ქართველი ერის კოლორიტული და ტრაგიკული ისტორიის დედაარსი, შეიძლება ითქვას, რომ გრანდიოზული სოციალური ქარტეხილების პერიოდებში, როდესაც მისი არსებობის საკითხი სასწორზე იდო, ქართველი ერი ინსტინქტურად თუ შეგნებულად იმ ძალებისაკენ მიილტვოდა, რომელნიც აახლებდნენ და აწესრიგებდნენ დაქსაქსულ ან ერთ წერტილზე გაყინულ კაცობრიობას: ელინებისა და რომაელებისაკენ კლასიკურ პერიოდში, ბიზანტიელებისა და ჯვაროსნებისკენ საშუალო საუკუნეებში, ბოლოს რუსებისაკენ ახალ ეპოქაში. ამრიგად, ერთი მტკიცე ჯაჭვი აერთებს იბერიისა და კოლხიდის სახელმწიფოების ლეგენდარულ ფუძემდებლებს — ვახტანგ გორგასალსა, დავით აღმაშენებელსა, თეიმურაზ პირველსა, ვახტანგ მეექვსესა, ერეკლე მეორესა და იმ პოლიტიკურ მეთაურებს, რომელნიც ქართველმა ერმა მეცხრამეტე საუკუნეში წარმოშვა“.

დღევანდელ საქართველოში, როცა უკომპრომისო ბრძოლა აქვს გამოცხადებული ყოველივე მახინჯსა და მანკიერს, როცა მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს საბოლოოდ გაჯანსაღება რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად რჩება, აქტუალურად ჟღერს გრიგოლ აბაშიძის აზრი, რომელიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მისამართით და მასთან დაკავშირებით გამოითქვა: „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა დღესაც ცოცხალია და ბრძოლას განაგრძობს, პრობლემები, რომლებსაც იგი შეეხო და რომელთა გადაჭრასაც წარუშლელი კვალი დააჩნია, ზოგჯერ დღესაც დგანან და ძალიან აქტუალურადაც“.

ამ ჭეშმარიტებას თავისი შემგონებელი ძალა აქვს, დღევანდელ საჭიროებებს უპასუხებს და მომავლისკენაც არის გამიზნული, უკეთესი მერმისის, ხვალინდელი საქართველოს დიდ საქმეს ემსახურება.

წარსულის ერთ დიდ უცხოელ პოეტზე ერთგან მწერალი ამბობს, რომ მას დამსახურებულად უწოდეს „უნივერსალური ადამიანი“, რადგან იგი იყო მრავალმხრივი და განსწავლული შემოქმედი,

აქტიური მოღვაწე, ფართო ინტერესების პიროვნება. სხვა ადგილას იმავე პოეტის წერილებს გრიგოლ აბაშიძე უფრო ესეებს მიაკუთვნებს, რომელშიაც პოეტი გადმოგვცემს თავის რწმენასა და დაეჭვებას, თავისი სულის ძვრასა და გარესამყაროსთან დამოკიდებულებას, თავისი ცხოვრების ყოველდღიურობის ღირსსახსოვარ სურათებს...

ამ შეფასებას მიუკერძოებლად იმსახურებს თვით გრიგოლ აბაშიძე, როგორც პიროვნება, შემოქმედი და მოღვაწე; ამ სიტყვებით გადაუჭარბებლად ხასიათდება მისი ერთერთი ბოლოდროინდელი წიგნი „წინაპრები და თანამედროვენი“.

ჩვენს დროში გრიგოლ აბაშიძემ ერთერთმა პირველმა გადალახა ჟანრობრივ-შემოქმედებითი შეზღუდულობა, ბედი სცადა სამწერლო ხელოვნების თითქმის ყველა სახეში და, მის სასახელოდ, ხელი არსად არ მოსცარვია, ყველგან წარმატება მოიპოვა.

იგი არა მხოლოდ მრავალმხრივი შემოქმედია, — ფართო დიპლომატიის საზოგადო მოღვაწეა; ძვირფასი დროის დიდ ნაწილს უყოყმანოდ და უანგაროდ წირავს პრაქტიკულ-საზოგადოებრივ საქმიანობას. მწერლის გამოსვლა პრესაში თუ ტრიბუნაზე — ჩვენში და უცხოეთში — გამსჭვალულია დიდი მოქალაქეობრივი საზრუნავითა და პასუხისმგებლობით, მწერლისა და პიროვნების დაინტერესებით არა მხოლოდ საკუთარი ერის ცხოვრების ავ-კარგითა და ხვალისდელი დღით, არამედ მსოფლიოს ხალხთა ჭირ-ვარამით, მისი ბედით. ჩვენში თუ საერთაშორისო ფორუმებზე მწერალი ქართველი კაცის შემართებითა და მგზნებარებით, საბჭოთა ადამიანისა და მოქალაქის მტკიცე პოზიციიდან იცავს მშვიდობის, ჰუმანურობისა და პროგრესის ინტერესებს.

მთელი ამ მოღვაწეობის, მწერლის ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი ცხოვრების ბუნებრივი ნაყოფია და ამ უმაღლეს იდეალებს ემსახურება „წინაპრები და თანამედროვენი“. მწერალი წარსულს ეხება თუ თანამედროვეობას, წინაპართა ღვაწლს წარმოაჩენს თუ თანამედროვეთა ქველობას აფასებს, გარდასული ეპოქების ჭირ-ვარამში გვახედებს თუ თანამედროვეობის უმწვავეს პრობლემებზე საუბრობს, მისი აზრი და ფიქრი მიმართულია მომავლისაკენ; შემოქმედის ოცნება ჰერეტს და თავს ევლება მომავლის ხატებას.

„კრიტიკა“ განიხილავს

ახალ რომანს

(თ. გიგილური.  
„ჟამი კითხულისა“).

□ □ □

## ჟამი რომ არა...

□  
ლევან ბრეგვაძე  
□

თამაზ გიგილურის რომანის — „ჟამი კითხულისა“ — ერთ თავში მოთხრობილია, თუ როგორ შეიქმნა სიმღერა სოფლის წინამძღოლის, კითხული კაცის გიორგი ბალიაურის დიდსულოვნებაზე, რაც მან ერთერთ სოფელზე თავდასხმისას მოწინააღმდეგის მიმართ გამოიჩინა: იგი ცეცხლში შევარდა და იხსნა მისი მხედრების მიერ გაპარტახებული სოფლის მოხუცი კითხულის, თავისი კოლეგისა და მეტოქის უმწეო ქალიშვილი და შემდეგ ცოლადაც შეირთო იგი. ამ ფაქტის უკვდავსაყოფად ხალხმა მშვენიერი სიმღერა შექმნა.

რომანი ბერი ზოსიმეს, ამ ამბების თვითმხილველის მისტიფიციზებული „ჩანაწერებს“ წარმოადგენს და ამ რომანტიკული სიმღერის დაბადების ამბავსაც ის გვიყვება. მისგანვე ვგებულობთ, რომ მთელ ამ ლაშქრობაში ძალიან ცოტა რამ ყოფილა გმირული და რომანტიკული, მაგრამ იმას, რაც გოგონას გადარჩენას უძლოდა წინ, სიმღერა თურმე ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს. „სიმღერა არაფერს ამბობს იმაზე, — აცხადებს ბერი ზოსიმე, — როგორ შევიდა ლაშქარი ერთ მწირ, ღარიბ სოფელში, სადაც არც ძეხორციელი ჩანდა,

არც შესაჭმელი რამე, არც წასაღები, არც გასართობი და თავის შესაქცევარი. ლაშქრის თვალწინ სოფელი იყო და სოფელი არ ეთქმოდა.. იმედგაცრუებულმა, დატაცებას მიჩვეულმა ლაშქარმა არ ელოდა რა ექნა, მოთმინებით ჩხრეკდა სახლ-კარს და ეძებდა იმას, რაც არსად იყო, ბრაზით კბილებს აღრჭენდა და მზად იყო ერთმანეთს დარეოდა სოფლის სიმწირით და შინ ხელცარიელი დაბრუნების ფიქრით გახლებული“.

ორიოდე ადამიანს ვერ მოესწრო გახიზვნა. მათ შორის იყო „ერთი კოჭლი და მურით მოთხუპნული გოგო, რომელსაც არც თვალაღობა გააჩნდა, არც ძუძუ-მკერდი და სხვა დროს ზედაც არავინ შეხედავდა“; იგი ბიჭებმა კოშკიდან გამოათრიეს, გააუბატურეს და ხელშიც შემოაკვდათ. მაგრამ ამაზე სიმღერა ღუმს.

ფასეული და ღირებული ვერაფერი იპოვეს. ერთადერთი ხმალი აღმოაჩინეს ძველ სკივრში მეომრებმა; იმაზეც ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა მათგანმა მეორე სასიკვდილოდ დაჭრა იმავე ხმლითვე. ამ სამარცხვინო კინკლაობაზეც ღუმს სიმღერა.

თვით ის ფაქტიც, რომელზეც სიმღერა შეიქმნა, ტენდენციურად, შელამაზებულად ყოფილა ასახული. სიმღერა ამბობს, რომ, როცა ჯარისკაცებმა გაიგეს აღმოდებულ კოშკში მოხუცი კითხულის შვილია ჩარჩენილი და უეჭველი დალუბვა ელისო, თავიანთ წინამძღოლს „გარშემო შემოეხვივნენ და სთხოვდნენ გაეშვა ისინი ბერიკაცის შვილის გადასარჩენად. მაგრამ ეს ლამაზი სიმღერა აქ უმოწყალოდ ტყუის“, — გვიმხელს ბერი ზოსიმე და ასე აგვიწერს რეალურ ვითარებას: მეომრებს თურმე არც უფიქრიათ დახმარება. „ერთად თავმოყრილი და ერთმანეთს აკრული ჯარისკაცები რუხ მგლებს ჰგავდნენ და მათი უნდოდ მზირალი თვალებიც ცეცხლის შუქზე ღვიოდნენ. ამ თვალებში კითხულმა მხოლოდ ლაჩრობა დაინახა და შეეზიზლა ეს თვალები. ზიზღმა კი ერთბაშად გააღვივა კითხულის გულში დანაცრული სიბრალული. კითხულს ახლა ეზიზღებოდა ჯარისკაცები და უყვარდა ეს ბერიკაცი, აღმოდებული კოშკისკენ რომ მიიწევდა. ხო, სიმღერა ამ ადგილს ტოვებს და სამაგიეროდ კვლავ სიდიადით მოსავს ახალგაზრდა გიორგი ბალიაურს. ეს დიადი ადგილი სიმღერისა წრფელია და ცეცხლის შუქით მეწამულისფრად განათებული...“

გიორგი ბალიაური აღმოდებულ კოშკში შევარდა და გოგო

იხსნა. ასე აქცია სოფლის დესპოტი, ტირანი მბრძანებელი საკუთარი ჯარისკაცების მიმართ ზიზღმა ერთი წუთით რაინდად და კეთილშობილ ვაჟკაცად.

ბერი ზოსიმე რეალისტი მემატიანის კეთილსინდისიერებით აღწერილი რომანტიკულ ამბებს დიდების შარავანდს და ლამაზი ლეგენდებისა და აპოლოგიების ნაცვლად იმ რეალურ, ამაზრზენ ვითარებას გვიჩატავს, რაც სოფლის წინამძღოლად ტირანი გიორგი ბალიაურის აღზევებას მოჰყვა. აშკარაა „რომანტიკული“ წარსულის დეჰეროიზაციის რეალისტურ-ჰუმანიტური ტენდენცია.

მეტად საინტერესოა სოფლისა და მისი წინამძღოლის ურთიერთდამოკიდებულება ამ ნაწარმოებში. მაგრამ ამ დამოკიდებულების შინაარსს რომ ჩავწვდეთ, ჯერ კითხულის სტატუსის გარკვევა იქნება აუცილებელი.

„გიორგი ბალიაურის მამაც კითხული კაცი იყო, პაპაც კითხული კაცი ყოფილა და პაპის პაპაც კითხულ კაცად თქმულა“, — ვკითხულობთ რომანში. მაგრამ, ამის მიუხედავად, კითხულობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ არის. ეს იქედან ჩანს, რომ, როცა ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილმა, მაგრამ უკვე პატივმოყვარეობის ჟინით შეპყრობილმა გიორგი ბალიაურმა გამოაცხადა „მე კითხული უნდა გავხდეო“, ბავშვის ამ ნათქვამმა „მთელი ჯალაბი შეაძრწუნა“. ეტყობა, ახალი კითხული მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ბოდა ძველი კითხულის შთამომავალი ყოფილიყო, თუ იმ დროს სოფელში მასზე ღირსეული კანდიდატი არ მოიპოვებოდა. გარდა ამისა, ისიც ირკვევა, რომ თუ კითხული ვერ გაამართლებდა იმედებს, მისთვის კითხულობის ჩამორთმევაც შესაძლებელი ყოფილა. ამიტომ იყო, რომ გიორგი ბალიაურს მთელი ცხოვრება კითხულობის დაკარგვის შიში აწუხებდა.

ფაქტია: გიორგი ბალიაურის ხელში სოფელი გაძლიერდა, გამრავლდა, გამდიდრდა. მაგრამ ეს მოხდა მეზობელი სოფლების პარცვა-გლეჯის ხარჯზე, სისხლიანი ბრძოლების ხარჯზე, სოფლის შიგნით ტირანიის, სოფლელთათვის შინაგანი თავისუფლების მოსპობის ხარჯზე. სოფელი რომ ერთ მძლავრ მუშტად შეეკრა და იგი თავისი პატივმოყვარული მიზნების აღსრულების იარაღად ექცია, ამისათვის გიორგი ბალიაურმა საყოველთაო შიშისა და ტყუილის ატმოსფერო დაამკვიდრა. „შიში“ — ეს სიტყვა ამ რომანში ერთერთი ყვე-

ლაზე ხშირად ხმარებული სიტყვათაგანია. ხალხს ეშინია გიორგი ბალიაურის, ეშინიათ ერთიმეორის და უპირველეს ყოვლისა ეშინიათ ხირჩლასი, კითხულის მარჯვენა ხელის, შიშის ჩანერგვისა და ტყუილის დიდოსტატისა.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სოფელი უცოდველი მსხვერპლია და ყველა უბედურებათა თავიდათავი გიორგი ბალიაურია. მაგრამ რომანში აღწერილი მოვლენების ღრმა ანალიზი გვიჩვენებს, რომ კითხული და მისი სოფელი ერთნი არიან, ერთმანეთის შესაფერისნი, რომ სოფელს სწორედ ისეთი კითხული ჰყავს, როგორსაც იგი ნამდვილად იმსახურებს. ფარული ანტაგონიზმი, რაც თითქოს თავიდანვე არსებობს კითხულსა და სოფელს შორის, მოჩვენებითი ანტაგონიზმია: გიორგი ბალიაური იგივე სოფელია და სოფელი იგივე გიორგი ბალიაურია. სხვაგვარად ხალხი იმ მშვენიერ რომანტიკულ სიმღერას არც შექმნიდა მასზე, ეს ხომ მისთვის არავის დაუვალებია, ამ სიმღერის ავტორიც თვითონ არის და შემკვეთიც.

როგორც ვთქვით, კითხული და სოფელი ერთნი არიან, ოღონდ ეს ერთიანობა მარტივი ერთიანობა არ არის; იგი მნიშვნელოვან განსხვავებაზეა დაფუძნებული, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ამაში გასარკვევად, ამ რთული ურთიერთდამოკიდებულების გასაგებად ერთი ასეთი ადგილი გავიხსენოთ რომანიდან:

„ლაშქრის სიხარბეზე კითხული თვალს ხუჭავდა, თითქოს ამის თაობაზე არაფერი უწყოდა. თავად უმწიკვლო, ალაფის დატაცებასა და მითვისებაში არ ერეოდა, ამას ჯარი და სოფელი უმიმოსოდ აკეთებდა და კითხულიც თავისუფლად უშვებდა ლაგამს...“  
დავაკვირდეთ, რა საინტერესო რამ ირკვევა. აქედან და, საერთოდ, კითხულისა და სოფლის დანარჩენ მოსახლეთა ცხოვრების წესის აღწერიდან (რასაც მეტად შთამბეჭდავი რეალისტური პასაჟები ეძღვნება ნაწარმოებში) სრულიად აშკარაა ერთი რამ: კითხული ხალხის მატერიალურ ინტერესებს საკუთარ მატერიალურ ინტერესებზე მაღლა აყენებდა. ეპითეტი „უმწიკვლო“ მოყვანილ ციტატაში შემთხვევითი როდია. კითხულს არასოდეს გამოუჩენია სიხარბე, ფუფუნებისაკენ ლტოლვა, ხორციელ სიამოვნებებს არასოდეს გამოჰკიდებია, ოღონდ ამის სანაცვლოდ იგი მოითხოვს, რომ მისი სულიერა



ინტერესები (რაც ამ შემთხვევაში ძალაუფლებისა და გმირის შარავანდის მოპოვებისაკენ სწრაფვით გამოიხატება) სოფელმა თავის სულიერ ინტერესებზე მაღლა დააყენოს. (კითხულის ხასიათის გასახსნელად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ავტორი დაწვრილებით გვაცნობს მის სიყმაწვილეს; მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება მთავარი პერსონაჟის სულიერ ფორმირებაზე, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გიორგი ბალიაურის სწრაფვაზე თავის გამოჩენისაკენ, გმირობისაკენ, სიმაღლეებისაკენ და ა. შ.). კითხულსა და სოფელს შორის დაუწერელი, უსიტყვო შეთანხმება, კონვენცია არსებობს, რომლის საფუძველზე მატერიალური და სულიერი ღირებულებები ასეა დანაწილებული: სახელი კითხულს, სახრავი სოფელს. „კითხულმა სოფელს ყველაფერი მისცა, რაც კი სოფელს სურდა, — გვაუწყებს ბერი ზოსიმე, — მდაბალ ვნებებზეც თვალი დახუჭა და ფიქრობდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოინადირა მისი გული. თავად უანგაროს, სახელის გათქმის მეტი არაფერი სურდა“. მოკლედ, სოფელმა და კითხულმა მშვენივრად გაუგეს ერთმანეთს. „ახალგაზრდა კითხული სოფელს უკვე კარგად იცნობდა და იცოდა, რომ მისი მერყევი ბუნება მშვიდობიანი ძილღვიძილისა და ნეტარყუჩობის წიაღ, ხელად მოირგებდა შარიანი, მოურიგებელი დამრბევის სამოსელს“.

ზემოთნახსენებ შეთანხმებას ემყარება კითხულის ძლიერება. ვიდრე იგი ამ იდუმალ კონვენციას არ უღალატებს, ვიდრე იგი თავის მატერიალურ ინტერესებს სოფლის მატერიალურ ინტერესებზე მაღლა არ დააყენებს, მას პირველკაცობა, გმირის სახელი გარანტირებული ექნება. ასე რომ, ძნელი სათქმელია ვინ ვისი მსხვერპლია — სოფელი კითხულისა, თუ კითხული სოფლისა.

კონვენცია რომ სრულყოფილად მოქმედებდეს, ერთი იმისთანა პიროვნებაც არის საჭირო, რომელიც კითხულისათვის „განტევების ვაცის“ როლს შეასრულებს და ხალხს, საჭიროების შემთხვევაში, შურისძიების ობიექტად გამოადგება. ასეთი კაციც მოინახა — ხირჩლა.

რომანში ხალხის წინაშე რამდენჯერმე გამოდიან კარის ჯამბაზები და ტაკიმასხარები, რომელთაც ტრაგიკული სიტუაციების განმუხტვა და ბნელი საქმეების ჩადენის წინ ხალხის „ესთეტიკური დამუშავება“, სათანადო განწყობილების შექმნა ევალებათ, მაგრამ,



რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს, ყველაზე დიდი მასხარა სინამდვილეში ხირჩლას, რომელსაც ჰგონია ხალხსა და მის წინამძღოლს ჩემს საკუთარ ნება-სურვილზე ვათამაშებო, და იმას კი ჰქვია ხვდება, რომ თვითონ იგი სოფელმა და კითხულმა ერთობლივად გამოიგონეს, შექმნეს, ცხადია, თავისდაუნებურად, ინსტინქტურად შექმნეს, ისევე, როგორც ინსტინქტურად დაიდო მათ შორის ზემოთნახსენები კონვენცია, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა ხირჩლას გარეშე. საქმე ის არის, რომ სოფლის მცხოვრებთა შორის დროდადრო გამოჩნდებიან ისეთი პიროვნებებიც, რომელთაც საკუთარი ღირსების გრძნობა აქვთ, დამოუკიდებელი სულიერი ინტერესები ამოძრავებთ და, ამრიგად, ისინი შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს კითხულის პოტენციურ მეტოქეებადც ჩამოყალიბდნენ. კონვენციით კი, როგორც ვნახეთ, სულიერი ინტერესების ქონა კითხულის პრივილეგიაა. ასეთი ადამიანები ერთნაირად უსიამოვნონი არიან როგორც კითხულისთვის, ასევე ხალხისთვისაც. მათი განადგურება ევალემა ხირჩლას, რადგან საჭიროა, რომ ამ საქმეში კითხულიც და ხალხიც უმწიკვლო ჩანდეს.

ხირჩლას იმდენად მზაკვრული მისია აკისრია, რომ კითხული საკუთარ თავსაც ვერ უტყდება, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს ადამიანი, რა ფუნქცია აქვს, რატომ დგას იგი მასსა და სოფელს შორის. „ვინ არის ეს კაცი? რა ვიცი მე ამ კაცისა? — ფიქრობდა კითხული და ბნელში აყუდებულ ხირჩლას თვალს არ აშორებდა, — არაფერი, არაფერიც არ ვიცი... საიდან მოვიდა, რად გაჩნდა მაინცდამაინც აქ?... რად გახდა კითხულის ერთგული კაცი? რით მოიპოვა თვალდახუჭული და ყურდახშული ნდობა?... არაფერი, არაფერი არ იცის გიორგი ბალიაურმა და მაინც ამ კაცის გვერდით მიდის მთელი ცხოვრება...“

„ვინ არის ეს კაცი“, თავს იმტვრევს, თითქოს აღარ ახსოვდეს, რა გულმოდგინე ძიების შემდეგ შეაჩერა არჩევანი ამ უთვისტომო ადამიანზე, სოფელთან თავის უუამაველად დანიშნა და განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვა იგი. თავისი საყვარელი მეუღლეც არ დაინდო, როცა ქალმა ერთხელ მასთან საუბარში ხმამაღლა გამოთქვა ეჭვი ამ კაცის მიმართ.

ეს დაჟინებით გამეორებული „არ ვიცი.. არაფერი არ ვიცი“ გიორგი ბალიაურის ამ შინაგან მონოლოგში საწინააღმდეგო მნიშ-



უნელობას იძენს: ვიცი, მაგრამ საკუთარ თავსაც არ მინდა გავუმხილო.

ხირჩლა დიდი გულმოდგინებით ასრულებს თავის მოვალეობას (რის შემდეგაც მასაც იქით გაისტუმრებენ, საიდანაც მოსულა — არარაობაში). ვის თვალებშიც ხირჩლა სიამაყის, სულიერობის ნაპერწკალს შეამჩნევს, იგი განწირულია.

ამ მხრივ საინტერესოა ხუთი ჭაბუკის დასჯის ეპიზოდი. მათ მოლაღატეებთან კავშირი ბრალდებათ, მაგრამ სინამდვილეში მათი ერთადერთი „დანაშაული“, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ის არის, რომ საკუთარი ღირსების გრძნობით, ვაჟკაცობით და სიამაყით გამოირჩევიან. „ხუთნი იყვნენ, ხუთივენი ტოლები, ერთი სიმალლისანი და თითქოს საგანგებოდ დარჩეულნი“. ხალხი ჩაქოლვას მოითხოვს. ხირჩლა წინააღმდეგია: ჩაქოლვა არ იქნება, დავაჩოქოთ და გავრეკოთ, ასეთია კითხულის ნებაო. ხირჩლამ კარგად იცის, რასაც აკეთებს: თუ ბიჭები დაიჩოქებენ და ჩაუდენელ ცოდვას მოინანიებენ, მაშინ მათი სიამაყე გატეხილია, მათი სულიერი ღირსება შებღალული და ძნინი ველურ ივარგებენ კითხულის პოტენციურ მეტოქეებად, ხოლო თუ თავს არ დაიმცირებენ. ამას უკვე ბრბო აღარ აპატიებთ და თვითონვე გაუსწორდებიან, კითხულს კი ჰუმანური ადამიანის სახელი დაუმკვიდრდება. ასეც მოხდა. ერთმა არ დაიჩოქა და ბრბომ იქვე დაგლიჯა იგი („ხედავ, ეს რა ქნეს“..., ფარისევლურად აცხადებს ხირჩლა ამ ველური აქტის შემდეგ). ბრბო ინსტინქტურად გრძნობს: კითხულის პოტენციური მეტოქე მისი მეტოქეც არის. ბრბო და კითხული ერთი მედლის ორი მხარეა. ამიტომ არადამაჯერებელი ჩანს რომანის ფინალი, სადაც კითხულის წინააღმდეგ ხალხის ამბოხებაა აღწერილი.

ასეთი დასასრული ნაკლებსარწმუნოა იმიტომ, რომ კითხულს არ უღალატნია სოფელთან დადებული კონვენციისათვის, და თუკი კითხული ამ კონვენციას არ უღალატებს, მაშინ სოფლის მხრივ მისი კრიტიკა (მით უმეტეს კრიტიკის უკიდურესი ფორმა, იარაღით კრიტიკა — იგი ძლივს გადაურჩა ჩაქოლვას) წარმოუდგენელია, რადგან კონვენციით კითხული, თუკი იგი ამ დაუწერელ პირობას არ დაარღვევს, ღირსეულად უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, თორემ ასეთ ვითარებაში მისი შარავანდი, სოფლის მიზეზით, სიკვდილამდე ერთი დღით ადრეც რომ შეიბღალოს, ეს საერთოდ კითხულობის ინს-



ტიტუტის მოშლას გამოიწვევს, რაც საზოგადოების განვითარების  
იმ დონეზე, რომანში რომ არის აღწერილი, სოფელს ხელს არ აძ-  
ლევს. (ამ მხრივ ძალიან ნიშანდობლივია ერთი დიალოგი, რომელიც  
ხირჩლას მიერ სოფელში დატრიალებული მორიგი საშინელების  
შემდეგ გაიმართა ერთ ბერიკაცსა და მთხრობელს შორის: „ნეტა  
იმან თუ იცის...“, — დაიხურჩულა ბერიკაცმა. „ვინა?“, — ვიკითხე  
ისე, რომ არც ვიცოდი რას ვკითხულობდი. „იმან... კითხულმა...“, —  
დაიხურჩულა ბერიკაცმა. მე არაფერი მითქვამს. „არ ეცოდინე-  
ბა..“, — თქვა ბერიკაცმა). ასე რომ, კითხულის წინააღმდეგ სოფ-  
ლის ამბოხი არც გიორგი ბალიაურის სიბერითა და უძლურებით  
შეიძლება აიხსნას. კითხულს სოფლის მხრივ საფრთხე არ ელის. მის  
ავტორიტეტს ერთადერთი საფრთხე იმ მაღალი სულიერი ღირსების  
პიროვნებათა მხრივ ემუქრებოდა, რომელნიც ტყუილად როდი ისპო-  
ბოდნენ მეთოდურად ხირჩლას ხელით. ის მიზეზი, რამაც რომანში  
სოფელსა და კითხულს შორის მტრობა ჩამოაგდო, ძალიან ხელოვნ-  
ურია: სოფელში ჟამი (შავი ჭირი) გაჩნდა და ხალხმა ამაში რა-  
ღომღაც კითხული დაადანაშაულა.

ზემოთ ვთქვით, რომ რომანში წარსულის რომანტიზაციას სი-  
ტუაციების რეალისტური აღდგენა უპირისპირდება. მაგრამ ეს პრინ-  
ციპიც ბოლომდე არ არის დაცული, კერძოდ, ხირჩლას მოკვლა გა-  
ძევებული კითხულის მემკვიდრის მიერ და, საერთოდ, რომანის  
დასასრული, რომანტიკულ ლეგენდას წარმოადგენს. ამას მთხრო-  
ბელიც აღიარებს: იგი რომანის ფინალს რამდენჯერმე გარკვევით  
უწოდებს ლეგენდურს. ხოლო წიგნის ავტორისეულ ანოტაციაში ამ  
რომანის შესახებ ვკითხულობთ: „ლეგენდისა და სინამდვილის შერ-  
წყობით შევეცადე კაცის ცხოვრება წარმომესახა“.

ვნახოთ როგორ ილუბება ხირჩლა:

„მივიხედე და სოფლის თავზე გადმომდგარი ხირჩლა დავინახე.  
და ის იყო თოფიც გავარდა! საფიხვნოს თავზე თეთრ ცხენზე ამხედ-  
რებულმა პატარა გიორგი ბალიაურმა (ვაჟსაც მამის სახელი ერ-  
კვა—ლ. ბ.) გაიელვა. ცხენი ჭიხვინით შედგა, მერე საფიხვნოს გა-  
დმოეველო და თავის მხედრიანად გაქრა“.

რამდენიმე სიტყვა პატარა გიორგი ბალიაურის შესახებ. მას  
ძალიან ზერელედ იცნობს მკითხველი, იგი მხოლოდ ორიოდვე ეპი-  
ზოდში გამოჩნდება. მაგრამ ბერი ზოსიმეს მიერ კითხულის მემკვიდ-



რის ძუნწი დახასიათებიდანაც ვხვდებით, რომ მან ერთ დროს მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სოფლის ცხოვრებაში. ამაზე არ ფიქრობს მხოლოდ ხირჩლა, რაც მისი ჭკუის ადამიანისაგან ცოტა მოულოდნელია: მისთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ყველაზე რეალური საფრთხე სწორედ ამ ჭაბუკისაგან ელის, მას რატომღაც მხედველობიდან გამორჩა კითხულის მემკვიდრე. ყოველ შემთხვევაში, რომანში არაფერია ნათქვამი მისდამი ხირჩლას დამოკიდებულების შესახებ. ეს გარემოებაც იმაზე მეტყველებს, რომ ნაწარმოების ბოლოს შესუსტდა მოვლენებისადმი რეალისტურ-ფსიქოლოგიური მიმართება და ლეგენდურ-რომანტიკული ნაკადი გაძლიერდა.

მაშ ასე, პატარა გიორგი ბალიაურმა იმსხვერპლა ხირჩლა.

იმ ადგილას, სადაც ხირჩლას გვამი ეგულებოდათ, მხოლოდ ნაბდისძველა და ნაცარი იპოვეს, „ხირჩლა თითქოს არცა ყოფილა, თითქოს მის ნაცვლად სატანა დაძრწოდა აჩრდილივით და აქაურობას თავის ნებაზე დაატარებდა, თითქოს არც სახე ჰქონდა, არც ფერი, არც წარსული, არც მომავალი, და ეს არსაითგან მოსული აჩრდილი ისევე გაქრა, როგორც მოვიდა“.

აღარ არის კითხული, აღარ არის ხირჩლა, სოფელი ჟამმა გააპარტახა, ვინც მას გადურჩა, მათ გულებში იმედის ნაპერწკლად ღვივის მოგონება თეთრ ცხენზე ამხედრებული პატარა ბალიაურისა, რომელიც ხირჩლას მოკვლის შემდეგ სადღაც მიიმალა და გადაიკარგა. მის დაბრუნებას ელიან...

ლეგენდურ დასასრულს დისონანსი შემოაქვს თხრობაში. საჭირო იყო რეალისტური ხატვის პრინციპის ბოლომდე მიყვანა. საინტერესოა, რა მოხდებოდა, სტიქიური უბედურება — ჟამი რომ არ გამოსულიყო ასპარეზზე და საკმაოდ მექანიკურად არ დაესვა წერტილი რომანში განვითარებული უაღრესად საინტერესო ამბებისათვის. ბერმა ზოსიმემ ერთ ლეგენდას შემოაცალა რომანტიკული საბურველი, მაგრამ თვითონვე შემოგვთავაზა ახალი რომანტიკული ლეგენდა. რეალისტური მანერა კი სხვა სიტუაციის დახატვას მოითხოვს რომანის ბოლოს. სამწუხაროა, რომ ამ საინტერესო ნაწარმოებში ეს შესაძლებლობა გამოუყენებელი დარჩა.

ორიოდე სიტყვა სათაურის გამო. რომანს „ჟამი კითხულისა“ ჰქვია. ჟამი ჩვენს ენაში ონომინია — დროსაც ნიშნავს და ავად-



მყოფობასაც. ამ რომანშიც იგი ორივე მნიშვნელობით იხმარება („ჟამი დამდგარიყო, ჟამი პასუხისა...“, გვ. 292, აქ „ჟამი“ დროა. „ჟამისგან დაუძღურებული სოფლის კითხული...“, გვ. 322, აქ „ჟამი“ ავადმყოფობაა). ამიტომ გაუგებარია სათაურში გამოტანილი „ჟამი“ რომელს გულისხმობს; თუ ორივეს, მაშინ ამგვარი ორაზროვნების ფუნქცია ნათელი არ არის.

## აბსტრაქტული... სადღეისო

□  
**ლუიზა გოჩიოვა**

რომანში — „ჟამი კითხულისა“ — მოქმედების განვითარება ძირითადად მიმდინარეობს მონოლოგური მეტყველებით. ავტორი ნაწარმოებს სინამდვილის ხილვით იწყებს:

„პირველად იყო სიტყვა!..

— ჟამი! — დაიძახა ვილაცამ და ამ ერთმა სიტყვამ, თითქოს ჟამი საფიხვნოსთან თავშეყრილ ხალხში ნადირივით შემოვარდაო, ერთბაშად, ნაფოტებად დაშალა სოფელი“.

ეს დაპირისპირება მწერალს ესახება როგორც ბრძოლა, დავა. ეს არ არის განხეთქილება, არ არის ომი, რომლის შედეგად ერთ-ერთი უნდა დამარცხდეს და განადგურდეს. ისეთი ურთიერთობაა, სადაც მოწინააღმდეგეები მალღებებიან. ამალღებაში იგულისხმება არა რაღაც უცხო თუ შემთხვევითი მდგომარეობა, არამედ თითოეული მხარის მისვლა და დამკვიდრება საკუთარ არსთან, საკუთარ ყოფიერებასთან.

მოწინააღმდეგეებს ესაჭიროებათ ერთმანეთი, რამდენადაც სურთ გამოვლინდნენ, როგორც ლტოლვა-მისწრაფება თვით დამალვისაკენ.

ილუზიას (თუკი ასეთი არსებობს), ქმნის ნაწარმოების არაპიროვნული ხასიათი.

მწერალი ამბავში ისეა, როგორც ზეარსი ბუნებაში — ყველ-



გან ვგრძნობთ, მაგრამ ვერ ვხედავთ, თავის შეხედულებებსა და დასკვნებს არ გვახვევს თავს. ტენდენცია ორგანულად გამომდინარეობს მოქმედებიდან. როგორც სარკეში, არეკლილია არსებობის სიღრმე. მივყვებით დინებას, ეს თვით ცხოვრებაა.

გარეჯელი ბერის — ზოსიმეს მონათხრობში ყველაფერია: დაბადება და სიკვდილი, სიყვარული და სიძულვილი, დადება და უგვაზობა, ბატონი და მსახური, ომი და მშვიდობა.

მწერალი გულისნადებს „გულწრფელობას, ყველაფერს გამოხატავს სტილით. სტილის ქვეშ გაშუქებულია მისი რისხვა და განცდები.

„უამი კითხულისა“ ხალხურია. ხალხურობა განსაკუთრებული თვისება ხომ არ არის, აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებისა; ცხოვრების გამოხატვა თუ მართალია, ხალხურიც არის.

მწერალი იკვლევს არა მარტო განცდის რაგვარობას, კანონ-ზომიერებასაც. იკვლევს განცდის აღმოცენების პირობებს და მის მნიშვნელობას პერსონის სიცოცხლის მთლიანობისათვის. იძულებულია გასცდეს საკუთრივ განცდის ფარგლებს და ხელი შეახოს პერსონის მთლიანი ყოფიერების რაობასაც, რადგან განცდა არაა თავისთავად არსებული რამ, იგი მხოლოდ და მხოლოდ თვისებაა პერსონის, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ერთადერთ ჭეშმარიტ სუბსტანციას. „სოფელი ერთ მუჭად შეკრული და დაპატარავებული ქვეყნიერებაა — თავისი ხალხით და ჯამაათით, ერთი და ბერთ, მეფით და კარისკაცებით, აღზევებულნი და დამცირებულნი, სიკეთითა და ბოროტებით... გაუხსენ ხელ-ფეხი, გაუფანტე სიპატარავის შიში, მიანიჭე თვითრწმენა, და იგი, ერთ მუჭად შეკრული, თითქოსდა ერთი ბეწო, განივრცობა, უკიდევანო ქვეყნიერება გახდება“.

მწერალს გაცილებით იმაზე მეტი აქვს ნათქვამი, ვიდრე პირველი წაკითხვით ამოიკითხავთ. თითქოს კოშმარები აწუხებს, მაგრამ სავალდებულოდ არ თვლის ამის ქაღალდზე გადატანას. რამეს თუ ტოვებს, სულერთია, ეს გამოტოვებული მაინც იგრძნობა ნაწარმოებში; უკუაგდებს საგნის არაარსებით ნიშნებს, ახდენს მათ განყენებას; გამოყოფს „ითვისებს საგნის დედაარსისათვის დამახასიათებელს, საგნის არსებით მხარეებს და იჭრება მოვლენათა ში-

ნაგან კანონზომიერებაში. განსხვავებულში ითვისებს ზოგადს, საყოველთაოს. ასეთ შემეცნებას აბსტრაქციის მეშვეობით ახორციელებს, რაც გულისხმობს აზროვნებით უკუგდებულ და აზროვნებით გამოყოფილ ნიშანთა ურთიერთშეპირისპირებასაც.

გვერდი აუვლია, რისი გამოტოვებაც შეიძლებოდა და დაუტოვებია, რაც განცდილის მკითხველთან მიტანაში დაეხმარებოდა, რათა გვეგრძნო, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა. „როცა იმ პატარა სოფელზე ვფიქრობ, მგონია, ქვეყნიერებაზე ვფიქრობ-მეთქი. ის ერთი ბეწო სოფელიც ერთბაშად გადიდდა, — სოფლის ასიოდე მხედარი ლაშქრად იქცა, სოფლის კითხული — ძღვეამოსილ მეფედ და წინამძღოლად, სოფლის კოშკები — სრასასახლეებად, ასიოდე კომლი — ხალხად და ჯამაათად. და მე, ამ ქვეყნიერების შვილმა, მასთან ერთად დავიწყე ცხოვრება“...

როცა თ. ბიბილური ჰყვება, სუნთქვა არ ისმის. მოგვითხრობს დინჯად, თანაბრად, ნაბიჯ-ნაბიჯ, თითქოს საფეხურებზე აღისო; ნახტომების გარეშე, მოთმინებით, დაულალავად, დაუსუსტებლად, ხმა არ უთრთის გულისცემისაგან.

თ. ბიბილურთან ელვის სისწრაფით არ ექცევით თვალისმომკრულ სიმაღლეზე, ერთბაშად არ ვარდებით უფსკრულის მოზუზუნე, თავბრუდამხვევ სიღრმეებში, ფრთაშესხმულივით არ მინანობთ ფანტასტიკურ ოცნებათა სფეროებში.

ყოველ საფეხურზე ფართოვდება ჰორიზონტი. შორს სწვდება თვალი, ნელა ვითარდება ამბები, თანდათანობით ეფინება ნათელი: „კითხულობა, სოფლის ადათით, მხოლოდ ბრძენ, გამკითხავ და ვაჟკაც კაცს ეკისრებოდა. სოფელს უთუოდ სჭირდებოდა ჭკვიანი და გამოცდილი თავკაცი, რათა სოფლისთვის ცოტა შორიდან ეჭვრიტა, ყოველდღიური წვრილმანებისაგან განრიდებულს ცოტა ზემოდან გადმოეხედა“.

მწერალს კვლევის საგნად აქვს ობიექტური, თავისთავადი ყოფიერება.

პესიმისტური, ნიჰილისტური, შინაგანად გახლეჩილი ადამიანის ბედი, მისი სულიერი სამყარო წარმოადგენს ამ ნაწარმოების ძირითად თემას. გარეგანის გარდა არის შინაგანი მიმართებაც, მიმართება, რომელიც ამბის არსშია ჩაქსოვილი.

მწერლის შთაგონება სულის ტანჯვაა, ამ აზრით, სულის ენერგიაა.

თ. ბიბილურთან კონკრეტულ და უბრალო ამბავს მივყავართ ადამიანის ბუნების და მისი იდეების სამყაროს სიღრმეში.

გმირთა შედარება ავტორისათვის ცალკეულში ზოგადის აღმოჩენის საშუალებაა, რადგან შედარების პროცესში ახდენს ყველა იმ ნიშნის განყენებას, რომლებითაც გმირები განსხვავდებიან, აღმოაჩენს და აზრობრივად გამოყოფს იმ არსებით ნიშანს ან მხარეს, რითაც ისინი იგივეობრივნი არიან.

ამბავში ვხვდებით რთულ პიროვნულ გადანაცვლებებს. აღწერილია ურთულესი შეჯახებანი ფსიქიკური აპარატის ცალკეულ დონეთა — კითხულსა და ბერს შორის.

მოქმედების განვითარებასთან ერთად, ყველაფერი იცვლება. ეს ქმნის მოძრაობას. მოძრაობა კი თავის მხრივ ამბავია.

აქ სხვადასხვა სიტუაცია და სულიერი მდგომარეობა ქმნის ანტინომურ ფსიქოლოგიურ რეაქციათა აღმოცენების პირობებს. „ღმერთო, მაღალო, რა თამამი იყო ჩემი მეგობარი. ეს როგორ ხდება, რომ ერთს ამდენ ძალას აძლევ სითამამისა, მეორეს კი ერთ ბეწოსაც არ უწილადებ? ჩემი მეგობრისათვის ყველაფერი შეიძლებოდა, მისთვის აკრძალული ხილი არ არსებობდა, მე კი ყველაფერზე შიშით ვფიქრობდი და ყველაფერი აკრძალული მეგონა“.

ყოველი პერსონაჟი უცნობი ნაცნობია. თითოეული პიროვნება საერთოს განსაზღვრებაა. ამაშია მისი ძალა. ყოველ პერსონას გააჩნია თავისი პიროვნულად მნიშვნელოვანი სამყარო.

მწერალი სცდება საკუთრივ განცდის ფარგლებს, ეხება პერსონის მთლიანი ყოფიერების რაობას, რადგან განცდა არაა თავისთავად არსებული რამ. იგი მხოლოდ და მხოლოდ თვისებაა პერსონისა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ჭეშმარიტ სუბსტანციას. სამყაროსა და პერსონას შორის კავშირი იმდენად შინაგანია, რომ მხოლოდ აბსტრაქციაშია შესაძლებელი მისი წევრების გამოცალკევება და გამოცალკევების შემდეგ ურთიერთმიმართებაში მოყვანა. პერსონა მუდამ, ერთდროულად, საკუთარი თავის განმსაზღვრელიცაა, სამყაროს მიერ განსაზღვრულიც და სამყაროს განმსაზღვრელიც.

განცდათა სამყარო კონფლიქტურია. ქცევა — გარემოსთან





შეწყობილი. „ცხადად მახსოვს შამა-შვილობა მანგია ბალიაურისა და ჩემი მეგობრისა, უფრო შეუპოვარ და დაუთმობ ბრძოლას რომ ჰგავდა, ვიდრე მართლა შამა-შვილობას... დაპირისპირების ჟინმა ბიჭის მეგრძოლი სული ხმალივით ალესა. ამ ხმალს ბასრი ფხა ჰქონდა. მაგრამ ჯერხნობით მხოლოდ ბაღურ ამბავში იხარჯებოდა და თავის დროს უცდიდა. არა, კი არ უცდიდა, მოუთმენელი სიხარბით ელოდა“.

გიორგი ბალიაური განსაზღვრავს ნაწარმოების ხასიათსა და ტონს. წინასამყარო მემკვიდრეობით შემოდის გიორგი ბალიაურში. მემკვიდრეობით გადაეცა ტენდენციები და უნარი, რომელიც იქცა ერთმნიშვნელოვან სინამდვილედ.

გიორგის ცხოვრება უფრო მეტად უყვარს, ვიდრე მისი აზრი. განწყობა ღრმად ფიქსირდება მასში. ერთხელ შემუშავებული განწყობა მთლიანად იპყრობს. ძნელად ახერხებს მისგან თავის დაღწევას, მაშინაც კი, როდესაც სიტუაციაში მომხდარი ცვლილება განსხვავებულ ქცევას და ახალი განწყობილების შემუშავებას ითხოვს. ყოველი იმპულსი, სურვილი, ოცნება ისწრაფვის რეალობად იქცეს, პოვოს გამოსავალი რეალურ სამყაროში, იქნეს ხილულ ქცევად. „დღითიდღე კითხულის ულაცს უფრო ემსგავსებოდა, ჩემი მეგობრის (გიორგი ბალიაურის) ჟინიანი ფიქრი უფრო და უფრო ყალყზე დგებოდა“...

თუ გიორგის მეგობრისათვის ფიქრშიაც კი არ შეიძლებოდა ქედის იქით გადახედვა, თუ მის უსურვილო სხეულში ამოდენა მიზანი არ ეტეოდა, გიორგის აინტერესებდა ის უცნობი და იდუმალი სამყარო, სადაც იხმობდა მთები და მდინარეები, ბილიკები და გზები, სოფლები და ხეობები, სადაც იდგა ციხე-კოშკები და ცხოვრობდა ზღვა ხალხი. ამიტომაც გიორგი მის მეგობარში არათუ სიმპათიას, თაყვანისცემას იწვევდა. ის გრძნობდა, მის წინ უბრალო ადამიანი არ იყო. ქედის თავზე მოქცევის „ფიქრს მე ვერ გავბედავდი, ამაზე მხოლოდ ჩემი მეგობარი გიორგი ბალიაური ფიქრობდა და ხმამაღლაც მელაპარაკებოდა. მე მეშინოდა მისი ფიქრისა, ძრწოლვით იმიტომ, რომ ჩემი მეგობარი ამ წუთში ის იყო, ვინც მე ვერ ვიქნებოდი“.

გიორგიმ იცოდა, მისი ქცევა ჯიუტურია, ამიტომ, მიზანშეუწო-

ნელიც, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა ერთხელ არჩეულ გზას. თითქოს კონფლიქტი გარემოსთან მისთვის აუცილებელია. მისი იმპულსება ყველგან და ყოველთვის ჯიუტად მოითხოვენ ეგოისტური მიზნების განხორციელებას. დარწმუნება და კონფლიქტი მომდინარეობს ძლიერების, უფლების, ყურადღების ცენტრში ყოფნის მოთხოვნილებიდან. „მისი ჩურჩული ბრძანებას ჰგავდა და მე დავემორჩილე მის ბრძანებას. ჩვენ უკვე გზად დამდგარ ლაშქარს ვგავდით. ლაშქარს კი წინამძღოლი სჭირდება, რომლის ბრძანებასაც ყველა უსიტყვოდ ემორჩილება. ის „ყველა“ მე ვიყავი“...

გიორგი ამქვეყნიურ სიკეთეს ისე მგზნებარებით ელტვოდა, რომ გაფიქრებასაც კი ალტაცებაში მოჰყავდა და თავს ავიწყებდა. ირგვლივ ადამიანები იშვიათად მიაჩნდა სიმპათიის ღირსად. სიმპათიას აღუძრავდა ისეთი ქცევა, რომელიც მის ინტერესებში მოქცეულ მორალურ, სოციალურ სფეროს შეეხებოდა.

ქედის თავზე მოქცევისას არ გაუმართლდა. გაქურდეს, მოატყუეს. ამიტომ შინაგანი და გარეგანი ფსიქოლოგიური სიტუაცია აღძრავს გიორგის, ეძიოს გამოსავალი შექმნილი პირობიდან; გადაჭრას ძნელი, ცხოვრებისეული ამოცანა და განტვირთოს ემოციურად დაძაბული ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამ დროს „ჩემი მეგობარი გამარჯვებული სარდალი კი არა, დამარცხებული ჯარისკაცი იყო, რომელსაც აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ ლასლასით აევილო აღმართი და საკუთარი სახლი მოეძებნა“.

ავტორს ნათლად აქვს წარმოდგენილი პიროვნული კონტროლის საზღვრები და შესაძლებლობანი. მოჩვენებითი უმოქმედობის დროს მთელი გულისყური დაეძაბა, რათა მკითხველი აეძულებინა, მკაფიოდ შეეცნო ის, რაც მანამდე ქვეცნობიერად იცოდა. ამ გამოცანის გამოცნობა, ამ საკითხის პასუხი არის სრული შეგნება, რომელიც ადამიანის ყოფიერების საიდუმლოება, მიზეზი და მიზანია!

ერთი გასვლით ციხე-კოშკიდან, ცხოვრებასთან გაცნობით გმირები მიხვდნენ, არის ზოგი რამ იმდენად საზიზღარი, საკმარისია მათი მხოლოდ ჩვენება საკუთარი სახით, ან დასახელება, რომ გამოწვეულ იქნეს ზიზღი მათდამი. არის ზოგიერთი რამ, რაც თავისი უმსგავსოების მიუხედავად, გატყუებთ გარეგნობის ბრწყინვალეებით.

არის არარაობა ტლანჭი, მდაბალი, შიშველი, დაუფარავი, ჭუჭყიანი, გყრალი. არის კიდევ არარაობა ამაყი, თავისი თავის კმაყოფილი, გაფურჩქვნილი, დიდებული, რომელიც ჭეშმარიტ სიკეთეზე ეჭვს შეატანინებს უწმინდეს სულს ისე, რომ მზადა ხართ, იფიქროთ: სწორედ ის არის ჭეშმარიტი დიდებულება, სწორედ მან იცის სიცოცხლის მიზანი და თქვენ ტყუვლებით.

ორივე სახის არარაობისათვის საჭიროა თავისი, განსაკუთრებული მათრახი. ეს მათრახი არ ასცდათ გიორგის და მის მეგობარს. ერთმანეთს დააშორეს, ხაროში ჩაამწყვდიეს. „კითხული კაცი ჭკვიანი იყო და კარგად იცოდა, ვერარა ცემა, ვერარა მუქარა, სიკვდილის შიშიც კი ვერ მოვიდოდა თავაშვებული ბიჭების სიამაყის დასათრგუნად იმასთან, რასაც ერქვა პატივის აყრა, დამცირება და ხაროში ავაზაკივით ჩამწყვდევა“.

მას შემდეგ ერთმანეთისათვის თვალი აღარ მოუკრავთ მეგობრებს. გიორგი მეფის ლაშქარში წაიყვანეს, მისი მეგობარი — მონასტერში.

გიორგისაგან განსხვავებით, ბერის სახით შექმნილია ისეთი გმირი. რომელსაც უნარი აქვს სულიერი სამყაროს ანალიზის, გაცნობიერების, სულიერი მდგომარეობისაგან ცნობიერების მიპყრობისა. მას ცხოვრების გზა განცდების რეფლექსის საგნად გაუხდია. არსებობს არა როგორც „ცხოვრების ადამიანი“, არამედ, როგორც საკუთარი „ოცნებისა და ცნობიერების სუბიექტი“.

მწერალმა დაგვანახა გმირის შინაგანი მოუსვენრობა, მღელვარება, საკუთარ თავთან განუწყვეტელი დუელი, ოცნების საოცარ სამყაროში ბორიალი.

ბერი ღრმა შინაგანი კონფლიქტების პიროვნებაა. მიზანი მასშივეა მოცემული. „მორჩილების მიღმა მე ვგრძნობ მავედრებელთა ამბოხს და იმ ფარულ ძალას, რაც ყველა მორჩილის სულშია დავუბეებული. მე უკვე ადამიანი ვარ“...

იგი მხოლოდ დაშორდა წარსულს, მაგრამ არ დაივიწყა, არ გაცივდა მისდამი, არ გადაეჩვია მას. „ხო, ეს იყო დიდი ხნის წინაა, ჩვენს ბავშვობაში, როცა ჩემი მეგობარი ბიჭი იყო და სხვა არაფერი. ახლა ის სოფლის კითხულია. მრავალ ჭირგადახდილი, სოფლისაგან განრიდებული და ლეგენდასავით კოშკში ჩაკეტილი“.

მწერალმა დაგვანახა, რომ ზნეობრივი სიმწიფე და ტრაგიკული ტანჯვა შეადგენს პიროვნულ კატეგორიას.

ბერის შინაგანი ინტიმური განცდები ასახულია არა მარტო ქცევებში, ცხოვრების სტილში, არამედ მიმიკაშიც, მოძრაობის ყოველი ნიუანსით. ფანტაზიით ქმნის არა რაიმე გამოსახულებას, არამედ რაღაც ახალს, ყოველგვარ არსებულზე ჭეშმარიტს და მას სიცოცხლეს ანიჭებს. „მე გოგოზე ვფიქრობდი.. ეს ფიქრი ცოცხალივით ამესვეტა თვალწინ და მოსვენება დამაკარგვინა... მე არ ვიცოდი, ვინ იყო ის გოგო, საიდან მოვიდა და რა ერქვა. მისი სახეც ბუნდად ჩანდა ჩემს წინ, მაგრამ ეს სახე ლამაზი იყო. გოგო აუცილებლად ლამაზი უნდა ყოფილიყო, აუცილებლად ჩემზე პატარა, ჩემზე მორჩილი, რომ შემძლებოდა ხელში აყვანა და ასე ატატებულს უდაბნოს ქვიშაზე გასვლა“.

ბერი ნებელობით ვერ იკავებს, ვერ ფარავს შინაგან ჭიდილს. ისეა აწყობილი, ისწრაფვის მოახდინოს მასში ფიქსირებული ყოველი განცდის რეალიზაცია.

ამბავში წარმოდგენილია სიტუაცია, როდესაც ბერის ინდივიდუუმის ფსიქიკამ, სიტყვამ და მორალურმა განწყობამ უნდა დასძლიოს ფიზიოლოგიური საწყისი.

ასეთი დასკვნისათვის ყველა პირობა არსებობს. „ასე მეგონა, როგორც კი მონასტრის მაღალ გალავანს გადავიდოდი,... უდაბნოში გავიდოდი, ის გოგო იქ დამხვდებოდა, გამიღიმებდა და ხელს გამომიწვდიდა. მერე ჩვენ ჩავიმუხლებდით უდაბნოს გვალვიან, ერთ გოჯა ბალახებში და ერთმანეთის გარდა ყველაფერი დაგვავიწყდებოდა. ერთმანეთის სუნთქვა გაგვათბობდა, გარშემო კი სიბნელე იქნებოდა...“

ასეა შექმნილი პირობები, რომელთაც შეეძლოთ ბერის აბსოლუტური გარანტირება ყოველგვარი შემთხვევითობისა, ხორციელი სურვილებისა და ცდუნებისაგან.

ბერში ხორციელმა საწყისმა გაიმარჯვა. ადვილად ჩნდება სიყვარულის განცდა. ამისთვის საჭირო არაა საყვარელ ადამიანთან დაახლოება. იმდენად ჭარბადაა მასში დაგროვილი დაუკმაყოფილებელი მისწრაფებანი, არარეალიზებული განწყობანი, რომ ქცევაში მათ გამოსავლენად საკმარისია წარმოსახული სიტუაცია. სიყვა-

რულის ობიექტი იქცევა ოცნების ფანტომად — კარგავს რეალურ თვისებებს. მრავალი წლის განმავლობაში შეპყრობილია მის მიერვე შექმნილი იდეალური ადამიანის სიყვარულით.

მას უყვარს, „უმისოდ“ არ შეუძლია სიცოცხლე, მაგრამ, ამავე დროს არ უნდა, რომ უყვარდეს. ეს გრძნობა თანდათანობით ძლიერდება.

მისთვის თავიდანვე გაუგებარი იყო სიყვარულის დასაწყისი, სიყვარულის პროცესიც — გაუცნობიერებელი, ოცნებებით, კონფლიქტებით აღსავსე.

ხშირად იმპულსების ნიადაგზე მიმდინარე ქცევა ბერისა გარეგნულად მტკიცეა. არსებითად ასეთი უდრეკი ქცევა იჭვისა და დაურწმუნებლობის ნიშნის ქვეშ წარმოებს. შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების ანალიზისას ბერი თვითონ ისამართლებს თავს და მის სულიერ სამყაროს ვეცნობით მონოლოგებში. ბერი ორი დღე ზედიზედ აცილებდა გოგოს მდინარიდან. „სოფელს რომ მივაღექით, ისევ წუხანდელ ადგილზე გავჩერდით...“ შემეშინდა, აღარ ვიცოდი, რა მექნა, ერთბაშად გოგოს ზურგი შევაქციე, უკან მოუხედავად დავაღექ გზას და გავიქეცი. როცა გავბედე და მივბრუნდი, გოგო იქ აღარ იდგა. ვეძებდი და ახლა ჩემს თავზე ვბრაზობდი, რად შევაქციე ზურგი, მარტო რად დავტოვე, რად გამოვიქეცი-მეთქი. ვიდექი და ჩემს თავს ლაჩარს ვეძახდი“.

ბერს საკუთარ განცდებში შეაქვს ეჭვი. ყოველივეს უყურებს კრიტიკულად, თუ პროცესი და შედეგი მიაჩნია მიზნისათვის არაშესატყვისად. მასში თითქოს არის მოქმედების პოტენცია, მაგრამ განუწყვეტელ იჭვს მიჰყავს რუტინამდე.

ბერის არსება შეპყრობილია რაღაც მისთვისვე გაუგებარი წამებით. გული სტკიოდა, როგორც „დაჭრილ სხეულს“. სასოწარკვეთილება თვითმკვლევლობის სურვილამდე მიდიოდა.

ბერი დაჯილდოებულია სათუთი, მაგრამ არა ღრმა, ფიცხი, მაგრამ არაენერგიული ბუნებით. მისთვის არაა დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი. გარემოსთან დამოკიდებულების პროცესში თავის თავს წინა პლანზე, ყურადღების ცენტრში არ აყენებს. ტანჯვის წუთებში ისწრაფვის განშორდეს ტანჯულ ქვეყანას, ნახოს სიმშვიდე, რომელიმე მიყრუებულ კუთხეში: „რადგან საკუთარ ჭირთა თმენა ყველაზე დიდი მკურნალია ამ ჭირისა... და ერთადერთი,

რაც უფრო ყველაზე მეტად შემეძლო ამ წუთში, გაქცევა იყო, ამბობს ბერი. ამიტომ რჩება მეორე სამყარო, სადაც მისი განწყობა სრულ რეალიზებას პოულობს. ესაა ოცნების სამყარო. ოცნებაში ყოველთვის მარტოა, იშვიათად კი, თავის მეგობარ კითხულთან ერთად, მაგრამ მარტო უკეთ გრძნობს თავს. სურვილიც არა აქვს, სხვამ იცოდეს მისი უბედურებისა და ნეტარების შესახებ. მას ოცნებაში აუდიტორია არა ჰყავს.

ბერს ხშირად უხდება გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების პროცესი მტკივნეულია, ხანგრძლივი და მერყევი, კონფლიქტისაგან მაშინაა თავისუფალი, როცა განწყობა მოქმედების თავისუფლებას პოულობს, როცა სიტუაცია შესატყვისია განწყობილებისა, როცა მოქმედება არაა კონფლიქტში გარემოსთან — როგორც საკუთარ, ისე საზოგადოებრივ, მორალურ მოტივებთან. ბერს არ სჯერა საკუთარი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა. თითქოს გადაწყვეტილება მისგან არ მომდინარეობდეს. თითქოს ნაძალადევი იყოს, გადაწყვეტილების განცდა სუსტია.

გმირს არა აქვს რწმენა, შეასრულებს თუ არა იმ საქციელს, რომელიც მისაღებად მიაჩნია. გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელია სიტუაციის ძლიერი უშუალოება, იძულება. დაბრკოლება ადვილად აწყვეტინებს მოქმედებას. „მე არაფერი ვიცი, — ფიქრობს ბერი, მე არავინ არა ვარ!.. სოფლის სიხარულიც და წინათგრძნობაც ჩემეულისაგან შორსა დგას“. გარე სინამდვილესთან შინაგანი სამყაროს ინადეკვატური დამოკიდებულება აქცევს მას სავსებით მოუწესრიგებელ „ზედმეტ ადამიანად“.

ბერის მოქმედება მიმდინარეობს არა მოთხოვნების ან წარსულში ფიქსირებული განწყობის მიხედვით, არამედ სოციალური გარემოსადმი შეგუების აუცილებლობით შექმნილი განწყობილების საფუძველზე. მის ქცევასა და განცდებს შორის ვხედავთ დიდ შეუსაბამობას. იგი არ არის აბსტრაქტულად მოფიქრებული ფიგურა. იგი ადამიანია ყველა ადამიანური თვისებებით, თუნდაც ადამიანურივე „სუსტი მხარეებით“.

სოციალურად აქტუალური სიტუაცია მოქმედებს ბერზე, მაგრამ, რადგან შესატყვისი მოთხოვნის სუბიექტში არაა, ამიტომ აუცილებელი ხდება სიტუაციისადმი დამორჩილება. მას არ უყვარს „გამოცოცხლებული მოძრაობა“: „მინდა, რომ ეს ქალი ახლა-



ვე ადგეს და შინ წავიდეს, — ფიქრობს ბერი გიორგი ბალიაურის ცოლზე, რომელიც მასთან იმედისათვის მივიდა მხოლოდ, — წავიდეს და თან წაიღოს ის პატარა სიხარულიც, ჩემს სენაკში შემოსვლისას რომ შემოიტანა... მე უნდა ეზოში გავარდე, ქალს დავეწიო და ვუთხრა, რომ ამ შუალამისას, ამ ჩუმ თოვანში მოჩვენებასავე სიარული არ შეიძლება! ქალი შინ უნდა წავიდეს, სადაც ქმარი და შვილი ელოდება... მაგრამ მე გარეთ კი არ გავრბივარ... კართან მივდივარ, კარებს მაგრად ვხურავ და ურდულს ვუყრი, თითქოს მე-შინია, იღუმალებით გამქრალი ქალი კვლავ არ დაბრუნდეს“.

სდგას ბერი, როგორც ქანდაკება, სადღაც, მთის მწვერვალზე. ძლიერი გრიგალი ეხეთქება მის სხეულს. ოცნებაში ებრძვის სამყაროს პირველ საწყისს. ასეთი აზრებით ხშირად ესაუბრება მთელ მსოფლიოს.

მწერალი აღწერს ადამიანთა ისეთ შინასამყაროს, როდესაც ხშირად ნორმა პათოლოგიად გამოიყურება. მთელი სოფელი, სამყარო, როგორც მთლიანობა, პერსონული ხასიათისაა. სალაშქროდ მიმავალთ ზოგი საქონელს აბარებდა, ზოგი მატყლსა და ბაწარს, ზოგიც გულქანდებსა და მძივებს. ერთი ღონეზე მოსული ბიჭი კი ვირგლას მისდევდა და ისე, რომ არავის გაეგონა, გოგოს ჩამოყვანას ემუდარებოდა. ბიჭის ნათქვამი მაინც ქვეყანას ესმოდა. ხალხიც, ბიჭის ნაცვლად ამ ადვილი სურვილის შესრულებას ემუდარებოდა და როცა ბიჭი მოტრიალდა, ბერმა დაინახა, რომ „...ამ თვალეებში გატანჯული და დამშეული ვნება იდგა. ამგვარი თვალეები ჰქონდა უდაბნოში, გზაზე გამომწლილ სოფელს, როცა გაავებულ ძაღლებს აქეზებდა და გოგოს მდინარისაკენ ერეკებოდა. ეს იყო უაზრო, დაუნდობელი და ფიქრისაგან დაცლილი თვალეები, იმისი თვალეები, ვისი ხორციც ბორგავს და აბორგებულ ხორცში სული ადგილს ვედარ პოულობს. მე შემეშინდა ამ თვალეებისა და მთელი სოფლისა... და გულში ვთქვი: „ღმერთო, უშველე სოფელს!“

მწერალს პიროვნების ვიწრო მნიშვნელობა შეაქვს უფართოეს მნიშვნელობაში, ეს უკანასკნელი კი უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაში. ყოველი არსებული მხოლოდ პერსონის სახით შეგვიძლია ვიაზროთ.

მწერალი განსხვავებულ მოვლენებში იგივეობრივის, ზოგადის აღმოჩენას და ზოგადსა და იგივეობრივში განსხვავებულის აღმო-



ჩენას გულისხმობს. ასეთი აღმოჩენა ხდება საზოგადოებრივი პრაქტიკის, ადამიანის მოქმედების განმეორებათა საფუძველზე .

თითოეული გმირის აზროვნებითი ანალიზი ზოგადი ბუნებისაა. აქ ხალხი არსებობს მხოლოდ გარეგნული სახით. სოფელიც პიროვნებაა, მხოლოდ შექმნილი რეალური პიროვნებისაგან.

„უამი კითხულისა“ უფრო მეტია, ვიდრე ამბავი. აქედან გამომდინარეობს ფილოსოფიური დრამა. ავტორმა გაითანაზიარა გმირთა სულიერი ცხოვრება, სინდისის ქენჯნა, იმედი... აქაა დულილი, უხეში ჭეშმარიტება. ავტორი თითქოს წინასწარ გვითანხმდება დავიჯეროთ მისი სიტყვა და მის შემოქმედებაში ვეძიოთ როგორც ცხოვრება, ისე აზრი. ამ შემთხვევაში მისი ასპარეზი უსაზღვროა. მისთვის ღიაა ნამდვილი და წარმოსახული მსოფლიო, წარსულიც, აწმყოც: ისტორიაც, გადმოცემაც, ხალხური ცრურწმენაც, მიწაცა და ცაც, ჯოჯოხეთიც!

აქაც თავისი ლოგიკაა! შესაძლებლობისა და აუცილებლობის თავისი კანონები!

ამ მთლიანობაში ანალიზსა და სინთეზს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიზანია არა ცალკეული ფაქტების ზერელე აღნუსხვა, არამედ ფაქტებისა და კანონზომიერების აღმოჩენა. დეტალურ დაკვირვებათა სიმრავლეში თ. ბიბილური პოეზებს საყრდენს, აწესრიგებს და მათს სიუხვეს არჩევნის საცერში ცხრილავს.

მწერალმა დაგვანახა, რომ უსაქმურობა, ფუქსავატობა და ლიტონი ჰედონიზმი შესაძლოა გახდეს უგვანო მოქმედების მიზეზი და საბოლოოდ ადამიანი მიიყვანოს კატასტროფამდე, როდესაც ყველაფერი დადებითი და სუფთა ისპობა. ერთ დღეს მონასტრის კედლებშიც შეაღწია სოფლის ჟრიაშულმა. სოფელი ერთ გოჯა, უმწეო, ჩამოფლეთილ გოგოს მისდევდა. ზოგს უნდოდა წყალში გადაეგდო იგი; უკბილო დედაბერი უხმობდა — „უდაბნოში დააგდეთ, მზემ დაუხრუკოს ძუძუებით“; „ხეზე მიაბით და გაატიტვლეთო“, — იძახდა თვალანთებული ბიჭი. ეს არ იყო არც მხიარულება, არც ბერიკაობა! „სოფელს სიცილი კი არ მოწყურებოდა, თავის გამოჩენის, სხვისი დამცირების და ამ დამცირების ხარჯზე საკუთარ წვრილმან ცოდვათაგან განწმენდის დაუფარავი სურვილი ჰკლავდა. ეს იყო შურისძიებით აცახცახებული სოფელი, მღვრიე მდინარე სიძულვილისა, რომელიც გზად ყველაფერს თხრიდა და თან მოჰქონდა ფი-





წალი და ნაჯახი, გაბზარული კოკა და შოლტი, ასტამი და კინ-ჭუტი“.

მწერალს აბსტრაქტული აზროვნების ლოგიკურ საფეხურებად აბსტრაქტული აზროვნების ძირითადი მომენტები გამოუყენებია: შედარება, ანალიზი და სინთეზი, აბსტრაქცია და განზოგადება. აბსტრაქტული აზროვნების მიზანი კი არსის შემეცნებაში მდგომარეობს. აბსტრაქტული შემეცნების ყოველი მომენტის გამოკვლევისას მწერალს შემეცნების დიალექტიკური ბუნების ახსნამდე მივყავართ. თ. ბიბილურმა მიაღწია სიმართლეს და კი არ აღწერა ის, სიმართლით დახატა.

რომანის ერთერთი გმირი, ხირჩლა, რომელმაც ცხოვრება გაუმწარა ბერს, სხვანაირი ავსულია, ჭინკა უფროა, ვიდრე ეშმაკი. ყოველივეს უარყოფს მხოლოდ უარყოფისათვის და არსებულის არარსებულად წარმოდგენისათვის. მისთვის ჭეშმარიტება, სილამაზე, სიკეთე — ადამიანის ავადმყოფური წარმოდგენით გამოწვეული მოჩვენებებია. მსხვერპლს აგემებს დაუკმაყოფილებელი მისწრაფებით აღძრულ ტანჯვას, უსიხარულო არსებობის სიმწარეს.

იგი ტრაგიკული პირია: „არავინ იცის, საიდან მოვიდა, რად გაჩნდა მაინცდამაინც აქ? რად გადმოსახლდა ამ უცხო სოფელში როგორც მარტოსული და არსაითგან მოსული?... კაცმა არ იცის, შენატრის თავის ბედს ამგვარი ხვედრის გამო, თუ წინ იხედება და ესეც, რაღაცას ელის“...

მისი ვნება შეშლილობის ერთგვარი სახეა ისეთ პირობებში, როცა გონება საღ მდგომარეობაშია. მას უყვარს თავისი მსხვერპლი, უყვარს იმისთვისვე, რისთვისაც სძულს კიდევც...

სამყარო არ არის უბრალო საგანი, რომელიც დგას შენს წინ, არ ჰრის არსებულ ნივთთა თავყრილობა, გამოთვლადი და გამოუთვლადი, ცნობილი და უცნობი სიდიდეების გროვა... და თითქოს ჩაგვესმის გამაფრთხილებელი ხმა ავტორისა: „ხირჩლა სადღაც არის მიმალული და არავინ უწყის, ხვალ რომელ სოფელში გამოჩნდება, ან ვის სულში ჩასახლდება. წარსული მიწაში იმარხება, მაგრამ ჩვენ ამ მიწაზე ვცხოვრობთ და მიწიდან გვესმის ყრუ გუგუნნი... ეს წარსული გუგუნებს და თავის თავს გვახსენებს“.

ეს სიფხიზლისაკენ მომწოდებელი სტრიქონებია!

# კოეტიკა

□ □ □

## „ჭაუნიკი“ 250 წლისაა

□  
რევაზ ბარამიძე  
□

სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა შენიშნულნი, რომ ადრეულ და განსაკუთრებით საშუალო საუკუნეებში ლიტერატურისმცოდნეობითი დისციპლინა ნელა, დაყოვნებით ვითარდებოდა. როგორც აკად. დ. ლიხაჩოვი აღნიშნავს, ლიტერატურისმცოდნეობის ასეთი სტატიკური მდგომარეობა გაპირობებული იყო საერთოდ საშუალო საუკუნეების ლიტერატურის ნელი განვითარებით. საშუალო საუკუნეებში ლიტერატურა (და შესაბამისად ლიტერატურისმცოდნეობაც) უფრო ნელა ვითარდებოდა, ვიდრე ლიტერატურა ახალი პერიოდისა. ამის მიზეზი — აკად. დ. ლიხაჩოვის დაკვირვებით — მდგომარეობდა იმაში, რომ მწერლები და მკითხველები არ ისწრაფოდნენ ახლისაკენ, როგორც ასეთისაკენ. ახალი მათთვის არ წარმოადგენდა თავისთავად ფასეულობას, როგორც ეს ტიპურია XIX და XIX საუკუნეებისათვის. რადგანაც არაა დიდი სწრაფვა ახალი მხატვრული ფასეულობის მისაღწევად, რაკი მწერალსაც და მკითხველსაც სავსებით აწყობს ძველი ფასეულობები, ამიტომ არცაა სტიმული ახალი თეორიული ძიებებისათვის, რომლის ერთერთი მიზანი სწორედ აღმოჩენებია და ამის შედეგად მიღწეულია ახალ მხატვრულ ფასეულობათა ახსნა და დამ-

ტკიცება. ამ ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე, საქართველოშიც ადგილი ჰქონდა ასეთ დაყოვნებით პროცესს.

მაგრამ ეს იმას როდღი ნიშნავს, რომ ჩვენში ადგილი არ ჰქონდა ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების განვითარებას. მართალია, ადრეული საუკუნეებიდან არ მოგვეპოვება ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის საგანგებო თეორიული ტრაქტატი, მაგრამ სწორედ ადრეული საუკუნეების ძეგლებშივე გვხვდება ლიტერატურისმცოდნეობითი ხასიათის, თეორიული შეხედულებები. ჯერ კიდევ აგიოგრაფიულ ძეგლებში. ეფრემ მცირესა თუ ათონელთა თხზულებებსა და კომენტარებში ჩამოყალიბებულია მეტად ფასეული ლიტერატურული შეხედულებები, ხოლო რუსთაველისა და არჩილის ლიტერატურისმცოდნეობითი ნააზრევი „პოეტიკის“ ტრაქტატების ტოლფარდია.

ასე რომ საქართველოში ლიტერატურისმცოდნეობას დიდი ტრადიციები ადრეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ამ დიდი ტრადიციის დაგვირგვინებაა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“.

„ჭაშნიკი“ არის ჩვენამდე მოღწეული პირველი ნორმატიკული ხასიათის თეორიული ტრაქტატი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებები და ლექსწყობის პრინციპები. საშუალო საუკუნეებში, ფეოდალური აბსოლუტური მონარქიის პერიოდში, გარკვეული პოლიტიკური და სოციალური პირობების გამო, ქცევბისა და ეთიკის რეგლამენტაციის მიზნით, განიხილდა მოთხოვნილება ცხოვრებისა და აზროვნების თითქმის ყველა სფეროში გამომუშავებულიყო გარკვეული სახელმძღვანელო ნორმატიკული ფორმები. მართებულად შენიშნავენ კურილოვი და პიგაროვი, რომ როგორადაც მეფე ცდილობდა ქვეყნის სამეურნეო-ადმინისტრაციული ცხოვრების, კერძოდ მეფის კარის ყოფის ნაციონალიზირებას, გონებაზე დამყარებული წესებით, ასევე ბუალოც სთავაზობდა მწერლებს: „მოიმარჯვე გონება: დე ლექსმა მისგან მიიღოს მთელი თავისი მშვენება“.

„როგორადაც მეფის უფლებები ახდენდა XVII ს. საფრანგეთის მთელი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცხოვრების რეგლამენტაციას, ასევე ბუალოც მკაცრ რეგლამენტაციას უქვემდებარებდა პოეტურ შემოქმედებას. თავის „პოეტურ ხელოვნებაში“ (1674 წ.) ბუალო განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შექმნას მწე-



რალმა ჰეშმარიტი სიტყვიერი ხელოვნება. იმ დროს ჩვენში რასაკვირველია, არ იყო ისეთი ეროვნულ-პოლიტიკური ერთიანობა და აღმავლობა, როგორც ბუალოსდროინდელ საფრანგეთში, მაგრამ ვახტანგ VI-ს ეპოქაში, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაქსაქსულობის მიუხედავად, მაინც იყო დიდი სწრაფვა მოწესრიგებისა და რეგლამენტაციისაკენ; ამ შინაგანი მოთხოვნებისა და ობიექტური აუცილებლობის გამოვლინება იყო ვახტანგის სამართლის წიგნი. ეს იურიდიული კოდექსი სწორედ საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებისა და კონტროლისადმი დაქვემდებარების მკვეთრი გამოვლენა იყო. ვახტანგის „სამართლის წიგნმა“ სათავე დაუდო ცენტრიდანული ძალების ალაგმვისა და მონარქის ნებისადმი დამორჩილების გამოხატვის ტენდენციას. ეს იყო ნორმატიკული ხასიათის დიდი სახელმძღვანელო, რომელიც ახდენდა ქცევისა და იურიდიული უფლებების რეგლამენტაციას. ამასთანავე ვახტანგ VI კარი მეცნიერულ-კულტურული ცენტრალიზაციისა და მეცენატობის დიდ ეროვნულ ფაქტორს წარმოადგენდა. ასე რომ, პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად ვახტანგის ეპოქის მოღვაწენი თეორიულად, იდეოლოგიურად ისწრაფვოდნენ ცენტრალიზაციისა და აზროვნების რეგლამენტაციისაკენ. ამ ეპოქის ძირითადი ტენდენციისათვის ნიადაგი მომწიფებული იყო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში და მან, ბუნებრივია, გამოხატულება პოვალიტერატურულ გემოვნებასა და აზროვნებაში.

სწორედ ამ ისტორიულმა, ობიექტურმა აუცილებლობამ განაპირობა ჩვენში ნორმატიკული ხასიათის პროექტური ტრაქტატის, „ჭაშნიკის“ შექმნა. ეს იყო საუკუნის პრობლემა. ამ განწყობით იყო დამუხტული როგორც რუსეთი, ისე შუა და დასავლეთ ევროპა. აქ სრული მონოპოლია ჰქონდა ბუალოს „პოეტურ ხელოვნებას“. ხოლო რუსეთში ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის „ტრაქტატები“ გახდნენ აზრთა მფლობელები. როგორც ბუალოს, ისე ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის ტრაქტატების შექმნას დიდი წინაისტორია აქვს.

თავი რომ დავანებოთ ძველბერძნულ და ლათინურ ტრაქტატებს „პოეტიკისა“ და „რიტორიკის“ სფეროში, უკვე შუა საუკუნეებში ეყრება საფუძველი ანტიკურისაგან განსხვავებულ, ახალ, ნორმატიკული ხასიათის სახელმძღვანელოებს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ხასიათის სახელმძღვანელოებს სათავე დაუდო 1520 წ. იტალიაში გამოსულმა ვიდას ლექსად დაწერილმა „პოეტურმა ხელოვნებამ“. ამას მოჰყვა სხვა ნაშრომებიც, მაგ., 1561 წ. საფრანგეთში გამოსული სკალიგერის ასეთივე ნაშრომი. ოცდაათი წლის შემდეგ 1574 წ. გერმანიაში გამოდის პონტანის ტრაქტატი.

იტალიაში მეტად პოპულარული იყო ლათინური „პოეტიკა“ დონატისა (1631 წ.), გერმანიაში — მასსენისა (1654 წ.), პოლონეთში — სარბევსკის (1640 წ.), საფრანგეთში — ფრენის (1598 წ.); ინგლისში — სიდნეის 1595 წ. გერმანიაში — ოპიცის თხზულება (1624), ხოლო 1674 წ. საფრანგეთში გამოსული ბუალოს პოეტიკა მთელ ეპოქას ქმნის ევროპაში. ბუალოს გავლენით ევროპაში შეიქმნა „ნორმატიკული“ სახელმძღვანელოები, რომლებიც წარმოადგენდნენ თავიანთი დედნის (ბუალოს) ვარიაციას. ესენია 1730 წ. გერმანიაში გამოსული გოტშედის „კრიტიკული პოეტიკა“ და 1711 წ. ინგლისში გამოსული პოპის „ცდები კრიტიკის შესახებ“. ბუალომ დიდი გავლენა მოახდინა რუს მოაზროვნეებზე, განსაკუთრებით ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვზე.

ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის შრომები ახალ ეპოქას ქმნიან რუსულ ლიტერატურისმცოდნეობაში. მაგრამ არც მათ დაუწყიათ ცარიელ ადგილზე. ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვს დიდი ეროვნული ტრადიცია დახვდათ. თუმცა ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტრედიაკოვსკი და წინამორბედი ლიტერატურის რუსი თეორეტიკოსები ძირითადად ეყრდნობოდნენ ანტიკურ ბერძნულ და ლათინურ „რიტორიკისა“ და „პოეტიკის“ სახელმძღვანელოებს.

ჯერ კიდევ 1596 წ. გამოცემულ „Грамматика словенска“-ში ლავრენტი ზიზანი მსჯელობს ლექსწყობისა და ლიტმცოდნეობის თეორიულ საკითხებზე. იმავე ხაზითაა მსჯელობა წარმართული მელენტი სმოტრიცკის მიერ 1619 წ. გამოცემულ „გრამატიკაში“. ეპისკოპოსმა მაკარიმ კი ჩამოაყალიბა შეხედულება «О тройных родах глаголанія». თავის „რიტორიკაში“ და საგანგებო ადგილი დაუთმო ლიტმცოდნეობის ძირითად პრობლემებს (1617-19 წ. წ.). ასეთივე ხასიათისაა უსაჩოვის „რიტორიკა“ (1699 წ.), თავის დროზე გარკვეული როლი ითამაშეს აგრეთვე 1707 წელს გამოსულმა

ლავრენტი გორკისა და 1746 წ. გამოსულმა გიორგი კონისკის „პოეტის“ სახელმძღვანელოებმა.

ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის ტრაქტატებამდე რუსეთში განსაკუთრებული ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა თეოფანე პროკოპოვიჩის (1681-1736) „პოეტიკა“ და „რიტორიკა“. თეოფანე პროკოპოვიჩის „პოეტიკა“ იძლევა თვითკურსის სტრუქტურას და მასში სამი განყოფილებაა. რომელთაგან პირველში ლაპარაკია მწერლობის არსზე, დანიშნულებასა და მთელ რიგ თეორიულ საკითხებზე.

ამ სახელმძღვანელოებმა გამოავლინეს იმ დროის თეორიული ძიების ძირითადი პრობლემატიკა: 1. პოეზიის მიზანძვითი არსი, 2. მისი აღმზრდელობითი დანიშნულება, 3. სამი სტილის თეორია, 4. პოეტური გვარები და სახეები, 5. ლექსწყობის საკითხები.

ბუნებრივია, ისმის საკითხი: რა მიმართებაშია მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ მანამდე არსებულ ლიტერატურისმცოდნეობით ტრადიციებთან, დასავლეთში, რუსეთსა და აღმოსავლეთში არსებულ ტრაქტატებთან?

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის XVIII საუკუნის ცოდნის სფერო. საგანგებოდ არაა გამოკვლეული, თუ რას კითხულობდა XVIII საუკუნის მოქალაქე, რით საზრდობდა მისი სულიერი და გონებრივი სამყარო. რა წიგნებით, განსაკუთრებით უცხოურით იყო გატაცებული ქართველი ინტელიგენცია. უკეთეს შემთხვევაში ჩვენ ვიცით ის ავტორები, რომელთაც ჩვენი მწერლები ამა თუ იმ შემთხვევასთან დაკავშირებით ახსენებენ თავიანთ თხზულებებში, მაგრამ არ ვიცით ის სამუშაო ლაბორატორია, წიგნისა თუ ავტორების ნუსხა, რომელთაც ისინი ეცნობოდნენ, ითვისებდნენ თუ იწუნებდნენ და საერთოდ, რას წარმოადგენდა მათი ინტელექტუალური ცხოვრების სამყარო. ყოველივე ეს ართულებს ჩვენი მწერლისა თუ მოაზროვნის შემოქმედების წყაროების დაძებნას.

თავისთავად ცხადია, ვერც ერთი მწერლობა ვერ აღწევს განვითარების მაღალ დონეს, თუ იმ ეპოქის შემოქმედებმა არ აითვისეს მისი წინარე და თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები, არ გადახარშეს და არ შეისისხლხორცეს თანამედროვეთა ნააზრევი. განსწავლულობის ეს გზა განაპირობებს საკუთრის გამოკვეთას.

როდესაც მწერალი თუ მოაზროვნე ასახელებს ან ციტირებას ახდენს სხვისი ნააზროვნისას, ეს თვალნათლივი და აშკარაა, მაგრამ უფრო ხშირია და უფრო რთული მისაგნები, როდესაც მწერალი ეცნობა მდიდარ მემკვიდრეობას, ამდიდრებს თავის სულიერ სამყაროს და შემოქმედებითად ითვისებს მას. ასეთ შემთხვევაში წყაროები, მართალია, მითითებული არაა, მაგრამ სწორედ აზროვნების მაღალი დონე და ინტერესთა მასშტაბის სიფართოვეა მაუწყებელი ავტორის დიდი განსწავლულობისა.

სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ ლიტერატურულ წყაროებზე მსჯელობისას. ამ თეორიული ტრაქტატის შექმნის წინაპირობას წარმოადგენს არა მარტო მამუკას ნიჭიერება და აზროვნების ძალა, არა მარტო ობიექტური აუცილებლობის საჭიროება, არამედ ისიც, რომ ეპოქის ლიტერატურული ატმოსფეროსა და მოთხოვნილებების შესაბამისად რუსეთში მყოფი მამუკა ჩაერთო რუსეთის, და ამ გზით, ევროპის მოწინავე მოაზროვნეთა სულიერ ცხოვრებაში. ვახტანგ VI კარის ქართველი სწავლულნი 20-30-იან წლებში რუსეთში არიან და ეტყობა უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან იქაურ ინტელიგენციას, ვიდრე ჩვენ ვიცით დოკუმენტებისა და ფაქტების წყალობით. ჩვენები ცხოვრობენ იმავე ინტელექტუალური ცხოვრებით, რა ცხოვრებითაც ცხოვრობდნენ პეტრე დიდის წყალობით ევროპული ცივილიზაციის გზაზე დამდგარი რუსი ინტელიგენტები. რუსეთში კი ამ დროს დიდი აღმავლობაა და ამ საერთო აღმავლობის ატმოსფეროში განსაკუთრებულ დონეს აღწევს ლიტერატურის-მცოდნეობა. იწერება ნორმატიკული ხასიათის „ტრაქტატები“. ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ქართველ სწავლულთა დასს, ისინიც იმავე ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ეს დოკუმენტურად არ დასტურდება, მაგრამ აშკარაა, რომ შემოქმედებითი პროცესების განვითარებით, ინტერესთა სფეროს გაფართოებით ჩვენებიც ერწყმიან ამ დიდ პროცესს. მამუკას, რომელიც ცხოვრობდა და ტრიალებდა მეფის კარზე, არაა გამორიცხული უშუალო კავშირი ჰქონოდა მოწინვე რუს ინტელიგენტებთან და ევროპელებთან. ჯერ კიდევ ევროპაში მიმავალ სულხან-საბას დაავალა ვახტანგ VI: დაუკვირდი, შეისწავლე ევროპელთა მიღწევები, რათა შესაძლებლობის ფარგლებში მათი ყოველივე კარგი ჩვენთან გადმოვწერ-



გოთო. ახლა, როდესაც ვახტანგ VI თვით იმყოფებოდა რუსეთში, საქართველოს ნაღები ინტელიგენციით გარემოცულია, განა ნაკლებად დაინტერესდებოდა რუსეთისა და ევროპის ცივილიზაციით, ნაკლებად იზრუნებდა მისადმი ზიარებასა და ჩვენში გადმონერგვაზე? ჩვენი სწავლულები ცოდნის ყველა სფეროს დაეწათნენ, ხოლო მამუკას წილად ერგო იმდროინდელი ლიტერატურისმცოდნეობის ათვისება და ამ მიზნით იგი გაეცნო იმდროინდელ პრობლემატიკას, ნორმატიკულ ძეგლებს. ამან განაპირობა საკუთარის შექმნა.

ბუნებრივია, დგება საკითხი, კონკრეტულად რომელმა ნორმატიკულმა სახელმძღვანელოებმა იქონიეს მასზე გავლენა. ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის ტრაქტატები „ჭაშნიკზე“ ვერ მოახდენდნენ ზეგავლენას იმიტომ, რომ ტრედიაკოვსკის ტრაქტატი ცნობილი გახდა „ჭაშნიკის“ დაწერიდან ოთხი წლის შემდეგ (1735 წ.), ხოლო ლომონოსოვისა კი — 8 წლის შემდეგ (1779 წელს).

„ჭაშნიკის“ წერის პროცესში რუსეთში უკვე ცნობილი და პოპულარული იყო ზემოთ დასახელებული ანტიკური და ევროპული ტრაქტატები, განსაკუთრებით კი ბუალოსა და პროკოპოვიჩის „რიტორიკა“ და „პოეტიკა“, რომელთაც, სავარაუდოა, მამუკა ზოგადად მაინც იცნობდა.

მართალია, ბუალო ამ დროისათვის რუსულად თარგმნილი არ იყო, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. საქმე ისაა, რომ რუსულმა ინტელიგენციამ ისე საფუძვლიანად იცოდა გერმანული და ფრანგული ენები, იმდენად იყვნენ ევროპის ცივილიზაციას ნაზიარები, რომ მათ დედნებში შეისწავლეს იმდროინდელი უმნიშვნელოვანესი ძეგლები. მაგალითად, პროკოპოვიჩი ევროპაში განსწავლული კაცი იყო და სრულყოფილად იცოდა ლათინური და თავისი „პოეტიკა“ და „რიტორიკაც“ ლათინურად დაწერა. ტრედიაკოვსკიმ კი სორბონის უნივერსიტეტში მიიღო განათლება, ასევე ევროპაში მიიღო განათლება ლომონოსოვმა. ამრიგად, გერმანული და ფრანგული ენები მოწინავე ინტელიგენციის სამეტყველო ენები იყო (საფუძვლიანად იცოდნენ აგრეთვე ბერძნული და ლათინური) და უშუალოდ დედნებში ეცნობოდნენ ევროპულ კულტურას. ამიტომ





სავსებით აშკარაა, რომ ბუალოს „პოეტიკას“ რუსი ინტელიგენცია ბევრად ადრე იცნობდა, ვიდრე მას თარგმნიდნენ რუსულად.

ანალოგიისათვის: დღეს ქართულად არაა თარგმნილი არც ლესინგი და არც ჰერდერი, არც ბრუნეტიერი და არც ბრანდესი, არც ტენი და არც სენტ-ბევი, ასევე არაა თარგმნილი ვესელოვსკი, კრაჩკოვსკი, კონრადი, ბახტინი, ლიხაჩოვი, ავერინცევი და ასობით სხვა მეცნიერთა ნაშრომი, რომელიც ქართველი ინტელიგენციის ცოდნის წყაროა და სპეციალისტების სამუშაო ლაბორატორიის უცილო კომპონენტია. უცხოური ენიდან ძეგლის თარგმნით კი არ იწყება ამ ძეგლის გაცნობა, არამედ თარგმნის ეს მომენტი (თარიღი) თავისებური დაგვირგვინებაა წლების მანძილზე ამ ძეგლით დაინტერესებისა და ცოდნის პროცესისა. ჯერ მოწინავე ინტელიგენცია დაიმუხტება, განიმსჭვალება მნიშვნელოვანი უცხოური ძეგლით, მას აქცევს თავისი წრის მსჯელობისა და ინტერესის საგნად და მერე გაჩნდება მოთხოვნილება მისი თარგმნისა. ასე რომ, თარგმნის თარიღი არ არის საზოგადოებისათვის ამ ძეგლის გაცნობის თარიღი. ამიტომაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ბუალოს ტრაქტატს რუს მეცნიერებთან დაახლოებული ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ბევრად უფრო ადრე იცნობდა, ვიდრე იგი ითარგმნებოდა რუსულად. კულტურის ამ ატმოსფეროთი მცხოვრები ვახტანგ VI და მისი ამალა, ამ შემთხვევაში მამუკაც, უცილოდ თანაზიარი იყვნენ იმ ლიტერატურულ-მეცნიერული ინტერესებისა და საუბრებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა პროკოპოვიჩისა და ლომონოსოვის ეპოქაში.

პროკოპოვიჩისა და ევროპული „პოეტიკების“ თეორიების სუსტი მხარე ის იყო, რომ ისინი ვერ ითვალისწინებდნენ ეროვნული მწერლობის არსსა და სპეციფიკას და არსებითად წარმოადგენდნენ ძველი ბერძნული და ძველი რომაული ლიტერატურის თეორიების ვარიაციას.

XVI-XVIII საუკუნეებში ყოველი ეროვნული ლიტერატურისა და ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების წინაშე წამოიჭრა მოთხოვნილება: კაცობრიობის მიერ ადრე გამომუშავებული მთელი ლიტერატურისმცოდნეობითი მემკვიდრეობა შეეფარდებინათ ეროვნულისადმი. ამ გზას დაადგა XVI საუკუნეში იტალია და ინგლისი, XVII საუკუნეში საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, ხოლო XVIII საუკუნეში რუსეთი და ჩვენ. რუსეთში ეს პრობლემა



დააყენეს და გადაჭრეს ტრედიაკოვსკიმ და ლომონოსოვმა, ჩვენში მათზე ადრე არჩილმა და მამუკა ბარათაშვილმა.

მამუკა ბარათაშვილმა ჩვენს სინამდვილეში ეროვნული ლიტერატურისმცოდნეობითი აზროვნების განვითარებაში იგივე როლი ითამაშა, რაც შემდეგ ლომონოსოვმა რუსეთის სინამდვილეში. ლომონოსოვამდე რუსულ „პოეტიკასა“ და „რიტორიკაში“ ეყრდნობოდნენ ანტიკურ და ევროპულ თეორიებს და ლათინურ ლექსწყობას, ხოლო ლომონოსოვმა ჩამოაყალიბა ახალი პრინციპი: ეროვნული ლექსწყობა გაანალიზებული და გააზრებული უნდა იქნას ეროვნული ენის ბუნების შესწავლის საფუძველზე. ეს დიდი სიახლე და გარდატეხა იყო რუსეთის სინამდვილეში.

სწორედ ეს პოზიცია ადრე გამოავლინა მამუკა ბარათაშვილმა. მან ანტიკური, ევროპული, რუსული და აღმოსავლური (ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი სფერო იყო მისი აზროვნების სამყაროში, იგი „ჭაშნიკში“ ხშირად ორიენტირებს სპარსულზე). „პოეტიკების“ საფუძვლიანად შესწავლის გზით, ქართული ეროვნული მწერლობის ღრმად გაანალიზებით, ეროვნული ინტერესებისა და ამოცანების შესაბამისად ჩამოაყალიბა ნორმატიკული ხასიათის „პოეტიკის“ სახელმძღვანელო, რომელშიაც შესრუტულია ადრეული „პოეტიკების“ თეორიული პრობლემატიკა და კლასიფიცირებულია ეროვნული ლექსწყობის სახეობები<sup>1</sup>.

ყოვლად გაუმართლებელია, რომ მამუკას „ჭაშნიკის“ წყაროდ მივიჩნიოთ მის დროს არსებული პოეტიკის რომელიმე ერთი ნიმუში და მივუსადაგოთ მას. „ჭაშნიკი“ არის მის წინააღმდეგულ ავტორთა „პოეტიკებით“ იმპულსირებული და ეროვნული მოთხოვნილებებითა და მონაცემებით გაპირობებული თეორიული, ნორმატიკული ლიტერატურისმცოდნეობითი ტრაქტატი.

ლიტერატურის შესწავლის თანამედროვე კომპარატივისტული მეთოდი, ეყრდნობა რა შედარებითი ლიტერატურისმცოდნეობის

<sup>1</sup> 1981 წ. 7 აპრილს შ. რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკის“ დაწერისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიონზე აკად. გ. ჯიბლაძემ თავის მოხსენებაში სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ „ჭაშნიკი“ სრულიად დამოუკიდებელია, როგორც ანტიკური ეპოქის „პოეტიკების“, ისე ბუალოს „პოეტური ხელოვნებისაგან“.

დიდი წარმომადგენლების: მ. პოზნეტის, ფ. ბრიუნეტერის, ფ. ბალდანსპერჯეს, პ. აზარის, პ. ვანტიგემის, ა. ვესელოვსკის, ვ. ჟირმუნსკის, ნ. კონრადისა და სხვათა მეთოდურ გამოცდილებებს, აყალიბებს ლიტერატურულ მოვლენათა ურთიერთმიმართების სხვადასხვა დაკვირვებებსა და პრინციპებს, რომელთაგან უაღრესად საინტერესოა დ. დიურიშინის, პ. დიმას, გ. ციგენგეისტის, ი. დოლინსკის, მ. ვაიდეს, ლ. ილემის, დ. ლიხაჩოვის, ა. ფლაკრის, პ. გრასხოფის, მ. ვეგნერის, მ. ხრაპჩენკოს, ი. ნეუპაკოევას, ი. ბოგდანოვის, ვ. კულიშოვისა და სხვათა მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც, კლასიფიცირებულია სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის ლიტერატურულ მოვლენათა ურთიერთმიმართება და ძიების ამ ასპექტში „ჰაშნიკი“ ანალოგიური პოეტიკების ფონზე უნდა იქნას გააზრებული.

---

უახლესი

ქართული

ლიტერატურა

□ □ □

# რამდენიმე სიტყვა ტერენტი ბრანელზე

□  
დავით კოხიძე

□

ამას წინათ „საბჭოთა საქართველომ“ გამოაცა ცნობილი პოეტის ტერენტი ბრანელის „რჩეული“. მისი შედგენა, წინასიტყვაობა და შენიშვნები ახალგაზრდა მკვლევარსა და კრიტიკოსს ლერი ალიმონაკს ეკუთვნის.

ამავე გამომცემლობამ 1961 წელს გამოსცა ტ. ბრანელის რჩეულ ლექსთა კრებული, რომელსაც შესავალი წერილი ლიტერატორმა ელიზბარ უბილაგამ წაუმიძღვარა. აღნიშნულთან შედარებით ახალი გამოცემა უფრო ვრცელია და მეტი მასალის შემცველი. წიგნში, გარდა იმისა, რომ ბევრი ლექსი პირველად გამოქვეყნებული, წარმოდგენილია ბრანელის ლიტერატურული და პირადი წერილები, დღიურები.

ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც ძნელია ითქვას, რომ ეს გა-



მოცემა სრულია და იგი ყველაფერს აერთიანებს, რაც ტერენტი გრანელს დაუწერია, იქნება ეს ლექსი, ლიტერატურული თუ პირადი წერილები.

ჩვენ იმის მოწამენი გავხდით, რომ ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ პროფესორმა გ. იმედაშვილმა გამოაქვეყნა ტ. გრანელის დღემდე უცნობი წერილი „პოეზიის შესახებ“ (იხ. კრებული „პოეზია უპირველეს ყოვლისა, 1980, № 2). ვინ იცის, შესაძლებელია, კიდევ აღმოჩნდეს რაიმე მასალა, ლექსები, რომლებიც მეტ წარმოდგენას მოგვცემს გრანელის პიროვნებისა და მისი პოეტური შემოქმედების შესახებ. ეს მომავლის საქმეა; რაც შეეხება ლ. ალიმონაკის მიერ გამოცემულ ტ. გრანელის წიგნს, ვიმეორებთ, რომ იგი დღემდე გამოცემულ წიგნებს შორის ყველაზე ვრცელია. მისი გამოცემა ყოველმხრივ გამართლებულია და XX საუკუნის პირველი ათეული წლების ლიტერატურის კვლევის თვალსაზრისით — სარგებლობის მომტანი.

ზოგიერთი შენიშვნა გვაქვს: წიგნში გვხვდება კორექტურული შეცდომები. იკითხება: „ველიდან მოვლენ მძიმე ქარები, ახლა ველიდან ქრის მდუმარება“ (გვ. 117). უნდა იყოს: „კრთის მდუმარება“.

ტერენტი გრანელის ცნობილი ლექსი „სულის ცეცხლი“ ახალ გამოცემაში ასე იწყება: „შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი“ (გვ. 357). ასევეა ის პირველად დაბეჭდილი კრებულში „რევოლუციის პოეტები“ (1921, გვ. 79). მაგრამ 1924 წელს ტ. გრანელმა საკუთარი ლექსების წიგნში სიტყვები „შრომის სამეფო“ „დილის საყვირად“ შეცვალა და სტრიქონმა ასეთი სახე მიიღო: „დილის საყვირი და ქარხნების ნელი გრიალი“. ასევეა ის დაბეჭდილი ე. უბილავას გამოცემაშიც (გვ. 19). ჩვენი აზრით, უპირატესობა თვით ავტორის რედაქციით დაბეჭდილ წაკითხვას უნდა მინიჭებოდა.

პოეტის ლექსი „დაბრუნება ცხოვრებასთან“ ექვსი სტროფისაგან შედგება. ასეა ხელნაწერში. 1961 წლის გამოცემაში იგი სრული სახითაა დაბეჭდილი (გვ. 165-166). ახლანდელ გამოცემაში (გვ. 27) მხოლოდ ხუთი სტროფია დაბეჭდილი, აკლია შემდეგი ადგილი:

მე ასე ვატყობ, უფრო ფრთას გავშლი,  
უფრო ივლიან თეთრი ფიქრები,

თუ ცხოვრებასთან დავიჭერ კავშირს,  
თუ მე ცხოვრებას შევურიგდები.

ეს სტრიქონები პოეტის შემობრუნებას, მის ახალ გზაზე დადგომას გვიხატავს და იგი არ უნდა გამჭრალიყო!

გაუმართლებელია აგრეთვე, რომ ახალ გამოცემაში არაა შეტანილი ლექსი „თმაგაშლილ ქალის მე დამდეგს ლანდი“, რომლის ბოლო სტრიქონებია: „მწამს მხოლოდ ერთი: მშრომელი ხალხი, მეც მშრომელ ხალხის რიცხვში ვითვლები“ (იხ. 1961 წ. გამოცემა, ვვ. 231).

ამ სიტყვებს დიდი მნიშვნელობა აქვს გრანელის პოეზიის შესწავლისათვის. აქედან ჩანს, რომ გრანელი განდევილი არ იყო, ის ჩვენს შორის ცხოვრობდა და, როგორც ყოველი ჩვენთაგანი, ყოველდღიური ცხოვრების ჭირ-ვარამს განიცდიდა, განიცდიდა მწუხარებასა და სიხარულსაც.

გამოცემაში ზოგიერთი ლექსისა და სტროფის არშეტანა შესაძლებელია იმითაც იყოს გამოწვეული, რომ წიგნის მოცულობა გამომცემლობის მიერ ადრევეა განსაზღვრული და შემდგენელი თუ ავტორი ზოგჯერ იძულებულია ტექსტი შეამოკლოს; მაგრამ თუ ყველაფერი ეს (ლექსების არ შეტანა, სტროფების დაკლება, ადგილების შეცვლა და სხვ.) საკუთარი გემოვნების მიხედვით ხდება, მაშინ გამომცემა სანდო აღარ იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ლერი ალიმონაკი კარგა ხანია ტ. გრანელის შემოქმედებას სწავლობს, იცნობს დაბეჭდილსა და დაუბეჭდავ საარქივო მასალებს; მას დიდი ძიება აქვს ჩატარებული იმ მასალების მოპოვებისათვის, რასაც დღეს დაბეჭდილი სახით გვთავაზობს.

პოეტურად დაწერილი შესავალი წერილი („დათოვლილი სანთელი“), რაც პოეტის ერთერთი ლექსის სათაურსაა დასესხებული, გვარწმუნებს, რომ მის ავტორს, ლერი ალიმონაკს, კარგად აქვს შესწავლილი ტ. გრანელის პოეზია, მისი ფიქრები და განცდები. მან დიდი ენერგიის ფასად შეძლო გრანელის ყველაზე კარგად დამუშავებული წიგნის გამოცემა. ჩვენ კმაყოფილება და მადლობა გვეთქმის მისი ასეთი გარჯისათვის.

ტერენტი გრანელი (კვირკველია) 1897 წელს სოფ. წალენჯიხაში დაიბადა. სამწერლო ასპარეზზე 1918-1919 წლებში გამოვიდა.

მან მალე საერთო ყურადღება მიიპყრო. საკვირველი ის არის, რომ თბილისში სოფ. წალენჯიხიდან ჩამოსული 21-22 წლის ჭაბუკი, რომელსაც არც უმაღლესი და არც საშუალო განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაშინვე ლიტერატურულ მუშაობაში ჩაება; აარსებს საკუთარ გაზეთს „იას“, ლიტერატორ კონსტანტინე გაჩეჩილაძესთან (კონნე სპერელი) ერთად სცემს ჟურნალ „კრონოსის სარკეს“ და იმდროინდელი ქართული პოეზიის აქტუალურ საკითხებზე წერილებს წერს.

1920 წელს მან თავის მეგობარ პოეტ გობრონ აგარელთან (ციციშვილი) ერთად გამოსცა ლექსთა კრებული „პანაშვიდები“, 1921 წელს კი — ცალკე ლექსების წიგნი „სამგლოვიარო ხაზები“, 1922 წელს „სულიდან საფლავები“, 1924 წელს „Memento mori“ (გახსოვდეს სიკვდილი) და ა. შ.

ტერენტი გრანელის წიგნებზე სხვადასხვა დროს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში რეცენზიები და კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა. ასე, მაგალითად, ტერენტი გრანელის წიგნზე — „სულიდან საფლავები“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, 1922 წელს დაიბეჭდა, ტრისტან მაჩაბლის ფსევდონიმით, ცნობილმა პოეტმა ვალერიან გაფრინდაშვილმა შესანიშნავი რეცენზია გამოაქვეყნა გაზეთ „ტრიბუნაში“ (1922, № 178). მისი აზრით, გრანელი შესანიშნავი ნიჭის პოეტია, რომელმაც ახალი პოეტური სამყარო დაგვანახა. ასევე შეაქვს მისი შემოქმედება კონსტანტინე გამსახურდიამ, კონსტანტინე კაპანელმა, ივანე გომართელმა, პლატონ კეშელავამ, რომელიც თომაზ ბორელის ფსევდონიმით წერდა, და სხვებმა.

თავის მხრივ, ტ. გრანელიც წერდა რეცენზიებს სხვადასხვა ფსევდონიმით, მაგრამ ამ წიგნში მათი გადმობეჭვდა, ალბათ, სათანადო მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

უდავოა, რომ ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ პოეზიაში ტერენტი გრანელს თავისი ადგილი უკავია. ახლა, როცა ჩვენ ვეცნობით მისი ლექსების უდიდეს ნაწილს, ლიტერატურულსა და პირად წერილებს, დღიურებს, ვრწმუნდებით, რომ საქმე გვაქვს თავისებური ნიჭის პოეტთან; იგი, წინააღმდეგ ვ. დაისელის მიერ მოცემული დახასიათებისა, „არ მდგარა დროისა და სივრცის გარეშე“, კარგად გრძნობდა ჩვენს დროსა და სივრცეს, ჩაბმული იყო ჩვენი ცხოვრების საერთო ფერხულში.

ცნობილი კრიტიკოსი ივ. გომართელი წერდა: „მთელი პოეზია გრანელისა მოქარგულია სევდის ძაფებით; სევდა არის უმთავრესი განწყობილება მისი შემოქმედებისა, გლოვა — უმთავრესი ტონი მისი მუსიკისა“ (გაზეთი „ტერენტი გრანელი“, 1924 წელი). მაგრამ ივ. გომართელი იმას არ ამბობს, თითქოს სევდა და გლოვა ერთადერთი განწყობილება და ტონი იყოს ტერენტი გრანელის პოეზიისა. მართალია, გრანელის პოეზიაში არის სევდა და მწუხარება, მაგრამ მასში სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარულის საგალობელიც ისმის: „მინდა სიცოცხლე და სიყვარული“ (გვ. 353), „რა ძვირფასია თავისუფლება“, (გვ. 272), „კმარა ტირილი, ცრემლი მეყოფა“ (გვ. 118), — ამბობს პოეტი.

ტ. გრანელის პოეზიაში არცერთი ლექსი ნაძალადევი არ არის. მისი რითმები, სახეები, შედარება-მეტაფორები, მთელი მხატვრული აზროვნება ჩვენი ეპოქის პოეტური ხელოვნების მოთხოვნილებათა სიმალლეზე დგას. მისი შედარება-მეტაფორა — „ოთახში სიბნელე დადის ღრუბელივით“ — მსოფლიო სახელის ყველა პოეტს დაამშვენებდა. მისი აზრები და განცდები ყოველთვის ნათელია და გასაგები, მისი ყოველი ლექსი, პოეტის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „გულითაა ნაწერი“, „გულიდან მოდენილი სისხლას წვეთებითაა შეღებილი“, „იგი „სისხლის რვეულია“.

ტ. გრანელის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს გაფრენის, მიწიდან გასვლის იდეას; უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის მხოლოდ პოეტური, ან „ანგელოზური“ გაფრენა. გრანელი ნამდვილად ფიქრობდა ადამიანის გაფრენაზე, იგი კარგად იცნობდა დიდი რუსი მეცნიერის ციოლოკოვსკის მოძღვრებას და ხშირად კითხულობდა: ნუთუ კაცობრიობა ვერ მიაღწევს იმას, რომ გავშორდეთ მიწას, ვნახოთ სხვა პლანეტები, გავიგოთ როგორია ისინი, ცხოვრობენ თუ არა იქ გონიერი არსებანი?

„მიწიდან გასვლა“ და „სივრცის გადალახვა“ პოეტს იმისათვის სურდა, რომ სიკვდილს გაქცეოდა:

მსურს გადავლახო სივრცე,  
მინდა გავექცე სიკვდილს (გვ.; 141).

გრანელი სხვა პლანეტაზე გაღვიძებას ოცნებობდა:

ნეტავ ზღვის ძაბილზე  
გრიგალს გავეტაცე.



ღმერთო, გამაღვიძე  
 მე სხვა პლანეტაზე (გვ. 122).

თუ ჩვენ ღრმად ჩავუკვირდებით ტ. გრანელის „მიწიდან გასვლისა“ და „გაფრენის“ მოტივებს, დავინახავთ, რომ ჩვენს წინაშეა უაღრესად თანამედროვე პროექტი, რომელიც მთელი შემოქმედებით კაცობრიობის იმ დაოუკებელ სურვილებსაა შეხორცებული, რაც თავის თავისა და მსოფლიოს შეცნობაში მდგომარეობს: „არ ვიცი, ვინა ვარ, არ ვიცი, სადა ვარ“?; კითხულობს პროექტი. ეს საკითხები აწუხებდა არა მარტო ტერენტი გრანელს, არამედ ყველა ეპოქის დიდ პოეტსა და მოაზროვნეს. ჩვენი პროექტი რომ იმ დროს მოსწრებოდა, როცა ადამიანი კოსმოსში გაიჭრა, მთვარეს ფეხი დაადგა და სხვა პლანეტებისაკენ გასაფრენად ემზადება, ვინ იცის, რანაირ აღფრთოვანებულ და იმედებით სავსე ლექსებს დაგვიწერდა.

ტერენტი გრანელს ჯერ კიდევ 1924 წელს, ადამიანის კოსმოსში გასვლის ათეული წლების წინ, განზრახული ჰქონდა ლექსთა კრებულის გამოცემა სათაურით „პოეზია პლანეტების“ (იხ „Memento mori“ ბოლო გვერდი). იგივე განიმეორა მან 1926 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულში. მაგრამ პროექტი რვა წლის შემდეგ გარდაიცვალა და „პლანეტის პოეზიაც“ თან წაიღო. კრებულში შესატანად გათვალისწინებული ლექსები ჯერ აღმოჩენილი არ არის.

ტერენტი გრანელის შემოქმედების მკვლევარებმა და ბიოგრაფებმა უნდა იცოდნენ, რომ ის ლექსები, რომლებშიც პატიმრობაზეა ლაპარაკი, ციხეში დაწერილი ლექსები გახლავთ. გრანელი მართლა იყო პატიმარი, მაგრამ არა პოლიტიკური, არამედ როგორც ქუჩაში „წესრიგის დამრღვევი“. 1923 წელს, ამის გამო, მას ექვსთვის პატიმრობა მიუსაჯეს. მწერალმა გენო ქელბაქიანმა და მე ბევრი ვეცადეთ და შევძელით მისი ორ თვეში განთავისუფლება. საუკეთესო ლექსები „ციხის ელეგია“, „პოეტი პატიმარი“ და სხვა მისთანანი, რომლებშიც ტუსაღის განცდებია გადმოცემული, მაშინ არის დაწერილი. პროექტი ციხეში ყოფნას ასე იგონებს: „მე წავედი ორთაჭალის ბაღში, ახლოს დავინახე ის ციხე, სადაც მე ვიყავი დამწყვდეული. მიხარია, რომ თავისუფალი ვუმზერ სატუსაღოს. ვზივარ ერთ პატარა ჯირკვზე და ვწერ ლექსს“. (გვ. 408).

ტერენტი გრანელს გატაცებით უყვარდა სამშობლო-საქართვე-



ლო, მისი მთები და ველები, მისი ლაქვარდები, „ქართველი ხალხის სპეტაკი სული“, მისი აკაკი, ილია, ვაჟა და გალაკტიონი.

ტ. გრანელი იყო პატრიოტი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით; იგი მზად იყო, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, სამშობლოსათვის სიცოცხლეს შეეწირა. აქვე გიამბობთ პატარა ეპიზოდს ტ. გრანელის ცხოვრებიდან, რაც მისმა ბიოგრაფებმა დღემდე არ იცოდნენ.

ეს მოხდა ბათუმში 1921 წლის გაზაფხულზე. მენშევიკური მთავრობა გასაქცევად გემზე მოკალათდა. ბათუმში იდგა ქართული ჯარი. წითელი არმია ელვის სისწრაფით უახლოვდებოდა შავი ზღვის სანაპიროებს. სწორედ ამ დროს თურქმა ასკერებმა შემოუტიეს საქართველოს, დაიპყრეს ბათუმის შემოგარენი და ქალაქშიც შემოიჭრნენ. დრო არ ითმენდა; ახლად ჩამოყალიბებული რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარემ, ძველმა რევოლუციონერმა სერგო ქავთარაძემ, სასწრაფოდ მოიხმო მენშევიკების ჯარის სარდალი, გენერალი მაზნიაშვილი და მკაცრად უბრძანა თურქ ასკერებისაგან ბათუმის დაცვა. მაზნიაშვილი დათანხმდა. მოწინავე კომუნისტების ხელმძღვანელობით, ქართველი ახალგაზრდობა, სტუდენტობა, იმ დროს ბათუმში მყოფი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის პოეტები ტერენტი გრანელი და გრიგოლ ცეცხლაძე, ბათუმის დასაცავად ქართულ ჯარს შეუერთდნენ და იარაღით ხელში იბრძოდნენ. ბრძოლამ მძიმე ხასიათი მიიღო. ბევრი ახალგაზრდა დაეცა მტრისაგან გულგანგმირული. გამოცდილი გენერლის მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, ქართულმა ჯარმა, მთელ ხალხთან ერთად, თურქები მოიგერია და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ბრძოლა 1921 წლის 4 მარტს დამთავრდა.

— მე და გრიგოლი, — მიაგზო გრანელმა, — როცა ქუჩაში ბრძოლა მინელდებოდა, რომელიმე სახლის კედლის ძირში ერთმანეთის გვერდით დავწვებოდით. თუ რომელიმე ჩვენგანს ტყვია მოხვდებოდა, ის მეორესაც უნდა მოხვედროდა, ან ორივე უნდა მოვმკვდარიყავით, ან ორივეს უნდა გაგვემარჯვა.

გრანელის ნაამბობი გრ. ცეცხლაძემ დაადასტურა; მან ღიმილით მითხრა: ჩვენ მარტო სადღეგრძელოებით კი არ ვართ პატრიოტები, არამედ საქმიანაცო.

ამ ეპიზოდის მოსმენის შემდეგ ჩვენთვის უფრო გასაგები ვა-

ხდა ტერენტი გრანელის ლექსის სტრიქონები: „შენ, მეგობარო, მომეცი ხელი, მინდა სისხლიან მტერს შევებრძოლო“ (გვ. 267); გასაგები გახდა მისი დიდი სიყვარული თბილისისადმი და ის ღელვა, რასაც მასში ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ხილვა იწვევდა (გვ. 237).

ტერენტი გრანელი არასოდეს არ ყოფილა გულზე ხელსაკრავი პოეტი და არც დღეს არის ასეთი. გრანელი არ ყოფილა პესიმისტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. პესიმისტი გახლდათ იტალიური რომანტიზმის მამამთავარი ჯაკომო ლეოპარდი (1798-1839), რომლის თვალსაზრისით სიცოცხლე არის ბოროტება, რომელსაც ჩვენ სიკვდილისაკენ მივყევართ; ჭეშმარიტი რეალობა არის სიკვდილი, დანარჩენი მხოლოდ ილუზიაა; შეიძლება იგი ვიწამოთ, შეიძლება თავი მოვიტყუოთ, მაგრამ ისეთი ადამიანი, რომელსაც ამკობს კეთილშობილება, ვაჟკაცობა და უნარი სინამდვილის თვალეში ცქერისა, თავისთავს ვერ დაიმშვიდებს საიქიოში ცხოვრების იმედებით და განგების მოწყალებით.

გრანელის პოეზია, მისი აზრები ასეთ უკიდურესობამდე არ მისულა. მასში სიხარულისა და მწუხარების დიდი ბრძოლაა; ერთი მხრივ, სიკვდილის შიშია გამეფებული, მეორე მხრივ, სიცოცხლისა და სიხარულის დღეები ელვარებენ; პოეტმა საბოლოოდ უარყო სიკვდილი და სიცოცხლის უკვდავება იწამა: „უარვყოფ სიკვდილს, ხელახლა მინდა, ისევ სიცოცხლის გზები ვეძიო“ (გვ. 27), აგრეთვე მისი სიტყვებია: „თეთრი დღეები მარად ივლიან და მე სიცოცხლის აზრი ვიწამე“ (გვ. 78).

სალიტერატურო კრიტიკა თუ გრანელის პოეზიაში შავი ლანდების ქროლვას ხედავს, სინათლის ელვარებაც უნდა დაინახოს!

ტერენტი გრანელმა ადრევე მიიღო ოქტომბრის რევოლუცია. მისი ლექსი „სულის ცეცხლი“ ჯერ კიდევ 1921 წელს დაიბეჭდა კრებულში „რევოლუციის პოეტები“.

აქ ვკითხულობთ:

შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი,  
ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი;  
ბნელ შუა ღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე,  
ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი.

ტ. გრანელი გრძნობდა, რომ „განახლების ქარიშხალმა ფრთე-

ბი გაშალა“, რომ „კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სან-  
თელი“. პოეტი ხმამაღლა ამბობს: „უარყოფ სიკვდილს, ხელახლა  
მინდა ისევ სიცოცხლის გზები ვეძიო“ (გვ. 27). ის ხედავს, რომ  
მალა ბრწყინვალე ცა არის, მაგრამ იმასაც გრძნობს, რომ იქ დუ-  
მილია. აქ კი, დედამიწაზე, სიცოცხლეა, ჟრიაშული ისმის და ამი-  
ტომ ვიწამე ცხოვრებაო:

თეთრი დღეები მარად ივლიან  
და მე სიცოცხლის აზრი ვიწამე,  
ნალა ბრწყინვალე ცის ღუმელია,  
აქ ჟრიაშული ისმის მიწაზე (გვ. 78).

პოეტმა თავი მშრომელი ხალხის რიცხვში ჩათვალა:

მწამს მხოლოდ ერთი: მშრომელი ხალხი,  
მეც მშრომელ ხალხის რიცხვში ვითვლები.

იგი მოითხოვს, რომ ვიყოთ წმინდა და ნამდვილი ადამიანები,  
მაგრამ ხედავს იმასაც, რომ ბევრმა ქართველმა „გული ფულზე გა-  
ყიდა“ (გვ. 243), რომ ბევრი გაიძვერა და გადაგვარებული; მას  
სურს ადამიანში ნამდვილი ადამიანი დაინახოს (გვ. 34).

ტერენტი გრანელის „რჩეული“ იწყება ლექსით, რომელშიც  
ვკითხულობთ:

და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ  
რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი.

ჩვენ ვიტყვით, რომ მას არ დასჭირდა დიდი ხნის ლოდინი. მის-  
მა საყვარელმა სამშობლომ, განახლებული ცხოვრების მშენებელმა  
ქართველმა ხალხმა კარგად გაიგო, თუ ვინ იყო ტერენტი გრანელი  
და მას რა ცეცხლი სწვავდა. ამ გაგების შედეგი ისიც არის, რომ ტ.  
გრანელის ნაწერები, მისი გარდაცვალების შემდეგ, რამდენჯერმე  
გამოიცა. ხალხმა გაიგო, რომ იგი იყო XX საუკუნის პირველი ათე-  
ული წლების ერთერთი ბრწყინვალე ნიჭის პოეტი, რომლის შემო-  
ქმედებაში, როგორც ივ. გომართელი ამბობდა, „ვერ ნახავთ ყალბ  
ხაზებს, ყალბ განცდებს, გადაჭარბებებს“.

# თარგმანის პრობლემები

□ □ □

## „მთვარის მოტაცების“ რუსული თარგმანის გამო

□  
სოსო სიგუა

□

„მთვარის მოტაცება“ კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო რომანია. მწერალს თავის ყველა ნაწარმოებზე მეტად უყვარდა იგი. არ არის შემთხვევითი, რომ თხზულებათა კრებულის ექვსივე გამოცემა (სამი ქართული, სამი რუსული) ამ რომანით გახსნა. „მთვარის მოტაცება“ ეპოქის მართალი და ტრაგიკული მატთანაა, რომელშიც ნათლად განხორციელდა ოცნება ახალი მითოსის შექმნისა.

ყველა წიგნს თავისი ბედი აქვს. არც „მთვარის მოტაცება“ ყოფილა გამონაკლისი. იგი მოვლენათა ცხელ კვალზე იწერებოდა და წლების მანძილზე იბეჭდებოდა „მნათობის“ ფურცლებზე (1933-1935 წწ.). შემდეგ კი, 1936 წელს — თბილისში ერთდროულად გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე (თარგმანი ეკუთვნოდა ბონდო ემხვარს).



„მთვარის მოტაცებას“ თავიდანვე დიდი რეზონანსი ჰქონდა. ერთხმად მიიჩნიეს მწერლის გამარჯვებად და ქართული პროზის მნიშვნელოვან მიღწევად. ასე შეაფასა „მთვარის მოტაცება“ მწერალთა კავშირში საგანგებოდ გამართულმა დისკუსიამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ლიტერატორები: ბ. ჟღენტი (მომხსენებელი), ნ. მიწიშვილი, ქრ. რაჭველიშვილი, ლ. ქიაჩელი, კ. ბობოხიძე, ტ. ტაბიძე, დ. შენგელაია, კ. ჭიჭინაძე, ვ. მგალობლიშვილი, ა. გაწერელია, ს. კლდიაშვილი, კ. მელაძე, ს. ჩიქოვანი, მ. ჯავახიშვილი, დ. დემეტრაძე („ლიტერატურული საქართველო“, დისკუსია „მთვარის მოტაცებაზე“ 1936, 23.X). მაგრამ რომანი მალე ჩრდილში მოექცა. კრიტიკოსებმაც მიივიწყეს. 1937 წელმა სიტუცია მკვეთრად შეცვალა. მწერალმა შეწყვიტა თანამედროვე თემატიკის დამუშავება და ისტორიულ მასალას მიმართა. 1939 წელს მან ორი ახალი რომანი გამოსცა — „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ბელადის“ I წიგნი. „დიდოსტატის მარჯვენას“ კიდევ უფრო მაღალი შეფასება მიეცა. წლების მანძილზე კ. გამსახურდიას ავტორიტეტი და მწერლური ძალა ოფიციალურად ამ რომანით განისაზღვრებოდა. 1946 წელს, საქართველოს მწერალთა კავშირის III ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მდივანი პ. შარია აცხადებდა, რომ „მთვარის მოტაცება“ მწერლის ყველაზე სუსტი რომანიაო.

ერთ დროს ჩვენი კრიტიკა და საზოგადოებრიობა მწერლის საუკეთესო ქმნილებად მიიჩნევდა „დიდოსტატის მარჯვენას“, შემდეგ — „დავით აღმაშენებელს“. 70-იან წლებში კი როგორც მკითხველთა, ისე მწერალთა და ლიტერატორთა სიმპათია თითქმის ერთხმად გადაიხარა „მთვარის მოტაცებისაკენ“. მე პირადად მიმაჩნია, რომ ეს რომანი არის ყველაზე დიდი პროზაული თხზულება, რაც ჩვენს მრავალსაუკუნოვან ლიტერატურაში შექმნილა. ამ აზრს მივიღებთ თუ არა, ერთი რამ მაინც აშკარაა: „მთვარის მოტაცება“ არის ის წიგნი, რომელიც საგრძნობლად განსაზღვრავს ქართული პროზის პრესტიჟს. ამიტომ მის, ისევე როგორც კ. გამსახურდიას სხვა მნიშვნელოვან თხზულებათა თარგმნას, განუზომელი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ხშირად იბეჭდება სტატიები თუ როგორ ითარგმნება რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, საერთოდ როგორ უღერს ქართული ლექსი არამშობლიურ ენაზე. მაგრამ თითქმის მივიწყებულია ქართული პროზის თარგმა-

ნები. ყველა კმაყოფილდება ფაქტის აღნიშვნით, რომ ესა თუ ის რომანი დაიბეჭდა მოსკოვში, კიევში, ბერლინში და ა. შ. თვით ფაქტი, ცხადია, სასიამოვნოა, მაგრამ ბევრს არაფერს ნიშნავს. რამდენჯერ აღნიშნულა ჩვენს პრესაში, რომ „დიდოსტატის მარჯვენის“ ფრანგული თარგმანი, რომელიც პარიზში გამოიცა, მკითხველებს და ლიტერატორებს მოეწონათ (გამოიცა ერთჯერ და არა ორჯერ, როგორც ამას ჩვენი ლიტერატორები წერენ). მაგრამ არავინ ცდილა ეჩვენებინა, რუსულიდან შესრულებული თარგმანი რა მიმართებაშია დედანთან, საერთოდ არის თუ არა ეს წიგნი ის რომანი, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარს, თუ სავსებით ახალი ვარიანტია? ასეთ ეჭვს კი სერიოზულად აღგვიძრავს კ. გამსახურდიას თხზულებათა რუსული თარგმანები. თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ სრულიად არადამაკმაყოფილებელია როგორც კ. გამსახურდიას, ისე სხვა გამოჩენილ ქართველ პროზაიკოსთა რუსული თარგმანები. ისინი მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას თუ შეუქმნიან რუსულენოვან მკითხველს ჩვენი პროზის სიმდიდრეზე. არადა ქართული ლიტერატურა რუსული ენის მეშვეობით გადის საერთაშორისო არენაზე. თუ პოეზიის მთარგმნელები, გასაგებ მიზეზთა გამო, თავის გამართლებას ახერხებენ, ეს არ უნდა გავრცელდეს პროზაზე. სავსებით შესაძლებელია პროზის ადეკვატური თარგმნა, ტოლფარდი ექვივალენტის შექმნა მეორე ენაზე.

ჩემს ხელთაა „მთვარის მოტაცების“ ოთხივე რუსული გამოცემა. ყველა მათგანი თბილისში განხორციელდა (1936, 1964, 1964, 1972). I გამოცემის თარგმანი ეკუთვნის ბონდო ემხვარს, II, III და IV გამოცემებისა — თინა გველესიანსა და ბონდო ემხვარს. არაა საჭირო დიდი დაკვირვება, რათა მივხვდეთ, რომ მათ შორის არსებითი განსხვავება არსებობს. ამიტომ I გამოცემის ტექსტს მე ვუწოდებ A თარგმანს, ხოლო II-IV გამოცემისას — B თარგმანს. რადგანაც იცემა B თარგმანი, მე მაინტერესებს მისი ხარისხი და მიმართება ორიგინალთან. ვსარგებლობ ბოლო, 1972 წლის გამოცემით — К. Гамсахурдия, Собр. сочинений в восьми томах, т. I, Тб.; რომანის I და II კარის მთარგმნელია თ. გველესიანი, III კარისა — ბ. ემხვარი.

როგორც მკითხველს მოეხსენება, „მთვარის მოტაცება“ ქართულ ენაზე ხუთჯერ დაიბეჭდა (ჯერ „მნათობში“ — 1933-1935,



შემდეგ — 1936, 1947, 1958, 1973). დღეისათვის კანონიზებულ ტექსტად ითვლება 1958 წლის გამოცემა (კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. I), რომელშიც შეტანილ იქნა რამდენიმე პრინციპული, ჩემი აზრით, გაუმართლებელი შესწორება. შესადარებლად ამ გამოცემას ვიყენებ.

თავიდანვე ისიც უნდა განვაცხადო, რომ ჩემს მიერ მოტანილი მაგალითები ზღვაში წვეთია. მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ყველა შეცდომა აღვრიცხე. ეს ჩემს შესაძლებლობას აღემატება, რადგან საამისოდ საჭირო იქნებოდა, სულ მცირე, რომანის მეოთხედი მაინც გადმომეწერა. ამიტომ ვიფარგლები ტიპიური მაგალითებით, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ მთარგმნელთა მეთოდს, დედანთან მიმართებას, პოზიციას, პროფესიულ ოსტატობას.

ორიგინალი შედგება 76 თავისაგან, თარგმანი — 71 თავისაგან. ზოგი მათგანის სათაური შეცვლილია, რაც გაუმართლებლად მიმაჩნია, მითუმეტეს მაშინ, როცა მწერლის ჩანაფიქრი სუსტდება და იკარგება. „გენერლის კალმასობა“ ასეა თარგმნილი — «Белый башлык», „მოარული რეკლამა“ — „Накануне скачок“, „დედის ძუძუსთან წაკიდებულნი“ — „Скачки“, „სტიროდნენ ბნელში სისხლის წვეთები“ — „Кровью была орошена трава“, „ციხისთავის სადღეგრძელო“ — „Золотое руно“, „მამის თვალი“ — «Глаз врага», „თარაშ ემხვარის მესამე გზა“ — „Путь Тараша Эмхвари“, „მეოცნებეთა მეურნეობა“ და „მალანურები მოვიდნენ“, გაერთიანებულია ერთ თავად — „Маланури пришли“, ასევე შერწყმულია „დედალი ბელურა“ და „ჭანგმოცარული მიმინო“ და ჰქვია „Возвращение“. თითქმის მთლიანად ამოგდებულია „დოსტაქარის შეგონებანი“ და „ჰაეროპლანი და ურმის ფესო“; არასწორად არის თარგმნილი ეპიგრაფები, ხშირად კი სულაც გამოტოვებულია; თავები ერთმანეთს არ მისდევს ორიგინალისეული თანმიმდევრობით. მაგ.; „მივიწყებული ანგელოსების“ ბოლო რვა აბზაცი გადატანილია მომდევნო თავის („ძაბული“) ნაწილად და ა. შ.

მე დაუშვებლად მიმაჩნია პერსონაჟთა სახელის თვითნებური გადაკეთება, რაც პრინციპად უქცევიათ მთარგმნელებს. ჩვენ ყოველთვის უნდა დავიცვათ ავტორისეული ტრანსკრიპცია, სახელისა და გვარის ის ფორმა, რომელსაც მწერალი მიმართავს. თითქმის ყვე-





ლა ლიტერატორი ოქროპირს უწოდებს ერთერთი ნოველის („ზარვაშიძე“) პერსონაჟს — ოქოპირს. ამ ერთი ბგერით თითქოს არაფერი შეცვლილა. მაგრამ თუ კარგად ჩავუფიქრდებით, საგრძნობი გახდება, რომ ამ ნიუანსით მქლავნდება ეპოქის მიერ მოტანილი დევალვირების სურათი. თარგმანში ყველგან წერია „შარვაშიძე“. ქართული ტექსტის ხუთივე გამოცემაში კი იხსენიება „შარვაშიძე“. ჩვენ არ გვაქვს უფლება კ. გამსახურდიას გმირთა გვარის შესწორებისა.

პროფესორი ლოდერელი თარგმანში „გოდერელად“ ქცეულა! უცნაურია, ეს ფაქტი როგორ დარჩა შეუმჩნეველი. მეწისქვილეს, რომელთანაც მეგობრობს ლუკაია ლაბახუა, ორიგინალში ჰქვია „ზოსიმია“, თარგმანში კი „ზოსიმა“ ეწოდება. რონსერის სახელი ორიგინალში ორმაგი თანხმოვნით ჟღერს — „ელლენ“. მოგეხსენებათ, როგორ პრინციპულად იცავდა მწერალი ორმაგი თანხმოვნის აუცილებლობას ქართულში, რასაც გრამატიკოსები არ იზიარებენ. თარგმანში ერთი „ლ“ დაკარგულა. დაგვრჩა «Элен». ბაბუა ტარიელის სააღდგომო სუფრის ერთერთი წევრი კეგვა გარგანჯია რატომღაც თარგმანში „ბარგანჯიად“ იხსენიება (გვ. 115, 118, 120, 122, 128)!

ავტორმა ჯოკიას სახელი პირველად ინგლისელი მეცნიერის მისტერ ემერისაგან გაიგო, რომელთანაც საუბარს რომანის ორი გვერდი ეთმობა. თარგმანში რატომღაც „ინგლისელი მეცნიერი“ „რუს მეცნიერად“ ქცეულა.

თამარის შორეული წინაპარი ლათო შარვაშიძე „Дагато Шервашидзе“-დ არის მონათლული (გვ. 133). ხოლო იქვე, სადაც სააკაძის გვარი სწერია, მის ადგილს იკავებს ერეკლე II. მაგრამ სჯობს მოვეშვათ დეტალიზებას და მკითხველს პირდაპირ ვუთხრათ, რომ ლაკერბაია ლაკობად არის გარდასახული (გვ. 137), ჯვიბა — ჯვებედ, (გვ. 143), კიწი დადიანი — ვანო დადიანად (175), მალაზონია — პეტრე მალაზონიად (199), ვაჩნაძე-ბრეგაძედ (201, 215 და სხვ.), ჩალმაზი — ჩეჟიად, ვირის სახელი „ნიკოლაშა“ — „სიკოდ“ (222), ცხენის სახელი „შამილი“ — „შარიფად“ (224), თემრაზი — თეიმურაზად (234), სოსო — სანდროდ (252), ცავა — სევასტი ცანავად, (264), რიშეპენი — რიშპენად (314), ჯვიბი ესვანჯია — ჯვიბი ძავა-

ნიად (455), „გაბრიელ პატარაჲ“ — გაბრიელ პატარაიად (429) და ა. შ.

სხვათა შორის „მთვარის მოტაცების“ რუსულ გამოცემებს უძღვის ან ერთვის ბ. ჟღენტის სტატია. ყველგან მოიხსენიება „ჩალმაზი“, რომელიც თარგმანში არ არსებობს! საინტერესოა, როგორ გაერკვეს რუსი მკითხველი თუ ვინ უნდა იყოს ეს კიჟესავით ეფემერული „ჩალმაზი?“

მთარგმნელებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ რომანის სტრუქტურაზე, სტილსა და კონცეფციაზე:

როგორც ვიცით, თარაშისა და არზაყანის ურთიერთობის არქეტიპია აბელისა და კაენის ბიბლიური მოდელი. ისინი ერთი ქალის ძუძუს სწოვდნენ, ერთად იზრდებოდნენ, მაგრამ კონფლიქტი თვალის პირველ ახელისთანავე ჩაისახა. სიკვდილის გზაზეც არზაყანის ცხენით — არაბიათი მიდის თარაში. ერთი თავადია, მეორე — გლეხი. ამიტომ მათ განსხვავებული შეხედულებანი აქვთ. არზაყანი ჩეკისტია, თარაში კი გზადაბნეული ინტელიგენტი, ძველ საქართველოზე შეყვარებული. იგი ისტორიისა და მითოლოგიისაკენ იყურება, არზაყანი კი მომავალს შეტრფის. გარეგნულად მათი მეტოქეობა მეღავენდება ქალთა მიმართ (თამარი, ძაბული, ლამარია), რომლის დროსაც აშკარად ვლინდება ქვეცნობიერი იმპულსები, ფარული, მაგრამ ღრმადპიროვნული მიდრეკილებანი. აბელისა და კაენის მეტოქეობის არაცნობიერი საწყისია „ოიდიპოსის კომპლექსი“. ცხადია, არზაყანმა ფსიქიკურ მეტამორფოზათა შესახებ არაფერი იცის. მაგრამ თარაში ყველაფერს განსჯის და იაზრებს: „ვინ იცის, ეგებ დედის ხსენის ბრალი იყოს ეს ყოველივე. თავად ხსენში ღებულობდეს ადამიანი ისეთ ფერმენტს, ვისთანაც მას გაიზიარებ იგი იყოს უპირველესი შენი მეტოქე. და ტყუბების სიძულვილის მაგალითები მოაგონდა თარაშ ემხვარს, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ებლანდებიან ურთიერთს ფეხებში.“

იფიქრა, იფიქრა და ბნელზე-ბნელი ამბები წარმოუდგა თვალწინ. ეგებ ეს მართალი იყოს, ამ ხსენის მომწოდებელია პირველი ქალი, რომლის გარშემო ეჯიბრება ხვალი ხვადს, როგორც მამალი როჭო როჭოს ებრძვის დედლისათვის? ეგებ ამიტომ ებლანდებოდეს არზაყან მას ფეხებში? ეგებ ამიტომ გადაუდგება არზაყან მას, როგორც კი ქალისკენ გაიწევს თარაშის გული?“ (გვ. 649).

მთარგმნელმა თავი ვერ გაართვა ტექსტს. ამიტომ გაამარტივა და გაანახევრა: «Как знать, может быть, всему виной материнское молоко? Может быть, в молоке заключен фермент, благодаря которому люди, одновременно вскормленные этим молоком, неизбежно становятся первейшими соперниками?»

Тараш силился вспомнить примеры из жизни, когда близнецы до самой смерти путались друг у друга в ногах» (стр. 596).

როგორც ვხედავთ, ფსიქოანალიტიკური იდეა გაგებულია უბრალო პოეტურ სახედ. „მთვარის მოტაცებას“ კი სწორედ ამ იდეის რთული ტრანსფორმაცია უდევს საფუძვლად. რასაკვირველია, მთარგმნელის ბრალი არაა, რომ წიგნიდან ამოღებულია მამისმკვლელობის ამბავი. მაგრამ მე ნათქვამს მინდა დავუბრუნდე და ვთქვა, რომ „ოიდიპოსის კომპლექსის“ გარეშე არ შეიძლება „მთვარის მოტაცების“ სრული გააზრება. 1936 წლის ტექსტი უნდა აღდგეს. ამას დღეს ხაზგასმით მიუთითებს თითქმის ყველა ლიტერატორი, ვისაც ესმის, რომ ლიტერატურა არის მხატვრული აზროვნება და არა ამბის მოყოლა. კაც ზვამბაიას მოკვლით არზაყანმა მოკლა არა მხოლოდ ხორციელი მამა, არამედ წარმართულ-ქრისტიანული სამყარო, ძველი ქვეყანა. ინცესტითა და მამისმკვლელობით არზაყანი თავად იქცა ახალ ღვთაებად, რადგან მან ძმების სახელით გასწირა მამა, როგორც კრონოსმა, როგორც ზევსმა. ტოტალური შეტაკება ძველსა და ახალს შორის, სოციალური ქარიშხალი, სასტიკი და დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა „ოიდიპოსის კომპლექსით“ იშლება, რომელიც ქვეცნობიერი საწყისია ქცევისა, ფიქრისა, მოქმედებისა.

„ოიდიპოსის კომპლექსი“ თავიდანვე არის მინიშნებული: „და აღსდგა კაც ზვამბაიას გულში მამასა და შვილს შორის ოდითგანვე დათქმული მტრობა“ (გვ. 13). მთარგმნელს ეს ვერ გაუგია: «Давно залегший гнев против сына сразу ощеминился в нем».

არზაყანს მამა „ღვეის ქვაბში“ შემოაკვდა. თვით „ღვეის ქვაბი“, პატრიარქალური სვანეთი, მთები და ყინულოვანი გარემო მითოსური ლანდშაფტია პირველყოფილ, ბარბაროსულ ვნებათა გასაღვიძებლად, რომელიც ქვეცნობიერშია ჩაძირული და ჰუმანიზმის (ცნობიერის) სფერო ხურავს. თარგმანი ჯერ თითქოს უფრო მიჰყვება 1936 წლის გამოცემას. მთლიანადაა წარმოდგენილი მამა-შვილის ჩხუბი, აკლია მხოლოდ კაცის სიზმარი და მკვლელობის სცენა. სა-

მაგიეროდ ამავე თავში ჩნდება ქართული ტექსტისათვის უცნობი პერსონაჟი გოლეთა — მოხუცი მწყემსი! იგი სულ სხვაგვარად გადმოგვცემს კაც ზვამბაიას მოკვლის ამბავს, თითქოს კაცმა და სამსონ ტარბამ „დევის ქვაბში“ ერთმანეთი დახოცეს. „მამის თვალის“ მეორე ვარიანტის მიხედვით კი კაც ტარბებმა მოკლეს, მესტიაში მიმავალი. რუსულ ტექსტში არაა ნახსენები, რომ მოხუცის ნაბადში გახვეული ცხედარი ნაძვის ხეზე დაჰკიდეს. უნდა ითქვას, რომ ეს თავი — „მამის თვალი“, რომელიც რატომღაც «Глаз врага»-დ არის თარგმნილი, არ მისდევს არც 1936 წლისა და არც შემდგომი წლების გამოცემებს. იგი შეიცავს ნაწილობრივ ამ თავის ძველ ვარიანტს, ნაწილობრივ — ახალ ვარიანტს და თან ირთავს მხოლოდ რუსული გამოცემის მიხედვით ჩვენთვის ნაცნობ ტექსტს — დაახლოებით ორ გვერდს, რასაც ჩვენ მთარგმნელის „შემოქმედების ნაყოფს“ ვუწოდებთ.

რომანის ერთერთ თავს ჰქვია „მისოუსტი!“ თარგმანში წინწკლები და ძახილის ნიშანი გამქრალა, რითაც დაკარგულია ნიუანსი, რომ ეს თამარის სიტყვაა. ჩვენ ვიცით, რომ თარაშს მისოუსტს ეძახის მორდუს ოჯახი, დედა—გულიკოს, ამხანაგები და ნაცნობები — თარაშს. ემხვარი ეუბნება თამარს, თუ როგორ შემოესმა ერთხელ ტყეში მისი ხმა — „მისოუსტი!“ თუმცა იცოდა, რომ ბავშვობის შემდეგ მისთვის ქალს მისოუსტი არ დაუძახნია. თამარი ნაწყენი დარჩა თარაშის საუბრით. მათ თითქოს ერთმანეთს ვერ გაუგეს. მდუმარედ გავიდნენ მუხნარიდან. თამარი ღია ჭიშკარში შევიდა. უცებ მობრუნდა და თარაშს დაუძახა — „მისოუსტი!“ ამის შემდეგ ქალისათვის ბედისწერად იქცა ემხვარი, რომელსაც ყოველთვის მისოუსტად იხსენიებს. ბაბუა ტარიელს უკვირს, როცა თამარი ამ სახელს აბოდებს, ეს მისოუსტი ვინლა არისო. არზაყანიც მეტწილად „მისოუსტს“ ეძახის თარაშს. თარგმანში „მისოუსტი“ „გუჩათი“ არის შეცვლილი (გვ. 579-581, 645 და სხვ.).

თამარი იგონებს თარაშს, მის ნათქვამს იხსენებს: თუ სიკვდილის მოსვლა ვიგრძენი, ნადიაკვნარს მოვუხმობ, ტახტზე დავწვები, ნაბადში გავეხვევი და სიკვდილის წინ ფსალმუნს წავაკითხებო. ქალს უკვირს, რადგან ამას ამბობდა კაცი, ვინც „წარამარა ქრისტეს სჯულს დასცინოდა“ და ძველბერძნულ სამყაროს ეტრფოდა. აქ საგულისხმოა რამდენიმე ასპექტი. თარაშის ხასიათში ნიცშესებური გაორება

ცნაურდება. მასაც სძულს ქრისტიანობა, თუმცა გულის სიღრმეში, ფარულად უყვარს იგი. ლოგიკის ძალით კი ეტრფის წარმართობას. მაგრამ ნადიაკვნარი, ნაბადი და ფსალმუნი ის ატრიბუტებიცაა, რომლის მონატრება კიდევ შეეძლო თარაშს, რათა ისე მომკვდარიყო, როგორც მისი მამაცი წინაპრები კვდებოდნენ (I, 669). ეს და სხვა მსგავსი აბზაცები რუსულ ტექსტში არ არსებობს (გვ. 612), რადგან მთარგმნელს მოეჩვენა, რომ სიუჟეტის განვითარებას ხელს უშლიდა ასეთი დეტალიზება. საერთოდ მთარგმნელებს ვერ გაუგიათ, რომ მწერალი ისწრაფვოდა პრაქარტული ყოფიერებისა და ცნობიერების აღსადგენად, ქართული ნაციონალური ხასიათის დასადგენად და ქმნიდა თანამედროვე მასალის მეშვეობით მითოსურ რომანს. ამიტომაც დაქსელილი მთელს თხზულებაში მითოსური, ისტორიული და ლიტერატურული ლაიტმოტივები, გაშლილია ტოტემების, არქეტიპების, პერსონაჟთა ჰიპოსტაზების მთელი სისტემა, რათა წარმავალ მასალაში ადამიანური ყოფისა და ცნობიერების უცვლელი მოდელები გამოჩნდეს.

„ამირანი“, „პრომეთედ“ არის თარგმნილი (გვ. 572, 610..). ეს დაუშვებელია. ჯერ ერთი, ჩვენი მეცნიერება სრულიადაც არ აიგივებს ამირანსა და პრომეთეს. ამირანი ქართული მითოლოგიის ღვთაებაა, პრომეთე — ბერძნულისა. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ბერძნული პრომეთეს საწყისი ქართული ამირანია. მეორე, თარაშის არქეტიპი არის ერამხუტ ემხვარი, ბიძამისი, რომელიც განსაზღვრავს მის ფსიქიკას, ცხოვრების გზას. ერამხუტი მეგრულად „არამხუტულ“ გამოითქმის. არამხუტუ კი ამირანს ეწოდება მეგრულ ვერსიებში. თარაში ხომ არაერთხელ თავის თავს ამირანს აღარებს. ასე თანდათან ირკვევა, რომ თარაშის მრავალპლანიანი სულის ერთ-ერთი ჰიპოსტაზი ამირანი ყოფილა, რომელიც ძველი საქართველოს მუდმივი ბრძოლისა და ტანჯვის ხატია (იხ. ჩემი „კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“, თბ., 1980, გვ. 107-109). „ამირანის“ „პრომეთედ“ გარდასახვა ნიშნავს შევცვალოთ თარაშის ღრმად ნაციონალური ბუნება და მრწამსი, მისი „ქართული სევდა“ ვაქციოთ აბსტრაქტულ „მსოფლიო სევდად“.

თარაშმა გონებით მიიღო და არა გულით სოციალიზმი. მეტი გამოსავალი არ ჩანდა და იგი დაადგა მესამე გზას — სიკვდილის გზას. ამიტომაც ჰქვია ერთერთ თავს „თარაშ ემხვარის მესამე გზა“.



მაგრამ მთარგმნელებს ესეც გამორჩენიათ და სიტყვა „მესამე“ ამოუგდიათ. დაგვრჩა «Путь Тараша Эмхвари», რაც დაცლილია დედნისეული აზრისა და ემოციისაგან.

მთარგმნელები ვერ გრძნობენ კ. გამსახურდიას პროზის ნიუანსებს, ქვეტექსტებსა და მინიშნებებს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას.

თარაში და კაროლინა სუფრას უსხედან. საუბრობენ ერის რაფინირებასა და სიმაგრეზე. კაროლინამ „შეხედა თარაშ ემხვარს, თითქოს პირველად ხედავდესო, ისე ათვალეირებდა მის თავის ქალას“ (1, 219). თარგმანი: კაროლინა «так пристально посмотрела на Тараша, точно впервые увидела его» (стр. 253). თითქოს რუსული ტექსტი ორიგინალს მისდევს, მაგრამ დაკარგულია მთავარი ნიუანსის გამომწვევი სინტაგმა — „თავის ქალა“. საუბარი ხომ ერის სილამაზეს, გამძლეობას, სიფაქიზეს შეეხება. კაროლინა განათლებული გერმანელი ქალია. მან უეჭველად იცის ანთროპოლოგია, რასისტული კონცეფციები. ამიტომ აკვირდება თარაშის „თავის ქალას“.

მაგრამ თავი დავანებოთ სიმბოლიკური ინფორმაციის გადატანას. მთარგმნელები შესამჩნევად აღარიბებენ და ცვლიან კ. გამსახურდიას სახეთა სისტემას, სინტაქსურ-მეტაფორულ კონსტრუქციას: „დედა მოაგონდა მარტოხელად ოქუმში მყოფი, მამა საცოდავი, შუბლგაჩეხილი, საფრანგეთის ცივ მიწაზე გდებული, ერამხუტ ემხვარ თვალწინ წარმოუდგა ბედისწერასავით გაფითრებული“ (1, გვ. 268); «Вспомнил одинокую мать, оставшуюся в Окуми, несчастного отца. Предстал перед глазами Эрамхут, бледный как привидение» (стр. 294).

„ნაშუალამევეს მობრუნდა არზაყანის მოზვერი და რა მოაღწია კაკლის ქვეშ, დაყნოსა თავის ჯილაგის სისხლით დაცვარულ ბალახს, წინა ფეხებით მიწის თხრა დაიწყო. მთელი ღამე საშინელის ხმით ბლაოდა კურო...“

ისევ შეუჩნდა ქარი ვერხვის ხეს, კვნესოდა ვერხვი, ფართაშებდნენ შექარვული ფოთლები.

მთელი ღამე არ სძინებია არზაყანს, ხათუნას და ძაბულის და მთელი ღამე სტიროდნენ კაკლის ქვეშ სისხლის წვეთები ბნელში“, (1, 423); «Было за полночь, когда вернулся бычок Арзакана. Подошел к ореховому дереву, обнюхал траву, орошен-

ную кровью его братьев. Заревел, начал передними ногами рыть землю. Всю ночь ревел страшным голосом.

Ни Хатуна, ни Дзабули не сомкнули глаз в эту ночь» (стр. 418).

„მოსკდება ზვავი სადღაც ჭიუხში და მღერიათ მთები, ასთავიან მღევის მაყრები, სვანურ ლილეოს, საზეიმო ჰიმნს ამოდ სასმენს. მღერიათ მთები და ეს სიმღერა თუ დამავიწყებს მე ამ მოშხამულ საწუთროებას“ (1, 575); «Где-то срывается в пропасть лавина, и горы поют сванскую «Лилео», торжественный гимн, ласкающий слух.

Милая, где ты сейчас, вспоминаешь ли меня хоть иногда» (стр. 534)?

მთარგმნელები ძალიან ცდილობენ ტექსტის შეკრეჭას, გამარტივებას, რათა უფრო „გასაგები“ გახადონ. ისინი ყოველ ხერხს მიმართავენ, რათა „ზედმეტი“ დეტალებისაგან განტვირთონ რომანი, ჩამოაცილონ მას კონკრეტული ყოფის ამსახველი საგნები, სახელები, ეთნოლოგიური და მითოსური ელემენტები. მთარგმნელთა „მუშაობის“ საილუსტრაციოდ მე კიდევ ერთი ვრცელი ციტატის მოტანა მომიწევს:

„ვარდანიძე-ემხვარების უკანასკნელ ნაშეირს მოხუცებული ცირუნისა და ბებერი მწევრის მეტი არავინ დაუხვდა შინ. ცირუნია მთლად დაყრუებულიყო. მწევრისთვის ფეხი მოემტვრიათ მეზობლის ბიჭებს. წინაპრების, ნათესავების ფოტო-სურათებილა დარჩენილიყვნენ ცარიელ კედლებზე. უკანასკნელი ნოხებიც გაეყიდნა ცირუნისას დედა მაიას დასამარხავად.

კაც ზვამბაიას ძვლებს გაცილებით მეტი პატივისცემა დაუმოწმეს ოქუმელებმა. აფხაზური ქელები გადაუხადეს. ხათუნამ ძალად გამოაწერინა საავადმყოფოდან თავი. ოთხმწკრივად დასხდნენ თმაგაშლილი მოტირალეები, შუაში კუბო დაასვენეს და ცხედრის ნიშანი.

მოვიდნენ ალანიები, მალანიები, მაქაცარიები, მალაზონიები, ხვიჩიები და გვიჩიები. შავჩოხიანი, უქულო მოზარეები ზარის გალობით და თავში ხელის ცემით მიმოდიოდნენ ჭიშკარსა და ეზოს შორის, დაბალი, დაბალი ხმით გალობდნენ ზარს.

უკულმა შეკაზმეს ცხენი, შავებით შემოსეს. კაც ზვამბაიას იარაღი თავუკულმა დაჰკიდეს. მოსთქვამდა ხათუნა და მოტირალ-

ნი ბერძნული ხოროს დარად „ავაპ ვა“-ს ეუბნებოდნენ მოძახილად.

ბართაიებმა ხათუნას დედულეთიდან ხარები მორეკეს, რქებზე სანთლები აუნთეს ხარებს, ატირებული ქელეში და ჯამუ წინ მიუძღოდნენ, მჯილებს იცემდნენ პატარები მკერდზე, შესუდრული ცხენი თავზე დააყენეს ცხედარს. მერმე სამჯერ შემოატარეს ეზოში ცხენიცა და ცხედარიც და მოთქმითა და ზარით გაიყვანეს ეზოდან.

დედა მაია კი ცირუნის და ემხვარების ქვრივებს მიუცილებიათ სამარემდის. თარაში არც კი წასულა დედის საფლავის საძახავად. მან შინ გამოიგლოვა დედა. როცა ნაშუაღამევს შინ შესულს მოთქმით შემოეგება ცირუნია, მაია ქალბატონი აღარა გვყავსო. დედის ოთახში შევიდა თარაში, დაცარიელებული საწოლის წინ დაიწოქა.

მე მოგკალიო, დედი, ქვითინებდა ბალღივით. არც ცირუნის, არც სხვა ვინმეს ამის მეტად არ უნახავთ მტირალი თარაშ ემხვარი“ (1, 661-662).

რუსული ტექსტი ასეა „კონდენსირებული“ და „გაუმჯობესებული“: «Тараш не застал в отчет доме никого, кроме дряхлой Цирунии и еще более дряхлой борзой».

Цируния совершенно оглохла, а собаке соседские ребята перебили ногу.

На голых стенах висели только портреты предков и родственников. Последние ковры и паласы были проданы Цирунией, чтобы похоронить Майю.

Тараш прошел в комнату матери и опустился на колени у опустевшей постели.

— Это я убил тебя, мама! — рыдал он, как ребенок.

Ни Цируния и никто другой не видели до этого Тараша Эмхвари плачущим» (стр. 606—607).

წიგნის გადმოწერას არ ვაპირებ. მოვიტან კიდევ ერთ ციტატას იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ არის გაუბრალოებული, გამარტივებული, სასაუბრო მეტყველებამდე დაყვანილი კ. გამსახურდიას რთული, ოდნავ პათეტიკური, პოეტური ნიუანსებით და დეტალებით დატვირთული სტილი. ყოველ წინადადებას ან აბზაცს კომენტარს ვერ გავუკეთებ. დაე მკითხველმაც განსაჯოს მრუდი და მართალი:

„იწვიმა ცრემლებმა ქალწულის თვალთაგან. ჩიჩვირზე აკოცა არაბიას, მერმე დაუვარდა ფერხთით და მუხლებზე აკოცა, მაგრამ





ცხენს კი არა, სიყვარულის მაღალ ღვთაებას, ცხენის სახით განვი-  
როვნებულს.

„ვინაა ეს ქალი, რამ გადარია?“

იკითხა ქურქიანმა.

„არზაყან ზვამბაიას ქვრივია“.

მიუგო ნაბდიანმა. მერმე დუმილი დაარღვია ქალის ტირილმა.  
სტიროდა ძაბული. სთოვდა ტფილად და ხვავრიელად და თოვლს  
უნდოდა კიდემდის აევსო ქვეყანა“ (1, 606)... „Еще и еще  
целовала она морду Арабиа и громко рыдала.

— Кто эта женщина? Что с ней? С ума что ли, спяти-  
ла? — спрашивает один из мужчин.

— Это вдова Арзакана Звамбая, — отвечает второй»  
(стр. 561).

სწორედ ის წინადადებაა გამოტოვებული, რომელიც ავტორს  
ამ თავის სათაურად აქვს გამოტანილი!

მთარგმნელები არა მხოლოდ ცვლიან ტექსტს, არამედ იმის  
საპირისპიროსაც წერენ, რასაც ავტორი გვეუბნება. ამასთან ერთად,  
ზოგჯერ, საკუთარი „შემოქმედების“ ნიმუშსაც გვთავაზობენ:

«Мне кажется, ни в Южной Франции, ни в Италии и нигде  
в мире не найти уголка прекраснее Зугдиди» (стр. 168).

მსგავსი ტურისტული ჩანაწერი ორიგინალში არ არის.

„ისინდში“ ჩამატებულია 25 სტრიქონი (გვ. 194), ბოლო თავში  
— 24 სტრიქონი (654) და ა. შ.

თარაში თავის დღიურში წერს, რომ იგი უეჭველად უნდა დაბ-  
რუნდეს საქართველოში:

„ალბათ ეს გზაც დახურული იქნება. ერთი იმიტომ, რომ თავადი  
ვარ და წინაპრების ჩემის ცოდვებს უთუოდ მომკითხავენ. მონანიე-  
ბული აზნაურის ამბავი, ჩემი აზრით, ლიტერატორების ფანტაზიის  
ნაყოფია. ძერის ბახალამ რაც უნდა იხანოს, მტრედის მართვე მაინც  
ვერ გახდება. ეს ასეა და გარდა ამისა, მე სულ სხვა კულტურაზე  
ვარ გაზრდილი და ძალიან საეჭვოა ბოლშევიკებმა ჩემი გულწრფე-  
ლობა იწამონ. ასე რომ, მე მინდა თუნდაც ერთხელ ვნახო ჩვენი  
მთები და მერმე სულ ერთია, რაც მომივა“ (1, 310).

ამ აბზაცის სანაცვლოდ რუსული ტექსტი მკითხველს ასეთ მსჯე-  
ლობას სთავაზობს:

«Но одно должно быть теперь же осознано. В мире сей-  
час существуют лишь два пути: один путь большевиков, дру-



гой — Муссолини и Гитлера и всех этих лавочников. Тот путь, на котором стоишь ты и Жордания, привел европейскую демократию к гниению. Это скорее отсутствие дороги, чем дорога. Я думаю, что ваше дело обречено на гибель.

— А какой из двух путей избираешь ты сам? — спрашивает Вахтанг.

— Я никогда не был и не буду политическим деятелем. Я совершенно оторван от моего народа, не знаю, какими мыслями и чаяниями он живет. Трудно сказать что-нибудь, находясь здесь. Одно мне ясно: европейские проблемы так же далеки мне, как борьба гвельфов с гибеллинами» (стр. 332—333).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ტექსტს შეიცავს A თარგმანიც — 1936 წლის გამოცემა (!).

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას რამდენიმე ლაფსუსის გამო, რაც შეინიშნება „მთვარის მოტაცებაში“ და აქამდე ყურადღება არავინ მიაქცია. ორიგინალის ყველა გამოცემაში არეულია თარგმანის წერილთა თარიღები — ზოგან წერია 1931, ზოგან 1935, ზოგან კიდევ — 1932. თარგმანში ქრონოლოგიური თანმიმდევრობა დაცულია. რომანის სამოქმედო დრო ხომ იწყება 1931 წლის აპრილში და 1932 წლის აპრილში მთავრდება. თარგმანის ერთერთ ბარათში სწერია, თომას მანი ფაშისტებს გაუძევებიათ გერმანიიდან. ცხადია, ეს მოხდა 1931 წლის შემდეგ; შეცდომა თარგმანშიც გადასულა (524); თარგმანის შორეული წინაპარი ვარდან ჰემუხვარი, რომელმაც აიღო კარნუ ქალაქი და რომელსაც თამარ მეფემ უბოძა ადგილნი „ეგრის წყლის დასავლით ვიდრე კილასურამდი“, ქართლის კათალიკოსმა არსენიმ დასწყევლა. მწერალი კათალიკოსის ეტრატის თარიღად სდებს 1133 წელს. ტექსტში ლაიტმოტივურად იხსენიება ორი ეტრატი — ერთი თამარ მეფისა, მეორე — კათალიკოს არსენისა. პირველი აღწევების გამომხატველია, მეორე — მოკვეთისა. ცხადია, 1133 წელი კალმისმიერი ლაფსუსია. უნდა იყოს 1233 წელი, რადგან ვარდანის შეჩვენება თამარის შემდეგ მოხდა. ასევე უნდა შეიცვალოს „რვა საუკუნე“ „შვიდი საუკუნით“. ბუნებრივია, რუსულ ტექსტში აღნიშნულია 1133 წელი.

როგორც ითქვა, არაიშვიათად თარგმანი დედნის საპირისპირო აზრებსაც გვთავაზობს:

თარგმანს ძალიან მოეწონა ერთი აფხაზი ჭაბუკი. იგი იოსებ მშვე-

ნიერს შეადარა, კაროლინამ კი ხუმრობით „მურილიოს ბიჭი“ უწო-  
და. თარგმანში იგი რატომღაც „მეგრელად“ არის გამოცხადებული  
(251);

„უკვე 1500 მეტრს მივალწიეთ“, ამბობს თარაში; თარგმანში  
„1500“-ის ნაცვლად 2.500 წერია;

თარაში იამანისძეს სწერს, სვანეთშიც იგივე ხდება, რაც პა-  
რიზსა და ტფილისში. მთარგმნელი ასე ასწორებს და აზუსტებს  
ორიგინალს:

«В горах Сванетии происходит то же самое, что и в  
Москве, Киеве или Тбилиси».

ორიგინალი: „ლუნიბზე აყოლია ბარიატინსკის“ (გვ. 30). თარ-  
გმანი: «Сопровождал Григола Орбелиани на Гуниб» (стр. 100).  
გაუგებარია ბარიატინსკის ნაცვლად საიდან გაჩნდა გრიგოლ  
ორბელიანის სახელი ტექსტში, როცა იგი ახლომახლო არსად იხსე-  
ნიება. თანაც ხომ ცნობილია, რომ ლუნიბი გრ. ორბელიანმა კი არა  
სწორედ ა. ბარიატინსკიმ აიღო — 1859 წლის 25 აგვისტოს. გრიგოლ  
ორბელიანის გამოსათხოვარი ბანკეტი კი თემირხან-შურაში მოეწყო  
1858 წლის 23 თებერვალს, ე. ი. წლინახევრით ადრე შამილის ეპო-  
პეის დამთავრებამდე, როცა იგი გადმოყვანილ იქნა თბილისში მთა-  
ვარმართებლის საბჭოს თავმჯდომარედ.

ორიგინალი: ერამხუტმა „ოდესაში ხმელზე გადმოსულმა ქორი  
გამოუშვა“ (73). თარგმანი: «В Новороссийске, выйдя на бе-  
рег»... ვერაფრით ვერ ამიხსნია, მთარგმნელი რას ერჩოდა ოდესას,  
რატომ შეცვალა იგი ნოვოროსიისკით!

თარაშის მამა-ჯამსულ ემხვარი კორპუსის დამთავრების შემდეგ  
აფხაზეთში არ ჩამოუშვიათ და ვოლოგდის გუბერნიაში გაუმწესე-  
ბიათ. ასე წერია ორიგინალში (74). თარგმანი კი გვარწმუნებს, ნო-  
ვოჩერკასკში გაგზავნესო!

ჯამსული მენშევიკურ მთავრობას გაჰყვა უცხოეთში და თან  
წაიყვანა „ჯერ უწვერული თარაში“. თარგმანი საკითხს აზუსტებს  
და გვეუბნება, თარაში ამ დროს თხუთმეტი წლისა იყო (137)!

ორიგინალში გარკვევით არის აღნიშნული: „თარაში გერმანი-  
აში სწავლობდაო“ (გვ. 78). მთარგმნელს ავტორისა არა სჯერა და გვი-  
მტკიცებს, თარაში სორბონაში სწავლობდაო (137). შემდეგ: მიუნ-  
ხენში, თავის ოთახში, თარაშს საქართველოს რუკა ჰქონდა კედელ-  
ზე გაკრული. მთარგმნელი მიუნხენის ნაცვლად პარიზს სწერს (138).

ესეც პრინციპული შეცდომაა. თარაში, ისევე როგორც თავად მწერალი, გერმანულ კულტურაზეა აღზრდილი. შემთხვევით კი არაა რომანში გამოყვანილი გერმანელი ქალი კაროლინა. თარაში პლასტიკურ ხელოვნებას ეცნობოდა რომში, ფლორენციაში, დრეზდენში, ლუვრში, ბრიტიშ მუზეუმში. თარგმანში რატომღაც დრეზდენი „გამორჩენილია“ (146). საერთოდ მიუნხენის უნივერსიტეტი ყველგან სობობნათია შეცვლილი. შეცვლილია ტექსტში ჩართული გერმანული ფრაზებიც; ამოღებულია ბისმარკის ნაციონალისტური აფორიზმი; გამოტოვებულია ნიცშეს დახასიათება თარაშის მიერ.

თარაშს ანნა-მარიასაგან ბარათი მოუვიდა. ბებერი ფოსტალიონი ეკითხება, კავკასიიდანააო? ემხვარი ეუბნება: „არა, გერმანიიდან, მუსიო“. თარგმანში „გერმანიიდან“ გამოტოვებულია. ზოგჯერ სეველიანი კაროლინა ფანჯარასთან იჯდა, გერმანიასა და თავის ქალიშვილობას იგონებდა. თარგმანში „გერმანია“ გამორჩენიათ (337). ავტორი გვეუბნება, კაროლინა ბახს, ჰენდელსა და ლისტს უკრავდაო, მთარგმნელს არა სჯერა: «Она часами играет Шумана и Грига» (337). მახვში ამბობს, ჩემს ვაჟს გერმანიის ფრონტზე უკრესო თავი. თარგმანში „გერმანიის“ ნაცვლად „დასავლეთია“ ჩასმული. შემდეგ განაგრძობს, ტყეს არტილერიის ცეცხლით იღებდნენ გერმანელები და ავსტრიელებიო. თარგმანში „გერმანელები“ არ ჩანან (571);

კაროლინა თარაშისადმი ბარათში წერს: „შექსპირი, ვაგნერი და შოპენი თუ ავადობაა, ეს არც ისე ცუდი სენი ყოფილაო“. მთარგმნელს „ვაგნერი“ არ მოსწონებია და „ლეონარდო“ ჩაუსვამს. ის კი დაავიწყდა რომ ამას გერმანელი წერს; სვანურ კოშკებს მწერალი აღარებს კრუპის სამხედრო ქარხნის მილებს და ბაქოს ნავთის ჭაბურღალების ტყეს. მთარგმნელს შედარების პირველი ნახევარი მოუხსნია; თარაში პიანინოს უკრავს. მისი ფიქრი გერმანელების ქვეყნისაკენ მიჰქრის. თარგმანში „გერმანია“, „ნორვეგიით“ არის შეცვლილი!

გაუგებარია, რატომ გასდევს ასეთი ანტიგერმანული სულისკვეთება თარგმანს. ეს მაშინ, როცა კ. გამსახურდია სწორედ გერმანულ კულტურაზე აღიზარდა. მას ერთ დროს „გერმანოფილსაც“ უწოდებდნენ. სავარსამიძის პირით იგი თავის „მეორე სამშობლოდ“ აღიარა, თვითონ კი „ევროპის ინტელექტუალური დირიჟორი“ უწოდა; თარ-

გმნა გოეთეს, ჰაინეს, ნიცშეს, რილკეს, რემარკის ცალკეული თხზულებანი; გოეთეზე რომანიც დაწერა და ა. შ. გერმანელები არიან „დიანისოს დიმილისა“ და „ვაზის ყვავილობის“, ცალკეული ნოველებს პერსონაჟები...

მწერალი იგონებს იმ გვარის თავადებს, რომლებიც ძველ დროში მართავდნენ მარულას. ესენია — დადიანები, შარვაშიძეები, ემხვარები, ლიპარტიანები. თარგმანში მათ ორგან ემატება ჩიჩუა! შემდეგ ჩამოთვლილია გლეხთა გვარები, რომელთაგან „ტარბა“ შეცვლილია „ჭკადუათი“ (გვ. 167).

ძაბულის ბავშვობაში დიას ეძახდა არზაყანი, ძაბრას — თარაში. თარაში და არზაყანი ვითომ ძუძუთა ბაღლები იყვნენ, ძაბული კიდევ — დედა. ძაბულისთან განმარტოებულ არზაყანს უნდა კალთაში თავი ჩაუდოს მას, როგორც დას, დედას ან როგორც ცოლს. თარგმანში არ არის განმარტებული, რომ „დია“ მეგრულად „დედას“ ნიშნავს. ამის ცოდნა კი საჭიროა, რათა სრულიად გავიაზროთ არზაყანის „ოიდიპოსის კომპლექსი“.

კაროლინა თარაშს ეკითხება, ტფილისს საკუთარი გერბი თუ აქვსო. ემხვარი პასუხობს: „არა, არა აქვსო ტფილისს ქალაქს გერბი, ხოხობი და ქორი დაამშვენებდაო ტფილისის გერბს“. თარგმანში კი საპირისპიროს ამბობს: «Есть, конечно, олень» (стр. 404).

ანული უამბობს ქალაქის ჭორებს, მოიხსენებს მანანა ანჩაბაძის ამბავს, რომელიც საშვილოსნოსგარე ორსულობას გადაჰყვა ბაქოში, თამარი დაინტერესდა თუ როგორი უნდა იყოს საშვილოსნოსგარე ორსულობა. ანულიმ აუხსნა, თანაც დაუმატა თუ ძალიან გაინტერესებს წამოიღო კლინიკაში, პროფესორი სწორედ ზეგ გვაჩვენებს თუ როგორ უნდა გაკეთდეს ასეთ დროს ოპერაციაო. თარგმანში ეს ნიუანსი გამჭრალია.

ორი თავი — „უძილო ღამე“ და „დოსტაქარის შეგონებანი“ გაერთიანებულია და ჰქვია „Бессонная ночь“, თანაც ისე, რომ გადაადგილებულია მათ შორის ჩასმული თავი „სტიროდნენ ბნელში სისხლის წვეთები“ (ცხადია, შეცვლილი სათაურით). ამას კიდევ არა უშავს. საქმე ისაა, რომ დედნის ოთხი გვერდი, რომელიც პროფესორის ლექციას ეძღვნება, აქ დაყვანილია 18 სტრიქონამდე! მთარგმნელი ყურადღებას არ აქცევს ლოდერელის საბედისწერო სიტყვებს, რომლებიც ამჟღავნებენ, ერთის მხრივ, თარაშის ლიბი-

დოქორ და ფსიქიკურ ბუნებას, მეორე მხრივ, წინასწარ მოგვიტხოვ-  
ბენ შარვაშიძის ქალის ტრაგიკულ ბედზე. ასე ირღვევა რომანის  
ფაქიზი და მათემატიკურად ზუსტი სტრუქტურა.

თარაში ეუბნება თამარს: „მისოუსტ ხომ არასოდეს დაგიძახ-  
ნია ჩემთვის ბავშვობის შემდეგ“-ო (1, 330). თარგმანში ვკითხუ-  
ლობთ: «Ведь ты никогда, даже в детстве, не называла меня  
Мисоустом» (стр. 348).

თამარმა მოუბოდიშა არზაყანსა და ჩაღმაზს: „კაროლინამ არც  
ქართული და არც აფხაზური კარგად არ იცისო“ (1, 220). თარგმანი  
უფრო გარკვეულ პასუხს იძლევა: «Каралина не знает ни груз-  
инского, ни абхазского» (стр. 253). თანაც არ ჩანს, ვის აძლევს  
განმარტებას თამარი.

არზაყანი ეუბნება ძაბულის: „აღე, ჩაიცვი, მე მაინც თემ-  
საბჭოში მივდივარ, ხელი მოვაწეროთ დღესვე“ (1, 711). თარგმანი:  
«Вот что, — обратился он к Дзабули, — одевайся-ка! Мне  
нужно в сельсовет, по дороге зайдем в загс и зарегистриру-  
емся (стр. 646). მთარგმნელს გამორჩა, რომ სოფლსაბჭო ითავსებს  
მმაჩის ბიუროს ფუნქციებს და არ იყო საჭირო დედნის „დაზუსტე-  
ბა“ და „გაუმჯობესება“!

რუსული ტექსტის 320-ე გვერდზე მოხსენებული «Бетანი» და  
«Анети», უნდა იყოს «Бетаниа» და «Атени». თითქოს უბრალო  
კორექტურული შეცდომა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სამივე  
ბოლო გამოცემაში ასეა დაბეჭდილი. ეს რომ ერთეული შემთხვევა  
იყოს, ეგებ ყურადღება არც მიმექცია. მაგრამ მსგავსი კორექტურუ-  
ლი „უზუსტობანი“ მოგზაურობენ ერთი გამოცემიდან მეორე გამო-  
ცემაში და არავინ ჩანს მათი გამსწორებელი. მაგ., „ხეკორძულას  
წყალი მისვამს“ ასეა თარგმნილი — «Пил я воду хекораули» (стр.  
425). რა თქმა უნდა, სამივე გამოცემაში.

რომანის ბოლო თავები ყველაზე მეტად არის შეკვეცილი. ტექ-  
სტი ისეა დაკუწული და დამახინჯებული, რომ მაგალითების მოტანას  
აზრი არა აქვს. ამას მკითხველი თვალის უბრალო გადავლებითაც  
შეატყობს. საერთოდ მთარგმნელებს ცდა არ დაუკლიათ, რათა რო-  
მანში შეენელებინათ თანამედროვეობის სუნთქვა, დაემცირებინათ  
მისი სოციალური ღირსება და იგი სასიყვარულო, „ბულვარულ“  
რომანად წარმოედგინათ.

ჩამოდის ცეკას კომისია, რომელმაც წერტილი დაუსვა ბოლო-



ლებისა და გადიდკაცებული პარტიული მუშაკების თავგასულობას. თარგმანში „ცეკას კომისია“ არ ჩანს. ორიგინალის მიხედვით არზაყანი დააწინაურეს და ცენტრში დანიშნეს (1,718). თარგმანი გვარწმუნებს, რაიკომმა გადაწყვიტა არზაყანის თბილისში გაგზავნა სასწავლებლად (643). ორიგინალის მიხედვით გვანჯ აფაქიძე შეთქმულების ფართო ქსელს ხლართავს. თარგმანში ეს არა ჩანს.

ყველგან შენელებულია და თითქმის იგნორირებული ძველი თაობის მტრული მიმართება ბოლშევიკებთან. მთლიანად ამოგდებულია ბაბუა ტარიელის სიტყვები: „ეს ქვეყანა საგიჟეთად გადააქციესო ბოლშევიკებმა“, „ყველა გახრწნაო სოციალისტების ქადაგებამ“, „ურიებისა და ბოლშევიკების მოჭორილი ამბებიო“. ქორა მახვი ამბობს: „ამიტომ არ მიყვარს მე ბოლშევიკები“; თარგმანი: «Вот потому-то и не люблю я людей, строящих дороги».

მწერლის მიერ წარმოსახული ეპოქის დრამატიზმი, რაც რომანს დიდ სოციალურ ჟღერადობასაც ანიჭებს, თარგმანში დაკარგულია.

მთარგმნელები ყოველნაირად ცდილობენ დედნისეული სიმწვავე, დრამატიზმი როგორმე შეანელონ, უკიდურესი აზრები ზომიერით შეცვალონ, მკვეთრი გამოთქმები — ნეიტრალური, უფერული ფრაზებით. თუ რატომ სჩადიან ამას — ჩემთვის გაუგებარია!

იამანიძე ეუბნება თარაშს, მე შენს ადგილას გვარს გამოვიცვლიდიო. თარგმანის მიხედვით ამას ემხვარი სრულად გულგრილად უარყოფს: «Фамилия — не одежда, чтобы то и дело менять ее» (стр. 423).

მაგრამ ჩავხედოთ დედანს, როგორი აღელვება ჩანს თარაშის სიტყვებში;

„გვარი გამოვიცვალო? მე ხომ მედუქნე საქულა არა ვარ? კარგი, სხვა დრო რომ ყოფილიყო და ოქროები დაეტოვებინა მამაჩემს, მაშინ ხომ არ ვიტყოდი ჩემ გვარზე უარს. გვარი ტანისამოსი როდია, წარამარა რომ იცვალოს კაცმა“ (1, 436).

თარაში და ვახტანგი იდუმალ ჩამოდიან საქართველოში. ვნახოთ როგორი გულისშემძვრელია ემხვარის სიყვარული მშობელი მიწისადმი: „უკვე დიდი ხანია საქართველოში ვარ. ჩვენი ავანტიურა გაცილებით უბრალოდ დასრულდა, ვიდრე მოველოდით... სამი დღე და ღამე ვიმალებოდით დაფნისა და მაგნოლიის ტყეებში, მუცელზე ჩოხვით ვუახლოვდებოდით საქართველოს საზღვარს, ვკოცნიდით

იღუმალ საქართველოს მიწას. ილორის წმ. გიორგის მონებსავით მოვ-  
წახავდით და ვკოცნიდით... პირველ ზონაში გადმოსვლის უმაღლვე  
გაგვცა მეგზურმა“ (1, 314).

თარგმანი ემხვარის უნაპირო სიყვარულის წილ გვამცნობს  
მშრალ ინფორმაციას. სწორედ ის სიტყვებია ამოღებული, რომლე-  
ბიც დრამატულად ჟღერენ: «Уже давно я в Грузии».

Наша авантюра закончилась гораздо проще, чем мы  
предполагали.

Ползком крались мы к границе Грузии.

Нкое суток скрывались в лавровых и магнолиевых ро-  
щах Аджарии.

Как только перешли первую зону, проводник нас вы-  
дал» (стр. 335).

როგორც ზემოთ ითქვა, ერთერთი თავი, კერძოდ „ციხისთავის  
სადღეგრძელო“ თარგმნილია როგორც „Золотое руно“ შესაბამის  
ქართულ ტექსტში „ოქროს საწმისი“ არ იხსენიება. ვახტანგი და თარა-  
ში მიდიან სასადილოში, რომლის აბრას აწერია „ქოსები“ (ეს სახელი  
საკმაოდ ცნობილია ჩვენს მწერლობაში). მთარგმნელს „ქოსები“ არ  
მოსწონებია და მისთვის „ოქროს საწმისი“ დაურქმევია, რაც მო-  
რიგ გაუგებრობას იწვევს. ოქროს საწმისი ისტორიული და ნაციო-  
ნალური ასოციაციის აღმძღვრელია და თითქოს შეეფერება თარა-  
შის განწყობილებას. მაგრამ არტაში, საქულა, მეზურნეები, კედ-  
ლებზე გამოხატული კინტოები, ავლაბრის ტურფები, ვერძები და  
მამლები პაროდულ ჟღერადობას აძლევენ მითოსურ ოქროს საწ-  
მისს, რაც ეწინააღმდეგება ავტორის ჩანაფიქრს და ტექსტის სტრუქ-  
ტურას. ამიტომ არ შეიძლება „ქოსების“ შეცვლა, ყოველ შემთხ-  
ვევაში — „ოქროს საწმისით“ მაინც. ხოლო მისი სათაურად გამოტა-  
ნა მეტისმეტად უადგილო ირონიაა. მით უმეტეს, რომ სავსებით  
ნათელია თუ რატომ დაარქვა მწერალმა ამ თავს „ციხისთავის სად-  
ღეგრძელო“: ვახტანგმა სადღეგრძელო აიღო იმ ციხისთავისა, რო-  
მელმაც ჰერაკლე ბერძენთა მეფე აგინა და რომელზეც „ქართლის  
ცხოვრებისეული“ ციტატა თარაშმა გაიხსენა, როცა შურისციხეს  
შეხედა.

„ამ ვაცბოტების ჭიდილში გაისრისა ისტორიული საქართველო“,  
ამბობს თარაში (1, 432). როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ფრაზაც  
უთარგმნელი დარჩა. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მთარგმნელები





განსაკუთრებით გვერდს უვლიან თარაშის ისეთ ტირადებს, რომლებშიც მისი ნაციონალური ბუნება და ტემპერამენტი მჟღავნდება. არსად ჩანს, რომ იგი „ვარდანიძე-ემხვარების შთამომავალია“.

თარაშს ეჯავრება ზურნა, ირანის უდაბნოების სევდა მოისმისო მის ჰანგებში. იამანიძე ეთანხმება, ტანში მაჟრჟოლებს, როცა ზურნის ხმა მესმისო. ეს ყოველივე თარგმნილია, მაგრამ გამოტოვებულია ამ პატარა დიალოგის დამამთავრებელი ფრაზა, რომელიც თარაშმა წარმოსთქვა: „ქართული ჩონგური მაინც ყველაფერს მირჩევნია“ (1, 439). ზურნისა და ჩონგურის დაპირისპირებაშიც ვლინდება თარაშის ნაციონალური ბუნება.

მთარგმნელები განსაკუთრებით ემტერებიან, აგრეთვე, ეროტიულ პასაჟებსაც, ცდილობენ კ. გამსახურდიას გმირთა შმაგი ტემპერამენტი, გახელებული ვნება როგორმე მშვიდ კალაპოტში მოაქციონ: თარაში და თამარი კუბეში მარტო დარჩნენ. ემხვარი ჰკოცნის ქალის ლოყებსა და ტუჩებს. ამ დროს მატარებელი გვირაბში შედის. დედნის შემდეგი 24 სტრიქონისაგან თარგმანში 9 „არაერთი“ ფრაზაღა დარჩა; არზაყანი სვანეთიდან დაბრუნდა, ხურჯინით მამის ძვლები ჩამოიტანა და იმავე ღამეს ძაბულის ნამუსი ახადა. აქაც მეორდება ტრაგიკული არქეტიპი — სიყვარული-სიკვდილი, ოღონდ ახლა სიკვდილიდან — მამის სისხლისა და ძვლების გახსენებიდან — იბადება ეროსი.

თარგმანში ეს არცა ჩანს და არც იგულისხმება, ყოველგვარი ეროტიკა მოხსნილია. არზაყანის მძვინვარე, ეჭვიანი და სასტიკი ბუნება აქ ძალიან „მოთვინიერებულია“ და „დაშოშმინებული“. ამისათვის კი საჭირო გახდა დედნიდან 35 სტრიქონის ამოგდება! ამგვარმა მანიპულაციამ ერთი ლაიტმოტივური ხაზიც შეიწირა: 14 აგვისტოს, ვიდრე ხიფათი შეემთხვეოდა, არზაყანი წყლის პირას იჯდა, ლიფსიტების მოძრაობას აკვირდებოდა. უეცრად გულის წამლები წივილი მოესმა. დედალი ბელურა გაუსხლტა მამალს და ქვას დაენარცხა. მამალი ჰაერში მოტრიალდა და დედალს დააცხრა. არზაყანმა გაიღიმა და ბუნების წესი გაჰკილა, რომელმაც ასეთი უმწეო გააჩინა დედალი. ეს დეტალი — 27 სტრიქონი — ამოღებულია; მას შემდეგ ცხრა თვემ განვლო. არზაყანმა ძალით დაიმორჩილა ძაბული და როგორც მაშინ, 14 აგვისტოს — მდინარის პირას დაჯდა და ის მოაგონდა, მამალმა დედალი შეუბრალებლად რომ დაკორტნა და



მას ეს საქციელი დაუწუნა (ეს დეტალი, რომელიც 7 სტრიქონად არის გაშლილი, თარგმანში ამოღებულია). რომანის ამ თავს „დედალი ბელურა“ ჰქვია (რაც მთარგმნელებმა სავსებით ამოაგდეს). ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ძაბული გლეხის ქალია. პატიოსანი, კეთილი და უმწეო. დედალი ბელურა ასოცირებულია ძაბულისთან, ძაბულის ტოტემია, მისი გარეშე სული, რომელსაც გადახდება იგივე, რაც შემდეგ ამ ფრინველით სახელდებულ ადამიანს. მსგავსი თვითნებური შეკვეცითა და გადაკეთებით ხშირად ირღვევა დედნის აზრობრივი პლანი, მაგრამ ყოველი შეცდომის მითითება, ცხადია, ამჯერად არ ძალმიძს.

რომანის მითოსური სტრუქტურის ასევე განუყრელი ნაწილია სცენა საერთაშორისო კუბეში. ამიტომ დაუშვებელია მისი შეკვეცა და შელამაზება. ამ პასაჟის საწყისია საპირისპირო იდეა, იდეა სიყვარულის სიკვდილად ქცევისა. მატარებლის გვირაბში შესვლა ჰადესში შესვლაა. ეს ერთის მხრივ. მაგრამ მეორეს მხრივ — სექსუალური მისტერიაც ჰადესში შეჭრის ილუზიაა და წიაღთან დაბრუნება, არა მხოლოდ ვნებათა დაცხრომა. ისახება ახალი სიცოცხლე ქალის სხეულში, როგორც დედამიწის წიაღში, და როგორც ახალი ღვთაება ჰადესს, ისე სტოვებს დედის საშოს. სამყაროში ყოველივე მოგზაურობს, იცვლება, ილუპება და კვლავ აღდგება: От лона матери — через лono жены — к лону матери-земли. Из чрева — через чрево — к чреву» (მ. ბახტინი). პირველყოფილ ადამიანს დაბადებად წარმოედგინა გარდაცვალება. დაკრძალვისას დედამიწას ისე ეპყრობოდა, როგორც დედის წიაღს. მიცვალებულს ბავშვივით მოკუნტულად მარხავდნენ. მარხავდნენ ნავშიც, რომელსაც წყალში შეაცურებდნენ, რადგან დედის საშოში ჩვილი დაფარულია სითხით.

კ. გამსახურდიას გმირები მუდამ ლამობენ გაამართლონ რუსთველური პრინციპი: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან“. მაგრამ მთარგმნელები ამის ნებას არ აძლევენ და ისინიც ზედმეტად თავდაპირილად გამოიყურებიან თარგმანში.

ასე თანდათან, ხან ნამცეც-ნამცეც, ხანაც უხეშად, ხელის ერთი დაკვრით ირღვევა და იშლება „მთვარის მოტაცების“ სტრუქტურა, კონცეფცია, სტილი, იცვლება საგნები, მათდამი მიმართება და ხელთ გვრჩება ამ რომანის ახალი ვარიანტი, რუსულენოვანი მკითხვე-

ლისათვის გამიზნული, რომელიც მოკლებულია გამსახურდიასეულ ორიგინალობას, სიმძაფრეს, მშვენიერებას.

საერთოდ სიფრთხილე გვმართებს, როცა დიდ მწერლებზე გვიხდება მსჯელობა. ისინი შემთხვევით არაფერს წერენ, არც ის დეტალებია ზედმეტი, ჩვენ რომ მიუღებელი გვგონია, რადგან მათი არსებობა გამართლებულია მთლიანი კონცეფციით. დიდი ქმნილება იმიტომაც არის დიდი, რომ მასში ყველაფერი ზუსტად არის გათვლილი, ცნობიერად თუ არაცნობიერად. „მთვარის მოტაცება“ უაღრესად პოეტურია, მაგრამ უაღრესად მათემატიკური სტრუქტურისაც გახლავთ. ალბათ უკვე მკითხველი დაგვეთანხმება, რომ „მთვარის მოტაცების“ B თარგმანი შეიცავს მრავალ ხარვეზს და სრულიად არადაამაკმაყოფილებელია.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ კ. გამსახურდიას დამოკიდებულება თავისი თარგმანების მიმართ:

„კონსტანტინე ფედინმა მითხრა ერთხელ: მე თქვენი რომანების შეფარვულ აზრებს სტრიქონებს შორის ვკითხულობ, მაგრამ ეს თქვენი მთარგმნელები პროვინციული რუსულით თარგმნიანო. უდავოდ საგულისხმოა რუსი კოლეგის ეს სიტყვები“ (VII, 527).

„ამხანაგ ზლატკინს ვეუბნები, ჩვენს ხელმძღვანელებს ვეუბნები: ძალიან სასახელოა, რომ ჩვენს პოეტებს პირველხარისხოვანი რუსი პოეტები სთარგმნიან. მაგრამ ჩვენ რას გვერჩით?! ჩვენ ხომ სრულიად უმწეო მდგომარეობაში ვართ“ (VII, 564); „სრული განუკითხველობა არსებობს პროზის თარგმანის სფეროში“ (VII, 467) და ა. შ.

1971 წლის 10 თებერვალს გრ. აბაშიძეს გამოუგზავნეს წერილი «Художественная литература»-ს განყოფილების გამგებლ. ლებედევამ და უფროსმა რედაქტორმა ე. ჯალიაშვილმა.

«Уважаемый Григол Григорьевич!

В нашу редакцию поступила заявка на издание в новом переводе романа К. Гамсахурдиа «Похищение луны». Произведение К. Гамсахурдиа не издавались нами с 1963 года, и редакция предполагает включить в план 1973 года роман «Похищение луны». Вопрос о новом переводе такого большого романа, естественно, не может быть решен без серьезной оценки старого перевода, для чего необходимо провести сверку перевода с оригиналом. В Москве провести эту сложную работу некому, поэтому мы обращаемся к вам с пресь-

бой рекомендовать специалиста для рецензирования романа «Похищение луны».

როგორც ამ წერილის მინაწერი გვაუწყებს, იგი სამდივნოზე განხილულ იქნა 1971 წლის 19 თებერველს, მაგრამ გამომცემლობისათვის პასუხი არ გაუციათ.

ვფიქრობ, აშკარაა, რომ კ. გამსახურდია არ იყო კმაყოფილი თარგმანებით. ტექსტოლოგების მიერ შემოტანილი ე. წ. ავტორის „საბოლოო ნება“ ამჯერად მიუღებელია.

60-იან წლები ხანგრძლივი ტაბუს შემდეგ ლიტერატურის ცაზე ისევ გამოჩნდა „მთვარის მოტაცება“. A თარგმანის შესახებ ვლ. მაჭავარიანი წერდა, რომ იგი არა დგას ორიგინალის დონეზე, რომ მოძველებულია, რომ დარღვეულია რომანის შინაგანი რიტმი და აუცილებელია ტექსტის დიდი ლიტერატურულ-სტილისტური სწორება (М. Златкин, когда книга сближает народы, Тб., 1979, стр. 89). მაგრამ მოხდა ისე, რომ თარგმანი კი არ გაუმჯობესდა, კიდევ უფრო დაზიანდა და საგრძნობლად დასცილდა დედანს. მართალია, არსებითად შეიქმნა ახალი, B თარგმანი, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველზე უფრო უარესი.

ისმის კითხვა — რა მიმართებაა A და B თარგმანებს შორის? მე ისინი ერთმანეთს შევუდარე და გაირკვა, რომ B გამომდინარეობს A-საგან. მთელი რიგი პასაჟები სიტყვა-სიტყვით, უცვლელად მეორდება, ანდა ამოგდებულია ცალკეული ფრაზები და აბზაცები. ხოლო თითქმის ყოველი განსხვავება ამავე დროს დედნისაგან გადახვევაა. A ტექსტი არ იყო სრულყოფილი, მაგრამ ზუსტად მისდევდა ორიგინალს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (სტალინის სადღეგრძელო რატომღაც შეცვლილია განათლების სადღეგრძელოთი, ამოღებულია სტალინის შედარება ნაპოლეონთან და სხვ.). თ. გველესიანს ხელთ ჰქონდა არა ორიგინალი, არამედ A ტექსტი, რომელიც შეასწორა, შეკვეცა და გადააკეთა. სწორედ ამიტომაც, რომ B თარგმანი არ მიჰყვება 1958 წლის ქართულ გამოცემას და არცერთი დეტალით თუ ნიუანსით A-ზე ზუსტად არ გადმოსცემს ორიგინალს. სწავს, A თარგმანი ჩათვლილ იქნა ბჭკარედად. მაგრამ რადგან ობიექტურად ის მაინც ბჭკარედზე მეტი აღმოჩნდა, თანამთარგმნელად დარჩა ბ. ემხვარი. უფრო ზუსტად — III კარის მთარგმნელად იქნა მოხსენიებული, თუმცა სწორედ III კარი არის ყველაზე ენერგი-

ულად „დამუშავებული“ და გადაკეთებული, დაცლებული დედანსა და A თარგმანს.

დიდად სასიამოვნოა, რომ რუსულ ენაზე გამოიცა ქართველი მწერლის ერთხელ ექვსტომეული და მეორედ რვატომეული. ეს დიდი საქმე, ისევე როგორც არაერთი კეთილი ჩანაფიქრი, განახორციელა. მ. ზლატკინმა და ჩვენ გვმართებს ხაზგასმით აღვნიშნოთ მისი დამსახურება. ექვსტომეულის გამოცემის დამთავრებას თავად ავტორიც მოესწრო. არ ვიცი, ეგებ თავის დროზე ჰქონდა გამართლება იმ პრინციპს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მთარგმნელები და რედკოლეგია. მაგრამ დღეს, როცა ბევრი რამ ისტორიის კუთვნილებად, წარსულად იქცა, ვნებათა ღელვა დაცხრა, როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ კონსტანტინე გამსახურდია არის არა მხოლოდ თანამედროვე მწერალი (რომლის წიგნები უნდა ითარგმნოს სხვა ენებზე), არამედ უდიდესი ქართველი პროზაიკოსი, ჩვენი ვალია მის შემოქმედებას მეტი პატივისცემითა და ტაქტით მოვეპყრათ. იგი ჩვენი ნაციონალური კლასიკის ერთი საუკეთესო ნაწილია და პირადულ გემოვნებას, მოწონება-არ მოწონებას სრულიადაც არ ემორჩილება.

# ფურცლები ანქივიდან

□ □ □

## ქართული ლიტერატურის იდეურ-მორალური საზღოისი და გაგონსტრალი

□  
კონსტანტინე კაპანელი

□

ცნობილი ქართველი ლიტერატორი და ფილოსოფოსი კონსტანტინე კაპანელი ფოთის გიმნაზიის დამთავრებისთანავე გაემგზავრა საზღვარგარეთ. სწავლობდა ნანსისა და გრენობლის უნივერსიტეტებში, ლექციებს ისმენდა სორბონაში.

ესთეტიკითა და ხელოვნებით გატაცებულს აზრგადასაწყობილეს ლექციები და ხანგრძლივად მუშაობს ლუერის მუხეუშში ხელოვნების ძეგლთა შესწავლაზე. სამშობლოში დაბრუნებისთანავე იწყებს აქტიურ პედაგოგიურ და შემოქმედებით მოღვაწეობას. იყო სკოლის მასწავლებელი და დირექტორი. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა საქართველოს თითქმის ყველა პედაგოგიურ სასწავლებელში, უნივერსიტეტში, კონსერვატორიასა და საქხატვრო აკადემიაში.

ოცდაათიან წლებში მიწვეული იყო მოსკოვის საქხატვრო აკადემიაში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე ლექციის წასაკითხად.

1927 წელს პარიზში გამოვიდა მორის ვილენსის წიკნი — „პარიზი, მოსკოვი, თბილისი“, რომელიც დადებითად შეაფასა გაზეთმა

„კომუნისტმა“, ხოლო კაპანელი მადლობით მოასხენიეს წიგნისა და რეცენზიის ავტორებმა.

ორმოციან წლებში გამოქვეყნებული მისი ნაშრომი „მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები“, როგორც აკადემიკოსები შალვა ნუცუბიძე და შალვა ამირანაშვილი აღნიშნავენ, ათვლებოდა ერთადერთ დამხმრე სახელმძღვანელოდ ლიტერატურის ოეორიის დარგში უმაღლესი სასწავლებლებისათვის. პერიოდულ პრესაში თანამშრომლობა კი გაცილებით ადრე, ჩვენი საუკუნის ათიან წლებში დაიწყო. 1912 წელს გაზ. „ზაკავკასკაია რეჩის“ რამდენავე ნომერში დაიბეჭდა ვრცელი ნაშრომი, „ტანჯვისა და ზეკატურის იდეა ქართულ ლიტერატურაში“, რომელიც მიეძღვნა ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას.

1917 წელს გამოვიდა მისი წიგნი — „ტანჯვა და შემოქმედება“; 1923 წელს — „სული და იდეა“, 1925 წელს — „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები — ორგანოტროპიზმი“, 1926 წელს — „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“, 1928 წელს — „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“. 40-იან წლებში დაიბეჭდა „მოცარტი, ბეთჰოვენი, ვაგნერი“ და „მეტყველებისა და ლიტერატურის პრობლემები“.

ამავე პერიოდში შეიქმნა ნაშრომები: „სახეები და იდეები უცხოურ ლიტერატურაში“ და „ესთეტიკური გრძნობის გენეზისი“. კაპანელმა სიყმაწვილეში დაბეჭდა ლექსების პატარა კრებული.

იგი აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში. იყო გაერთიანება „არიფიონის“ წევრი, სადაც გერონტი ქიქოძესთან ერთად ისწრაფვოდა ლიდერობისაკენ:

„არის რაღაც იდუმალი ბრძოლა ქიქოძესა და კაპანელს შორის. კაპანელის დასაყრდენია ორგანოტროპიზმი. ამ იარაღით სურს მას დაიპყროს „არიფიონის“ ლიდერის პოსტი, უნდა არიფიონში გაამეფოს ორგანოტროპიზმის იდეა და შესაძლებელია წინააღმდეგ ქიქოძის სკეპსიზმისა, „არიფიონი“ დაადგეს უმთავრესად სწორედ ამ გზას და მიუმატოს ქიქოძის სკეპსიზმი, როგორც შემადგენელი ნაწილი ორგანოტროპიზმისა“ — წერს გალაკტიონ ტაბიძე.

კაპანელის ლიტერატურული მოღვაწეობა არ არსებობს მისივე სოციოლოგიურ და ესთეტიკურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა გარეშე, რომელთა ურთიერთობაც მთლიანობაში წარმოაჩენს მოაზროვნისა და შემოქმედის სახეს.

1979 წლის ნოემბერში „ლიტერატურულმა საქართველომ“ დაბეჭდა კაპანელის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი უცნობი ნაშრომი — „თანამედროვე ქართული ლირიკის მაგისტრალი“. ამჟამად მკითხველს საშუალება აქვს გაეცნოს მის კიდევ ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომს.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრები მცხეთა-თრიალეთის მიდამოებსა და საქართველოს სხვა კუთხეებში მოწმობენ ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ორიგინალური ფორმების არსებობას შორეულ წარსულში. წარწერები, ფრესკები, საოჯახო ნივთები, ფერწერის ოსტატური ხატოვანება, სამკაულების სილამაზე, ნაგებობათა ათასწლოვანი გამძლეობა, კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია და სხვა ლაღადებენ ქართული კულტურის სიდიადეს.

ქართული ხელოვნების, კერძოდ მუსიკის პოლიფონიური სიმდიდრე ისევე ორიგინალურია, როგორც ჩუქურთმები, ხოლო საეკლესიო ფერწერა ოსტატობასთან ერთად გვაოცებს ფერების დამზადების გასაოცარი კულტურითაც.

ის, რაც საქართველოს მუზეუმის სეიფებში აწყვია, ყველასთვის ნათელს ხდის ჩვენი წინაპრების მაღალ მხატვრულ გემოვნებას.

ეკლესიებში შემონახული ხატები მოწმობენ ფერების მდიდარი და მეცნიერული ტექნოლოგიის არსებობას საქართველოში. სიონისა და სვეტიცხოველის ხატებში განსახიერებულია სული ქართული ორიგინალური კულტურისა, რომელიც თავისუფალია ძიებაში და ღრმად იხედება თავის თავში, თავის შინაგან სამყაროში. მცხეთა-თრიალეთის ძეგლები გამოსახავენ ადამიანურად დაძლეულსა და ათვისებულ სამყაროს. ეს კულტურა და ხელოვნება ადამიანის სულის ემანსიპაციისა და ჰუმანიზირების მაჩვენებელია. ყოველ ძეგლში ადამიანის მებრძოლი სულის ესთეტიკურ სრულყოფამდე მისვლა, სილამაზის კულტის პატივისცემა და განცდის რელიგიურამდე ასვლაა.

აქედან ამოდის ქართულ კულტურასა და ხელოვნებაში ადამიანურად ამაღლებული და აწეული მომენტის ხილვა, გრძნობა, განცდა. აქედან იწყება ქართული ხელოვნების და ლიტერატურის ვითარებაში მორალური და ესთეტიკური საწყისების შერწყმა. საქართველოს ისტორია სხვადასხვა სოციალურ ფორმაციაში სხვადასხვა ფორმაში იძლევა ქართული კულტურის ჰუმანიურ ტენდენციას. ამირანის მითური სახე ტიტანური სურვილების განსახიერებაა, როგორც სიმბოლო, ადამიანის გარშემო მოზღვავებულ უბედურებათა დარღვევისა და განადგურებისა. ამირანი და პრომეთე



ბრძოლა ბუნების ძალების დამორჩილებისა, გარდაქმნისა და ადამიანის ემანსიპაციისათვის, რაც თავისი ფესვებით გადადის ერის პრეისტორიაში და უკავშირდება ცეცხლის გაჩენასა და მასთან დაკავშირებულ დიდ ძვრებს კაცობრიობის ისტორიაში.

მდიდარი სოციალური გარემოცვა ითვისებდა ისტორიულ გადმონაშთებს და განახლებული განცდებითა და წარმოსახვებით მიემართებოდა ახალ-ახალი შემოქმედებითი მიზნებისაკენ.

ბეჭა ოპიზარის გენიას, მცხეთის პიტიახშების კულტურა საუკუნეებით ამზადებდა ისე, როგორც დავით აღმაშენებელი უმზადებდა ნინდაგს თამარ მეფის პოლიტიკასა და საქმეებს.

შოთა რუსთაველი და იოანე პეტრიწი იდგნენ ისტორიულად მტკიცე ნიადაგზე. ქართული ლიტერატურა დასაწყისიდანვე მდიდარ სოციალურ გარემოცვაში ჩაისახა. ქართული მითოლოგიის ცენტრში დგას ადამიანი, მისი ფიზიკური და სულიერი ბუნება, მისი მე. უძველეს ქართულ ძეგლებში, მითებსა და ლეგენდებში, ჰაგიოგრაფიებში ადამიანის რაინდული სული და სისპეტაკეა, ვაჟკაცობა და სილამაზე იდეალადაა დასახული ქართულ ხალხურ თქმულებებში, დაძლეულია შიშის გრძნობა.

ამიტომ სავსებით გასაგებია, ქართული ლიტერატურის დასაწყისი ფსიქოლოგიური რომანით რომ იხსნება. იაკობ ცურტაველის ისტორიული მოთხრობა ნამდვილი ფსიქოლოგიური რომანია თავისი მდიდარი სიტუაციებით, სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური მომენტების დახასიათებით, ოჯახისა და სიყვარულის რთული ვითარებით, მთავარი გმირის — შუშანიკის სულიერი დრამით. ავტორი თავისებური მსოფლმხედველობის მწერალია. მან მშვენივრად იცის, რომ პირადი ცხოვრება, ოჯახური ბედნიერება დამოკიდებულია საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ვითარებისაგან. რომანში დიდი რეალიზმითაა მოთხრობილი მძიმე საზოგადოებრივ-რელიგიური, პოლიტიკური, ოჯახური მომენტები, ცოლ-ქმრის ყოველდღიური ურთიერთობა, დახატულია სიტლანქისა და სიყვარულის კონტრასტული სურათები. როგორც დიდ მხატვარს, ავტორს არ გამოეპარა საზოგადოებრივი განვითარების წამყვან თვისებათა აღნიშვნა. მან დაინახა რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთგავლენა შორეულ წარსულში. კაცთმოყვარეობა, რომელსაც ავტორი ქადა-

გებს, უფლებას ანიჭებს მას ადგილი დაიკავოს დიდ ჰუმანისტებს შორის.

პიროვნების სულიერი დრამის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლების დრმა ცოდნა ცხადად ეტყობა ჩვენს ავტორს, რომელიც ქრონოლოგიურად პირველი მწერალია არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბითაც. ცურტაველის რომანი დიდი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც შეიცავს სახეებისა და იდეების ესთეტიკურ სრულყოფას, დაკავშირებულს კონკრეტულ ისტორიულ-საზოგადოებრივ, პოლიტიკურ-რელიგიურ სიტუაციებთან.

უშუალოდ ტრაგიკული პიროვნებაა. მისი პირადი ტრაგედია შედგება ქრისტიანული და ზოროასტრული რელიგიების გართულებული ურთიერთობისა, პოლიტიკური და ოჯახური ურთიერთობისა. ქართულ ლიტერატურას შეუძლია იამაყოს ამ რომანის მდიდარი ფაბულით, სიტუაციებისა და ტიპების განსახიერებით. ავტორი არ მალავს, რომ ის ქრისტიანული ეკლესიის გულშემმატკივარია, რომ მას წარმართობა ეზიზღება, მაგრამ იგი მაინც, რამდენადაც შესაძლებელია, ცდილობს იყოს ობიექტური შემოქმედებაში.

მართალია, ცურტაველი მეხუთე საუკუნის მწერალია, მაგრამ ჩვენს დროშიაც ინტერესით იკითხება. იგი დიდი იდეოლოგიურ-ესთეტიკური კულტურის მაჩვენებელია. მწერალი დაინტერესებულია პოლიტიკით, რელიგიით, ოჯახისა და სიყვარულის საკითხებით. ყველაფერი ეს მოცემულია ქრისტიანული რელიგიის თვალთახედვით, სოციალური ობიექტურობით, დიდი ისტორიული პორიზონტით და პერსპექტივებით, დრამატული სიტუაციებით.

ეტყობა, ქართული ლიტერატურის შორეული წარსულის დიდი ძეგლების ხაზი ჩადის მცხეთა-თრიალეთის პრეისტორიაში და უკავშირდება ერთი მხრით, რიონ-მტკვრის ხეობებში შეთხზულ ხალხურ თქმულებებს, მეორე მხრით კი ანტიკურ მითოლოგიას.

ქართული მუსიკის სიმდიდრე, მდიდარი ჟღერების დეკლინაციები, გურული და მეგრული კრიმანჭულები, ისე როგორც ქართლურ-კახური მრავალჟამიერი, თავისი დიაპაზონით გამოსახულებაა დიდი ისტორიული ვიბრაციისა, ხოლო ამ უკანასკნელის ერთი მშვენიერი დარგია ქართული ლიტერატურა, რომლის სახეები და იდეები მომდინარეობენ ქართული კულტურის საერთო აუზიდან. ქარ-

თული ლიტერატურა საუკუნეთა განმავლობაში საბრძოლო იარაღი იყო ქართველი ხალხის სინდისისა და ადამიანობის, ვაჟკაცობისა და გმირობისათვის. ქართულმა ლიტერატურამ არ მიიღო როგორც აღმოსავლეთის მორალურ-მითოლოგიური კონცეფცია, ისე ბიზანტიის დოგმატიზმი. რუსთაველთან მორალური კონცეფციით უფრო ახლოა ცურტაველის რომანი, ვიდრე „ვისრამიანი“, რომელიც არა-ქართულია. რუსთაველის პოემაში სიყვარული და ჰუმანიზმი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ეროტული განცდა „ვისრამიანსა“ და რუსთაველის პოემაში თითქოს „ერთი და იგივე“ სიქლიერითაა, მაგრამ მორალური პრინციპები და ადამიანობა სხვადასხვა სახისაა.

ქართული ლიტერატურის ტრადიცია თავიდანვე დიდი ჰუმანურ-მორალური იდეებით სულდგმულედა. ქართული მითები, შეთხზული რიონ-მტკვრის ხეობებში განსხვავდებიან ძველი აღმოსავლეთის მითებისა და თქმულებებისაგან. ქართული მითები, ქართული ხალხური მუსიკა და სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ეკლესიებსა და კოშკებზე გამოკვეთილნი, წარმოადგენენ ქართული ისტორიული სულის ორიგინალურ ძიებასა და განსახიერებას. ამირანზე თქმულებაში ბევრი რამ არის უაღრესად ფანტასტიკური, მაგრამ ყოფაცხოვრების ქართულმა მხატვრულმა გენიამ იქვე აღნიშნა ჯამ-ჭურჭლებისა და ყამარ-ქალის ამბავი, რაშიაც ჩანს ადამიანური სამყარო, მათი მოთხოვნილებათა და საჭიროებათა რეალური სახე.

საქართველო ებრძოდა ძველ აღმოსავლეთს როგორც იდეებით, მსოფლგაგებით, ისე ხმლითა და ორგანიზაციებით. ქართველი ხალხი დასავლეთ ევროპის კულტურის სასარგებლოდ იბრძოდა შუა საუკუნეებშიც. არაბ-სელჯუკების კოალიციის დამარცხებით დავით აღმაშენებელმა დიდად შეუმსუბუქა მდგომარეობა არა მარტო დასავლეთის ჯვაროსნებს, არამედ ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის ჰუმანურ იდეალებსაც.

ჯვაროსნებზე უფრო ადრე ელინები დაუკავშირდნენ ქართველებს, საქართველოს. ბერძნებმა თავიანთი ნაციონალური სიდიადის კეთილმოქმედების გამომსახველი პრომეთე საქართველოში ჩამოიყვანეს, რომელიც, მსგავსად ამირანისა, სიმბოლურად გამოსახავს კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის ბრძოლას. ესქილეს ტრაგედიაში ოკეანის ქალიშვილები დიდი ნუგეშით მოახსენებენ პრომეთეს: „კოლხიდის ქალებმა შენი ტანჯვა იციანო“.

ევროპის შუა საუკუნეებს ამშვენებს მრავალი ქართული კეთილმოქმედება.

საქართველოს მიწა-წყალი, მისი მთები, ხევები და უძველესი კულტურისა და საქმიანობის მაჩვენებელი ნანგრევები ცნობილია მსოფლიო ლიტერატურაში. კალდერონმა თავისი დრამა — „ცხოვრება სიზმარია“ ააგო ქართულ ჰაგიოგრაფიულ რომანზე „სიბრძნე ბალავარისა“, რომელსაც გაეცნო თარგმანით. ბაირონი და უალტერ სკოტი ხშირად იხსენიებენ საქართველოს. ლერმონტოვს განზრახული ჰქონდა „დემონის“ ფაბულა გაეშალა ესპანეთში, მაგრამ, როცა გაეცნო დარიალის ხეობას და მთებს, დემონი კაიშაურის მინდვრებზე ჩამოიყვანა და მითიური სახე დაუკავშირა გუდალის კოშკ-სასახლეს. ქართველი ქალის მებრძოლი სახე მოაგონდა პუშკინს ბახჩისარაის არეში. ყოველთვის დიდი იყო მსოფლიო კულტურის ინტერესი საქართველოსადმი. ხოლო თვით ქართული ლიტერატურის იდეები და სახეები განსაკუთრებული სიდიადით გამოიყურება შორეული წარსულიდან.

იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი დიდად განათლებული ქართველები არიან, მაგრამ არც პეტრიწი და არც რუსთაველი არ არის ირანისა და საბერძნეთის სწავლულთა მოწაფე და ბრმა მიმბაძველი. ქართული კულტურა ყოველთვის მშვენივრად იცნობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიულ-ცივილიზაციურ მიღწევებს, მაგრამ ის გაიზარდა თავისი შინაური საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილებით.

ქართული ლიტერატურის მდიდარი მეტყველება, მისი ანბანის გასაოცარი სიმარტივე და სიზუსტე — უდავოდ ისტორიული საუნჯეა, რომლითაც შეუძლია იამაყოს ჩვენმა და მომავალმა თაობებმა კაცობრიობის წინაშე. ქართველი ხალხი ადრე იცნობდა ძველი ხალხების წერის ნიშნებს, მაგრამ მან მაინც საკუთარი წერის ნიშნები შექმნა, რამაც შესაძლებელი გახადა მხატვრული მეტყველება ესთეტიკურ სრულყოფამდე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს აქვს მრავალი ეთნოგრაფიულ-ვერბალური სიმდიდრე, რომელიც წარმტაც მხატვრულ სახეებად და სიმბოლოებად გარდაქმნეს ქართველმა კლასიკოსებმა. ის, რაც ქართულ ლიტერატურაშია განსახიერებული მორალური კეთილშობილებით და მხატვრული სიდიადით, ქართული ხალხური თქმულებებისა და მითების პრეისტორიიდან

ამოდის და საუკუნეებით იქმნებოდა ქართველ ტომებში. ქართული ლიტერატურა, ეგრე მშვენივრად განსახიერებელი, მოწმობს ქართული ხალხური შემოქმედების სიდიადეს, სიბრძნეს, სულისა და გონების ზოგადსაკაცობრიო თვისებებს. ქართული ხელოვნების გენია უშუალო კავშირშია ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გენიასთან, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მიმოფანტულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ქართველ ტომებს დღესაც აქვთ ისეთი მდიდარი შინაარსის სიტყვები და თქმები, რომელთა თარგმნა და ადექვატურად გადატანა სხვა რომელიმე მეტყველებისა და აზროვნების სფეროში ძნელია სწორედ იმიტომ, რომ ისინი შეიცავენ ორიგინალურ და ღრმად ფსიქოლოგიურ ცნებებს, რომელნიც ჩვენს წინაპრებს ყოფაცხოვრების რთულ სიტუაციებში საუკუნეთა მანძილზე აუწონ-გაუზომიათ და გამოუთქვამთ ესთეტიკურად, მორალურად, ფილოსოფიურად.

ბარათაშვილი გვასწავლის: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. არაფერი ქვეყნად არ იკარგება. როგორც მარქსი სწერდა ანენკოვს — მოდგმები მემკვიდრეობას ერთმანეთს უმზადებენ და ისტორია სოციალურ ფორმაციათა კავშირშია.

ქართული ფეოდალური ფორმაციის წიაღში ჩაისახა რუსთაველის გენია, რომელიც დღესაც ელვარებს. რუსთაველის პოემაში ადამიანი გამოიყურება როგორც სრულყოფილი სილამაზის განსახიერება. მსოფლიო ლიტერატურაში ავთანდილი ის ტიპია, რომლის მეობაში ნორმალურად შეწყობილია ერთმანეთთან სამი საწყისი: ნება, გრძნობა და გონება. მას ყოველთვის ყოველგვარი წამოწყება ბოლომდე მიჰყავს და რასაც აკეთებს, ყველაფერს სრულყოფს და სილამაზის თვისებას ანიჭებს. ის ბრძოლაში ეყრდნობა მხოლოდ თავის გონებას, აზრებს, ჭკუას. „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“, — ამბობს რუსთაველის გმირი, რომელიც განსახიერებაა სიკეთისა, გონების პატივისცემისა და ჰუმანიზმისა. ჰუმანურ-ესთეტიკური იდეალებით ავთანდილი უდავოდ წინ უსწრებს დასავლეთ ევროპის დიდ ჰუმანისტებს. ავთანდილი ამავე დროს ტიტანური მოხერხებისა და მძლეობის ადამიანია. მას აქვს ხასიათისა და ქცევის თავისებურებაში რაღაც პრომეთესეული, მაგრამ პრომეთე ლეგენდარულია და სიმბოლიური. ავთანდილი, როგორც



ჰამლეტი, მუდამ კონკრეტული, სიტუაციურად გასაგები და ადამიანურია. ავთანდილი განსხვავდება აღმოსავლეთის გმირებისაგან მაღალი მორალური და რაინდული ხასიათით.

რუსთაველმა არ მიიღო ძველი აღმოსავლეთის ტირანიებისა და უდაბნოების მკაცრი ყოფაცხოვრების მორალი. მისი მსოფლმხედველობით საქართველო ისტორიაში შემოდის საკუთარი სოციალურ-მორალური ატრიბუტებით, რომელთაც ქართველი ხალხი ათასი წლების მანძილზე ჰქმნიდა.

როგორც შუა საუკუნეებში რუსთაველმა უკუაგდო ძველი აღმოსავლეთის ტრადიცია, ისე მეცხრამეტე საუკუნეში ნიკოლოზ ბარათაშვილმა უარჰყო რუსთაველის შემდეგ ქართულ ლიტერატურაში შემოპარული მთვლემარე განწყობილება, მრავალჯერ ამღერებული შუა საუკუნეებში. საქართველო ვერ ეგუება აღმოსავლურ ტრადიციას. ბარათაშვილი არ კმაყოფილდება სულიერი თრობით, ჩინებით. იგი რუსთაველის გზით განაგრძობს ბრძოლას ქართული მორალისა და ჰუმანური იდეებისათვის. ბედთან შებრძოლება ბარათაშვილის პოეზიაში სიმბოლოა საქართველოს შებრძოლებისა ისტორიულ უკუღმართობასთან, მძიმე პირობებთან. ბარათაშვილი ახალი ქართული პოეზიის ავთანდილია. ბარათაშვილის პოეზია ისე ნათელი და ანკარაა, ისე სპეტაკი და ჰუმანური, როგორც ავთანდილის გენია და საქმეები.

რუსთაველის გმირი ტყუილად კი არ ამბობდა: „მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“. ავთანდილი ამ ოთხი სიტყვით ხაზს უსვამს ადამიანის მორალურ დანიშნულებას. ბარათაშვილი თითქოს ეხმაურება თავის დიდ წინაპარს: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. ამრიგად, ქართული ლიტერატურის ორი გენია ასახავს სიკეთის სოციალ-ისტორიულ ფილოსოფიას მორალური განხრით. ასეთი ცხოვრების ფილოსოფია უადრესად რეალისტური მსოფლმხედველობის გამომსახველია, თან ოპტიმისტურიც, ისტორიული აზრისა და რეალური მიზანდასახულების მომცემი. შოპენჰაუერი ისტორიას კალეიდოსკოპს ეძახდა. მას არ სჯეროდა ისტორიული პროცესის ლოგიკური მზარე და აზრი. შოპენჰაუერის შეხედულებით ისტორია ქაოსია. რუსთაველისა და ბარათაშვილის გაგებით ისტორიას აქვს მორალური გა-

გართლება, სოციალური აზრი და მიზანი. მოდგმები ერთმანეთს ეხმაურებიან, საუკუნე საუკუნეს ელაპარაკება.

რუსთაველისა და ბარათაშვილის კონცეფციაში იმდენი სიტუბოა, იმდენი სიკეთე და ადამიანობა, რომ ასეთი შეხედულებით, რაც უნდა კრიტიკულად იყოს განწყობილი ადამიანი, შეიძლება ცხოვრების მიღება. რუსთაველმა და ბარათაშვილმა მშვენივრად იციან, რომ ცხოვრებაში ბევრი რამაა ცუდი, მაგრამ თუ ადამიანი საერთო მსვლელობაში, ისტორიაში ჩაერევა თავის კეთილი საქმეებით, ცხოვრება მისაღები და ლამაზი ხდება, აზრი ექნება არსებობას...

სულხან-საბა ორბელიანი, როგორც დიდი განმანათლებელი, იბრძოდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის განთავისუფლებისათვის, მაგრამ ეს განთავისუფლება და რუსთაველის ტრადიციის აღდგენა დააჩქარა ერეკლე მეფის ხმალმა და ბარათაშვილის პოეზიამ.

მყინვარის სიმაღლიდან გადმომდგარი ქართული სული ილია ჭავჭავაძის აჩრდილის სახით მოევლინა საქართველოს XIX საუკუნეში. ქართული სულის ისტორიულ ძლიერებას ილია ჭავჭავაძემ დაუკავშირა ახალი საუკუნეების ზოგადი, საკაცობრიო იდეალები. საქართველოს კლასობრივი მდგომარეობა და სოციალური ტკივილები ილია ჭავჭავაძემ აამეტყველა ქართული ნაციონალ-რევოლუციური იდეებით. ქართული ლიტერატურის მაგისტრალური ხაზი მან გაიყვანა მეცხრამეტე საუკუნის შუაგულში. თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში ილია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეებს არკვევს. მან კარგად იცის, რა დიდი ბრძოლები უნდა ჩაატაროს ქართველმა ხალხმა ეროვნულ უფლებათა შესაძენად, უკეთ რომ ვთქვათ — აღსადგენად. მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველი ხალხი დამპყრობთა მოზღვავებულ უბედურებას ებრძოდა დამოუკიდებლობისათვის, სახელმწიფოებრივი და მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის.

ილია ჭავჭავაძის დიდი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან საქართველოს საზოგადოებრივ-ოჯახური ტკივილები დაუკავშირა კაცობრიობის ზოგად მიზნებსა და ზნეობრივ იდეალებს. ილია ჭავჭავაძე გამოეხმაურა არა მარტო ქართული ოჯახისა და საზოგადოების ტკივილებს, გაბროებისა და პეპიების უბედურებას,

არჩილისა და კესოს სულიერ დრამას, გიორგისა და ოთარაანთ ქვივის ტრაგედიას, არამედ ისეთი ხასიათის ზოგად საკითხებსაც, როგორცაა საფრანგეთის რევოლუცია, განდეგილობისა და სიყვარულის, ცხოვრების მიღებისა და არ მიღების პრინციპები. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ ცხადყოფაა რეალისტური, მატერიალისტური იდეებისა ლიტერატურაში. იგი ქვეყნის ზნეობრივ-ესთეტიკური გამართლების ცდაა ქართული კულტურის ინტერესის თვალთახედვით.

პოემა „განდეგილი“ გამართლებაა ჩვენი არსებობისა სილაშხით, სიყვარულით, ადამიანური საქმეებით და ინტერესებით. განდეგილმა თვალი ამართა ღვთისმშობლისაკენ ნუგეშის მისაღებად, მაგრამ ხატის ადგილას დაინახა მწყემსი ქალის ეშხიანი სახე — სიმბოლო ამქვეყნიური, პლანეტარული ინტერესებისა და სიამოვნებისა, სიმბოლო მშვენიერებისა და ცხოვრების აზრისა. ქალის სახე სიმბოლოა ქვეყნის მიზანდასახულებისა და ზნეობრივ-ადამიანური გამართლებისა. დგას რა შოთა რუსთაველის პოზიციაზე, ხედავს რა საქართველოს ისტორიულ-საზოგადოებრივ მდგომარეობას, უარყოფს ასკეტიზმს, როგორც კონკრეტული ისტორიულ-საზოგადოებრივი ინტერესით საქართველოში, ისე საზოგადო-საკაცობრიო იდეალების თვალთახედვით.

ილია ჭავჭავაძე დიდი რეალისტი და პატრიოტია. და ვინც საქართველოსთვის არ ზრუნავს, ვინც ამქვეყნიური ინტერესებით არ სუნთქავს, არაფერს არ აკეთებს, — მისი აზრით, იგი საქართველოს მტერია.

ჭავჭავაძის განდეგილის სული გაიტაცა მწყემსი ქალის სილაშხემ. ილიას მწყემსი ქალი მიწიერი სიყვარულის განსახიერებაა.

ილია ჭავჭავაძის პოემაში საქართველო ისტორიულად შეებრძოლა დოგმატურ სამყაროს. ილია ჭავჭავაძე, როგორც მისი დიდი წინამორბედი — რუსთაველი, კრიტიკულად უყურებს შუა საუკუნეებს და, როგორც მსოფლიოს ყველა დიდი ჰუმანისტი, ქადაგებს ადამიანისა და ადამიანობის გამარჯვებას ქვეყნად.

ქართულ ლიტერატურაში ღრმად დასმულია საკითხი ადამიანის წუთისოფლური ხვედრისა და საქმიანობის შესახებ. ამ საკითხს პირველად ავთანდილმა გასცა პასუხი.

ავთანდილისათვის ადამიანის პიროვნების ხსნა მხოლოდ კეთილ





საქმეებშია. ჰამლეტმა არ იცის რა ამბავია „იმქვეყნად“ და ამიტომ მისი დამძიმებული სული შიშით ივსება, გამოსავალს ვერ პოულობს თავისი ნებისყოფის მიმართვისათვის. ავთანდილი ქვეყნად გამართლებას პოულობს სიკეთის განხორციელების შესაძლებლობაში: „მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

რუსთაველის გმირის მორალური ფილოსოფია საღი, ადამიანური ცხოვრების ფილოსოფიაა. რუსთაველი ქადაგებს ადამიანის მაღალ დანიშნულებას, სიმართლესა და ჭეშმარიტებას.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლები ისტორიის მძიმე წუთებში გმირულად ჟღერდნენ რუსთაველისა და ბარათაშვილის პოეზიით, ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრული სახეებით, ქართული მუსიკით და ჩუქურთმებით, ვარძიისა და თმოგვის მონუმენტებით, ჩვენი დიდი წინაპრების რაინდული სულითა და საქმეებით.

ქართული ლიტერატურის ისტორიული მნიშვნელობა და სიდიადე მისი ზნეობრივი იდეების ძლიერებაშია. ქართველმა ხალხმა თავიდანვე ისეთი პოზიცია დაიკავა თავის მიწა-წყალზე, რომელიც მსოფლიოში მის ზნეობრივ იდეებს მაღალ შეფასებას აძლევს. მან ჰუმანიური შეხედულებები გაიხადა თავისი მწერლობისა და ხელოვნების საგნად.

ქართულ მწერლობაში ჩასახული ზნეობრივი იდეები თანდათანობით იღებენ ნაციონალურ-რევოლუციურ ხასიათს. ასეთი მოძრაობა უფრო და უფრო რევოლუციურ განცდებსა და იდეებს ჰქმნის საზოგადოების მოწინავე ფენებში. როდესაც ილია ჭავჭავაძე იბრძოდა კულტურულსა და ეროვნულ ფრონტზე, სცენიდან ისმოდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართული სიტყვა.

ქართულმა ლიტერატურამ დიდი ისტორიული გზა გაიარა. მან სძლია აღმოსავლეთის ზოოსენსუალიზმი და ბიზანტიის დოგმატიზმი, სძლია თავისი მორალური ტენდენციებით, რუსთველური ჰუმანიზმით.

ქართული ლიტერატურა ისტორიულად მოყვება ქართულ საზოგადოებრივ მოძრაობასა და აზროვნების ვითარებას. წარმოუდგინელია ქართული ლიტერატურა თავისი მხატვრული სახეებით და იდეებით გარეშე საქართველოს ისტორიული მსვლელობისა, ქართული საზოგადოებრივი აზრის ვითარებისა. ქართული საზოგადო-

ებრივი ცხოვრების შინაგანი ბრძოლები, სოციალური ფენების ურთიერთობაში გამოსახული ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობებით, ოჯახურ-სულიერი ტკივილებით, ტიპიური მოვლენებით ტიპიურ პირობებში, გადმოისახა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში — სოციალური ცხოვრების მთელი ფილოსოფიითა და მორალით.

პოლიტიკის, რელიგიის, ფილოსოფიის, ესთეტიკური განცდების უღრმესი საკითხები ქართულ ლიტერატურაში გაიშალა ისტორიული მსვლელობის საკუთარი, ორიგინალური გზით. გარეშე დიდი ისტორიულ-იდეოლოგიურ მოძრაობათა ქართული ლიტერატურა არასოდეს არ ყოფილა. ბარათაშვილი და ჭავჭავაძე ახალი ევროპის სოციალ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ძვრებისა და სიახლეების კურსში იყვნენ, როგორც შუა საუკუნეებში შოთა რუსთაველი და იოანე პეტრიწი. ქართულ ლიტერატურას საუკუნეების მანძილზე არ გამოპარვია კაცობრიობის კულტურული მსვლელობის არც ერთი მომენტი, მაგრამ ქართველი მოღვაწეები ყოველთვის მიდიოდნენ ხალხის ისტორიულ-ორიგინალური გზით. ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან აშკარად სჩანს რა დიდი იდეოლოგიური ბრძოლები ჩაუტარებიათ ქართველ მწერლებსა და ხელოვნების სხვადასხვა მოღვაწეებს ქართული აზროვნების მხატვრული განსახეობისათვის. დიდ ესთეტიკურ მშვენიერებას წარმოადგენს შოთა რუსთაველის მხატვრული აზროვნებისა და თქმის სრულყოფილი შერწყმა თავისი მდიდარი ვერბალური ყლერით, მეტაფორებით და მოდულიაციებით, თქმათა და გააზრებათა კონკრეტობით, სიტუაციების ერთმანეთთან ლოგიკური მიწყობით. ამავე დროს რუსთაველის პოემაში გვალეღვებს გონების პატივისცემა და ჰუმანიური იდეალებისადმი ტრფიალება.

ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციას გაჰყვა ქართველი კლასიკოსების მთელი პლეადა. ავთანდილის მორალურ-ჰუმანიური მისწრაფებები XIX ს. ლიტერატურაში ამეტყველდა ბარათაშვილის ბედთან ბრძოლაში და ილია ჭავჭავაძის სოციალ-პოლიტიკურ კონცეფციებში. ილია ჭავჭავაძის „აჩრდილში“ მყინვარიდან გადმომდგარი სული ქართული კულტურის ისტორიული პროცესია, რომელსაც პოეტი აალაპარაკებს ახალი დროის სოციალ-პოლიტიკური მოთხოვნილებით:

ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას  
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამალღებული  
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული..  
...მწარე ცრემლს დაღვრის...

ილია ჭავჭავაძის მყინვარიდან გადმომდგარი მოხუცი ავალებს ქართველთა მოდგმას ჭკუით განსჭვრიტოს საზოგადო ცხოვრების დენა. დღევანდელი ენით ეს ნიშნავს სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობისა და ორიენტაციის გარკვევას, ცოდნას, ქართული კულტურის ისტორიული მსვლელობის პერსპექტივის ხედვას, პროგრესული იდეალების წარმოსახვასა და შემდეგ პრაქტიკაში განმტკიცებას. ილია ჭავჭავაძე სოციალური იდეალების პოეტია. ის ყოველთვის საზოგადოებრივად კონკრეტულია და მოქმედი. ამიტომაც მოქმედების ჰუმანიურ იდეალებს ისახავს მუდამ.

ილია ჭავჭავაძე მშვენიერი მცოდნეა ქართული სოციალური კულტურისა; იცის საქართველოს შინაგანი პოლიტიკური ტკივილები, კლასთა ბრძოლა მთელი თავისი სიმწვავეთ. ილია არ მალავს ქართველი ხალხის სოციალ-პოლიტიკურ ტკივილებს, მაგრამ მისი მთავარი მიზანია ამ შინაგანი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ტკივილების მოშუშება ახალი პროგრესული იდეალების განხორციელებით. ქართულ ლიტერატურაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი „აჩრდილის“ პროგრამული სიტყვები:

ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლას,  
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი  
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,—  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი,  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

შრომის სუფევა მოცა მაშინა  
ჭეშმარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცდება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით.

ილია ჭავჭავაძე უღრან ტყეში ეცნობა გლახას, რომელიც მას ელაპირაკება რუსთაველის ციტატებით. ცხადია, აქ შემთხვევითი არაფერია. მწერალს სურს დაუკავშიროს ქართული კულტურის დღე-

ვანდელი ეტაპი საქართველოს და მის დიად ჰუმანიურ-მორალურ ტრადიციას. ილია ჭავჭავაძე გლახას ალაპარაკებს ტრაგედიაზე, ალაპარაკებს მის თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ ტკივილებზე, და თან გვაცნობს, თუ ქართველი გლეხობა თავის გულში როგორ ინახავდა რუსთაველის აზრის სიბრძნესა და სილამაზეს.

აღმოსავლეთის ტირანებმა და ურდოებმა მრავალჯერ ააოხრეს ქართული ყოფა-ცხოვრება, ოჯახი და სახელმწიფო, მაგრამ ქართველმა ხალხმა ჭირსა და ვარამში გამოვლილი სული თავისი შეინარჩუნა. ქართული კლასიკური ლიტერატურა არსენალია ქართული ხალხური სიბრძნისა, რომელიც მაგისტრალურ ხაზიდან ეთნოგრაფიულ ერთეულებში გავიდა და ამეტყველდა თემურ-მითოლოგიურ საფუძველზე.

თავისი მდიდარი ბუნება და ხანგრძლივი ისტორია ქართველმა ხალხმა ქართული კულტურის ყველა ეტაპზე გამოსახა სტადიალურად. მუდამ დიდი ჰუმანიზმისა და პატრიოტული განწყობილების ნიშნით ქართული ლიტერატურა თავიდანვე, თამამად შეებრძოლა ირანო-ბიზანტიურ ძალადობას, ფანატიზმსა და დოგმატიზმს.

ილია ჭავჭავაძე გრძნობს, რომ ახალი ცხოვრების დამყარებას ესაჭიროება ბრძოლა, შეტევა, შეუბრალებელი წინააღმდეგობა. სადაც შესაძლებელია, იქ იგი ჰუმანიურია სოციალური ფენების ურთიერთობაში. მაგრამ, თუ ჰუმანიზმი და სიყვარული შეუძლებელია, მაშინ ანტისოციალური ელემენტი უნდა მოისპოს, რათა შესაძლებელი გახდეს საზოგადოებრივი ძალების გაერთიანება, ინტეგრაცია ... ილია ჭავჭავაძე დიდი რეალისტია როგორც პოეტი და როგორც პოლიტიკოსი. ამოდის რა ისტორიული კულტურის დიადი ტრადიციიდან, იბრძვის ახალი სოციალური იდეალებით ქართული კულტურის გაგრძელებისათვის მომავალ თაობებში. ქართული ლიტერატურა თავიდან ქადაგებს სიმართლესა და ჭეშმარიტებას. სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის იბრძოდნენ პეტრიწი და რუსთაველი.

იღებს რა ადამიანის ქცევას, როგორც სიცრუისა და ორპირობის უარყოფას, ავთანდილის სიტყვებით რუსთაველი ასწავლის ქართველთა მოდემას ბრძოლას ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის, ზნეობრივი კეთილშობილებისათვის.

ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მიწიერია და მატერიალური, იგი თავის ხვედრს ვერ გაექცევა:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,  
მისგან გასწორდეს ყოველი სუსტი და ძალგულოვანი,  
ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,  
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

ქართველი ერის მთელი ისტორიული ბრძოლა თავისი კულტურის დამოუკიდებლობისათვის გამოსახულია ავთანდილის რაინდულ ფილოსოფიაში. ემპირიულად ქვეყანა ქცევადია და მერყევი, ცრუ და დაუნდობელი, მაგრამ ადამიანური მორალით, შეიძლება ქვეყნის გარდაქმნა. ქაჯეთის ციხის აღება არა მარტო ემპირიული ფაქტია, არამედ სიმბოლო ბოროტების დამარცხებისა და სილამაზის ტყვეობისაგან განთავისუფლებისა. ნესტან-დარეჯანი პლანეტარული მშვენიერებაა, რომელიც ბოროტებას ჰყავდა ტყვედ, საკეთემ კი მშვენიერება გაანთავისუფლა.

ასე ესმოდა ქართველ ერს თავისი დიდი პოეტის ცხოვრების ფილოსოფია. ამ ფილოსოფიაზე იზრდებოდა ქართველი ხალხი საუკუნეობით. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის ისტორიოფიურ პოემას უწოდა ბედი ქართლისა“. ბარათაშვილისთვის „ბედი ქართლისა“ არ არის ფატალისტური ცნება. იგი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ფილოსოფიაა... „ბედი ქართლისა“ თემატიურად შედის ბარათაშვილის მსოფლმხედველობაში და ამავე სახით გადმოდის ილია ჭავჭავაძის მოთხრობებსა და პოემებში.

ილია ჭავჭავაძე ორგანულად განიცდის საქართველოს ბედ-ილბალს. მისი იდეები ქართული ყოფა-ცხოვრების ნაშობია, ქართული კულტურის ისტორიულ ვითარებიდან მომდინარეობს:

გულ-ხელთ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს  
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..  
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,  
შენ წინ დაღუპულ ჩემს ძველსა მამულს,—  
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს  
აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს...


მიმართავს იგი ერს არაგვისა და მტკვრის შესაყართან მდგარი. ილია ჭავჭავაძის სიტყვებში ისმის ძახილი და მოწოდება ქართველი ინტელიგენციისადმი, ქართველი ხალხის მოწინავე წრეებისადმი ქართული კულტურის დაცვისა და ისტორიული შეგრძნობი-

სა. აგრძელებს რა რუსთაველისა და ბარათაშვილის ტრადიციას, ქართულ ლიტერატურას იგი აძლევს ქართველი ხალხის სოციალური ინტერესების გამომსახველ მიმართებას. ქართული ლიტერატურა უმღერდა ადამიანის ძლიერებას, სილამაზეს, მორალურ გამარჯვებასა და სიკეთეს. „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი ვრძელია!“ რუსთაველის ჰუმანურ იდეებს აგრძელებდნენ და იბრძოდნენ — გურამიშვილი, სულხან საბა ორბელიანი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძეები და წერეთლები. აკაკი წერეთლის ლექსები ქართველი ხალხის ულამაზეს გრძნობათა პოეტური განსახიერებაა. იგი საბრძოლო განწყობილებას ჰქმნიდა ტკბილი მოდულაციებით, მხატვრული მეტაფორებით და რომანტიკული სახეებით. მოგვიანებით მეზრდოლთა ამ რიგებში ჩადგა ვაჟა-ფშაველა — მისი დიდი პოეზიით. რუსთაველი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე — აი ქართული ლიტერატურის მაგისტრალი. ავთანდილიდან ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის იდეებამდე ქართული ლიტერატურა მიდის საკუთარი ჰუმანური გზით.

# ბიბლიოგრაფია

## რეცენზია

### მიმოხილვა



#### დიდ შვილებთან ერის დამოკიდებულების კულტურა

დიდებული ფოთა რუსთაველის ბარდა არცერთ ქართველ კაცზე არ შექმნილა იმ მოცულობის ლიტერატურა, რაოდენიც გიორგი სააკაძის შესახებ. მაგრამ აქ საქმე მარტო რაოდენობაში როდი არის, არამედ იმ დაინტერესებაში, რომელსაც ერი იჩენს თავისი დიდი შვილების მიმართ, აყალიბებს მათთან დამოკიდებულების კულტურას.

ასეთი სახის წიგნებს სულ ახლახან შეგმატა მწერალ ჯანსუღ ღვინჯილიას „გიორგი სააკაძის პიროვნება“.

ეს ნაწარმოები განეკუთვნება დოკუმენტურ-პოლემიკურ პროზას, რომელსაც ჩვენში სათავე იღია ჭავჭავაძემ დაუდო.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დოკუმენტურმა პროზამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. ამის საუკეთესო საბუთია პავლე ინგოროყვას, ლევან სანიკიძის, ვახტანგ ჭელიძისა და სხვათა ნაწარმოებები.

თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ: მათგან განსხვავებით ჯ. ღვინჯილიას „გიორგი სააკაძის პიროვნება“ პოლემიკური ხასიათისაა და პერსონოლოგიის სფეროს უახლოვდება.

მართალია, პერსონოლოგია ფსიქოლოგიური მეცნიერების დარგია, მაგრამ წარსულში მოღვაწეთა დასახასიათებლად ფსიქოლოგიას საისტორიო დოკუმენტების (წყაროების) უხვი გამოყენება ესაჭიროება. ამ გზით იგი ღრმად იჭრება ისტორიულ მეცნიერებაში, მისი შრომა ისტორიკოსის შრომას უთანაბრდება.

პიროვნების დახასიათება, მისი სულის მამოძრავებელი ძალების ამოცნობა უფრო ხშირად მწერალს ესაჭიროება. ხოლო, თუ მისი გმირი ისტორიული პიროვნებაა. მწერალი ვალდებულია სათანადოდ ფლობდეს პერსონოლოგიასაც და საისტორიო ფაქტოლოგიასაც. იგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს და ისტორიკოსიც.

ეს სავალდებულოა საისტორიო თემაზე შექმნილი „ჩვეულებრივი“ მხატვრული ნაწარმოებებისათვის, მაგრამ კიდევ უფრო აუცილებელია სპეციალურად, პიროვნების დასახასიათებლად დაწერილი პოლემიკური წიგნის ავტორისათვის.

ჯ. ღვინჯილიას წინაშე მდგომი ერთ-ერთი სიძნელე სწორედ ეს გახლდათ. მეორეს კი თვით გიორგი სააკაძის პიროვნების სირთულე და მის შესახებ მწერლობასა და ნაწილობრივ ისტორიოგრაფიაში არსებული ურთიერთდაპირისპირებული შეხედულებები წარმოადგენდა.

მწერალს დიდი მუშაობა გაუწევია ამ სიძნელეთა გადასალახავად. მკითხველმა კი მისი შრომის შედეგად მიიღო შესანიშნავი გამოკვლევა, რომელიც და-



საბუთებულ პასუხს იძლევა გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ წამოჭრილ ბევრ საჭირობოროტო კითხვაზე.

ეს კითხვები დიდი მოურავის დროიდანვე მოდის. იგი თვით ეპოქამ წარმოშვა. სპეციალურ საისტორიო ლიტერატურაშიაც კი, ზოგჯერ, მთლად სწორად როდია ახსნილი საქართველოს პოლიტიკური დაშლის მიზეზები.

ასეთი რამ ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა აქცენტი საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე გადააქვთ. სინამდვილეში, ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაქუცმაცება ქვეყნის შიგნით მიმდინარე ფეოდალიზაციის პროცესმა გამოიწვია. ამ პროცესის დაჩქარებას კი თავის მხრივ ხელი შეუწყო ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

შეიძლება პარადოქსად მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც გიორგი მესამე და თამარ მეფე ქვეშევრდომებს „დიდებასთან“, „დალოცვასა“ და „შეწყალებასთან“ ერთად, საკარგავის ნაცვლად მამულებს უბოძებდნენ, ამით პოლიტიკური დაშლის საფუძვლებს ამზადებდნენ, ვინაიდან ცალკეული ფეოდალის მამული შეუვალლობის უფლებით სარგებლობდა და ეკონომიკურად გამოცალკევებული ერთეული ხდებოდა.

გიორგი სააკაძის დროის (დაახლ. 1575-1629 წწ.) ქართლი ასეთი ფეოდალური სენიორების ქვეყანა იყო.

მაგრამ ის ეპოქა, როცა ფეოდალური მამული თვითკმარ, ნატურალურ ერთეულს წარმოადგენდა, დიდი ხნის წინათ ჩაბარდა ისტორიას. მან თან წაიღო მსხვილი ფეოდალების განუყოფელი ბატონობაც. საზოგადოებაში ახალი ძალა გაჩნდა ვაჭარ-ხელოსნებისა და საშუალო აზნაურობის სახით.

იმ ქვეყნებში, სადაც ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან (მესამე წოდება) ბურჟუაზია ჩამოყალიბდა და, თანაც იგი

ისე გაძლიერდა, რომ ამას გაბატონებული კლასის ზედაფენისა და მისი ძალების ბალანსირება მოჰყვა, აბსოლუტური მონარქია შეიქმნა.

საქართველოში კი მესამე წოდების ჩამოყალიბების პროცესის „დაჩიხვა“, სტაგნაცია მოხდა. ამიტომ ფეოდალური სენიორიების მფლობელ, გაბატონებული კლასის ზედაფენას, თავადებს, მხოლოდ საშუალო აზნაურობა დაუპირისპირდა. ეს უკანასკნელი ისე ძლიერი არ აღმოჩნდა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას მასზე დაყრდნობით მსხვილი ფეოდალების დათრგუნვა და ქვეყნის გაერთიანება შეძლებოდა. ამიტომაც ყოველი ცდა საქართველოს ხელახლა გაერთიანება-განმტკიცებისა მარცხით მთავრდებოდა.

გიორგი სააკაძის პოლიტიკური მარცხის სოციალური მიზეზებიც სწორედ საქართველოს ფეოდალური საზოგადოების განვითარების პროცესის ეს თავისებურება იყო.

მაგრამ ყოველი ისტორიული პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი კლასის შვილია და ამ კლასის საზოგადოებრივ ბედს სრულად იზიარებს, იმავდროულად საკუთარი, სუბიექტური ბედის მქონეც არის. ისტორიული პიროვნების ფიზიკური, გონებრივი, სულიერი შესაძლებლობანი, ფსიქიკა საერთოდ, სოციალურთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მისი მოღვაწეობის ასპექტებს.

ამიტომაცაა, რომ ისტორიული გმირების პიროვნების ამოცნობას, უფრო ხშირად, მისი მოღვაწეობის შეფასებით იწყებენ და არა ამ პიროვნების ფსიქიკის შესწავლით.

ეს ბედი არ ასცდა გიორგი სააკაძესაც: ერთნი მის პიროვნებას იწონებენ, რადგან მისი მოღვაწეობა სამშობლოსათვის თავდადებად მიჩნიათ, მე-





ორენი კი იწუნებენ, ვინაიდან დიდი მოურავი ქართველი ხალხის მოღალატედ ესახებათ. თანაც, ეს უბრალო „მოწონება“-„დაწუნება“ კი არ არის, არამედ ხშირ შემთხვევაში საფუძვლიანად დასაბუთებულ ქება-დიდებას არანაკლებ არგუმენტირებული ლხმძღვა-გინება სცვლის.

ამ უკანასკნელისაკენ მიდრეკილება უფრო მწერლობაში იჩენს თავს, ვიდრე მეცნიერთა შორის. ისტორიკოსები თითქმის ერთსულოვანნი არიან გიორგი სააკაძის პიროვნების დადებითს შეფასებაში.

ამიტომაც ერისათვის სწორედ მწერალს უნდა ეთქვა თავისი ავტორიტეტული სიტყვა დიდი მოურავის მიერ სამშობლოს წინაშე გაწეული ღვაწლის შესახებ, გაეფანტა მცირედი ეჭვიც კი, რომელიც ერს აწუხებს თავისი დიდი შვილის გამო.

ეს კეთილშობილური და მძიმე ამოცანა იტვირთა ჯანსუღ ღვინჯილიამ. მისი ნაწარმოების პათოსი გიორგი სააკაძის გამართლება კი არ არის (ისტორია დიდ მოურავს ბრალდებულად არ მიიჩნევს!), არამედ მოწოდებაა ერის მიერ დიდი შვილების დაფასებისა და ისტორიული სიმართლის აღდგენისაკენ. „ერმა არ შეიძლება დაეჭვებული განწყობილებებით თუ დამოკიდებულებებით განაგრძოს გზა, — წერს იგი, — მას უსაზღვრო სურვილი აქვს შეცნობილი ჰყავდეს დიდი შვილი, შვილი, რომლის მასშტაბები ესოდენ ფართოა და ბევრის მომცველი“.

ამ მიზნით მწერალი, ხშირ შემთხვევაში, დიდად ავტორიტეტულ პირებთანაც კი პაექრობს. ასეთ კამათში მას უხდება ვებერთელა ისტორიული მასალის მოშველიება, გიორგი სააკაძისათვის მძიმე ბრალდებებისა და ეპითეტების მოხსნა, სკრუპულოზური კვლევის ჩა-

ტარება საკუთარი მოსაზრების დასამტკიცებლად.

ჯ. ღვინჯილია კამათის კარგ ტონსა და კვლევის სწორ მეთოდუკას ფლობს. იგი, თითქმის, ყოველთვის იცავს ზომიერებას. მიუხედავად იმისა, რომ სიყვარულით ეპყრობა გიორგი სააკაძის პიროვნებას, არ ჩქმალავს იმ ნაკლს, რაც მას ჰქონდა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჯ. ღვინჯილიას წიგნის სამი უღავო ღირსება: უპირველეს ყოვლისა ესაა პრინციპული ობიექტურობა, პირუთენელი სიმართლის აღდგენის ცდა; მეორე, ავტორისეული კონცეფციის დასაბუთება იმდენად დამაჯერებელია, რომ მკითხველი არათუ უბრალოდ დაეთანხმება მის მოსაზრებებს, არამედ ღრმად ერწმუნება მათ; და მესამეც, უკვე ცნობილი საისტორიო წყაროებიდან მწერალს ამოკითხული აქვს ისეთი ნიუანსები, რომლებიც აქამდე არავის შეუმჩნევია.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი ღირსება არის ჯ. ღვინჯილიას ის მთავარი მონაპოვარი, რომლითაც მისი ნაშრომი მეცნიერულ გამოკვლევას უთანაბრდება, ხოლო ავტორის მოსაზრება გიორგი სააკაძის პიროვნების შესახებ მკითხველისათვის სარწმუნო კე-შმარიტებად იქცევა.

ჯ. ღვინჯილია გიორგი სააკაძის პიროვნებას ახასიათებს დიდი შვილებისადმი ერის დამოკიდებულების პრიზმაში. იგი სავსებით სამართლიანად წერს: „დიდი შვილები ქვეყნის წიალიდან არიან შობილნი და ხალხსა და ქვეყანას სრული თვითგაღებით რომ ემსახურებიან, ამისათვის აუცილებელია მათთან დამოკიდებულების კულტურასაც ფლობდეს ხალხი, ქვეყანა“.

გიორგი სააკაძის მთელი ცხოვრება იყო საქართველოს ერთიანობისა და



ძლიერების აღდგენისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლას შესწირა მან თითქმის ყველაფერი, რაც ებადა: უზარმაზარი გონებრივი და ფიზიკური ენერჯია, ოჯახური ბედნიერება, შვილები, მშობლიურ ქვეყანაში ცხოვრების და სიკვდილის უფლება, სიცოცხლე და ნაწილობრივ სახელიც კი.

იგი იმარჯვებდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ომებში, იცავდა ქართველ ხალხს გადასახლება-გადაშენებისაგან, აგებდა და აშენებდა ციხე-დარბაზებს, ხელს უწყობდა ქვეყნის მეურნეობის დაწინაურებას, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას, ქმნიდა და წვრთნიდა სახალხო ლაშქარს. ყველაფერ ამას აკად. ნ. ბერძენიშვილის დასკვნით შედეგად მოჰყვა ის, რომ „გიორგი სააკაძემ იხსნა, თავისი პირადი ბედნიერების ფასად, საქართველო სასიკვდილო საფრთხისაგან... აიძულა შაჰ-აბასი ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე“.

ცხადია, ერი თავის ერთ შვილს, როგორი დიდიც არ უნდა იყოს იგი, უკეთესად სამსახურს ვერ მოსთხოვს!

„მაგრამ, — შენიშნავს ჯ. ღვინჯილია, — ქართველი ხალხის ისტორია XVII საუკუნის პირველ მეოთხედში უამრავ რთულ ვითარებას აჯგუფებდა, იმდენად რთულს, რომ მათი ლაბირინთის გავლა უშეცდომოდ არც სააკაძეს შეეძლო და არც სხვას.. გავლილ ურთულეს გზაზე გიორგი სააკაძეს, ცხადია, რამდენიმე არასასურველი ნაბიჯის გადადგმა მოუხდა“.

მისმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ეს შეცდომები დიდი მოურავის პიროვნების არსის გამოვლენად და უმძიმეს ბრალდებად გადააქციეს. ამან „მაინც დაბადა დიდი ეჭვი, რომელიც

რამდენიმე საუკუნეა ღრღინის შთამომავლობის ფიქრს“...


ჯ. ღვინჯილიას „გიორგი სააკაძის პიროვნება“ ამ „მღრღნელი ეჭვის“ გაფანტვას, ისტორიული სინამდვილის აღდგენას წარმოადგენს. მაგრამ, როგორც თვით ავტორი წერს, საკითხის შესწავლა ამით არ ამოიწურება: „გიორგი სააკაძის ფენომენზე კვლავაც ბევრი წიგნი დაიწერება... დაიწერება წინამდებარე წიგნის მსგავსი გამოწვლილვითი ანალიზიც, რათა კვლავ და კვლავ არ დაეხსნას ფიქრი ამ პრობლემას. კვლავ და კვლავ გვახსოვდეს, რა თვისებების წყალობით გადავრჩით უფსკრულის პირად მყოფნი, რათა გვახსოვდეს დიდ შვილებთან დამოკიდებულების კულუტრა“.

ამ საინტერესო წიგნის კითხვისას, თუ რაიმე შენიშვნა დაებადება მკითხველს, ჩვენი აზრით, ესაა: ზოგიერთი მსჯელობის არასაჭირო განმეორებანი და ანაქრონიზმები (მაგ., თავადები, სოციალური ფენის გაგებით, ვახტანგ გორგასალის ეპოქაში).

ვფიქრობთ, აგრეთვე, რომ რიგი მოვლენის ახსნისას ავტორს აქცენტი გადატანილი აქვს მორალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, მაშინ, როცა ამ მოვლენების სწორი გაგება მხოლოდ მათი სოციალური არსის წინ წამოწევით შეიძლება.

ქართველ მწერალთა IX ყრილობაზე დადებითი შეფასება მიეცა ჯ. ღვინჯილიას „გიორგი სააკაძის პიროვნებას“. ჩვენი წერილიც ამ შეფასების ერთი მოკრძალებული დადასტურებაა.

გიორგი მჭედლიძე.





# აგაპი წუთისოფლისა

ხალხმა დროისა და ცხოვრების მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა უაღრესად რეალისტური სიტყვით: წუთისოფელი.

წუთისოფლის ცნებაში ჩაიხლართა ამქვეყნიური ქირ-ვარამი, ცხოვრების ავ-კარგი, „წუთისოფლის სტუმრის“ ემოცი-ები...

ნაღვლიანი და ზუსტი სიტყვებით მი-შართავდა ქართველი კაცი წუთისო-ფელს: „ტილო წუთისოფელო, ზარავან-დივით მწარეო“... ანდა: „ფილიპემა თქვა: ოხერი შამამეპარა სიბერე. ჩამოვჯე და-ფიქრებული, დარდიან გულით ვიმღე-რე, ოხერო წუთისოფელო, რა უგონებ-ლოდ მიმტერე, სიზმრად მამპარე სოფე-ლი, სიყრმით გულ ველარ ვიჯერე, ჯან-საც დამაკლე, მუხლსაცა, ჩემზე ყელ წამაიდერე, სუყველაფერში მაჯობე, პირ-კი ვერ გამამიკერე!“...

წუთისოფლის ჯიუტი „სტუმრის“ ამ სტოიკურ ხმას ენაცვლება უფრო ფიქ-რიანი, მრავლისმეტყველი ხმა: „წუ-თისოფლის სტუმარი ვარ... კარგად ვი-ცნობ — მუხთალია“...

წუთისოფლის სიმუხთლემ გაარღვია სიჭიუტის ფესვი, გამოსჭედა მდგრადი რამ, რასაც ადამიანთა იმედი ეყრდნობა. წუთისოფლის წამიერობისა და სიმუხ-თლის შეცნობამ ადამიანი უფრო ამტანი გახადა.

ადამიანის გამძლეობის, მისი ჯიუტი სულის ანარეკლია განფენილი ოთარ ჩხეიძის მოთხრობებში — „ჩემი სოფ-ლის ეტიუდები“.

წიგნის წინათქმაში ავტორი წერს: „ჩემი სოფელი ჩემი სოფელია, რაღა თქმა უნდა, ოღონდ და მაინც — წუ-

თისოფელია, რამეთუ იგი, აქ თუ რაც ხდება, ვერ დაეტევა ერთ სოფელშია, წუთისოფლისაა და წუთისოფელია, ჩვე-ნი დღეებია, ჩვენი ცხოვრებაა, სიცო-ცხლეა ჩვენი, ჩვენი სევდაა და ჩვენი იმედი, ჩვენი დარდია და ჩვენი სიხა-რული...“

„წუთისოფლის სიმუხთლით“ შეძრუ-ლი გულების ამბავს ჩასდევს „ჩემი სო-ფლის ეტიუდების“ ავტორი, ანათებს მათი სულის პირქუშ ხვეულებს, ცხა-დია, არა მთლიანად, არამედ ნაწილობ-რივ, ნაწილ-ნაწილ, რათა ნაწილის ხი-ლვით გაგვათავსებინოს ის მთლიანი, რამ, რის შეცნობასა და დანახვას გუ-მანის თვალი სჭირდება, ინტუიციის მჭრელობა და სიმხვალე სჭირდება.

ტექნოლოგიურმა ერამ დღევანდელ სოფელსაც სახე უცვალა და ამ ამბის კვალდაკვალ უფრო რთული და ძნელად-ამოსაცნობი გახდა სოფლის მკვიდრის იერსახე, მისი ფსიქიკის რელიეფი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ფერისც-ვალეობა ხშირად ნეგატიურის მომძლავ-რების ხარჯზე ხდება. ტკივილით აღი-ქვამს მწერალი ამ ამბავს.

ცოლის ღალატით გულგასენილი წი-თა („ახალ მთვარეზე“) ნაჯახით გამო-სულა სოფელში და სულ ერთი გადაბ-რუნებული სიტყვაა საჭირო, რომ „იმის რისხვას გზა მიეცეს“. სულ ერ-თი გადაბრუნებული სიტყვა და ნაჯა-ხიც დატრიალდება, დაიღვრება სისხ-ლი.

ცოლის უკეთურებას წითაც ბორო-ტების გზაზე დაუყენებია... მაგრამ სო-ფელს ჭკუის დამრიგებელიცა ჰყავს, ზნეობისა და გონიერების მოდარაჯე-ნი. აქ ეს ფხიზელი თვალი სიკოს სახით გამოჩნდება. ჭირსა მყოფელი „თავს უნდა მოერიოსო“ და სიკოს ეს შეგო-ნება დააშოშმინებს წითას, სოფელს ტრაგედიას ააცილებს, თუმცა საფუძვე-



ლი ტრაგედიისა ხელშეუხებელი რჩება. ამ საფუძველის შეცვლა, მისი ამოძირკვაა მთავარი. ამიტომაც, რომ მწერალი სხვა ნოველებშიც კვლავ უბრუნდება სოფლის მკვიდრდთა ზნეობრივ ფერისცვალების მიზეზთა კვლევას, მის გამომზეურებას. გამომზეურება კი, მოგეხსენებათ, დაფიქრებისა და დასკვნის გაკეთების წინაპირობაა. ამ თვალსაზრისით ოთარ ჩხეიძის ეტიუდები მისივე რომანების გზას აგრძელებენ...

მწერლის თვალი თანამედროვეთა ზნეობრივი ცვლილებების, მათი სულიერი ფერისცვალების მოყურიადეა — ცვლილებებისა და ფერისცვალების რეალური სურათების მხატვარია.

დალლარა, ტოლია, ჩოჩე, კახნიაური, მაგლო, თალო, ტატე, ლიბრა, წითა, ლენცო, ლიკლიკა, ღვიტა, კოწიწა, ტარაუცა, ოგრია, ტროყო, ტარიკა, კნაჭა, ყოყოლი, გულა, ფირანი, ყარყარო და სხვანი... — მიწის მოყვარენი, ჯიუტები, ჯავრს რომ კრიჭაში უდგანან; წუთისოფლის ცოდვა-მადლში გარეულები; უტეხი სული, რომლისთვისაც არაფერი ამქვეყნიური უცხო არაა..

მიწაზე, ბალ-ვენახზე, ქვეყანაზე შეყვარებული კაცის დასაფლავებისას („მიწა“) საოცარი რამ ხდება: სამარე კუბოს არ იღებს, არ ჩადის სამარეში. კიდევ გათხრიან სამარეს, მოუმატებენ სიგრძე-სიგანეს, სიღრმეს და კუბოც თავისუფლად ჩავა. „მიწა უყვარდა, მიწას მოითხოვს, მიეცით, გაატანეთ“... ქართველი გლეხის ხასიათის მყარი და უკვდავი ნიშანი — მიწის უზომო სიყვარულია...

ტოლია („ეს უკვე სიზმარი როდი იყო“) ბაქიობს: ამა და ამ ქალს ვუყვარვარო, ამა და ამ ქალთან ვიყავიო. იმის სიტყვებს ჭორად დაატარებენ სოფლის მეჭორენი. სინამდვილეში კი ტოლიას ხმაც კი არ გაუცია რომელიმე

ქალისთვის. და როცა ტოლიას გულს სიყვარული შესძრავს, უკვე აღარ იცის, რა გზას დაადგეს.

ტოლია ვერ იჩურჩულებს სიყვარულის მონოლოგებს; არც არავინ დაუჯერებს, რომც იჩურჩლოს; ამიტომაც, ეს ენაგაკრეფილი ბიჭი თავისი სიყვარულის დაგვირგვინებას მის ფიზიკურ განცდაში ხედავს და ამ ფიქრით ატანული ანანოს მთელი სოფლის წინ კაბას შემოახვეს და თვითონაც ამ უკაცური საქციელის მსხვერპლი ხდება...

„ეტიუდები“ ძირითადად პოეტურ საფუძველზეა აგებული. ეს გახლავთ არა ამბის, არამედ განწყობილების, ემოციის პროზა. ზოგიერთ მოთხრობაში („მიწა“, „ღედა“, „ყურმა“...) პოეტური მზერის ანარეკლი კამკამებს.

ადამიანი ცოდვის შვილიაო, რომ ამბობდნენ, ამით იმასაც მიანიშნებდნენ, რომ უცოდველი ადამიანი არაა ამქვეყნად. ძველად მოსახსენებელ სიტყვასაც ამიტომ დაარქვეს „შესანდობარი“... და აი, ზოგიერთი ეტიუდის ქვესათაური: „სიმონ ჩიქოვანის შესანდობარი“, „გალაკტიონის შესანდობარი“, „გიორგი ლეონიძის შესანდობარი“, „გიორგი შატბერაშვილის შესანდობარი“, „თამარ ჭავჭავაძის შესანდობარი“...

...ავტორის გულისტკივილი მოთხრობას ქვეტექსტში დევს, იქაა მიჩუმათებული და, რომ ჩავხედოთ, გავისაცნაურებთ, რომ ეს მოვლენა უცხოა, შეუთავსებელია... აი, ერთი სატკივარი სოფლისა: ესაა სოფლის მკვიდრთა წაბაძულობა... ერთიმეორის წაბაძვით რომ აშენებენ უზარმაზარ სახლებს. მერე კი სიცოცხლის ბოლომდე ერთ ან ორ ოთახში ცხოვრობენ, ამით კმაყოფილდებიან...

და კიდევ ერთი სატკივარიც, სატკივარის საფუძველი და საყრდენი: ტექნიკური ერა მიწისმოყვარე და გამრჯე სოფელს თავისი ერთფეროვანი კალაპოტი-



საკენ ეწევა, ართმევს გამორჩეულ იერსახეს, არყევს მის ზნეობრივ საყრდენებს... და სატკივარიც ბევრ ეტიუდს გასდევს ლაიტმოტივად.

მაგრამ სოფლისათვის ნიველირებისა და განურჩევლობის სენს ჯერ ხელი რომ ვერ დაურევი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ „ეტიუდების“ გმირები ერთიმეორისაკენ იყურებიან. ადამიანებს ჯერ კიდევ აინტერესებთ ერთმანეთის იერსახე, ერთმანეთის პირადი საქმეები... ჯერ კიდევ არ დაუფარავს მათი გულები განურჩევლობისა და გულგრილობის ხავსს, ერთიმეორისათვის ჯერ კიდევ არ არიან უცხონი...

და ის, რაც სოფლის მკვიდრთ ჯერ კიდევ არ ამჩნევია — უცხოობა და გარიყულობა — ბევრ ქალაქელს უკვე ცხოვრებისეულ რეალობად ჰქცევია („მაგლოს ქმარი“); ისინი გათიშულან და აქ, სოფელში თამაშდება მათი ტრადიციის ბოლო სცენა, რომლის დროსაც გაიხმის ეს სიტყვები: „ჩვენ არასოდეს გვესმოდა ერთმანეთისა“...

პროზაული მეტყველება განსაცვიფრებელ სიმაღლეზე აიყვანეს ჩვენი საუკუნის დიდმა მწერლებმა (ჯოისი, ფოლკნერი და სხვები). უკიდურესად დაუახლოვეს იგი მიწიერ ჰეშმარიტებას — ცხოვრებას. ამით საფუძველი დაუდეს ლიტერატურის ახალ ტრადიციებს, თუმცა მკითხველთა ფართო წრის თვალსაწიერის მიღმა დარჩნენ.

მათი შედეგების წიაღში შეღწევა მხოლოდ მომთმენ მკითხველს შეუძლია, ხოლო ამბისა და მწვავე სიუჟეტების მოყვარული მკითხველი, ვინც ასე განსჯის — „ნაწარმოებმა თავი უნდა წამოკითხოს“, იმ საოცარ სამყაროში, იმ ტრადიციების არენაზე ვერასოდეს შეიხედავს...

ეს პარალელი იმიტომ მოვიხმე, რომ მჯერა, ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებების

წაკითხვა და გათავისება ძხოლოდ მომთმენ მკითხველს შეუძლია.

ჩემი აზრით, მისაღები და გასაზიარებელია ყოველი ენობრივი ექსპერიმენტი, რომელიც მწერალს უიოლებს თავის მთავარ ამოცანას, რომ გადმოსცეს „თუ რა გზით მიდის სამყარო“...

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის თვალის გადავლება გვარწმუნებს, რომ ენობრივი ძიებების ატმოსფერო გახლდათ ქართული ლიტერატურის ბედის თანამდევნი. ეს ტენდენცია იგრძნობა ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“.. ეს ტენდენცია შემდეგ და შემდეგ უფრო გაღრმავდა (რუსთაველი, რომანტიკოსები, ილია, ვაჟა, ბარნოვი, გამსახურდია...). ამ გზას აგრძელებს დღევანდელი მწერლობაც და სულაც არაა საკვირველი, რომ მისი მსახურნი ენობრივ-სტილისტური ძიებების გზით მიდიან. ამ გზაზე ზოგიერთი უკიდურესობაც მოსალოდნელია. ამგვარი რამ ლიტერატურის ჰეშმარიტ გულშემატკივარს არ უნდა გაუკვირდეს...

შინაგანი მეტყველება ყოველთვის ინდივიდუალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი. ეს გარემოება კონტაქტებს აძნელებს. თვით ხელოვნების ყველაზე მასობრივ და პოპულარულ სფეროში — კინემატოგრაფში როგორც კი შინაგანი მეტყველების პრეტენზიით აღბეჭდილი ფილმები გამოჩნდა, მასობრივმა მაყურებელმა ბევრი ვერაფერი გაუგო მათ.

ამ რამდენიმე წლის წინ ტარკოვსკის გახმაურებულ ფილმს „სარკეს“ მაყურებელი ტოვებდა. რას გაურბოდა მაყურებელი? ამ ფილმის საფუძველი ხომ მაყურებლისათვის ცნობილი და „შინაური“ რამაა — რეალიზმი. მაყურებელი შეაკრთო გამოსახვის რადიკალურად განსხვავებულმა საშუალებებმა. ეს ისეთი რამეა, რასაც უმაღლეს ვერ გაიშინაგანებ, ვერ შეეჩვევი.



სწორედ შინაგანი მეტყველების ინდი-  
ვიდუალურობაა, რაც ოთარ ჩხეიძის  
„ეტიუდებს“ წარმოაჩენს კიდევ და მა-  
სობრივი მკითხველის თვალში ვნებს კი-  
დეც, რადგან მომთმენობას გულისხმობს,  
მომთმენ მკითხველს გულისხმობს...

დეტექტიური ხლართების მოყვარუ-  
ლი მკითხველი მისთვის აქ ვერაფერ სა-  
ნუგეშოს ვერ იპოვის...

ესაა ენის პოეტური მარილით ნაზავი  
მეტყველება. მთხრობელის გატაცება  
და სურვილი, რომ მკითხველიც ჩაი-  
თროს მეტყველების ქარბორბალაში...  
ეს გახლავთ სულის გამოვლენის სხვა-  
ნაირობა, განსხვავებული უნარი. და  
კიდევ, ჩემი აზრით, ესაა ქართული პრო-  
ზის ჟურნალიზმთან დაახლოების ტე-  
ნდენციის საპირისპირო რეაქცია.

ოთარ ჩხეიძეს ეძნელება დეტალე-  
ბის განშორება. კიდევ და კიდევ აკონ-  
კრეტებს მას, საჩინოს ხდის — იწეუ-  
ბა მრგვალი კონტური, გრძელდება და  
მიიღება ერთგვარი ელიპსური სტილი  
პროზაული მეტყველებისა. და მისი  
პროზის ძირითადი თავისებურებაც ესაა.

„ჩემი სოფლის ეტიუდებში“ გამხე-  
ლილ სატკივართაგან ზოგს დრო უწამ-  
ლებს, ზოგი თავისით წაიშლება, ზოგიც  
მოურჩენელია, წუთისოფლის თანამდე-  
ვია, მისი „სიმუხთლის“ ნაწილია და ვე-  
რაფერი განკურნავს. ამას ერევვა ადა-  
მიანი, ურიგდება ან ებრძვის, ებჭინე-  
ბა თავის პირველ სიჯიუტეს და...  
გრძელდება ამბავი წუთისოფლისა...

ჯარჯი ფხოველი

# ბ ა მ რ ვ ი დ ა

ვაკოპა და ლიტერატურა. (ქართული ლიტერატურისმცოდნეობის პრობ-  
ლემები). თბ., „მეცნიერება“, 1981 წ.

„კრებული მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების  
60 წლისთავისადმი. მასში გაშუქებულია ქართული საბჭოთა ლიტერატურისმცოდ-  
ნეობის მიღწევები გახული სამოცი წლის მანძილზე. აგრეთვე ნაჩვენებია ქართულ  
ლიტერატურაში ახალი ადამიანის და რევოლუციური გარდაქმნების გამოხატვის  
ტენდენციები. თვალსაჩინო ადგილი ეთმობა ქართული ლიტერატურის ურთიერ-  
ობებს სხვა მოძმე ლიტერატურებთან“ — ვკითხულობთ ანოტაციაში.

კრებულში დაბეჭდილია შემდეგი სტატიები; ალექსანდრე ბარამიძე. ლიტე-  
რატურისმცოდნეობა საბჭოთა საქართველოში; დავით თევზაძე. კომუნისტი —  
ქართული ლიტერატურის გმირი; ივანე ლოლაშვილი. ძველი ქართული მწერლო-  
ბის შესწავლის ისტორიისათვის საბჭოთა საქართველოში; გიორგი ციციშვილი. ქარ-



თველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი სხვა ერებთან და მათი შესწავლა ჩვენს დროში; დავით ლაშქარაძე. მსოფლიო მერიდიანებზე; მიხეილ ჩიქოვანი. საბჭოთა ეპოქის საქართველოს ფოლკლორი.

ჯიბლაძე გ., შოლოხოვის ეპოსი. თბ., „მერანი“, 1980 წ.

წიგნის ანოტაციაში ნათქვამია: „აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის მონოგრაფია. „შოლოხოვის ეპოსი“ ავტორის ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია.

მონოგრაფიაში ბევრი ახალი მოსაზრებაა გამოთქმული „წყნარი დონის“, „დონური მოთხრობების“, „გატეხილი ყამირის“, „ბედი კაცისას“ და „სიძულვილის მეცნიერების“ შესახებ.

განსაკუთრებით ვრცლად არის განხილული მიხეილ შოლოხოვის ჰერ კიდეც დაუმთავრებელი რომანი — „ისანი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“.

მთელი თავი ეძღვნება მონოგრაფიის ავტორისა და სხვა ქართველი მოღვაწეების პირად შეხვედრებს შოლოხოვთან როგორც საქართველოში, ისე სტანიცა ვეშენსკაიაში“.

წიგნის რედაქტორია ლ. თურმანიძე.

ღლონტი ალ., ფილოლოგის ჩანაწერები. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1980 წ.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ქართული ენის ლექსიკის, დიალექტოლოგიის, სიტყვათა ძირების მნიშვნელობა-წარმომავლობის აქტუალურ საკითხებს. წარმოდგენილი მასალები დაწერილია სხვადასხვა დროს, თემატურად მრავალფეროვანია და ფაქტების ანალიზს ეყრდნობა.

წიგნის რედაქტორია ირ. არაბული.

ხერხეულიძე გრ., გიორგი ლეონიძის კოეზია. თბ., „მეცნიერება“, 1981 წ.

გრიგოლ ხერხეულიძის წიგნში განხილულია გიორგი ლეონიძის ლირიკა; ნაჩვენებია ის გარემო, რომელშიც ხდებოდა პოეტის ფორმირება; წარმოჩენილია მისი დამოკიდებულება „ცისფერყანწელებთან“ და მისი ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. გარჩეულია აგრეთვე ეპიკური თხზულებები: „ფორთოხალა“ და „სამგორი“.

ნუცუბიძე თ., ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიის საკითხები. თბ., „მეცნიერება“, 1981 წ.

ნაშრომში — ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის და ზოგიერთი ინგლისელი რომანტიკოსების შემოქმედებათა მაგალითზე — ნაჩვენებია ქართული რომანტიზმის ეროვნული და ინდივიდუალური თავისებურებანი.

წიგნის რედაქტორია დ. ლაშქარაძე.

ვეფხისტყაოსნის უძველესი თარგმანები ევროპულ ენებზე. თბ., „მეცნიერება“, 1980 წ.

კრებული, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის

ისტორიის ინსტიტუტმა გამოსცა, ეძღვნება რუსთაველის უკვდავი პოემის თარგმნას ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ და იტალიურ ენებზე.

კრებულში დაბეჭდილია: ნელი უბილავა-ანდრონიკაშვილის, გიული ლეჟავას, ჯუმბერ გაგნიძის, ლევან ბრეგაძის, დალი ინწკირველის, ჭემალ ჭელიძის, მაია ბიბა-ღვიშვილისა და მედეა თუშმალიაშვილის სტატიები.

წიგნის რედაქტორები არიან ს. ცაიშვილი და დ. ლაშქარაძე.

**ბუშმინი ა., ლიტერატურის მეცნიერება, პრობლემები, განსჯა, კამათი.** მ., „სოვრემენნიკი“, 1980 წ.

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, აკადემიკოს ბუშმინის წიგნი ლიტერატურისმცოდნეობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს ეძღვნება. ხელოვნებაა თუ მეცნიერება ლიტერატურისმცოდნეობა? რა მიმართებაშია ლიტერატურისმცოდნეობა სხვა მეცნიერებებთან? — აი, კითხვები, რომლებსაც ავტორი პასუხობს თავის წიგნში.

**რუბაშკინი ა., პირდაპირი სიტყვა.** მ., „სოვეტსკი პისატელი“, 1980 წ.

წიგნი ეძღვნება საბჭოთა მწერლური პუბლიცისტიკის საკითხებს, მასში საუბარია ლ. რეისნერის, ა. ტოდორსკის, ი. ერენბურგის, ა. ტოლსტოის, მ. კოლკოვის, ვს. ვიშნევსკის, ვ. ოვეჩკინის, გ. რადოვის, ნ. ტინონოვის, კ. სიმონოვის, დ. გრანინის, ვ. ჩივილიხინის და სხვა საბჭოთა მწერლების მწერლურ პუბლიცისტიკაზე.

წიგნის ბოლოს ავტორი არკვევს სამწერლო პუბლიცისტიკის ადგილს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში.

**თანატოლები.** მ., „სოვრემენნიკი“, 1980 წ.

„თანატოლები“ ახალგაზრდა საბჭოურ კრიტიკოსთა სტატიების კრებულია. კრებული შეადგინა ვალერი დემენტიევი.

წიგნში იბეჭდება: ვ. სვინინკოვის, ნ. ალექსეევას, ა. პანკოვის, ვ. ბონდარენკოს, ვ. დემენტიევის, ა. რაზუმიხინის, ტ. უსტინოვის, ვ. იაკიმენკოს, ნ. კუზინის და სხვა ახალგაზრდა კრიტიკოსთა სტატიები. სტატიები სამ განყოფილებადაა წარმოდგენილი: I. ჩვენი დღევანდელი, II. ზნეობრიობის მაღალი დონე, III. პოეზიის გაკვეთალები.

**ვოლოდინი ი., იტალიური რომანის განვითარების გზა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი, XX საუკუნის დასაწყისი).** ლენინგრადი, 1980 წ.

ავტორი თანმიმდევრულად მიმოიხილავს აღნიშნული პერიოდის იტალიური რომანის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეალისტურ რომანს, მის ფესვებს, წარმოშობას, ტრანსფორმაციას ფსიქოლოგიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. ამ ასპექტში განხილულია დიდი იტალიელი მწერლების: ჯ. ვერგის, ლ. კუაპანის, გ. დელედას და სხვათა შემოქმედება.





პროშოპინა ს., მალრიბი-ფრანგულენოვანი მწერლები 60-70-იან წლებში. მ., „ნაუკა“, 1980 წ.

წიგნში ნაჩვენებია ალჟირის, მაროკოს, ტუნისის ლიტერატურების განვითარების გზა 60-70-იან წლებში.

ავტორი გვაცნობს ფრანგულენოვანი მწერლობის, როგორც ნაციონალური მწერლობის ნაწილს. ამ თვალსაზრისითაა განხილული გამოჩენილი მწერლების: ა. ქათიბის, ტ. ბანჯელვანის, რ. ბეჯედრის და სხვათა შემოქმედება.

ტომაშევისკი ნ., ტრადიცია და სიახლე. უენიშვნები იტალიურ და ესპანურ ლიტერატურაში. მ., „ხუდოფესტვენაია ლიტერატურა“, 1981 წ.

წიგნში რამდენიმე სტატიაა: „ტრადიცია და სიახლე“, „ალექსანდრო მანძონის ახალგაზრდული ლირიკა“, „კლასიციზმიდან რომანტიზმამდე“, „ესპანური რომანის ისტორიიდან“ და სხვ.

„თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა საზღვარგარეთ“. საინფორმაციო კრებული მ., „პროგრესი“, 1981 წ.

გამოვიდა ამ სახელწოდების საინფორმაციო კრებულის ახალი ნომერი. კრებულში დაბეჭდილია მიმოხილვები, რეცენზიები, ანოტაციები საზღვარგარეთული ლიტერატურის ახალ ნაწარმოებებზე.

## ჩვენი ნომრის ავტორები

**ბარამიძე რ. გ.** — დაიბადა 1928 წ., თბილისში. ლიტერატურისმცოდნე. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1968 წ.) პროფესორი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „ნარკვევები ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან“ (1957 წ.), „ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან“ (1966 წ.) „ქართული საისტორიო პროზა“ (1971 წ.), „ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა“ (1972 წ.), „ქართული მწერლობის სათავეებთან“ (1978 წ.), „ქართული საისტორიო და ორატორული პროზა“ (1979 წ.) და სხვ.

**ბოჩკოვა ლ. ვ.** დაიბადა 1947 წ. თბილისში. კრიტიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (1978 წ.) თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, მოსამზადებელი განყოფილების გამგე. გამოქვეყნებული აქვს კრიტიკულ-ლიტერატურული სტატიები და შრომები თანამედროვე და კლასიკურ ლიტერატურაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილისეული ილია ჭავჭავაძის პოეზიაში“, „ქართული პოეზიის არქივიდან“, „მოქალაქეობრივი სამრეკლოდან“, „ჩემი სიცოცხლე — სამშობლოს ფარი“, „პრობლემები... პრობლემები...“ და სხვ.

**გვერდწითელი გ. ე.** დაიბადა 1930 წ. კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიმდინარე ლიტერატურ-

რული პროცესების შემსწავლელი განყოფილების გამგე. იბეჭდება 1957 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს, ძირითადად საბჭოთა ლიტერატურაზე. მრავალი წერილი და 15-ზე მეტი წიგნი, მათ შორის: „თანამედროვეთა მხატვრული სახეები“ (1962 წ.), „საბჭოთა ლიტერატურის პერიოდულობა და ხალხურობა“, (1970 წ.), „ლიტერატურული პორტრეტები, წერილები“ (1972 წ.), „მიხეილ ჯავახიშვილი“ (1977 წ.) და სხვ.

**ვარდოსანიძე გ. დ.** დაიბადა 1924 წ., დაბა შორაპანში. კრიტიკოსი. სხვადასხვა დროს იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე, საქართველოს მთავლიტის უფროსი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი, საქ. კომპარტიის ც. კ.-ის განყ. გამგის მოადგილე. მუშაობს საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებული მეცნიერული თარგმანის მთ. რედაქტორის მოადგილედ. ავტორია თეორიული და კრიტიკული სტატიებისა და წერილების კრებულებისა: „სიტყვა და ცხოვრება“, „წერილები“, მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევისა — „გონჯი მზეთუნახავი“.

**კობიძე დ. ი.** 1906-1981 წ. დაიბადა სოფ. ამაღლებაში. აღმოსავლეთმცოდნე (ირანისტი). ფილოლოგ. მეცნიერებათა კანდიდატი 1938 წლიდან, დოქტორი — 1948 წლიდან, პროფესორი — 1949 წლიდან. თბილისის უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე — 1953 წლიდან. სა-

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი 1979 წლიდან.  
გამოქვეყნებული აქვს 17 წიგნი. მათ  
შორის „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების  
სპარსული წყაროები“ (1959 წ.) „შაჰ-  
ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის ქართული  
ვერსიები“ ტ. III, გამოკვლევიდა და  
ლექსიკონით, (1974) „სპარსული ლიტე-  
რატურის ისტორია“ (1975 წ.) და სამი  
წიგნი ქართულ-სპარსული ლიტერატუ-  
რული ურთიერთობის საკითხებზე. ტ.  
I — 1945 წ., ტ. II — 1969 წ. ტ.  
III — 1968 წ.  
ს ი გ უ ა ს. ი. დაიბადა 1949 წ. გეგეჭ-

კორის რაიონის სოფ. ნაგებერაოში.  
1971 წელს დაამთავრა თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლო-  
გიის ფაკულტეტი. 1974 წელს დაი-  
ცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშა-  
ობს შ. რუსთაველის სახ. ქართული  
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში  
უმცროს მეცნიერ თანმაშრომლად. ავ-  
ტორია კრიტიკული სტატიებისა თანა-  
მედროვე ქართულ ლიტერატურაზე.  
წიგნები: „ლიტერატურული პრელუდი-  
ები“ (1974 წ.), „ეპოქა და სტილის  
პრობლემა“ (1976 წ.), „კონსტანტინე  
გამსახურდიას პროზის სტრუქტურა“  
(1980 წ.).



# შ ი ნ ა ა რ ს ი

## ცხოვრება. ლიტერატურა. კრიტიკა

|  |     |
|--|-----|
| სერგი ჭილაია. საბჭოთა საქართველო და ქართული მწერლობა                           | 3   |
| გურამ გვერდწითელი. ქართული სალიტერატურო კრიტიკა გუშინ, დღეს, ხვალ              | 24  |
| მიხეილ მახარაძე. კინოეპოპეა ხალხის შვილზე                                      | 51  |
| ავთანდილ ჩხაიძე. „რიპა“ — ლექსების ახალი კრებული                               | 58  |
| გივი ვარდოსანიძე. მომავლის ხატება  | 64  |
| <b>„კრიტიკა“ განიხილავს ახალ რომანს (თ. ბიბილური „ჟამი კითხულისა“).</b>        |     |
| ლევან ბრეგაძე. ჟამი რომ არა...   | 84  |
| ლუიზა ბოჩკოვა. აბსტრაქტული... სადღეისო   | 93  |
| <b>პოეტიკა</b>   |     |
| რევაზ ბარამიძე. „ჭაშინიკი“ — 250   | 106 |
| <b>უახლესი ქართული ლიტერატურა</b>  |     |
| დავით კობიძე. რამდენიმე სიტყვა ტერენტი გრანელზე                                | 116 |
| <b>თარგმანის პრობლემები</b>  |     |
| სოსო სიგუა. „მთვარის მოტაცების“ რუსული თარგმანის გამო                          | 125 |
| <b>ფურცლები არქივიდან</b>  |     |
| კონსტანტინე კაპანელი. ქართული ლიტერატურის იდეურ-მორალური საწყისი და მაგისტრალი | 150 |
| <b>ბიბლიოგრაფია. რეცენზია. ინფორმაცია</b>                                      |     |
| გიორგი მჭედლიძე. დიდ შვილებთან ერის დამოკიდებულების კულტურა                    | 167 |
| ჯარჯი ფხოველი. ამბავი წუთისოფლისა  | 171 |
| გამოვიდა   | 174 |
| ჩვენი ნომრის ავტორები  | 178 |

**СОДЕРЖАНИЕ АЛЬМАНАХА «КРИТИКА» № 3 (36)**

**ЖИЗНЬ. ЛИТЕРАТУРА. КРИТИКА.**

|  |    |
|--|----|
| С. Чилая. Литература Советской Грузии 2. . . . .                                 | 3  |
| Г. Гвердцители. Грузинская литературная критика вчера, сегодня, завтра . . . . . | 24 |
| М. Махарадзе. Киноэпопея о сыне народа . . . . .                                 | 51 |
| А. Чхаидзе. «Риха» — новый сборник стихов . . . . .                              | 58 |
| Г. Вардосанидзе. Видение будущего . . . . .                                      | 64 |

**«КРИТИКА» ОБСУЖДАЕТ НОВЫЙ РОМАН  
(Т. БИБИЛУРИ. «ПОМОГИ! — СКАЗАЛ ОН»)**

|   |    |
|---|----|
| Л. Брегадзе. Правда романа . . . . .              | 84 |
| Л. Бочкова. Абстрактное... злободневное . . . . . | 93 |

**ПОЭТИКА**

|   |     |
|---|-----|
| Р. Барамидзе. «Чашники» — 250 лет . . . . . | 106 |
|---|-----|

**НОВЕЙШАЯ ГРУЗИНСКАЯ ЛИТЕРАТУРА**

|  |     |
|--|-----|
| Д. Кобидзе. Слово о Т. Гранели . . . . . | 116 |
|--|-----|

**ПРОБЛЕМЫ ПЕРЕВОДА**

|  |     |
|--|-----|
| С. Сигуа. По поводу русского перевода «Похищения луны» . . . . . | 125 |
|--|-----|

**СТРАНИЦЫ ИЗ АРХИВА**

|   |     |
|---|-----|
| К. Капанели. Магистраль грузинской литературы . . . . . | 150 |
|---|-----|

**БИБЛИОГРАФИЯ. РЕЦЕНЗИЯ. ИНФОРМАЦИЯ**

|  |     |
|--|-----|
| Г. Мчедлидзе. О культуре отношения народа к своим выдающимся личностям . . . . . | 167 |
| Дж. Пховели. Повесть о преходящем мире . . . . .                                 | 171 |
| Вышли в свет . . . . .   | 174 |

„კრიტიკის“ უახლოეს ნომრებში დაიბეჭდება:

საუბარი „კრიტიკის“ მრავალი მაგიდის გარემო (პრობ-  
ლემატი და სინამდვილე).

ო. ჭილაძის რომანი „რკინის თეატრი“ (განხილვა).

თ. გალღაფერიძის ახალი რომანი.

რომან-ეპოპეის ჟანრის პრობლემის გამო.

სატირულ-იუმორისტული ასახვის თავისებურებანი.

ფურცლები გ. წერეთლის და ი. ევლოვილის არქივები-  
დან.

1

გამომცემლობის რედაქტორები —  
ცირა ინჭკირველი, ნინო ახალკაცი  
გამომშვები — რევაზ ჭუბაბრია

გადაეცა წარმოებას 1. 7. 81. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 9. 81. ნაბეჭდი  
თაბახი 10,7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,78. ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. ბეჭდვა  
მაღალი.

შეკვ. № 1818.

უე 00440.

ტირაჟი 3000.

**КРИТИКА**

**Альманах Союза писателей Грузии  
№ 3 (36)  
1981**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии,  
Тбилиси ул. Ленина, 14.



0 1.1



ფასი 55 კაპ.

ინდექსი 76133